

ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

პროგრამის დასახელება: ფილოლოგია

ნანა გაბადაძე

“კომუნიკაცია“ როგორც ცნებითი კატეგორია და როგორც  
ლინგვო-კონცეპტუალური ველის მასტრუქტურირებელი  
კონცეპტი რუსულ ენაში“

ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის  
მოსაპოვებლად წარდგენილი დისერტაცია

ხელმძღვანელი: ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი  
დავით გოცირიძე

## აბსტრაქტი

პირველ თავში: „კვლევის თეორიული ბაზა“ განიხილება ის საბაზისო კატეგორიები, რომელთა საფუძველზე წარმოებს კონკრეტული ემპირიული მასალის ინტერპრეტაცია, ზუსტდება ცნებათა სისტემა, რომელიც განსაზღვრავს კონცეპტოსფეროს მოცემული ფრაგმენტის ადგილს ეთნოეთნოენობრივ ცნობიერებაში.

მეორე თავი: „კომუნიკაციის“ ინტერაქციული ბუნება და მისი ლინგვოპრაგმატიკა“ შედგება ორი პარაგრაფისაგან : „კომუნიკაციური ინტერაქციის მაპროვოცირებელი სემენტი“ და „კომუნიკაციური ინტერაქციის რეაქციული სემენტი“ , ნაჩვენებია, რომ კომუნიკაციის ფენომენის ინტერპრეტაციისას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება კონტაქტის სემას.კომუნიკაციის დიალოგურ სტრუქტურას ვერ უარყოფენ ავტოკომუნიკაციის არსებობის მომხრეებიც კი. საკუთარ თავთან საუბრის დიალოგურობაზე მეტყველებს ისეთი ტერმინის არსებობა,როგორცაა “alter ego”. ამავე თავში განხილულია კომუნიკაციის მონაწილეთა როლებრივი პარტიტურა კითხვა-პასუხის დიალოგური მთლიანობის ფარგლებში. კომუნიკატთა ინტენციები შეიძლება გამოვლინდეს ადრესატის რეაქციაში, როგორც თავად კითხვის შინაარსთან, ისე ადრესანტის მიმართვის ფორმასა და პიროვნებასთან.

მესამე თავში: „კომუნიკაციის ეთნოკულტურული სპეციფიკა კულტურათმორისი ინტერაქციის პროცესში“ - კომუნიკაცია განხილულია არა როგორც შიდაკულტურული ინტერპერსონალური ან ჯგუფური ინტერაქცია, არამედ როგორც კროს-კულტურული ურთიერთობა, რომლის დროსაც ერთმანეთს უპირისპირდება განსხვავებული კომუნიკაციური ეთნოსტილები. უახლესი კვლევები კომუნიკოლოგიის სფეროში თავის ყურადღებას ამახვილებენ თარგმანის არა მარტო, როგორც ორიგინალის ინტერპრეტაციის პროცესისა და შედეგის გაგებაზე, არამედ, როგორც კულტურათმორისი კომუნიკაციის განსაკუთრებულ ფორმაზე. ამასთან დაკავშირებით წინამდებარე ნაშრომს აქვს გარკვეული მიზანი, გამოავლინოს ის სირთულეები და შეუსაბამებობი,რომლებიც წარმოიქმნება კულტურათმორისი კომუნიკაციის ისეთ სფეროში,როგორცაა, თარგმანი. კონცეპტ „კომუნიკაციის“ თვისობრივი ანალიზი ჩვენ განვახორციელეთ დიალოგური

მთლიანობის ბაზაზე. განსაკუთრებული ყურადღება მივაქციეთ დიალოგური კომუნიკაციური ინტერაქციის რეაქციულ სეგმენტს, რომელსაც არც ქართულ და არც რუსულ სამეცნიერო ლიტერატურაში ჯეროვანი ყურადღება არ მიექცა.

ვიდრე ზემოთ მითითებული თანმიმდევრობით კონკრეტული მასალის ანალიზზე გადავალთ, აუცილებელია იმ ფაქტის აღნიშვნა, რომ ანთროპოცენტრისტული ციკლის დისციპლინები პრაქტიკულად პირველ ნაბიჯებს დგამენ, რაც ერთიანი და საყოველთაოდ მიღებული ტერმინთა სისტემის არარსებობაში და სხვადასხვა მეცნიერთა მიერ დასმული ამოცანების არაერთგვაროვნებაში აისახა. პრობლემის შესწავლის თანამედროვე მდგომარეობის დახასიათებისას უპრიანია მოვიშველიოთ ი.ა. ბოდუენ დე კურტენეს სიტყვები: „ენობრივი მოვლენები, სხვა სახის მოვლენათა მსგავსად, ერთი შეხედვით, ქაოსს, უწყესრიგობას, არეულობას წარმოადგენს. ადამიანის გონებას აქვს თანდაყოლილი უნარი ამ მოჩვენებით ქაოსში მიზეზ-შედეგობრივი კავშირი აღმოაჩინოს, შეიტანოს სინათლე, სიმწყობრე წესრიგი, სისტემატურობა“ (5. გვ.20. ).

უნდა აღვნიშნოთ ასევე, რომ განსახილველ საკითხთა უმეტესობამ, რომლებიც მეტად მნიშვნელოვანია თანამედროვე ლინგვისტური მეცნიერებისა და მომიჯნავე დისციპლინებისათვის, დღემდე ვერ ჰპოვა ერთმნიშვნელოვანი გადაწყვეტა. ჩვენ არ გვაქვს წინამდებარე ნაშრომთან დაკავშირებული თეორიული პრობლემების საბოლოო გადაჭრის პრეტენზია, მაგრამ გვაქვს იმის იმედი, რომ შევძლებთ ჩვენი საკუთარი თვალსაზრისის ჩამოყალიბებას, რომლის მართლობიერების დადასტურებას ემპირიულ მასალას მივანდობთ.

In the first chapter: “Theoretical base of research” those basis categories are reviewed, on the basis of which an interpretation of specific empirical material takes place, as well as refinement of notion system, which determines the place of the given fragment of the sphere of concept in the ethnolinguistic consciousness.

The second chapter: “Interactive nature of “communication” and its linguopragmatics” consists of two sections: “Provoking segment of communication interaction” and “Reactive segment of communication interaction”. It is shown that during communication phenomenon interpretation special importance is attached to contact seme. Even the

supporters of autocommunication existence can't reject the dialogue structure of communication. The presence of such a term, as "alter ego" is, points at the dialogueness of speaking to self (soliloquium). In the same chapter there is considered a **role score** of communication participants within a dialogue integrity of question/answer. Communicants intentions may be manifested in addressee's response, regarding both question content itself and the form of address and personality of the addressant.

In the third chapter: "Ethnocultural specificity of communication in the intercultural interaction process" – communication is considered as not intracultural interpersonal or group interaction, but as cross-cultural relationship, during of which different communication ethnostyles oppose each other. The newest researches in the area of communicology pinpoint their attention on translation not only as an understanding of process and results of original's interpretation, but also as a special form of intercultural communication. The present work has a certain goal in this regard – to disclosure those difficulties and mismatches that originate in such sphere of intercultural communication, as translation is. The "communication" concept was qualitatively analyzed on the basis of **dialogue integrity**. Special emphasis was made on reactive segment of dialogue communication interaction that still is left relatively unattended in Georgian and Russian scientific literature.

Prior to analyse the specific material according to above-mentioned sequence, it is necessary to mention the fact that the disciplines of anthropocentric cycle actually make first steps only that is reflected in the absence of united and commonly accepted term system and non-uniformity of tasks set by different scientists. While giving the characteristic to modern state of problem study it is appropriate to borrow I.A Baudouin de Courtenay's words: "Similar to other types of events, linguistic phenomena, on first sight, represent chaos, disorder, and confusion. Human mind has a congenital ability to disclosure cause-and-effect relationship in this imaginary chaos, to bring a light, consistency, order and systemacity". We have to notice, as well, that the major part of issues to be discussed, that are very important for modern linguistic science and allied disciplines, even till now has been unable to find unequivocal solution. We have no pretension to finally solve theoretical problems related to the present work, but we hope that we will be able to formulate our own point of view, justification of which will be substantiated using empiric material.

## სარჩევი

შესავალი.....	8
ნაწილი პირველი	
კვლევის თეორიული ბაზა .....	18
ნაწილი მეორე	
„კომუნიკაციის“ ინტერაქციული ბუნება და მისი ლინგვოპრაგმატიკა .....	42
§ 1. კომუნიკაციური ინტერაქციის მაპროგნოზირებელი სეგმენტი.....	61
§ 2. კომუნიკაციური ინტერაქციის რეაქციული სეგმენტი.....	92
ნაწილი მესამე	
კომუნიკაციის ეთნოკულტურული სპეციფიკა კულტურათშორისი ინტერაქციის პროცესში.....	123
დასკვნა .....	155
ბიბლიოგრაფია .....	158

## სქემები

კოდური მოდელი სქემა №1 - გვ. 34

კომუნიკაციის ტრადიციული მოდელი სქემა №2 - გვ. 36

კომუნიკაციის სქემა სქემა №3 - გვ. 36

დიალოგის სქემა სქემა №4 - გვ. 41

კომუნიკაციური ლინგვისტიკის კონცეპტუალური ბირთვი სქემა №5 - გვ. 49

კითხვითი წინადადებების ირიბი გამოყენება სქემა №6 - c. 64

რესპონსიული ველი სქემა №7 - გვ. 117

კითხვა-პასუხის კაუზაცია სქემა №8 - გვ. 118

## აბრევიატურა

სხვ - სხვები

ე.ი. - ესე იგი

მ.თ. - მისთანა

ა.შ. - ასე შემდეგ

სხვ. - სხვა

იხ. - იხილეთ

გამ. - გამოშვება

აკდ - აკადემია

მ - მოსკოვი

მსუ - მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტი

გერმ. - გერმანული

სერ. - სერია

ეფლ - ეთნოფსიქოლინგვისტიკა

ლკს - ლინგვოკულტურული საზოგადოება

სსს - საგარეო საქმეთა სამინისტრო

გვ. - გვერდი

სა - სამეტყველო აქტები

ფსვ - ფუნქციურ-სემანტიკური ველი

თბ. - თბილისი

ქ. - ქუთაისი

## შესავალი

ჰუმანიტარული მეცნიერების თანამედროვე მდგომარეობა, ერთი მხრივ, და შეცვლილი სამყაროს ობიექტური პირობები – მეორე მხრივ, გარდაუვლად მოითხოვს როგორც კარგად ნაცნობ, ისე ახალი დროისათვის აქტუალური პრობლემების ხელახალ გააზრებას, ამიტომაც შემთხვევითი როდია ანტროპოცენტრისტულ პარადიგმაში შემავალ ისეთი მიმართულებისადმი ინტერესის მკვეთრი გაზრდა, როგორცაა ეთნოფსიქოლინგვისტიკა, ლინგვოკულტუროლოგია, კოგნიტური ლინგვისტიკა, სამეტყველო აქტების თეორია, კულტურათაშორისი კომუნიკაცია და ა.შ.

ენის როგორც ერის კულტურული კოდის, და არა უბრალოდ როგორც კომუნიკაციისა და შეცნობის იარაღის განხილვა ერთერთ პრიორიტეტულ მიმართულებად იქცა, ვინაიდან ენის მეშვეობით ჩვენ შეგვიძლია შევალწიოთ არა მარტო ერის თანამედროვე ცნობიერების სამყაროში, არამედ გამოვავლინოთ მის სიღრმისეულ პლასტებში დალექილი წარმოდგენები სამყაროზე, საზოგადოებაზე და თვით ადამიანებზე. როგორც ცნობილია, გარდასულ ეპოქათა გამოძახილებს, რომელთაც საუკუნეებს გაუძლეს, დღესაც ვპოულობთ ენობრივ მასალაში. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ენა წარმოადგენს ძირითად წყაროს, რომლის მეშვეობითაც ადამიანი აცნობიერებს სამყაროს შესახებ ინფორმაციის უმეტეს ნაწილს. ვინაიდან ადამიანი ცხოვრობს მის მიერ ინტელექტუალური, სულიერი, სოციალური მოთხოვნილებებისთვის შექმნილი კონცეპტების სამყაროში, რომელშიც საგნებსა და ნივთებს ნაკლები მნიშვნელობა ენიჭება მათთან შედარებით, საზოგადოებაში მისი წარმატება დამოკიდებულია იმაზე, რამდენად კარგად ფლობს ის სიტყვას, თანაც არა იმდენად მეტყველების კულტურის, რამდენადაც ენის საიდუმლოებებში შეღწევის უნარის თვალსაზრისით. ფილოსოფოსების არ იყოს, თუ ზედმიწევნით გესმის სიტყვის არსი, რომელიც ამა თუ იმ საგანს, მოვლენას აღნიშნავს, უფრო ადვილად შეგიძლია მართო ნივთიერი სამყარო.

ენის ანტროპოცენტრულობის იდეა დღეს საყოველთაოდ მიღებული გახდა და ადამიანის შესახებ წარმოდგენის შექმნაში ენობრივ ფაქტორს უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება. ბუნებრივია, რომ ახალი მეცნიერული პარადიგმის გამოჩენა ახალ ამოცანებს აყენებს ენის მკვლევართა წინაშე და მოითხოვს მისი აღწერის ახალ მეთოდოლოგიას,



ენობრივი ერთეულების, კატეგორიების, წესების ანალიზის ახალ მიდგომებს. ანთროპოცენტრული პარადიგმის არსია – მკვლევარის ინტერესების გადართვა შეცნობის ობიექტისგან სუბიექტზე, ე.ი. ანალიზირდება „ენა ადამიანში“ და „ადამიანი ენაში“.

ახალი პარადიგმის ერთ-ერთი ფუძემდებლური პოსტულატია ლ. ვიტგენშტაინის თეზისი: „სამყარო ფაქტების და არა ნივთების ერთობლიობაა“. თანდათან მოხდა ენის რეორიენტირება ფაქტზე, მოვლენაზე, ხოლო ყურადღების ცენტრში დადგა ენის მატარებლის პიროვნება (ი.ნ. კარაულოვის ტერმინოლოგიით „ენობრივი პიროვნება“), შეიცვალა საგნის კონსტრუირების ხერხები, ტრანსფორმაცია განიცადა თავად კვლევის საერთო პრინციპებისა და მეთოდების შერჩევისადმი მიდგომამ, გამოჩნდა ლინგვისტური აღწერის რამდენიმე, კონკურენტული მეტაენა, და როგორც ვ.ა.მასლოვა აღნიშნავს: „ანთროპოცენტრული პარადიგმის ფორმირებამ ლინგვისტური პრობლემატიკის ადამიანისკენ და კულტურაში მისი ადგილისკენ მობრუნებამდე მიგვიყვანა, ვინაიდან კულტურისა და კულტურული ტრადიციის ყურადღების ცენტრში ენობრივი პიროვნება დადგა მთელი მისი მრავალფეროვნებით. მე – ფიზიკური, მე – სოციალური, მე – ინტელექტუალური, მე – ემოციური, მე – მეტყველი და მოაზროვნე... პიროვნების ნებისმიერ სუბსტანციაზე ზემოქმედებით შესაძლებელია ადრესატის პიროვნების ნებისმიერ სხვა მხარეზე ზემოქმედება. ამრიგად, ენობრივი პიროვნება კომუნიკაციაში შედის როგორც მრავალი ასპექტის მექანე, და ეს შეეფარდება სამეტყველო ურთიერთობის სტრატეგიებსა და ტაქტიკებს, კომუნიკანტების სოციალურ და ფსიქოლოგიურ როლებს, კომუნიკაციაში ჩართული ინფორმაციის კულტურულ მნიშვნელობას“ (33.გვ.15).

ანთროპოცენტრული პარადიგმის მიერ პირველ ადგილზე ადამიანის წინ წამოწევა ამავდროულად ეფუძნება ენის, როგორც ადამიანის მთავარი მაკონსტრუირებელი მახასიათებლის აღიარებას. ენა, იჭრება რა ყველა აზროვნებით პროცესში, ქმნის ახალ მენტალურ სივრცეებს და გამოჰყავს ადამიანი უშუალო დაკვირვების ფარგლებს გარეთ. ენა გამოხატავს ადამიანის აზრის მოძრაობას, აგებს შესაძლო სამყაროებს, აღბეჭდავს რა თავის თავში აზრის დინამიკას და ვერბალური საშუალებებით მისი წარმოდგენის ხერხებს.

ანთროპოცენტრული პარადიგმის ფარგლებში ფორმირებულ ძირითად მიმართულებებს შორის უნდა აღინიშნოს ლინგვოკულტუროლოგია, კოგნიტური ლინგვისტიკა, ეთნოლინგვისტიკა, ეთნოფსიქოლინგვისტიკა და ა.შ. თუ ლინგვოკულტუროლოგიას აინტერესებს ენა, როგორც კულტურის ფენომენი, რომელიც ეროვნული ენის პრიზმაში ახდენს სამყაროს გარკვეული ხედვის რეალიზებას, კოგნიტური ლინგვისტიკა იყენებს (ოპერირებს) „ინფორმაციის ცნების“ და „ცოდნის სტრუქტურების“ კატეგორიებს, რაც ინფორმაციის გონებით დამუშავებასა და მის ენობრივ ფორმებში რეპრეზენტაციის მექანიზმების არსებობას გულისხმობს.

თუ კოგნიტური ლინგვისტიკა, კოგნიტოლოგიის შემქმნელ სხვა მიმართულებებთან ერთად (კოგნიტური ფსიქოლოგია და კოგნიტური სოციოლოგია) ცდილობს უპასუხოს კითხვას იმაზე, თუ როგორ არის ორგანიზებული ადამიანის გონება, როგორ შეიცნობს ადამიანი სამყაროს, რომელი ინფორმაცია სამყაროს შესახებ იქცევა ცოდნად, როგორ იქმნება მენტალური სივრცეები, კულტუროლოგია მთელ ყურადღებას უთმობს ადამიანს კულტურაში და მის ენას, რაც შემდეგი საკითხების გადაჭრას მოითხოვს: როგორს ხედავს ადამიანი სამყაროს, როგორია მეტაფორის და სიმბოლოს როლი კულტურაში, როგორია ფრაზეოლოგიზმების როლი კულტურის რეპრეზენტაციაში და ა.შ. ეთნოლინგვისტიკაზე საუბრისას უნდა აღინიშნოს, რომ მოცემული მიმართულება თავის ყურადღებას კულტურასთან, ხალხურ ზნე-ჩვეულებებთან, საზოგადოების ან მთლიანად ერის სოციალურ სტრუქტურასთან ენის კავშირების შესწავლაზეა ფოკუსირებული. ეთნოსი განიხილება როგორც ადამიანთა ენობრივი, ტრადიციულ-კულტურული ერთიანობა, რომლებიც გამთლიანებულია ერთიანი წარმოდგენებით მათ წარმომავლობაზე, ისტორიულ ბედზე. გამაერთიანებელ ფაქტორს წარმოადგენს აგრეთვე ენის, კულტურის და ფსიქიკის თავისებურებებისა და ჯგუფური ერთიანობის თვითშეგნება.

ეთნიკური თვითშეგნება – ეთნოსის წევრების მიერ თავისი ჯგუფური ერთიანობის და სხვა ანალოგიური ფორმირებებისგან განსხვავების გაცნობიერებაა. ეთნოლინგვისტიკის მიზანი მეცნიერებს ისტორიულ რეტროსპექტივაში ესახებათ, ე.ი. ეროვნული სტერეოტიპების გამოვლენაში, სამყაროს „ეროვნული“ სურათის გამოვლენაში. ეროვნულ-კულტურულ სპეციფიკასთან დაკავშირებულია ისეთი დისციპლინა, როგორცაა ეთნოფსიქოლინგვისტიკა. ეთნოფსიქოლინგვისტიკის

ძირითადი პრინციპების ფორმულირებისას, ვ.ვ.კრასნიხი აღნიშნავს: „ეთნოფსიქოლინგვისტიკა (ეფლ) მოიაზრება როგორც მიმართულება, რომელიც მეტყველებით საქმიანობას ეროვნულ-კულტურული სპეციფიკის პლანსა და დისკურსის ეროვნულ-კულტურული მდგენელის გათვალისწინებით განიხილავს. ის ასევე იკვლევს ენობრივი ცნობიერებისა და კომუნიკაციის ეთნოფსიქოლინგვისტურ დეტერმინირებულობას. ეთნოფსიქოლინგვისტიკის შესწავლის ობიექტია იმ სამეტყველო მოვლენების ან სამეტყველო სიტუაციების ერთობლიობა, რომლებსაც ადგილი ჰქონდა ეროვნული დისკურსის პირობებში. ეთნოფსიქოლინგვისტიკის საგანია ეროვნული დისკურსი მისი სპეციფიკის განმაპირობებელი გამოვლინებებისა და ფაქტორების მთელ ერთობლიობაში... დისკურსი მოიაზრება, როგორც ვერბალიზებული მეტყველებით-აზროვნებითი საქმიანობა, რომელიც წარმოგვიდგება როგორც პროცესის და შედეგის ერთობლიობა და რომელსაც ორი პლანი აქვს: საკუთრივ-ლინგვისტური და კოგნიტური. დისკურსი როგორც პროცესი თავად არის ვერბალიზებადი საქმიანობა. დისკურსი როგორც შედეგი წარმოგვიდგება ტექსტების ერთობლიობის სახით. სხვაგვარად რომ ვთქვათ, დისკურსის საკუთრივ-ლინგვისტური პლანი (ასპექტი) დაკავშირებულია ენასთან. გამოყენებული ენობრივი საშუალებებით ის თავის თავის მანიფესტირებას ახდენს, ხოლო დისკურსი, როგორც შედეგი წარმოშობილი ტექსტების ერთობლიობაში მჟღავნდება. დისკურსის ლინგვოკოგნიტური პლანი დაკავშირებულია ენობრივ ცნობიერებასთან, განაპირობებს ენობრივი საშუალებების შერჩევას, გავლენას ახდენს ტექსტების წარმოქმნაზე (და აღქმაზე), მჟღავნდება რა კონტექსტში და პრესუპოზიციამში (დისკურსი როგორც პროცესი). დისკურსი წარმოადგენს ერთიან ორგანიზმს, რომელშიც ერთდროულად რეალიზდება არა მარტო ენის, არამედ ენობრივი აზროვნების სრულიად სხვადასხვაგვარი ასპექტები“ (26. გვ.62).

მიუხედავად ზოგადთეორიული მოსაზრებების გარკვეული განსხვავებისა, ყველა მითითებული მიმართულება ზოგადი ანთროპოცენტრული განწყობით ერთიანდება. ადამიანი, როგორც ენობრივი პიროვნება, წარმოადგენს არა განყენებულ ცნებას, არამედ გარკვეული კულტურის მატარებელია, გარკვეული სოციუმის წარმომადგენელი, რაც მის ეთნოლინგვოსოციალურ სტატუსს განაპირობებს. უნდა აღინიშნოს, რომ სხვა კულტურის გაგების გასაღები ანთროპოცენტრისტული პარადიგმის სფეროში ძვეს. კონფლიქტური სიტუაციების უმეტესობა, რომლებიც

ინოვაციებთან ურთიერთობისას წარმოიქმნება, კომუნიკანტების ეროვნულ-კულტურული თავისებურებების იგნორირების ფაქტორთან არის დაკავშირებული. საინტერესოა, რომ ახლახანს წარმოქმნილი მიმართულება – „ლინგვო-კონფლიქტოლოგია“ ამოცანად ისახავს შესაძლო საკონფლიქტო სიტუაციების წარმოქმნის კვლევას და მათი თავიდან აცილებისათვის პრაქტიკული რეკომენდაციების შემუშავებას. ამა თუ იმ ერის მენტალიტეტის ცოდნის პირველი და აუცილებელი პირობაა ენობრივი ცნობიერება, რომელიც კულტურის საკვანძო ცნებებს გარკვეული კონცეპტების სახით აფიქსირებს, მსოფლიოს ერთიანი, მთლიანი სურათის სახით წარმოადგენს. უნდა აღინიშნოს, რომ, მიუხედავად „სამყაროს მატერიალური საფუძვლის ერთიანობისა“, ეს უკანასკნელი სხვადასხვა კულტურის მიერ სხვადასხვაგვარად აღიქმება, რაც სინამდვილის ენობრივი მანიფესტაციის ფორმებშიც გამოიხატება. ვთვლით, რომ რუსული მენტალიტეტის გაგება რუსული ენობრივი ცნობიერების ბაზაზეც არის შესაძლებელი.

თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ ვერც ცნობიერების (როგორც ადამიანის მენტალური რეალობის) ფენომენმა, ვერც მისი შინაარსის სტრუქტურირების პრობლემამ და ვერც მეტყველების წარმოშობის პროცესში ადამიანის ეთნომენტალური სამყაროს რეპრეზენტაციის სპეციფიკამ ვერ ჰპოვეს ყოველმხრივი გაშუქება არც ქართულ და არც უცხოურ ლინგვისტიკაში, თამამად შეიძლება საუბარი წინამდებარე კვლევის აქტუალობაზე. სადისერტაციო ნაშრომის აქტუალობა, ჩვენი თვალსაზრისით, მდგომარეობს იმაში, რომ რუსი ადამიანის ეთნომენტალური სამყაროს შესწავლა მოგვცემს საშუალებას მივიღოთ ინფორმაცია მისი ღირებულებების სისტემის შესახებ, რაც შესაძლებელს გახდის კულტურათაშორისი კომუნიკაციის სისტემის გამართვას. აქტუალურად გვესახება კულტურული სივრცის იმ ენის მეშვეობით სემანტიზაციის კვლევის ამოცანა, რომელიც განაპირობებს მისი მატარებლების აზროვნების ტიპს, მეორე მხრივ კი ენა, რომელზეც ხორციელდება აზროვნება, შეიძლება განისაზღვროს, როგორც გარემო სამყაროს შემეცნების ხერხი.

სადისერტაციო ნაშრომის მეცნიერული სიახლე დაკავშირებულია როგორც თემის არჩევასთან, ისე მთელ რიგ მოვლენებთან, რომლებიც გაშუქდა წინამდებარე კვლევის ფარგლებში:

1) კონცეპტი „კომუნიკაცია“ პირველადაა შესწავლილი როგორც კონცეპტოსფეროს სტრუქტურული ელემენტი;

2) გამოკვლეულია ვერბალურ-კომუნიკაციური რეაქციების მნიშვნელობები და მათი მიმართება ენის მატარებელთა ეთნოკულტურულ კომპეტენციასთან;

3) განსაზღვრულია კონცეპტ „კომუნიკაციის“ მასტრუქტურირებელი სემები კულტურის კოდები და ეტალონები, რომლებიც რეალიზებულია კონცეპტოსფეროში და გამოხატავს რუსებისა და ქართველების ენობრივი ცნობიერების ფაქტებს;

4) გამოვლენილია კომუნიკაციის ინტერაქციული დიალოგური სტრუქტურის კომპონენტთა ფორმალურ-შინაარსობრივი მიმართება რუსულ და ქართულ ენებში;

5) „კომუნიკაციის“ კონცეფტთან დაკავშირებული რუსული ენობრივი ცნობიერების სპეციფიკა პირველად ვერიფიცირდება უცხო (ქართული) კულტურის მასალის მეშვეობით, რაც შესაძლებელს ხდის ამ მოვლენას გარედან შევხედოთ და შევამჩნიოთ ის ნიუანსები, რომლებიც არ წარმოჩინდება შიდაენობრივი ანალიზის დროს ;

6) კონცეპტი „კომუნიკაცია“ პირველადაა წარმოდგენილი შეპირისპირებით ჭრილში ეთნოფსიქოლინგვისტიკის და კულტურათაშორისი კომუნიკაციის კონტექტში.

მითითებული პრობლემები, რომლებიც ჩვენი აზრით, შეადგენენ წინამდებარე ნაშრომის სიახლეს, შეიძლება გადაიჭრას მხოლოდ სხვადასხვა მეცნიერებათა მიღწევებზე დაყრდნობით, კერძოდ: ეთნოფსიქოლინგვისტიკის, კოგნიტური ლინგვისტიკის, ლინგვოკულტუროლოგიის, მეტყველებითი აქტების თეორიის და ა.შ. დასახული ამოცანების გადაჭრისათვის მითითებული მიმართულებების ჩაბმა იძლევა შესაძლებლობას კვლევა ანთროპოცენტრისრული პარადიგმის კალაპოტში გადავიტანოთ.

სადისერტაციო ნაშრომის მიზანია კონცეპტ „კომუნიკაციის“ მასტრუქტურირებელ დიალოგური მთლიანობის ბაზაზე განვახორციელოთ რუსული და ქართული ეთნომენტალური ენობრივი ცნობიერების კვლევა. ამასთანავე, ჩვენ მიზნად ვისახავთ შევისწავლოთ კომუნიკაციური ეთნოსტილის კავშირი სამეტყველო სტრატეგიებსა და ექსტრალინგვისტურ ფაქტორებთან, რომლებიც ნათლად ასახავენ საკვლევი ფენომენის კონცეფტუალურ არსს. წინამდებარე კვლევის მიზანმა განსაზღვრა ცალკეული კერძო ამოცანები: 1) ლინგვოკოგნიტური პოზიციებიდან დასაბუთდეს კონცეპტ „კომუნიკაციის“ ბირთვული სემების შინაარსი და ეთნომენტალური ბუნება; 2) გაირკვეს

„კომუნიკაციის“ კონცეპტუალური ველის სტრუქტურირების ძირითადი პრინციპები; 3) დადგინდეს კონცეპტ „კომუნიკაციის“ რეალიზაციის აზრობრივი და ემოციურ-ფსიქოლოგიური „ეკოსფერო“; 4) დადგინდეს „კომუნიკაციის“ კონცეპტუალურ-სემანტიკური ველის შემადგენლობაში ინტერაქციული დიალოგური სტრუქტურის კომპონენტთა ლინგვოპრაგმატიკა და როლი კონცეფტის ინტერპრეტაციის საქმეში.

საკვლევი მასალის არაერთგვაროვნებამ განაპირობა ნაშრომში გამოყენებული მეთოდების ფართო სპექტრი. ნაშრომში გამოყენება ჰპოვეს:

- კონცეპტუალური მოდელირების მეთოდმა;
- განზოგადების, ანალოგიის, ლინგვისტური აღწერის მეთოდებმა;
- საველე სტრუქტურულირების მეთოდმა;
- სტრუქტურულ-აღწერილობითმა მეთოდმა;
- ასოციაციური ექსპერიმენტის მეთოდმა;
- შეპირისპირებით-ტიპოლოგიურმა ანალიზმა;
- კულტურულ-კონფრონტაციულმა ანალიზმა.

აღსაწერი მასალის ძირითად წყაროებად იქცა სხვადასხვა ლინგვისტურ წყაროებში მოძიებული მონაცემები, რომლებიც კომუნიკაციას განსაზღვრავენ, როგორც ცნებით კატეგორიას და როგორც ლინგვო-კონცეფტუალური ველის მასტრუქტურირებელ კონცეპტს რუსულ ენაში. კვლევისას გამოვიყენეთ რუსული და ქართული ენების კორპუსების მასალები, აგრეთვე განმარტებითი, სემანტიკური და ასოციაციური ლექსიკონები. ფაქტობრივი მასალის სახით გამოყენებულია, ასევე მხატვრული ლიტერატურის, პუბლიცისტიკის, პერიოდული პრესის, მეცნიერულ-ფილოლოგიური გამოკვლევების, ფილოსოფიური და რელიგიურ-დოგმატური ლიტერატურის ამონარიდები.

ნაშრომის თეორიული მნიშვნელობა განისაზღვრება იმით, რომ მასში პირველადაა შემოთავაზებული კონცეფტ „კომუნიკაციაში“ ასახული ენობრივი ცნობიერების ფაქტების ეთნოფსიქოლინგვისტური ინტერპრეტაციის მოდელი. ამ მიმართულებით კვლევების გაგრძელება მოგვცემს საშუალებას შევაპირისპიროთ „კომუნიკაციის“ კონცეპტუალური მნიშვნელობები სხვადასხვა კულტურებში, რაც საბოლოო ჯამში კულტურათაშორისი ურთიერთობის სფეროში პრაქტიკული რეკომენდაციების საფუძვლად იქცევა.

სადისერტაციო ნაშრომის პრაქტიკული მნიშვნელობა გვესახება იმაში, რომ მიმოხილული მასალები და შედეგები შეიძლება გამოვიყენოთ როგორც ლექსიკოგრაფიკულ პრაქტიკაში, ლინგვისტიკის სასწავლო კურსებში (ლექსიკოლოგია, სემასიოლოგია, ფრაზეოლოგია, ზოგადი სემანტიკა და ა.შ.), ასევე ლინგვოკულტუროლოგია, კულტურათმორისი კომუნიკაციის სფეროს სპეციალისტთა, ფსიქოლოგთა, ფილოსოფოსთა პრაქტიკულ საქმიანობაში, რომლებიც ადამიანს „ანთროპოსოფიის“ ასპექტში შეისწავლიან და ა.შ.

ვუბრუნდებით რა წინამდებარე კვლევის ამოცანებს, აღვნიშნავთ, რომ მათ ბევრად განაპირობეს სადისერტაციო ნაშრომის სტრუქტურა. შესავალში ჩამოყალიბებულია კვლევის ძირითადი მიზნები, ამოცანები და მეთოდები, განსაზღვრულია მისი აქტუალობა, სამეცნიერო სიახლე, თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა და დასაბუთებულია „სიუჟეტის“ განვითარების ლოგიკა.

პირველ თავში: „კვლევის თეორიული ბაზა“ განიხილება ის საბაზისო კატეგორიები, რომელთა საფუძველზე წარმოებს კონკრეტული ემპირიული მასალის ინტერპრეტაცია, ზუსტდება ცნებათა სისტემა, რომელიც განსაზღვრავს კონცეპტოსფეროს მოცემული ფრაგმენტის ადგილს ეთნოეთნოენობრივ ცნობიერებაში.

მეორე თავი: „კომუნიკაციის“ ინტერაქციული ბუნება და მისი ლინგვოპრაგმატიკა“ შედგება ორი პარაგრაფისაგან : „კომუნიკაციური ინტერაქციის მაპროვოცირებელი სემენტი“ და „კომუნიკაციური ინტერაქციის რეაქციული სემენტი“ , ნაჩვენებია, რომ კომუნიკაციის ფენომენის ინტერპრეტაციისას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება კონტაქტის სემას.კომუნიკაციის დიალოგურ სტრუქტურას ვერ უარყოფენ ავტოკომუნიკაციის არსებობის მომხრეებიც კი. საკუთარ თავთან საუბრის დიალოგურობაზე მეტყველებს ისეთი ტერმინის არსებობა,როგორცაა “alter ego”. ამავე თავში განხილულია კომუნიკაციის მონაწილეთა როლებრივი პარტიტურა კითხვა-პასუხის დიალოგური მთლიანობის ფარგლებში. კომუნიკატთა ინტენციები შეიძლება გამოვლინდეს ადრესატის რეაქციაში, როგორც თავად კითხვის შინაარსთან, ისე ადრესანტის მიმართვის ფორმასა და პიროვნებასთან.

მესამე თავში: „კომუნიკაციის ეთნოკულტურული სპეციფიკა კულტურათმორისი ინტერაქციის პროცესში“ - კომუნიკაცია განხილულია არა

როგორც შიდაკულტურული ინტერპერსონალური ან ჯგუფური ინტერაქცია, არამედ როგორც კროს-კულტურული ურთიერთობა, რომლის დროსაც ერთმანეთს უპირისპირდება განსხვავებული კომუნიკაციური ეთნოსტილები. უახლესი კვლევები კომუნიკოლოგიის სფეროში თავის ყურადღებას ამახვილებენ თარგმანის არა მარტო, როგორც ორიგინალის ინტერპრეტაციის პროცესისა და შედეგის გაგებაზე, არამედ, როგორც კულტურათშორისი კომუნიკაციის განსაკუთრებულ ფორმაზე. ამასთან დაკავშირებით წინამდებარე ნაშრომს აქვს გარკვეული მიზანი, გამოავლინოს ის სირთულეები და შეუსაბამებობი, რომლებიც წარმოიქმნება კულტურათშორისი კომუნიკაციის ისეთ სფეროში, როგორცაა, თარგმანი. კონცეპტ „კომუნიკაციის“ თვისობრივი ანალიზი ჩვენ განვახორციელებთ დიალოგური მთლიანობის ბაზაზე. განსაკუთრებული ყურადღება მივაქციეთ დიალოგური კომუნიკაციური ინტერაქციის რეაქციულ სეგმენტს, რომელსაც არც ქართულ და არც რუსულ სამეცნიერო ლიტერატურაში ჯეროვანი ყურადღება არ მიექცა.

ვიდრე ზემოთ მითითებული თანმიმდევრობით კონკრეტული მასალის ანალიზზე გადავალთ, აუცილებელია იმ ფაქტის აღნიშვნა, რომ ანთროპოცენტრისტული ციკლის დისციპლინები პრაქტიკულად პირველ ნაბიჯებს დგამენ, რაც ერთიანი და საყოველთაოდ მიღებული ტერმინთა სისტემის არარსებობაში და სხვადასხვა მეცნიერთა მიერ დასმული ამოცანების არაერთგვაროვნებაში აისახა. პრობლემის შესწავლის თანამედროვე მდგომარეობის დახასიათებისას უპრიანია მოვიშველიოთ ი.ა. ბოდუენ დე კურტენეს სიტყვები: „ენობრივი მოვლენები, სხვა სახის მოვლენათა მსგავსად, ერთი შეხედვით, ქაოსს, უწესრიგობას, არეულობას წარმოადგენს. ადამიანის გონებას აქვს თანდაყოლილი უნარი ამ მოჩვენებით ქაოსში მიზეზ-შედეგობრივი კავშირი აღმოაჩინოს, შეიტანოს სინათლე, სიმწყობრე წესრიგი, სისტემატურობა“ (5. გვ.20. ).

გამომდინარე იქიდან, რომ ადამიანის გონებას შესწევს თანდაყოლილი უნარი გაანათოს ქაოსი და აღმოაჩინოს მასში სიმწყობრე, წესრიგი, სისტემატურობა და მიზეზობრივი კავშირი, ვეცდებით პირველ რიგში შევარჩიოთ შესაბამისი თეორიული წანამძღვრები, რომელთაც შეუძლია მიზანმიმართულად დაგვაკვალიანონ კონკრეტული ემპირიული მასალის ინტერპრეტაციის პროცესში.

უნდა აღვნიშნოთ ასევე, რომ განსახილველ საკითხთა უმეტესობამ, რომლებიც მეტად მნიშვნელოვანია თანამედროვე ლინგვისტური მეცნიერებისა და მომიჯნავე



დისციპლინებისათვის, დღემდე ვერ ჰპოვა ერთმნიშვნელოვანი გადაწყვეტა. ჩვენ არ გვაქვს წინამდებარე ნაშრომთან დაკავშირებული თეორიული პრობლემების საბოლოო გადაჭრის პრეტენზია, მაგრამ გვაქვს იმის იმედი, რომ შევძლებთ ჩვენი საკუთარი თვალსაზრისის ჩამოყალიბებას, რომლის მართლზომიერების დადასტურებას ემპირიულ მასალას მივანდობთ.

# ნაწილი I

## კვლევის თეორიული ბაზა

წინამდებარე ნაშრომისთვის დიდი მნიშვნელობის მქონე პრობლემებს შორის უნდა დასახელდეს: ენობრივი ცნობიერების და ენასა და კულტურასთან მისი კავშირის პრობლემა, სამყაროს ენობრივი სურათის აღწერის პრობლემა, ეროვნული მენტალობის განსაზღვრის პრობლემა, კონცეპტოსფეროს და კოგნიტური ბაზის აღწერის პრობლემა, აზროვნების ეროვნულ-კულტურული სპეციფიკის გამოხატვის ენობრივი ფორმების განსაზღვრის პრობლემა და ა.შ. უნდა აღინიშნოს, რომ ყველა ჩამოთვლილი პრობლემა ურთიერთდაკავშირებულია და გარკვეულწილად ურთიერთგანპირობებულია, რაც იწვევს ერთიანი კონცეპტუალური პარადიგმის ფარგლებში მათი განხილვის აუცილებლობას.

როგორც ცნობილია, ცნობიერებასა და მისი რეპრეზენტაციის ფორმებს შორის ურთიერთობები უკიდურესი სირთულით განსხვავდება. ცნობიერების არსებული გაგებებისა და განსაზღვრების ანალიზი ცნების სამი ვარიანტის არსებობას გამოყოფს, რომლებიც ერთ ფენომენს განეკუთვნება: ა) ცნობიერების ინტროსპექციული განსაზღვრა, რომელიც ამომავალი, თითოეული ინდივიდისთვის გასაგებია და გამოხატავს გულუბრყვილო მიდგომას ცნობიერების ფენომენისადმი; ბ) ცნობიერების ემპირიულად განსაზღვრული ცნება, რომელიც გამოიყენება კლინიკურ და ექსპერიმენტულ ფსიქოლოგიაში და ნეიროფსიქიკურ და ნეიროპათოლოგიურ კვლევებთან არის დაკავშირებული; გ) ცნობიერების ინტენციონალური ან ეპისტემოლოგიკური ცნება, რომელიც თანამედროვე თეორიაში განიხილება როგორც შეცნობის შესაძლებლობის გონებაჭვრეტითი პირობა, რომელიც თავის თავში რამდენიმე „ინტენციონალურ“ საფეხურს მოიცავს. ცნობიერების მეტაორგანული ფუნქცია რეალურ სამყაროში ადამიანის საქმიანობის სფეროს გაფართოებაში მდგომარეობს მისი შინაგანი გეგმებისა და წარმოდგენების შესაბამისად გარემოს შესაცვლელად.

ცნობიერების, როგორც ადამიანის მენტალური რეალობის ფენომენი, მისი შინაარსის სტრუქტურირების პრობლემა, და ასევე ადამიანის ეთნომენტალური სამყაროს რეპრეზენტაციის სპეციფიკა ჯეროვნად ვერ აისახა თანამედროვე ლინგვისტიკაში. აღნიშნული პრობლემის გადაწყვეტის მცდელობებმა პრინციპული

მნიშვნელობის პრობლემის - ცნობიერების და აზროვნების თანაფარდობის გააზრების აუცილებლობამდე მიგვიყვანა. ამ ოპოზიციური წყვილის თანაფარდობა მეცნიერთა საკმაოდ წინააღმდეგობრივ აზრებს იწვევს. ამ მხრივ განსაკუთრებით ანტაგონისტურია იმ მეცნიერთა შეხედულებები, რომლებსაც ბ.ა.სერებრენიკოვმა „ვერბალისტები“ და „ანტივერბალისტები“ უწოდა.

ერთადერთი დებულება, რომელსაც ცნობიერებისა და აზროვნების პრობლემებით დაკავებული ყველა მეცნიერი იზიარებს, ესაა განსახილველ კატეგორიებს შორის უდავო კავშირის აღიარება. ვერბალისტების პოზიციის დახასიათებისას, ხაზი უნდა გაესვას აზროვნებისა და ენის კავშირების უწყვეტობის იდეას. „აზროვნების აქტები შეუძლებელია გავიაზროთ ენის ბაზაზე, არამედ მხოლოდ მისი დახმარებით და არა სხვაგვარად“ (32, 12). ვერბალისტების რიცხვს შეიძლება მივაკუთვნოთ ისეთი ცნობილი მეცნიერები, როგორცაა მ. მიულერი, ვ. ფონ ჰუმბოლდტი, ფ. შლეიერმახერი, ფ. დე სოსიური, ა. რეფორმატსკი და სხვ.

მათგან განსხვავებით ანტივერბალისტები ამტკიცებენ არავერბალური აზროვნების, როგორც ასეთის, პრინციპულ შესაძლებლობას. არგუმენტების სახით მოჰყავთ მძლოლის ქცევა საჭესთან, მექანიკური შრომა, ჭადრაკის პარტიაში მონაწილეობა და ასევე ყრუმუნჯთა აზროვნება, რომლებიც, ა.გ. რუდნევის სიტყვებით, აზროვნებას ახორციელებენ გრძნობითი შეგრძნებების ბაზაზე. ანტივერბალისტების რიცხვს მიაკუთნებენ ნ.ი. ჟინკინს, ჟ. პიაჟეს, ბ.ა. სერებრენიკოვს, ი.ა. გალპერინს.

არსებობს მესამე თვალსაზრისი, რომელიც ენისა და აზროვნების თანაფარდობის სხვა ინტერპრეტაციას გვთავაზობს. მსჯელობის ლოგიკა ასეთია: „მართლაც, თუ დავთანხმდებით იმ მოსაზრებას, რომ აზროვნების ტიპები გამოიყოფა იმის მიხედვით, თუ რა გვევლინება იმ ერთეულის სახით, რომლის მეშვეობითაც ხდება დაუნაწევრებელი აზროვნებითი პროცესის დაყოფა გადანაცვლებისა და კომბინირების უნარის მქონე მონაკვეთებად, მაშინ ნათელი ხდება, რომ ასეთი სახის ერთეულებად შეიძლება ჩაითვალოს მხოლოდ ისეთი მოვლენები, რომლებიც თავისი ბუნებით თვით აზროვნებისადმი იზომორფულია. ვინაიდან აზროვნებას ინფორმაციული ბუნება აქვს, გარემოს ხატები, ქმედებები, ფორმები, ფერები, ბგერები და ა.შ. მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება განიხილებოდეს როგორც აზროვნების ერთეულები, თუ ისინი გარდაქმნილი სახით გამოდის, რომელიც აზრობრივი

საქმიანობის ბუნებასთან თავსებადია, ე.ი. თუ ისინი გარკვეულ საინფორმაციო მთლიანობად წარმოგვიდგება“ (32, გვ. 15-16).

როგორც არ უნდა იყოს, ყველა წარმოდგენილი თვალსაზრისი მაინც გვაძლევს საბაზს ვიფიქროთ, რომ აზროვნება და ცნობიერება თავისი არსით, მართალია, მჭიდროდ დაკავშირებული, მაგრამ განსხვავებული ფენომენებია. თუ მტკიცება იმისა, რომ აზროვნება მხოლოდ სიტყვების მეშვეობით არის შესაძლებელი სიძნელეს წარმოადგენს, სავსებით დასაშვებია საუბარი ცნობიერების ენობრივ ბუნებაზე. „ენობრივი ცნობიერების“ შესახებ საუბრისას, რომელიც რიგ შემთხვევაში „ცნობიერების“ სინონიმად გამოდის, მხედველობაში უნდა გვქონდეს ის ასპექტი, რომელსაც ლინგვისტი თავის კვლევებში გვერდს ვერ აუვლის და რომელიც უშუალოდ არის დაკავშირებული მეტყველების წარმოშობისა და აღქმის პროცესებთან. ამგვარ პრობლემათა განხილვის მეშვეობით ჩვენ მივდივართ ეროვნული კონცეპტოსფეროს გაცნობიერებამდე, ვინაიდან „მენტალურის განივთიერება ენის საშუალებით ხდება“ (8, გვ. 71).

ბუნებრივია, რომ ენობრივი ცნობიერება მისი მარეალიზებული პროცესების მიმდინარეობის მომენტში ვერ იქნება ანალიზის ობიექტი. მისი გამოკვლევა შეიძლება, მხოლოდ შედეგებიდან გამომდინარე, ის როგორც ადრინდელი საქმიანობის პროდუქტი, ე.ი. ანალიზის ობიექტი შეიძლება გახდეს მხოლოდ თავის გარდაქმნებში, კულტურული საგნებისა და კვაზისაგნების, ცნობიერების სუბიექტისგან გასხვისებულ ფორმებში. ეს აზრი, როგორც ცნობილია, მომდინარეობს ა.ა. პოტებნის იდეისგან, რომლის თანახმად:

„გამოცდილება გვიჩვენებს, რომ ჩვენი ამჟამინდელი მდგომარეობა არ ექვემდებარება ჩვენს დაკვირვებას, ვინაიდან ჩვენს მიერ შემჩნეული უკვე წარსულს ეკუთვნის“ (38, გვ. 153).

საინტერესოა, რომ უდიდესი რუსი ფსიქოლოგები ლ.ს. ვიგოტსკი და ა.ნ. ლეონტიევი აღიარებდნენ ცნობიერების ენობრივ, სამეტყველო ბუნებას: „გქონდეს ცნობიერება ნიშნავს ფლობდეს ენას. ფლობდეს ენას ნიშნავს ფლობდეს მნიშვნელობებს. მნიშვნელობა არის ცნობიერების ერთეული (მხედველობაშია ენობრივი, ვერბალური მნიშვნელობა). ამ გაგებისას ცნობიერება ნიშნობრივია“ (29, გვ. 16). ამ დებულებას ავითარებს ალექსეი ლეონტიევი. ის ამტკიცებს, რომ თუ ენა მოიაზრება როგორც ურთიერთობის და განზოგადების ერთიანობა, როგორც მნიშვნელობათა სისტემა,

რომლებიც არსებობს როგორც საგნობრივ, ისე ვერბალურ ფორმაში, მაშინ „ენობრივი ცნობიერება“ (რომელიც განიხილება, როგორც მნიშვნელობებით გაშუალებული ცნობიერება), თავისი შინაარსით უახლოვდება თანამედროვე რუსულ ფსიქოლოგიაში მიღებულ „სამყაროს ხატის“ გაგებას. სწორედ სამყაროს იმ ხატის მეშვეობით, რომელსაც ადამიანი თავის თავში ატარებს, ის აღიქვამს სამყაროს. ამასთან დაკავშირებით საყურადღებოა ცნობილი სტრუქტურალისტის გიომის სიტყვები: „ადამიანის თვალთ დახვნილი სამყარო წარმოადგენს სამყაროს სახეს, რომელიც იქმნება იმ დამუშავების საფუძველზე, რომელსაც ვუქვემდებარებთ ჩვენში მომწყვდეულ სამყაროს“ (8, გვ. 144). შესაბამისად, ადამიანის ენა, როგორც მოხერხებულად აღნიშნა ზ. ტურაევამ, - „ესაა ზედაპირული სტრუქტურა, რომელშიც ტექსტების მეშვეობით ფიქსირდება სამყაროს მოდელი, რომელიც ჩვენ ჩვენს ცნობიერებაში შემოგვაქვს“ (51, გვ. 105).

ა. ვეუბიცკაიას აზრით, ენობრივ ცნობიერებას აქვს ბევრი სხვადასხვა დონე და ის როგორც ზედაპირზე მყოფ ფაქტებს მოიცავს, ისე სხვა ფაქტებს, რომლებიც ძალიან ღრმადაა დამალული (19, გვ. 244), სხვაგვარად რომ ვთქვათ, ცნობიერებას სიღრმისეული სტრუქტურა აქვს. ამასთან ის, რაც სიღრმეშია დამალული, ი.ზ. ზიმნაიას სიტყვებით, შეიძლება „გამოვიყვანოთ“ ზედაპირზე, ცნობიერების ნათელ ველში... „ენობრივი ცნობიერება წარმოადგენს გონიერი, მოლაპარაკე, მოურთიერთე ადამიანის, ადამიანის როგორც სოციალური არსების, როგორც პიროვნების ინდივიდუალური, კოგნიტური ცნობიერების არსებობის ფორმას“ (19, გვ. 51).

ამრიგად, ცნობიერებას (ენობრივ ცნობიერებას) აქვს ენობრივი ბუნება და მანიფესტირდება ენაში. ენა, ლაიბნიცის აზრით, არის ადამიანური აზრის საუკეთესო გამოხატვა. ამასთან დაკავშირებით მოვიყვანოთ კიდევ რამდენიმე თვალსაზრისს. ლ.ვ. შჩერბა თვლიდა, რომ „ენა არის ადამიანის საქმიანობა, რომელიც ყოველთვის გარკვეული მიზნისკენ, თავისი აზრებისა და გრძნობების საუკეთესო და ყველაზე მოხერხებული გამოხატვისკენ არის მიმართული“ (59, გვ. 102).

ა.ნ. ლეონტიევი, ფიქრობს რა, რომ ენა არის ის, რაშიც და რისი მეშვეობით საზოგადოებაში არსებობს ცნობიერება, განიხილავდა მას როგორც ადამიანური ქცევის ნაირსახეობას: „ადამიანური ქცევა არის ფსიქოლოგიური (ბიოლოგიური) ფაქტი, როგორც ადამიანური ორგანიზმის გამოვლინება, და სოციოლოგიური ფაქტი, როგორც ისეთი გამოვლინება, რომელიც სხვა ორგანიზმებთან ამ ორგანიზმის

ურთიერთქმედების პირობებში ერთობლივ ცხოვრებაზე არის დამოკიდებული (29, გვ. 17). როგორც სამართლიანად ამტკიცებს ნ.ნ. უფიმცევა, „ენობრივი და არაენობრივი ცნობიერების ფორმირების პროცესი ურთიერთობის ფორმირების პროცესებს უდევს საფუძვლად, მაგრამ ამასთან ერთად, თავად ცნობიერების ფორმირების პროცესი მხოლოდ ურთიერთობაშია შესაძლებელი (52, გვ. 59).

ცნობიერების კატეგორიის თავისებურ განმარტებას იძლევა დ.ბ.გუდკოვი. ვინაიდან ენობრივი ცნობიერება ავტორის მიერ განიხილება კულტურათაშორისი კომუნიკაციის თეორიასა და პრაქტიკასთან მიმართებაში, რომელსაც უშუალო კავშირი აქვს ჩვენს სადისერტაციო ნაშრომთან, თავს ნებას მივცემთ უფრო ვრცლად შევჩერდეთ ნაშრომის ძირითად დებულებებზე. ავტორი ამოდის იმ მოსაზრებიდან, რომ განსხვავებები სხვადასხვა საზოგადოებათა წარმომადგენლების მოსაზრებებში, რომლებიც ეხება სინამდვილის მოვლენათა აღქმას, კატეგორიზაციასა და შეფასებას, უშუალო კავშირშია ამ საზოგადოებათა ენებსა და კულტურებში არსებულ განსხვავებებთან. ამასთანავე, როგორც სამართლიანად მიიჩნევს ავტორი (რომელიც აპელირებს ა.ა. პელინენკოს და ი.გ. იაკოვლენოს მოსაზრებებზე), კულტურაში არ არის არაფერი ისეთი, რაც არ არის მოცემული ადამიანურ მენტალობაში.

ამ მენტალობის მთელი შინაარსი (ცნობიერი და არაცნობიერი, ექსპლიციტური და იმპლიციტური) სემიოზისის პროცესში გასაშუალოებას განიცდის და კონკრეტული ეთნოკულტურული საზოგადოების ნიშნების სისტემის საზღვრებში ექვემდებარება კოდირებას, რაც განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს „ჩვენთვის“ . ნებისმიერი კულტურის სემიოტიკური სისტემის საბაზისო კოდი და საფუძველი ეთნიკური ენაა. ცნობიერება თავის გარე, ექსტერიორიზებულ ფორმაში გამოდის, როგორც სოციალური გამოცდილება, როგორც ადამიანური კულტურა. ავტორი ემხრობა ლ.ვიგოტსკის სკოლის დებულებას, რომელიც სოციალური გამოცდილების განზოგადებისა და გადაცემის ძირითად შინაარსობრივ ერთეულად მიიჩნევს მნიშვნელობას, რომელიც არ არის აუცილებელი ემთხვეოდეს ენობრივ მნიშვნელობას. მას მოჰყავს ა.გ. შმელიოვის სიტყვები: „რეალური კატეგორიების სიმრავლე, რომლებიც მართავენ ქცევას, არ დაიყვანება ადამიანისთვის ცნობილი ენობრივი მნიშვნელობების სიმრავლეზე... არ არის გამორიცხული შესაძლებლობა იმისა, რომ შესაბამისი კოგნიტური ერთეული სუბიექტის გამოცდილებაში ვერბალიზაციის გარეშე - გარკვეული ნიშნით მისი ფიქსაციის გარეშე ინახება. სიტყვის მნიშვნელობა

კი „არ არის ცოდნის საცავი“, არამედ ის არის ცოდნის პრეზენტაციის და ინდივიდუალურ ცნობიერებაში აქტუალური ფიქსირების ფორმა“ (58, გვ. 50-51).

მითითებულ თვალსაზრისს ავტორი უკავშირებს კოგნიტური ლინგვისტიკის და ფსიქოსემანტიკის მონაცემებს, რომლებიც, დ.ბ.გუდკოვის აზრით, საკმარისად დამაჯერებელ მტკიცებულებებს გვაწვდის იმისა, რომ მრავალრიცხოვანი კონცეპტები, რომლებსაც არა აქვთ ენობრივი გამოხატვის საშუალებები ეროვნულ ენობრივ სისტემაში, არსებობენ ეროვნულ კონცეპტოსფეროში და უზრუნველყოფენ ეროვნულ სააზროვნო საქმიანობას, იმავე ხარისხით, როგორც ენობრივ ნიშნებად წოდებული კონცეპტები (მოიყვანება რუსულ ენაში ლექსიკური ლაკუნების მაგალითი: ადამიანი, რომელიც ტყუილს ამბობს - მატყუარაა, მაგრამ სიმართლის მთქმელ ადამიანს არა აქვს შესაბამისი ლექსიკური ერთეული, რაც სრულიად არ უშლის რუსებს ხელს მითითებული კონცეპტით ოპერირებაში) (12, გვ. 36).

ეს ფაქტი სხვადასხვა მეცნიერებს საშუალებას აძლევს დაჟინებით ამტკიცონ ენობრივი და კოგნიტური ცნობიერების განსხვავება, ხაზი გაუსვან იმას, რომ ჩვენი ცნობიერების მთელი შინაარსი შესაძლებელია ვერბალიზებული არ იყოს და ენობრივი დონის ერთეულებში არ პოულობდეს თავის გამოსახულებას.

ამასთან დაკავშირებით ჩნდება ენისა და ინტუიციის თანაფარდობის საკითხიც. მიჩნეულია, რომ ენა ჩამორჩება ინტუიციას: „ფილოსოფიისათვის ყველაზე რთულია - გამოთქვა ის, რაც ისედაც აშკარაა. ჩვენი გაგება წინ უსწრებს სიტყვების ჩვეულებრივ გამოყენებას“ (53, გვ. 377). მსგავსი არავერბალიზებული კოგნიტური ერთეულები, რომლებიც არ ეკუთვნის ენობრივ ცნობიერებას, როგორც სამართლიანად მიიჩნევს ი.ვ. რუჟიცკი, „ლოკალიზებულია ცნობიერების „ნათელი ზონის“ მიღმა და განეკუთვნება არაცნობიერს ან გაუცნობიერებულს“ (41, გვ. 36).

ექსპლიციტური და ექსპლიციტურებადი მენტალური ოპერაციები ისეთ კოგნიტურ ერთეულებსა და სტრუქტურებთან, რომლებიც გაცნობიერებულის დონეს განეკუთვნება, შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, როდესაც ისინი ცნობიერების „ნათელ ზონაში“ შედიან, ე.ი. ენობრივ დონეზე კოდირდებიან. როგორც ტ.მ.დრიდზე აღნიშნავს, „ენობრივი ცნობიერება ცნობიერების ისეთ დონედ წარმოგვიდგება, რომელზეც ხატები, წარმოდგენები, აზრობრივი სტრუქტურები ენობრივ გაფორმებას იძენენ“ (14, გვ. 97).

ეს, გ.ვ.ეიგერის აზრით, განაპირობებს იმას, რომ „ენობრივი ცნობიერება ცნობიერების ყველა სხვა ფორმის არსებობისა და განვითარების აუცილებელ პირობად გამოდის“ (16, გვ. 23), ვინაიდან „სწორედ მეტყველება წარმოადგენს ყველა სხვა სახის ფსიქიკური საქმიანობის საფუძველს“ (35, გვ. 78).

„ენობრივი“ და „კოგნიტური“ ცნობიერების კატეგორიათა შეპირისპირებითი ანალიზის შეჯამებისას, დ.ბ.გუდკოვი ასკვნის, რომ ენობრივი ცნობიერება არ არის იგივე, რაც კოგნიტური ცნობიერება, ინდივიდუალური ცნობიერების კოგნიტურ ერთეულებსა და „ცნობილ“ ენობრივ მნიშვნელობებს შორის სრული იგივეობა არასდროს არ დგინდება, რაც ავტორის აზრით, აქტუალურია არა მარტო ინდივიდუალური, არამედ კოლექტიური ცნობიერებისათვის (12, გვ. 38).

ცნობიერება (და პირველ რიგში, ცნობიერების ენობრივი დონე), დ.ბ.გუდკოვის აზრით, თავისი თავის რეალობებსა და გამოვლენას დისკურსში ახდენს, რომელიც გამოდის როგორც მისი აუცილებელი და მენტალობისთვის იმამენტური თვითექსპტერიორიზაცია. ავტორი ეყრდნობა იუ.ნ. კარაულოვისა და ვ.ვ. პეტროვის მიერ მოცემულ დისკურსის განსაზღვრებას, რომელიც განმარტავს მას, როგორც „რთულ კომუნიკაციურ მოვლენას, რომელიც, ტექსტის გარდა, ექსტრალინგვისტურ ფაქტორებსაც მოიცავს“ (20, გვ. 8).

ასეთი გაგებისას დისკურსი თავის თავში ცოდნის იერარქიის რთულ სისტემას მოიცავს, ერთდროულად გამოდის როგორც სოციალური, იდეოლოგიური და ლინგვისტური ფენომენი და წარმოადგენს „ენობრივ აქტივობას, როგორც სოციალური ურთიერთობებისა და პროცესების ნაწილს“ (34, გვ. 132-133).

„დისკურსის“ ცნებიდან დ.ბ.გუდკოვი გადადის ენობრივი ცნობიერებისა და ლინგვოკულტურული საზოგადოების თანაფარდობის განხილვაზე. „რუსული ენობრივი ცნობიერების შესახებ საუბრისას, ჩვენ გარდაუვლად უნდა განვიხილოთ ენობრივი პიროვნებების გარკვეული ერთიანობა, რომელშიც თითოეული მათგანის ცნობიერებას საკუთარი ინდივიდუალური შინაარსი აქვს“. „მოცემული ანტინომიის მოხსნის საშუალებას მრავალპიროვნული ადამიანის ცნება გვაძლევს (12, გვ. 40), რომელიც ნასესხებია ნ.ს. ტრუბეცკოისგან, რომელიც თვლიდა, რომ „თითოეული მონოპიროვნული ადამიანი შეიძლება ასევე იყოს რომელიმე მრავალპიროვნული ადამიანის (ერთდროული) ინდივიდუაცია“ (49, გვ. 105).



მითითებულ აზრს დ.ბ.გუდუკოვი უკავშირებს იმას, რომ ენობრივ ცნობიერებას მხოლოდ მის ინდივიდუალურ ფორმებში შეიძლება ვაკვირდებოდეთ. როდესაც მივმართავთ თითოეული ენობრივი პიროვნების სტრუქტურაში არსებულ იმ ინვარიანტულ ნაწილს, რომელიც საერთოა ლინგვოკულტურული საზოგადოების ყველა წევრისათვის, საშუალება გვქმნება (ცნობიერად ან არაცნობიერად) როგორც საკუთარი თავი, ისე სხვა ენობრივი პიროვნება მივაკუთვნოთ მოცემულ საზოგადოებას, ანუ განვსაზღვროთ ამ უკანასკნელის თვითიდენტიფიკაცია. ცდილობს რა აღწეროს რუსული ენობრივი ცნობიერების ინვარიანტული ნაწილი, ავტორი აყენებს საკითხს ეთნიკური ენობრივი ცნობიერების არსის შესახებ და გვთავაზობს ტერმინს „ლინგვოკულტურული საზოგადოება“ (ლკს), რომელიც შემხებლობაშია ცნებებთან „ეთნოსი“, „ერი“, ინტეგრალური სემის საფუძველზე: „ადამიანთა ჯგუფს, რომლებიც გაერთიანებულია მასში შემავალი ინდივიდების კულტურის ერთიანობით“ (12;გვ.10).

კულტურის და, შესაბამისად, ეთნიკური დიფერენციაციის ნიშნების ერთ-ერთი ძირითადი მდგენელია ენა. ამასთან დაკავშირებით მართებული იქნება შეგახსენოთ ნ.ი. ტოლსტოის სიტყვები, რომელიც თვლიდა, რომ „ენა ეთნოსის ძირითადი, გამოკვეთილი და მდგრადი მაჩვენებელია“ (48, გვ. 34).

ეთნიკურ ერთიანობაში ენა აკავშირებს ადამიანებს კონცეპტების მეშვეობით, თუმცა არსებობს შემთხვევები, როდესაც სხვადასხვა კულტურული საზოგადოებები ერთი ენით სარგებლობენ და, პირიქით, არსებობს ადამიანები, რომლებსაც თავისი კულტურული ერთიანობა შეცნობილი აქვთ, მაგრამ სხვადასხვა ენებს იყენებენ. როგორც სამართლიანად მიიჩნევს დ.ბ. გუდუკოვი, „ნორმას“ მაინც ენის, კულტურის, ეთნოსის ერთიანობა წარმოადგენს. ტერმინ „ლინგვოკულტურული საზოგადოების“ (ნაცვლად „ეთნოსისა“) გამოყენებით მას ყურადღების აქცენტი გადააქვს ამგვარი მთლიანობის არა იმდენად ბიოლოგიურ, გენეტიკურ, გეოგრაფიულ მხარეზე (რაც ნებისმიერი შემთხვევაში ეთნოსის ცნებასთანაა დაკავშირებული), არამედ მის წევრთა ენობრივ და კულტურულ ერთიანობაზე.

ლინგვოკულტურული ცნობიერების ერთ-ერთ ძირითად მაინტეგრირებელ/მადიფერენცირებელ ნიშნად ავტორი მის წევრთა ენობრივი ცნობიერების ინვარიანტული ნაწილის ერთიანობას მიიჩნევს. „კულტურულ-ენობრივი საზოგადოება არის ინდივიდუუმთა ასოციაცია, რომელიც მოცემული ენის

მატარებელთა ვერბალურ-ასოციაციური სტრუქტურების ინტერსუბიექტურობაზე (მსგავსებები) და ტრანსპერსონალურობაზეა (გასხვავება) აგებული“ (12.გვ.23).

იღებს რა საფუძვლად ამ დებულებას, დ.ბ.გუდკოვი მიიჩნევს, რომ ამ სტრუქტურების ერთიანობა დაფუძნებულია ლინგვოკულტურული საზოგადოების ინვარიანტული კოლექტიური წარმოდგენების ერთიანობაზე. კოლექტიური ენობრივი ცნობიერების ერთიანობა განსაზღვრავს და განისაზღვრება ცოდნისა და წარმოდგენების გარკვეული ერთიანი, განსაკუთრებულად ორგანიზებული ფონდის ერთიანობით, რომელსაც ავტორი კოგნიტურ ბაზას უწოდებს, რაც, თავის მხრივ, სინამდვილის მოვლენების, და იმ ნორმებისა და შეფასებების სისტემის აღქმის ალგორითმის ერთიანობას განსაზღვრავს, რომელიც ახდენს სოციალური ქცევის მოდელების დეტერმინირებას.

ჩვენ შეცვადეთ ცნობიერებისა და მისი რეპრეზენტაციის ფორმების თანაფარდობასთან დაკავშირებული სხვადასხვა თვალსაზრისი წარმოგვედგინა, რამაც საშუალება მოგვცა გამოგვევლინა სპეციფიკური კატეგორიის – „ენობრივი ცნობიერების“ ჩვენეული გაგება. აზროვნების ურთიერთობა მისი დამოკიდებულება რეპრეზენტაციის ვერბალურ ფორმასთან (საკითხის ისტორიის პოზიციიდან) სხვადასხვა კონცეფციებში აისახა. ჩვენთვის მისაღებია შემდეგი პარადიგმა, რომელსაც ტ.ა. ფესენკოს დავესესხეთ.ავტორი რამდენიმე შესაძლებელ ვარიანტს გამოყოფს:

1) აზროვნება ენასთან არის გაიგივებული. საუბარი (მეტყველება) ხმამაღალი აზროვნების სინონიმიურია, ხოლო არაგამოხატული აზროვნება – საუბრისა (გონებაში, შინაგანად). ეს კონცეფცია უკიდურესად საწინააღმდეგო შეხედულებებს აერთიანებს, პლატონისგან – ბიჰევიორისტებამდე.

2) აზროვნება არის ენა, მაგრამ ენა არ არის აზროვნება. მოცემული კონცეფცია ამოდის იმ პოსტულატიდან, რომ აზროვნება (ე.ი. ფსიქოფიზიოლოგიურ და ნეიროფიზიოლოგიურ დონეზე მიმდინარე პროცესი) ხორციელდება საკუთარი ენის ფორმებში (რასაც ფსიქოლოგთა ტერმინოლოგიით ეწოდება „შინაგანი მეტყველება“, რომლის პრედიკატული სტრუქტურა „მეტყველებაში გადაკოდირდება“). ამ კონცეფციაში ორი თვალსაზრისია წარმოდგენილი: ა) სამყაროს გაცნობიერება მხოლოდ გონებაში (აზროვნებაში) ხდება, ენის დახმარების გარეშე, თუმცა ეს უკანასკნელი, ნიშნების სხვა სისტემებთან ერთად, შეიძლება აზროვნების საყრდენად

გვემსახურებოდეს („ინდიფერენტული მიდგომა“); ბ) ენა აზროვნების ფიქსაციის და შეცნობილის გადაცემის საშუალების სახით მხოლოდ დაბრკოლებას წარმოადგენს („სკეპტიკური მიდგომა“).

3) ენა არის აზროვნება, მაგრამ აზროვნება არ არის ენა. აზროვნება და საუბარი (მეტყველება) განიხილება როგორც ერთი პროცესის სხვადასხვა მხარე. ენისა და ინტელექტის განვითარება ურთიერთგანპირობებულია, მაგრამ არ არის ერთმანეთის შედეგი. აზროვნება შესაძლებელია ენის გარეშე, მაგრამ მეტყველება აზროვნების მონაწილეობის გარეშე გამორიცხულია.

4) აზროვნება არ არის ენა, და არც ენა არ არის აზროვნება. აზროვნება და ენა ქცევის სხვადასხვა ტიპებად გვესახება, ვინაიდან ადამიანი ჯერ ფიქრობს, და მხოლოდ შემდეგ საუბრობს.

5) აზროვნების ტიპები მრავალფეროვანია და სხვადასხვანაირად არის დაკავშირებული ენასთან. ტ.ა.ფესენკო იზიარებს როგორც ვერბალური, ისე არავერბალური აზროვნების რეალობის თვალსაზრისს, ვინაიდან ადამიანის ტვინის ნეირონულ კავშირებში რეალური სინამდვილის ასახვის პროცესი აბსტრაქციის ორ საფეხურზე რეალიზდება – როგორც მგრძნობელობითი აზროვნება და როგორც ლოგიკური, რომლებიც სხვადასხვაგვარად შეეფარდება ბუნებრივ ენას. შესაბამისად, ადამიანურ აზრს არა აქვს რაიმე რეპრეზენტაციის კონკრეტული და ერთადერთი ვარიანტი.

თავისი ბუნებით ადამიანის აზრი, ერთი მხრივ, ვარაუდობს მისგან დამოკიდებულ მატერიალურ სამყაროს, რომელიც აირეკლება მისი მეშვეობით, ხოლო მეორე მხრივ – მისი გამოხატვის ვერბალურ საშუალებებს. ტ.ა. ფესენკოს სიტყვებით: „ბუნებრივ ენას არ აქვს აზრის წარმოშობის ფუნქცია; როგორც ენის მატარებლის აზრის სტრუქტურის გამოვლენის საშუალება, ის, ფაქტობრივად, ცნობიერების რეკონსტრუქციის გასაღებს გვაძლევს“ (54, გვ. 12).

რეალური სინამდვილე ადამიანის ტვინში აზროვნების პროცესში აისახება როგორც ამ სინამდვილის შესახებ დაგროვილი ცოდნა, რომელიც ენის მატერიალურ ფორმებში არის რეპრეზენტირებული.

ენა უზრუნველყოფს ადამიანის გადასვლას აზრის ისეთი ფორმებით ოპერირების დონეზე, რომლებიც ვერბალური ფორმების სემანტიკაშია ექსპლიცირებული. ამრიგად, აზროვნება არა უბრალოდ აზრის ფორმებში არსებობს,

არა რეალიზდება კონკრეტულ, აზრის ამ ფორმების მაქსიმიზირებელ, ვერბალურ ფორმებში.

აზრობრივი და ენობრივი სტრუქტურების შეფარდების და სინამდვილის შეცნობაში მათი როლის შესწავლამ მისცა საშუალება ტ.ა. ფესენკოს, სხვა მკვლევართა კვალდაკვალ (ნ.ი. ჟინკინი, იუ.ს. სტეპანოვი და სხვ.) მოეხდინა „აზრის შუალედური ენის“ არსებობის პოსტულირება, რომელიც განისაზღვრება „როგორც მენტალური აგებულებების ენა“, რომელიც განიხილება უნივერსალურ საგნობრივ კოდსა და რეალურ მეტყველებას შორის არსებული „შუალედური კოდის“ სახით, რომელიც ახორციელებს აზრობრივი კოდის შინაარსის „გადაკოდირებას“ ვერბალურ ნიშნებში. მის ერთ-ერთ სტრუქტურულ კომპონენტად ტ.ა. ფესენკო მიიჩნევს კონცეპტს (54, გვ. 12). ის არსებობს ადამიანის მენტალურ რეალობაში როგორც რეალურ სამყაროში საქმეთა აქტუალურ ან სავარაუდო ვითარების შესახებ ცოდნისა და ინფორმაციის ერთობლიობა ემოციების, განცდების, ასოციაციების და ა.შ. კონტექსტში. მისი როგორც მენტალური წარმონაქმნის გაცნობიერება იძლევა საშუალებას არა მხოლოდ რეკონსტრუირებულ იქნას კონცეპტუალური სისტემის მატარებლის მენტალური სამყარო, მისი ფსიქიკის სამყარო, არამედ აღდგენილ იქნას მისი ეთნომენტალური მახასიათებელი.

იუ.ს.სტეპანოვის კვალდაკვალ კონცეპტს ჩვენ განვიხილავთ, როგორც ადამიანის ეთნოკულტურული სამყაროს ფრაგმენტს მის მენტალურ სამყაროში. ინტერპრეტაციულ რეჟიმში ვერბალური მნიშვნელობების სისტემა შეეფარდება ენის მატარებლის სოციო- და ეთნოკულტურულ კომპეტენციას, რომლის კონცეპტუალური შევსება ერის მენტალიტეტის ერთ-ერთი განმსაზღვრელი ნიშანია. სინამდვილის ფრაგმენტის ინტერპრეტაცია კონცეპტუალურ სისტემაში - ეს, პირველ რიგში, ინფორმაციის კონსტრუირებაა გარკვეული სამყაროს ან „სამყაროს სურათის“ შესახებ. უდავოა, რომ საბაზისო კონცეპტების შინაარსი გაცილებით უფრო მოცულობითია, ვიდრე ენობრივი მარკერების შინაარსი, ვინაიდან მათი გაცნობიერება (შეცნობა) მთელ იდეოგრაფიული სფეროზე ვრცელდება, რომელიც „გვაროვნული“ ცნების განსხვავებულ ენობრივ აღნიშვნებსაც მოიცავს. იდეოგრაფიულად ორგანიზებულ ენობრივ გამონათქვამების უპირობო კავშირის არსებობა კონცეპტუალურ სისტემასთან საშუალებას გვაძლევს ვერბალური იდეოგრაფიული ორგანიზაცია განვიხილოთ იმ კონცეპტუალური მოდელის

რეპრეზენტაციის კონტენერად, რომელშიც მოცემულია სოციუმის მიერ სამყაროს შესახებ დაგროვილი მთელი ცოდნა და ღირებულებითი გამოცდილება. ამასთან, კონცეპტუალური მოდელი თითქოსდა ითვალისწინებს აზრის შესაძლო პერსპექტივას და „ღია“ სისტემის სახით წარმოგვიდგება. პრაქტიკულად ნებისმიერი კონცეპტი შეიძლება ითარგმნოს ერთი ენიდან მეორეზე და რეპრეზენტირებულ იქნას სხვა ენობრივ „შეფუთვაში“. ამასთან, მთარგმნელებმა უნდა მოახდინონ ენის მატარებლის მთელი „კოგნიტური შინაარსის“ განმეორებითი კოდირება.

კონცეპტების განსაკუთრებულ ნაირსახეობას „კულტურული კონცეპტები“ შეადგენენ. როგორც უკვე აღვნიშნეთ, ვერბალური საშუალებებით გამოხატულ თითოეულ კონცეპტს აქვს საკუთარი, მნიშვნელობებით დეტერმინირებული სემანტიკური ფორმა, რომელიც ეთნოკულტურული განპირობებულობით ხასიათდება, ვინაიდან მასში ყველა კონოტაციური, მოდალური, ემოციური, ექსპრესიული, პრაგმატული და სხვა შეფასებებია გამოხატული. „კულტურული კონცეპტები“ ან სხვა ტერმინთა სისტემაში, „კულტურის საკვანძო კონცეპტები“ წარმოადგენენ სამყაროს სურათის ბირთვულ (საბაზო) ერთულებს, რომლებსაც ეგზისტენციური მნიშვნელობა აქვთ, როგორც თითოეული ენობრივი პიროვნებისათვის, ისე მთლიანად ლინგვოკულტურული საზოგადოებისათვის. დ.ს. ლიხაჩოვის მოსაზრების მიხედვით, კონცეპტები ადამიანის ცნობიერებაში წარმოიქმნება არა მარტო როგორც მინიშნებები შესაძლო მნიშვნელობებზე, არამედ როგორც ზოგადი (პოეტური, პროზაული, მეცნიერული, სოციალური, ისტორიული და ა.შ. სახის) გამოხმაურება ადამიანის წინარე ენობრივ გამოცდილებაზე - (27, გვ. 51).

ა.ი. გურევიჩის მიხედვით, კულტურის კონცეპტები შეიძლება დავეყოს ორ ჯგუფად: „კოსმიური“ ფილოსოფიური კატეგორიები, რომლებსაც ის „კულტურის უნივერსალურ კატეგორიებს“ (დრო, სივრცე, მიზეზი, ცვლილებები, მოძრაობა) უწოდებს, და სოციალური კატეგორიები, ე.წ. „კულტურული კატეგორიები“ (თავისუფლება, უფლება, სამართლიანობა, შრომა, სიმდიდრე, საკუთრება). მითითებული კატეგორიის განხილვისას, ვ.ა. მასლოვა გვთავაზობს კიდევ ერთი ჯგუფის დამატებას - „ეროვნული კულტურის კატეგორიები“ (რუსული კულტურისთვის ესაა ნება, ხვედრი, ინტელიგენტურობა, სულიერი ერთობა და ა.შ.). კონცეპტების უახლოესი ანალიზისას ირკვევა, რომ ნებისმიერ ენაში კულტურულ-

სპეციფიკური კონცეპტები გაცილებით მეტია, ვიდრე ეს პირველი შეხედვით ჩანს. მაგალითის სახით ვ.ა. მასლოვას მოჰყავს კონცეპტი „კარტოფილი“. რუსებისთვის – «сидеть на одной картошке» (სიტყვა-სიტყვით კარტოფილზე ჯდომა, მხოლოდ კარტოფილის ჭამა) მწირი კვების ეტალონია, ხოლო ბელორუსებისთვის - ეს ჩვეულებრივი ეროვნული საკვებია, მეორე პურს წარმოადგენს, რომელიც ზოგჯერ პირველზეც კი მნიშვნელოვანია (33, გვ. 51).

კულტურის საკვანძო კონცეპტები მნიშვნელოვან ადგილს იკავებენ კოლექტიურ ენობრივ ცნობიერებაში და ამიტომ მათი კვლევა უკიდურესად აქტუალურ პრობლემად იქცევა.

კოლექტიური ენობრივი ცნობიერების კვლევის პრობლემა, რომელიც ენაში განმტკიცებულ, წინადადებაში სიტყვათა ორგანიზაციის გარკვეულ კანონზომიერებებს გამოხატავს, აუცილებელია განიხილოს ისეთ ცნებებთან კავშირში, როგორცაა: „ეროვნული ხასიათი“ და „სამყაროს სურათი“.

ეროვნული ხასიათის კვლევა, რომელიც ჯერ კიდევ გერმანელ რომანტიკოსებიდან მოდის, თავდაპირველად დაკავშირებული იყო ადათ-წესების, ზნე-ჩვეულებების, რწმენის, ოჯახური ცხოვრების თავისებურებების, აღზრდის ხერხების, ეკონომიკის და სხვ. შესწავლასთან, რომელთა ინტეპრეტაცია ხორციელდებოდა კულტურული პარადიგმის ფარგლებში. ისევე, როგორც ადამიანის საქმიანობის სხვა სფეროების შესწავლაზე, ეროვნული ხასიათის კვლევაზეც განსაკუთრებული გავლენა იქონია ფსიქოანალიზის თეორიამ, რომლის ფარგლებშიც განხორციელდა აღნიშნული ცნების ინტეპრეტაციის პირველი სისტემური მცდელობა. ცნობილი მედიკოს-ფსიქოანალიტიკოსი ა. კარდინერი დაინტერესდა ეთნოლოგიური პრობლემებით და შეეცადა ფსიქოანალიტიკური კონცეფცია გაეერთიანებინა ეთნოლოგთა სავსე კვლევებთან, რის საფუძველზეც შეიმუშავა განმაზოგადებელი „ძირითადი პიროვნული სტრუქტურის“ საბაზისო ცნება. თავის თეორიაში მან საზოგადოებას შესთავაზა ამა თუ იმ კულტურაში ბავშვის აღზრდის პრაქტიკის, პიროვნების ტიპის და ამ კულტურისთვის ჩვეული სოციალური ინსტიტუციების („ინსტიტუცია“ ა.კარდინერის მიერ განისაზღვრებოდა როგორც საშუალება, რომლის მეშვეობითაც ხდება ინდივიდზე ზეგავლენის მოხდენა მისი ზრდა-განვითარების პროცესში) ურთიერთკავშირის მოდელი. ა.კარდინერის აზრით, სწორედ პიროვნების ფსიქოლოგიური წყობა, რომელიც დამახასიათებელია

მოცემული საზოგადოებისათვის და განაპირობებს მისი წევრების ყველა ქცევით თავისებურებას, წარმოადგენს საზოგადოების ან კულტურის დამაკავშირებელ ღერძს.

ა. კარდინერის იდეები ემყარებოდა ვარაუდს, რომ ამა თუ იმ საზოგადოებაში, ამა თუ იმ კულტურაში „ძირითადი პიროვნული სტრუქტურის“ არსებობა, რომელიც მეტ-ნაკლები ხარისხით დამახასიათებელია მოცემული საზოგადოების ყველა წევრისთვის, აიხსნება იმით, რომ მის ფორმირებაზე გავლენას ახდენს ერთიანი კულტურული პრაქტიკა. ოჯახის ორგანიზაციის, ჩვილების მოვლის, ბავშვების აღზრდის მოდელები, რომლებიც „პირველად საზოგადოებრივ ინსტიტუციებს“ წარმოადგენენ, განსხვავებულია სხვადასხვა კულტურებში, მაგრამ შედარებით ერთგვაროვანია ერთი კულტურის ფარგლებში, რაც ხელს უწყობს ამა თუ იმ საზოგადოების ყველა წევრში ხასიათის გარკვეულწილად მსგავსი ნიშნების (ე.ი. მსგავსი ფსიქოლოგიური ნიშნების) გამომუშავებას. ამ „პირველადი საზოგადოებრივი ინსტიტუციებისადმი“ ადაპტირებით, ავტორის აზრით, ადამიანის ფსიქიკა სპეციფიკურ კორექციას განიცდის, რის შედეგად განსაკუთრებულად დეფორმირდება მისი ფსიქიკური სტრუქტურა, მისი ეგო - სტრუქტურა. ამ დეფორმაციის შედეგია მოცემული საზოგადოების „ძირითადი პიროვნული სტრუქტურის“ ფორმირება. მითოლოგია, ხელოვნება, ფოლკლორი, პოლიტიკური დაწესებულებები, ეკონომიკური სისტემა („მეორადი სოციალური ინსტიტუციები“) ფორმირდებიან მხოლოდ როგორც ინდივიდის მიერ ადრეულ სიყმაწვილეში მიღებული ტრავმების კომპენსირების მცდელობები. თუ მოცემული საზოგადოების წარმომადგენლებში ეს ტრავმები დაახლოებით მსგავსია, მათი კომპენსაციის მოდელებიც ერთმანეთის მსგავსია (62, გვ. 1945).

ეროვნული ხასიათის შემოთავაზებული კონცეფცია, რომელიც დაფუძნებულია ფსიქოანალიტიკური თეორიის ეთნოგრაფიულ მასალასთან შეერთების მცდელობაზე, არც თუ ისე წარმატებული აღმოჩნდა, ვინაიდან ბავშვის აღზრდასა და პიროვნების სტრუქტურას შორის უშუალო კავშირის არსებობის დამტკიცება ვერ მოხერხდა და თავად ეს კავშირი ბოლოს და ბოლოს ეჭვის ქვეშ დააყენეს.

მითითებული კონცეფციის წინააღმდეგობების დაძლევის მცდელობები წარმოწყობილი იქნა კ. დიუ ბუას მიერ, რომელსაც შემოაქვს „მოდალური პიროვნების“ ცნება, რაც პიროვნების ყველაზე გავრცელებულ ტიპს აღნიშნავს,

რომელიც უბრალოდ სტატისტიკურად განისაზღვრება, ე.ი. ის ტიპი, რომელსაც მოცემული საზოგადოების წევრთა უდიდესი რაოდენობა განეკუთვნება. ამ მიდგომის ფარგლებში ძირითადად გამოიყენებოდა ფსიქოლოგიური, პირველ რიგში პროექციული მეთოდები: რორშახის ტესტი (უცნაური სამელნე ლაქების ინტერპრეტაცია), დაუსრულებელი წინადადებების ტესტი და თემატური აპერცეფციის ტესტი. მიუხედავად ამ კონცეფციის თავდაპირველი პოპულარობისა, სავსე კვლევებმა აჩვენეს, რომ პიროვნების რაიმე ერთიანი ტიპის მნიშვნელოვანი დომინირება არც ერთ საზოგადოებაში არ ფიქსირდება.

აღნიშნული მიმართულებით კვლევებს ახალი ბიძგი მისცა სოციალურმა შეკვეთამ, რომელიც მეორე მსოფლიო ომში აშშ-ს ჩართვასთან იყო დაკავშირებული. აშშ-ს სამხედრო წრეებში წარმოიქმნა მოსაზრება იმის თაობაზე, რომ მათი მტრების ფსიქოლოგიის გააზრება სასარგებლო იქნებოდა საომარ და ომის შემდგომ პერიოდებში ქმედებების დასაგეგმად. “ასევე გამოსადეგი იქნებოდა ჩვენი მოკავშირეების ფსიქოლოგიური მახასიათებლების ცოდნა, განსაკუთრებით თუ ისინი ოდესმე ჩვენ მტრებად გადაიქცეოდნენ. მსგავსი ხერხით კი ამერიკული ეროვნული ხასიათის შესწავლამ შეიძლება ხელი შეუწყოს მორალური დონისა და საბრძოლო სულისკვეთების ამაღლებას (61, გვ. 108).

აღნიშნული იდეის რეალიზებისათვის, ცნობილი ამერიკელი ანთროპოლოგები (რ. ბენედიქტი, მ.მიდი, კ.კლახკონი და სხვები) გაემგზავრნენ ვაშინგტონში, რათა მონაწილეობა მიეღოთ ეროვნული ხასიათის კვლევაში. მ.მიდის მოგონების თანახმად, 1943 წლიდან ვაშინგტონში, სხვადასხვა სამთავრობო სამსახურებში უამრავი ფსიქოლოგი და ანთროპოლოგი იყო, რომლებიც ეროვნული ხასიათის პრობლემებს, კულტურებსა და მათ შორის დისტანციების შესასწავლ ტექნოლოგიებს იკვლევდნენ. მიუხედავად ამისა, „სამხედრო შეკვეთამ“ ანთროპოლოგებს შორის საკმაო სირთულეები გამოიწვია. ადრე კვლევის საგანი პრიმიტიული ხალხები იყო, რომლებიც საკმაოდ იზოლირებულად არსებობდნენ. ასეთი სახის კვლევებისათვის შემუშავებული წინარე პერიოდის მეცნიერული ბაზა აბსოლუტურად უვარგისი გამოდგა „ცივილიზებული“ ერების კვლევისათვის. ამასთან დაკავშირებით, მ.მურმა კოლეგებთან ერთად, ცივილიზებული კულტურების წარმომადგენელთა ეროვნული ხასიათის გამოსაკვლევად შეიმუშავა დისტანციური ანალიზის მეთოდი (A. distance), რომელიც წარმოადგენდა თანამედროვეობას განკუთვნილი დოკუმენტების იმგვარ



შესწავლას, თითქოსდა საქმე ჰქონდათ გასული საუკუნეების კულტურის შესწავლასთან (67, გვ. 1953).

ორმოციანი წლების დასაწყისში ეროვნული ხასიათის კვლევასთან დაკავშირებულ თეორიულ-მეთოდოლოგიურ მიდგომებს ჩვეულებრივ ორ ძირითად მიმართულებად აჯგუფებენ: კულტურულ-ცენტრირებულ და პიროვნულად-ცენტრირებულად. პირველ მიმართულებას სამ მეთოდოლოგიურ მიდგომას უკავშირებენ. პირველში ცნება „ეროვნული ხასიათი“ შედარებით სუსტადაა დაკავშირებული ინდივიდუალურ პიროვნებასთან და პრაქტიკულად ერწყმის ცნებას „ქცევის კულტურული მოდელი“. ასე, მაგალითად, მ. მიდი ეროვნული ხასიათის კვლევის სამ ძირითად ასპექტს გამოყოფდა: 1) ამა თუ იმ კულტურისთვის დამახასიათებელი საზოგადოებრივი ინსტიტუციების ზოგიერთ კულტურულ კონფიგურაციათა შედარებითი აღწერა; 2) ჩვილი ბავშვების მოვლის და ბავშვთა აღზრდის შედარებითი ანალიზი; 3) ამა თუ იმ კულტურებისათვის დამახასიათებელ პიროვნებათაშორის ურთიერთობების შესწავლა - ისეთების, როგორცაა ურთიერთობები მშობლებსა და ბავშვებს შორის და ურთიერთობები თანატოლებს შორის. ამ კუთხითაა შესრულებული რ. ბენედიქტის ნაშრომი „ქრიზანთემა და მახვილი“, რომელიც იაპონური ხასიათის ინტერპრეტაციას ახდენს. თავად ამერიკელთა აზრით, მეორე მსოფლიო ომში მათთვის ყველაზე ეგზოტური მოწინააღმდეგე იაპონია იყო. იაპონური მთავრობის, იაპონელი ჯარისკაცების ქცევა, მათი ფანატიზმი, ტყვეობაში პარადოქსული ყოფაქცევა - ყოველივე ეს ამერიკელთა უდიდეს განცვიფრებას იწვევდა. იაპონური ხასიათის სპეციფიკას მეცნიერები იაპონურ ოჯახებში ბავშვთა აღზრდის თავისებურებებში ხედავდნენ, რომელიც ხასიათდებოდა აღზრდის მეთოდიკის მკვეთრ შეცვლაში ბავშვის მიერ გარკვეული ასაკის მიღწევისას. უნდა აღვნიშნოთ, რომ მოცემული მეთოდოლოგიური მიდგომის ფარგლებში ეროვნული ხასიათი წარმოგვიდგება როგორც კულტურის შიგნით ფასეულობებისა და ქცევითი მოდელების განაწილებისა და რეგულირების განსაკუთრებული ხერხი.

მეორე მეთოდოლოგიური მიდგომა აერთიანებს იმ მეცნიერთა თვალსაზრისებს, რომლებიც ეროვნულ ხასიათს როგორც მოცემული საზოგადოების წევრებს შორის მიღებული განწყობების, ფასეულობებისა და რწმენის სისტემას განმარტავენ. ასე, მაგალითად, ე. ფრამი აყენებს „სოციალური პიროვნების“ კონცეფციას, რომელიც

განისაზღვრებოდა როგორც იდეების, რწმენების, განწყობების, ფასეულობების, გრძნობების მეტნაკლებად გაცნობიერებული სისტემა. მისი კონცეფციის თანახმად, გერმანიაში ნაცისტების მოსვლა ხელისუფლებაში აიხსნება ამ ქვეყანაში პიროვნების ე.წ. ავტორიტარული ტიპის სიჭარბით. ასეთი ტიპის პიროვნება დაუზარებელი და თავაზიანია ზემდგომებთან მიმართებაში, მაგრამ მბრძანებლობს და აგდებულად ეპყრობა ქვეშევრდომებს. ამ მიმართულების ზოგიერთმა წარმომადგენელმა, კერძოდ ჯ. გორერმა, იაპონელთა ეროვნულ ხასიათის შესწავლისას კვლავ მიმართეს „ძირითადი პიროვნული სტრუქტურის“ კატეგორიას. აღიქვამდა რა რუსებსა და იაპონელებს მომავალში პოტენციური მოწინააღმდეგეების სახით, გორერი ცდილობდა მათ ეროვნულ ხასიათის არსში შეღწევას. მისი აზრით, რუსებისთვის დამახასიათებელი, პირველივე თვეებიდან ჩვილი ბავშვების მჭიდროდ შეხვევის ტრადიცია, იწვევს იმას, რომ ისინი იზრდებიან ძლიერ და თავშეკავებულ პიროვნებებად, წინააღმდეგ შემთხვევაში მათ შეეძლოთ თავისი თავის ადვილად დაზიანება იმ მოკლე ხანში, როდესაც მათ ათავისუფლებენ სახვევებისგან, ბანენ და აქტიურად ეთამაშებიან. რუსული ეროვნული ხასიათის და რუსეთის საგარეო პოლიტიკის გარკვეულ ასპექტებს გორერი უკავშირებდა შეხვევის ამ ხერხისათვის დამახასიათებელ წინააღმდეგობრიობას: უძრაობის ხანგრძლივ პერიოდს და მუსკულური აქტივობისა და ინტენსიური სოციალური ურთიერთქმედების მოკლე პერიოდს. მისი აზრით, ბევრი რუსი ძლიერ სულიერ სწრაფვებს და სოციალური აქტივობის ხანმოკლე აგორებას განიცდიან დეპრესიისა და თვითგამორკვევის ხანგრძლივ პერიოდებს შორის“. იგივე ტენდენცია, მისი აზრით, ახასიათებს საზოგადოების პოლიტიკურ ცხოვრებას: ძლიერი გარე ავტორიტეტებისადმი მორჩილების ხანგრძლივი პერიოდები ენაცვლება ინტენსიური რევოლუციური მოღვაწეობის კაშკაშა პერიოდებს (63, გვ. 287-292).

გორერისგან განსხვავებით, რუსული საზოგადოების სპეციფიკური სურათი დახატა კ. კლაკჰონმა რუსი ადამიანი - მისი აზრით, ეს თბილი, ადამიანური, ძალიან დამოკიდებული, სოციალური შეერთებისკენ მისწრაფებული, ემოციურად არასტაბილური, ძლიერი, მაგრამ არადისციპლინირებული პიროვნებაა, რომელიც საჭიროებს მბრძანებლური ავტორიტეტისადმი დაქვემდებარებას. ტრადიციული რუსული პიროვნების ტიპს კლაკჰონი უპირისპირებს „საბჭოთა პიროვნების“ იდეალურ ტიპს და, შესაბამისად, ნიშან-თვისებების შემდეგ ნაკრებს ღებულობს:

ტრადიციული რუსული პიროვნების ტიპი - თბილი, ექსპანსიური, ალალ-მართალი, გულისხმიერი, ლოიალური, დამოკიდებულ-პასიური; საბჭოთა პიროვნების იდეალური ტიპი - ფორმალური, კონტროლირებადი, მატყუარა, მოწესრიგებული, ლოიალური ზემდგომებისადმი, პრაქტიკულ აქტივობაზე ორიენტირებული (70, გვ. 1961). ამ მიდგომასაც თავისი აშკარა ნაკლოვანებები ჰქონდა, ვინაიდან განწყობები და ფასეულობები არ უდრის პიროვნების, როგორც ასეთის, იდენტობას და მხოლოდ მის მეტნაკლებ ზედაპირულ ფენებს ასახავენ, რის შედეგად ფართო ფენები შეუცნობელი და გაუანალიზებელი რჩება. გარდა ამისა, არ შეიძლება ეროვნული ნიშნების მთელი მრავალფეროვნების ერთიან „მოდალურ პიროვნებაზე“ დაყვანა.

კულტურულ-ცენტრირებული მიდგომის ფარგლებში ეროვნული ხასიათის კვლევების მესამე მიმართულება ორიენტირებული იყო კულტურული პროდუქციის - ლიტერატურის, ხელოვნების, ფილოსოფიის ანალიზის მეშვეობით ეროვნული თავისებურებების მოძიებაზე. ეს მიმართულება შემდეგ იდეაზე იყო დაფუძნებული: იმისათვის, რომ გაუგო ხალხს, აუცილებელი და საკმარისია გაიგო მისი ელიტის მსოფლმხედველობა, ვინაიდან ის მთელი ხალხის მსოფლმხედველობასთან არის დაკავშირებული, მაგრამ უფრო ნათელი ფორმით გამოიხატება. უდავოდ, ელიტის მსოფლმხედველობა მთელი ერისათვის ჩვეულ, გარკვეულ ღირებულებით დომინანტებს ასახავს, მაგრამ რამდენად ადეკვატური აღმოჩნდება ეს ასახვა, გაურკვეველი რჩებოდა.

თუ კულტურულ-ცენტრირებული მიმართულების სამივე მიდგომა სოციო-კულტურული ფენომენების მათ ფსიქოლოგიურ პერსპექტივაში აღწერის იდეის საფუძველზე ერთიანდება, პიროვნულად-ცენტრირებულ მიმართულებას პირველ რიგში უნდა მოეცა თეორიული ბაზა ადამიანის ქცევაში განსხვავებებისა და თავისებურებების ფსიქოლოგიური ახსნისათვის, შემდეგ კი მოცემული ხალხისთვის დამახასიათებელ ინსტიტუციებში, ფასეულობებსა და ნორმებში. ღიად რჩებოდა საკითხი იმის შესახებ, შეიძლება თუ არა რომელიმე საზოგადოებაში გარკვეული ტიპის პიროვნების დომინირებდეს. ამ მიმართულების თვალსაჩინო წარმომადგენლებმა, ეთნოლოგებმა ა. ინკელსმა და დ. ლევენსონმა სცადეს ეროვნული ხასიათის აღწერა „მოდალური პიროვნული სტრუქტურის“ ცნების მეშვეობით. მათი თვალსაზრისით, „ეროვნული ხასიათი შეესაბამება შედარებით მტკიცედ შენარჩუნებულ პიროვნულ ნიშნებს და პიროვნულ მოდელებს (პიროვნების

ტიპებს), რომლებიც ტიპურია მოცემული საზოგადოების ზრდასრული წევრებისათვის (68, გვ. 983).

მეცნიერთა თვალსაზრისით თანახმად, ეროვნული ხასიათის კვლევა ამა თუ იმ საზოგადოების ფარგლებში გაკვეთილი პირადული მახასიათებლების გავრცელებადობის ხარისხის შესწავლას უნდა წარმოადგენდეს, ხოლო „სამოდელო პიროვნება“ ისეთი ტიპი, რომელსაც მოცემული საზოგადოების წევრთა უმეტესობა განეკუთვნება. ითვლებოდა, რომ თითოეულ ერში სრულიად სხვადასხვა ტიპებია წარმოდგენილი, მაგრამ ერთნი განსაკუთრებით ხშირად გვხვდება, ხოლო სხვები - იშვიათად ან ძალიან იშვიათად. მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთ შემთხვევაში ემპირიული მონაცემები ადასტურებდნენ მოდალური პიროვნებების არსებობის ჰიპოთეზას, ნათელი გახდა, რომ შიდაკულტურული განსხვავებები (მოსახლეობის სხვადასხვა კლასებსა და ფენებს შორის) შეიძლება გაცილებით დიდი ყოფილიყო, ვიდრე კულტურათაშორისი. მეორე მხრივ, გამოდიოდა, რომ „მოდალური პიროვნება“ ესაა ერის ერთი ნაწილისთვის ჩვეული ნიშან-თვისებების კომპლექსი, მისი სხვა ნაწილის საპირისპიროდ, და შესაბამისად, საკითხი ეროვნული ხასიათის, როგორც ერის ყველა წევრისთვის ჩვეული ქცევითი, ემოციური და სხვა მახასიათებლების ერთობლიობის შესახებ, ან საერთოდ უნდა მოხსნილიყო, ან სრულიად სხვაგვარად ყოფილიყო დაყენებული. ამან ინკელსი და ლევენსონი პესიმისტურ დასკვნამდე მიიყვანა: „შემეცნების და კვლევითი მეთოდის ამჟამინდელ შეზღუდულ მდგომარეობაში არ შეიძლება იმის მტკიცება, რომ რომელიმე ერს ეროვნული ხასიათი აქვს“ (68, გვ. 428).

მდგომარეობა იმითაც გართულდა, რომ ეროვნული ხასიათის შესახებ საუბრისას ერთნი პირველ რიგში ტემპერამენტს გულისხმობდნენ, მეორენი ყურადღებას აქცევდნენ პიროვნულ ნიშნებს, მესამენი ღირებულებით ორიენტაციებს და ა.შ. შედეგად, მოცემული პრობლემისადმი სხვადასხვა მიდგომების არსებობისა და სამოც წელიწადზე მეტი ხნის კვლევების მიუხედავად, ამჟამად სრულიად განსხვავებული თვალსაზრისები არსებობს არა მხოლოდ იმაზე, თუ რა არის ეროვნული ხასიათი, არამედ იმაზეც, საერთოდ არსებობს ის თუ არა, არის თუ არა ის უფრო მნიშვნელოვანი ნიშანი, ვიდრე პიროვნების ის ელემენტები, რომლებიც მსოფლიოში ყველა ადამიანს აერთიანებს, ან ისინი, რომლებიც ერთმანეთს ყველაზე მეტად მსგავს ინდივიდებსაც კი განასხვავებენ (71, გვ. 1992).

აღნიშნული სირთულეები კიდევ იმითაც მძიმდება, რომ ჩვენ დღეებში აღნიშნება „ხასიათის თემის განდევნა ფსიქოლოგიიდან და „ხასიათის“ ინტეგრალური ცნების „პიროვნული ნიშნების“ ან უბრალოდ „პიროვნების“ ცნებით შეცვლა. ამან კვლევები მიიყვანა იქამდე, რომ ცნება „ეროვნული ხასიათი“ სულ უფრო და უფრო იშვიათად გვხვდება კულტურულ - ანთროპოლოგიურ ლიტერატურაში.

განიცადეს რა მარცხი ეროვნული ხასიათის განსაზღვრის მცდელობისას, კულტუროლოგებმა და ანთროპოლოგებმა ეთნიკური ერთიანობების ფსიქოლოგიური თავისებურებების აღსანიშნავად სულ უფრო ხშირად დაიწყეს „მენტალობის“ ცნების გამოყენება. ეს ტერმინი, რომელიც „ანალების“ სკოლის ფრანგ ისტორიკოსებიდან მომდინრეობს, ისეთი მოვლენის აღსანიშნავად გამოიყენება, რომელიც უპირისპირდება „კოლექტიურ წარმოდგენებს“, კოლექტიურ არაცნობიერს და სხვ. მათი აზრით, „მენტალობა“ - ესაა ხატების სისტემა, ...რომლებიც საფუძვლად უდევს ადამიანურ წარმოდგენებს სამყაროზე, ამ სამყაროში მის ადგილზე და, შესაბამისად, განსაზღვრავენ ადამიანთა საქციელებსა და ქცევას“ (15, გვ. 52).

მენტალობის შესახებ ვრცელ მსჯელობას ვპოულობთ ცნობილი რუსი ენათმეცნიერის ვ.ი. კოლესოვის ნაშრომში. საუბრობს რა ეროვნული მენტალიტეტის შესწავლის ისტორიის შესახებ, რომელსაც ორსაუკუნოვანი ტრადიცია აქვს, ავტორი აღნიშნავს, რომ პირველმა მკვლევარებმა - სოციოლოგებმა და ისტორიკოსებმა - დააფიქსირეს პირველყოფილი ხალხების მენტალური განსხვავებები თანამედროვე ადამიანებისგან, თუმცაღა ავტორები ლაპარაკობდნენ არა თავად მენტალიტეტზე „არამედ „სულის ფორმებზე“ და „მენტალურ ფუნქციებზე“ . შემდეგ ფსიქოლოგებმა ასევე დაიწყეს მენტალიტეტზე საუბარი, როდესაც აღმოაჩინეს ამდაგვარი „სულის ფუნქციების“ მსგავსება ცხოვრებაში შემომსვლელი ბავშვის მსოფლალქმასთან. მომდევნო ეტაპი გახდა მედიევისტების მიერ 20-იანი წლების ბოლოს აზროვნების შუასაუკუნობრივი ტიპის განმასხვავებელი ნიშნების გამოყოფა, რამაც ბიძგი მისცა შუასაუკუნეების ადამიანის მენტალიტეტის შესწავლას. ცოტა მოგვიანებით, როგორც აღნიშნავს ვ.ი. კოლესოვი, ამითვე დაინტერესდნენ ფილოსოფოსებიც, რომლებიც განაზოგადებდნენ კონკრეტული კვლევების შედეგებს, რის საფუძველზეც გააკეთეს დასკვნა იმის შესახებ, რომ შესასწავლია მსოფლჭვრეტის ისეთი ფორმები, რომლებიც განსხვავდება საზოგადოებრივი აზრის ჩვეული თანამედროვე ფორმებისგან.

მენტალიტეტის პრობლემის შესწავლის მნიშვნელოვან ფაქტორად იმ ლინგვისტების შრომები იქცა, რომლებმაც 60-იანი წლების ბოლოდან მენტალიტეტის გამოვლინების შესწავლა ხალხური ენების კატეგორიებსა და ფორმებში დაიწყეს, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ენისა და აზროვნების კავშირი მანამდეც შეისწავლებოდა. საკმარისია დავასახელოთ ვილჰელმ ფონ ჰუმბოლდტის ნაშრომები, რომლებიც ამ მიმართულებით კვლევების თეორიულ საფუძვლად იქცნენ, ასევე ა.ა. პოტეზის ენის სიმბოლური ფორმები და ი.ა. ბოდუენ დე კურტენეს „ხატოვანი“ ფორმები.

მენტალიტეტის, როგორც მეცნიერული ბაზის პრობლემა, ვ.ი. კოლესოვის აზრით, ფრანგმა კონცეპტუალისტებმა ჩამოაყალიბეს, რომელთა თანახმად „გონება - იდეა“ საფუძვლად უდევს ნებისმიერ კვლევას, ხოლო მეცნიერის ამოცანაა განსაზღვროს ის კავშირები, რომლებიც არსებობს სიტყვა- ტერმინსა და საგან-ნივთს შორის (სიტყვები და ნივთები).

ფრანგული ეპისტემა როგორც მენტალიტეტის ერთეული, ვ.ი. კოლესოვის აზრით, ზედაპირულ, გარეგნულ ხასიათს ატარებს და არ წვდება ქვეცნობიერის სიღრმეებს. ეს მიღწეული იყო გერმანული ფილოსოფიის მიერ, რომელიც მივიდა კონცეპტის, როგორც მენტალობის ძირითადი ერთეულის შეცნობამდე, რომელსაც ჰერმენევტიკული განმარტება ზუსტად შეესაბამება. პრობლემა წარმოიქმნა ფრანგული კონცეპტუალიზმის საზღვრებში, გაფორმდა ანგლო-ამერიკული ნომინალიზმის ფარგლებში, მაგრამ საბოლოოდ ჩამოყალიბდა გერმანულ-რუსული რეალიზმის ზღვრებში“ (22, გვ. 9).

მკვლევარს მითითებული ტერმინის რიგი განმარტება მოყავს, რომლებიც სხვადასხვა მეცნიერებათა წარმომადგენლების მიერ არის შემოთავაზებული:

„უცხოეთის შუა საუკუნეების ისტორიკოსი: წარსულის ადამიანთა სამყაროს სურათი, რომელიც ადამიანს ფლობს: ის შინაგანად წინააღმდეგობრივია, მრავალ მიზეზზე და მოკიდებული (სქესი, ასაკი, წოდება) და ამიტომ უკეთესია მენტალობებზე ცალკე ვისაუბროთ. ესაა კონკრეტული ადამიანების გონება დანარჩენებთან დამოკიდებულებაში“ (22, გვ. 11).

სოციალური ფსიქოლოგები მენტალობას განსაზღვრავენ როგორც კონკრეტული კულტურისთვის დამახასიათებელ, ადამიანთა ფსიქიკური ცხოვრების სპეციფიკას, რომელიც პოლიტიკურად და ეკონომიკურადაა განპირობებული მოცემულ ისტორიულ მომენტში (ცოდნა + რწმენები). ესაა ეროვნული ხასიათი განვითარების

პროცესში. პროფესორი ვ.ე. სემიონოვი ამბობს, რომ მენტალიტეტი არის ისტორიულად ჩამოყალიბებული ხანგრძლივი გონებგანწყობა, ცნობიერი და არაცნობიერი ღირებულებების, ნორმების, განწყობების ერთიანობა მათ კოგნიტურ, ემოციურ და ქცევით განსახიერებაში, რომელიც ამა თუ იმ ჯგუფისთვის (ერთიანობისთვის) და მისი წარმომადგენლებისთვის არის დამახასიათებელი. (22, გვ. 12).

ეთნოლოგების თვალსაზრისით, მენტალიტეტი - ესაა კონკრეტულ გარემოებებში ქცევის პრიორიტეტების, ნორმებისა და მოდელების შესახებ ეთნიკური წარმოდგენების სისტემა, რომელიც სოციალურ გარემოში ჩამოყალიბებულ არაცნობიერ კომპლექსებზე (ეთნიკურ კონსტანტებზე) არის დაფუძნებული; ეს არის ღირებულებათა სისტემა, რომელიც ქმნის არსებობის კულტურულ გარემოს. შესაბამისად, საუბარია იმ ეთნიკურ მონაცემებზე (ნიჭზე), რომელიც გარკვეულ სოციალურ გარემოში ყალიბდება. მენტალიტეტი - ეთნოსის ცნობიერების საყოველთაოდ მიღებული განწყობები და ერთგვაროვანი რეაქციებია გარემოს სხვადასხვაგვარი გამოვლინებების მიმართ.

კულტუროლოგი: მენტალიტეტი - პიროვნების სულიერი აღჭურვილობაა, რომელიც მოიცავს ენას, გონებას, ცნობიერებას, აზრს, „მე“-ს. მენტალიტეტი არ არის აუცილებლად დადებითი მოვლენა, მაგრამ ენისა ან აზრის აქტიური მუშაობის გარეშე ის სრულიად ირაციონალურ მოვლენად წარმოგვიდგება.

კულტუროლოგი აღიარებს, რომ ვიწრო გაგებით მენტალიტეტი - პირველ რიგში ენაა და სიტყვები.

აღმოსავლური კულტურის ისტორიკოსი, ფილოლოგი და ფილოსოფოსი მენტალიტეტს აღიქვამენ, როგორც სამყაროს გულუბრყვილო სურათს, რომელიც ისწრაფვის მთლიანობისკენ, და არა სისრულისკენ (მეცნიერული სურათის მსგავსად); ის პრაგმატულია, ესთეტიურად გაფორმებულია და მოქმედებს სურვილის მოდალობაში (ოცნება); ლოგიკა აქ მეორე პლანზეა, ვინაიდან აზროვნებენ არა ცნებებით, არამედ პროტოტიპებით: ეს არის კონკრეტული არადისკურსული აზროვნება გონებრივი ხატებ-სიმბოლოების მეშვეობით. საბოლოო ჯამში, მენტალიტეტი აზრობრივი ან სემანტიკური ველების სისტემაა.

მითითებული ფენომენისადმი „უწყებათაშორისი მიდგომების“ რეზიუმირებისას, ვ.ი. კოლესოვი მიდის იმ დასკვნამდე, რომ „მენტალიტეტი თავისი

ნიშნებით არის სამყაროს ერთიანი გულუბრყვილოდ დანახული სურათი თავისი ღირებულებითი ორიენტირებით, რომელიც დიდხანს არსებობს, მიუხედავად კონკრეტული ეკონომიკური და პოლიტიკური პირობებისა და დაფუძნებულია ეთნიკურ მიდრეკილებებზე და ისტორიულ ტრადიციებზე: ვლინდება საზოგადოების თითოეული წევრის გრძნობაში, გონებაში, ნებაში ენისა და აღზრდის ერთიანობის საფუძველზე და წარმოადგენს ეროვნული სულიერი კულტურის ნაწილს, რომელიც ქმნის ხალხის ეთნომენტალურ სივრცეს მისი არსებობის მოცემულ ტერიტორიაზე“ (22, გვ. 11).

ვ.კოლესოვს მიაჩნია, რომ მენტალობის ენობრივი მოდელი გამოხატავს რუსული ფილოსოფიის ძირითად განწყობას, რომელმაც ინტუიციურად გააცნობიერა რუსული მენტალობის სიტყვიერი ღირსება, რომელიც გენოტიპში ჩადებული და ქვეცნობიერების დონეზე არსებული, ეროვნული კულტურის ძირითადი კონცეპტების ლოგიკურ განშლაზეა დაფუძნებული. ამ კუთხით მენტალობა განისაზღვრება როგორც „მსოფლჭვრეტა მშობლიური ენის კატეგორიებსა და ფორმებში, რომელიც შეცნობის პროცესში აერთიანებს ეროვნული ხასიათის ინტელექტუალურ, სულიერ, ნებელობით თვისებებს მათთვის ტიპიურ გამოვლინებებში“ (22, გვ. 15).

წინამდებარე თავის ამოცანა იყო კონკრეტული მასალის საინტერპრეტაციოდ აუცილებელი თეორიული წინაპირობების განსაზღვრა.

1. ჩვენ ამოვდივართ იქიდან, რომ ენობრივი და კოგნიტური ცნობიერება არ არის გაიგივებული (ერთი და იგივე), თუმცაღა მნიშვნელოვანწილად კვეთენ ერთმანეთს. ენობრივ ცნობიერებას აქვს ენობრივი ბუნება და თავის თავს ენაში მანიფესტირებს, რომელიც ადამიანის აზრის საუკეთესო ანარეკლი და გამოხატულებაა. მეორე მხრივ, ჩვენი ცნობიერება თავის ასახვას ენობრივი დონის ერთეულებში არა მთლიანად, არამედ მხოლოდ ნაწილობრივად პოულობს.

2. ენობრივი ცნობიერება საფუძველია ლინგვოკულტურული საზოგადოებისა, ე.ი. ადამიანთა ჯგუფისა, რომელიც გაერთიანებულია მასში შემავალ ინდივიდთა კულტურის ერთიანობით. კოლექტიური ენობრივი ცნობიერების ერთიანობა განისაზღვრება ცოდნისა და წარმოდგენების განსაკუთრებულად ორგანიზებული ფონდის ერთიანობით, რომელსაც კოგნიტური ბაზა ეწოდება.



3. ადამიანის მენტალური სამყარო კულტურის საკვანძო კონცეპტებში რეალიზდება, რომლებიც სამყაროს სურათის საბაზო ერთეულებს წარმოადგენს. ეროვნული ხასიათისა და სამყაროს სურათის კვლევა უნდა ეფუძნებოდეს კულტურის საკვანძო კონცეპტებს, რომლებიც კოლექტიური ენობრივი ცნობიერების ბუნებას ასახავენ.

4. მენტალიტეტის ინტერპრეტაციისას ჩვენ უპირატესობას ვანიჭებთ არა მის განსაზღვრებას, როგორც „სამყაროს გულუბრყვილო მთლიანი სურათისა მის ღირებულებით ორიენტირებში“, არამედ მენტალობას როგორც სამყაროს ჭვრეტას მშობლიური ენის კატეგორიებსა და ფორმებში, რომელიც შეცნობის პროცესში აერთიანებს ინტელექტუალურ, სულიერ, ნებელობით თვისებებს მის ტიპიურ გამოვლინებებში.

5. ჩვენ ამოვდივართ მოსაზრებიდან, რომ ეთნოკულტურული სპეციფიკის კვლევები ყველაზე მკაფიოდ და ნათლად კონცეფტთან დაკავშირებულ კვლევებში მჟღავნდება, რის დადასტურებასაც მომდევნო თავში ვეცდებით.

## ნაწილი II

„კომუნიკაციის“ ინტერაქციული ბუნება და მისი ლინგვოპრაგმატიკა

ექვსგარეშეა მოსაზრება, რომ ადამიანი კომუნიკაციაში ჩართულია იმ შემთხვევებშიც კი, როდესაც ის გარეგნულად მარტო რჩება. „ადამიანური აზროვნების დიალოგურობაზე“ მრავალი დიდი მეცნიერი (ა. ლეონტიევი, ვ. ჰარტუნგი, ჯ. გამპერცი, რ. იაკობსონი და სხვები) ლაპარაკობდნენ, მოიაზრებდნენ რა კომუნიკაციურ საქმიანობას როგორც გარკვეულ დიალოგს, როგორც ადამიანური ქმედებების სოციალურ-ისტორიულად დეტერმინირებული ერთობლიობას. აღნიშნული მოვლენა მოიცავს იმ სამეტყველო გამონათქვამების წარმოებასა და აღქმას, რომლებიც ცნობიერებაში მიმდინარე პროცესების შედეგი და გამოხატულებაა. ურთიერთობა ანუ კომუნიკაცია - ადამიანთა ურთიერთქმედების ერთერთი მხარეა მათი საქმიანობის პროცესში, რომელიც ერთდროულად საზოგადოებაში ადამიანის ცხოვრების აუცილებელ და სპეციფიკურ პირობასაც წარმოადგენს. არის რა პროვოცირებული ურთიერთობის პრობლემური სიტუაციით, ურთიერთობა, ფსიქოლოგთა აზრით, არის ერთდროულად დამოკიდებულება, საქმიანობა და პროცესი. კომუნიკაციური ამოცანა ჩვეულებრივ უკავშირდება ურთიერთობის სუბიექტის საორიენტაციო-გეგმიურ საქმიანობას და მოიცავს პერცეპციულ ამოცანას, რომელიც ასაშუალოებს მეტყველების აღქმის პროცესს. ვინაიდან აღნიშნული პროცესი მიზანმიმართული, შერჩევითი და სიტუაციურად განპირობებულია, შესაბამისად ურთიერთობას ორმხრივი ხასიათი აქვს, ხოლო დიალოგის პროცესში წარმოქმნილი და აღქმული შეტყობინების მნიშვნელობა, როგორც ცნობილია, ფსიქოლოგიური თვალსაზრისით განსხვავდებიან ერთმანეთისგან; შესაბამისად, პერცეპციული ამოცანა რეციპიენტის მიერ ურთიერთობის კონკრეტული სიტუაციისა და მასში თავისი ადგილის შეფასებისაგან ამა თუ იმ დამოკიდებულებაში ტრანსფორმირდება.

„კომუნიკაცია“ ასევე განიმარტება როგორც მოვლენებს შორის საყოველთაო კავშირის ერთ-ერთი ფორმა (სიგნალების გადაცემის გამოხატული მიზანმიმართული კავშირი), როგორც ინფორმაციის ცირკულაციის პროცესი საზოგადოებაში, და როგორც აქსიალური (ზუსტად დამისამართებული) და რეტიალური (მაგალითად,

მასობრივი კომუნიკაციის საშუალებებში) ქცევა.

კონსტრუქტივიზმის სკოლაში (დერიდა, ტოდოროვი და სხვ.) კომუნიკაცია განიხილება როგორც ინტერაქციის ერთ-ერთი კერძო შემთხვევა, „სადაც კოორდინაციის ფოკუსში კომუნიკაციური ინტენციები ხვდება, ვინაიდან სწორედ ინტენციები წარმოადგენენ ურთიერთობის მთელი პროცესის ამოსავალ პუნქტს, გამოხატავენ რა ადამიანთა შინაგან მდგომარეობას“ (31, გვ. 42).

კომუნიკაციაში თითოეული ინდივიდის სტრატეგიები როგორც მისი საკუთარი შინაგანი მდგომარეობით, ისე სხვათა შინაგან მდგომარეობებზე წარმოდგენებით იმართება. როგორც ცნობილია, კომუნიკაციის პროცესი ხასიათდება თითოეული მონაწილის განზრახვით გამოხატოს თავისი „მე“, სხვათა მიერ ამ ზრახვის აღიარებით, ქმედებებისა (ინდივიდუალური აქტების) და ურთიერთქმედების (სოციალური ინტერაქციის) ორგანიზებით ამ ურთიერთმიმართული ინტენციების შესაბამისად. ამასთან კავშირში მ.ლ. მაკაროვი კომუნიკაციას განსაზღვრავს როგორც ინტერაქციის კერძო შემთხვევას, რომელიც ეყრდნობა ინტერპრეტაციას, რომელიც ურთიერთქმედებაში ინტენციების კოორდინაციას ვარაუდობს და ასევე აკმაყოფილებს შინაგანი მდგომარეობის გამოხატვის მოთხოვნილებებს (31, გვ. 42).

კომუნიკაცია - პროცესია, რომელშიც მონაწილეობას, როგორც მინიმუმ, ორი მოქმედი პირი იღებს: ინფორმაციის გამგზავნი და მიმღები.

უკანასკნელ წლებში ლინგვისტიკის კვლევის ობიექტი სოციალურ კონტექსტში ენის აქტუალური გამოყენება გახდა. კომუნიკაციის ძალიან მნიშვნელოვან ასპექტს ხაზს უსვამდა ე.ფ. ტარასოვი, რომელიც აღნიშნავდა, რომ პიროვნებათა ურთიერთქმედება არა მოუწესრიგებელი, არამედ სისტემურია. მისი სამართლიანი შენიშვნის მიხედვით, „ურთიერთობისას პიროვნებები ახდენენ იმ სოციალური დამოკიდებულებების რეალიზებას, რომლებიც ახდენენ მის სისტემურ ორგანიზებას და ზღუდავენ აქტუალურ ქცევას“ (46, გვ. 42).

სამეტყველო ქმედებები ხორციელდება სპეციფიკური საქმიანობის - სოციალური ურთიერთქმედების სტრუქტურაში. ურთიერთობას უაღრესად სოციალური ხასიათი აქვს. თავად პიროვნებათაშორისი ურთიერთობა არის საქმიანობა, რომელიც წარმატებული სოციალური გამოცდილების წინაპირობებს ენობრივი ნიშნების მნიშვნელობის ფორმით ქმნის.

„კომუნიკაციის“ ცნების მრავალი სხვა განსაზღვრების მოყვანაც შეიძლება

(„როგორც ინფორმაციის გადატანა ადამიანთა კოლექტივში ან ცნობიერების საზოგადოებრივი ხასიათის რეალიზება“ - გ.ვ. კოლშანსკი, როგორც „პირველადი სოციალური გამოცდილება“ - Cronen, Shotter), მაგრამ არსებობს უნივერსალური ბირთვიც, რომელიც იძლევა გადმოცემის დესკრიპციული ნაწილის შეკვეცის შესაძლებლობას და მდგომარეობს იმაში, რომ კომუნიკაცია ურთიერთობაში მყოფთა სოციალურ დამოკიდებულებებშია ჩართული ( აქედან გამომდინარე ყველა შედეგით),.

მიუხედავად ამ საკითხთან დაკავშირებული უამრავი თვალსაზრისისა, ყველა მკვლევარს აერთიანებს კომუნიკაციის სოციალური ხასიათის აღიარება. ა.ა. ლეონტიევის განმარტებით, „კომუნიკაცია არის არა მხოლოდ და არა იმდენად ადამიანთა ურთიერთქმედება საზოგადოებაში, არამედ პირველ რიგში - ადამიანთა როგორც საზოგადოების წევრთა მიმართება“ (29, გვ. 20).

ურთიერთობა წარმოადგენს ადამიანთა შორის აზრებისა და გრძნობების გაზიარების სოციალურად განპირობებულ პროცესს მათი შემეცნებით-შრომითი და შემოქმედებითი საქმიანობის სხვადასხვა სფეროში, რომელიც მეტწილად კომუნიკაციის ვერბალური საშუალებების მეშვეობით რეალიზდება. ვ.პ. კონეცკაიას განმარტებით, კომუნიკაცია - პიროვნებათაშორისი და მასობრივი ურთიერთობის პირობებში ინფორმაციის გადაცემისა და აღქმის სოციალურად განპირობებული პროცესია, რომელიც ხორციელდება სხვადასხვა არხებითა და სხვადასხვა კომუნიკაციური საშუალებების (ვერბალური, არავერბალური და სხვ.) დახმარებით (23, გვ. 9).

კომუნიკაციის საზოგადოებრივი, სოციალური ხასიათის აღიარების გარდა, უზარმაზარი მნიშვნელობა აქვს ურთიერთობის როგორც მიზანმიმართულ და მოტივირებულ პროცესების სისტემის აღიარებას, რომელიც უზრუნველყოფს ადამიანთა ურთიერთქმედებას ერთობლივ საქმიანობაში. ამასთანავე ის წარმოადგენს პროცესებს, რომლებიც აქტუალიზირებენ სოციალურ ურთიერთობებს და ამისათვის სპეციფიკურ, პირველ რიგში ენობრივ საშუალებებს იყენებენ. საყოველთაოდ აღიარებულად უნდა ჩაითვალოს ასევე კომუნიკაციის განმარტება, როგორც მიზნებისა და მოტივების მქონე განსაკუთრებული საქმიანობის .


ლინგვისტურ ლიტერატურაში შემუშავებულია კომუნიკაციის სამი ძირითადი მოდელი: კოდური მოდელი, ინფერენციული მოდელი და ინტერაქტიული მოდელი.

მოკლედ დავახასიათოთ თითოეული მათგანი.

კოდური მოდელი, რომელიც ფართოდ ცნობილი გახდა შენონის (Shannon), უივერის (Weaver), კამენსკაიას, ბოგუშევიჩის, გოიხმანის და სხვათა ნამუშევრების მეშვეობით, შესანიშნავად არის გადმოცემული ვ. კრასნიხისგან ნასესხებ სქემაში:

### კოდური მოდელი

სქემა №1



აღნიშნული სქემა გვაჩვენებს კომუნიკაციის პროცესის წყალობით ჯაჭვის სხვა ბოლოზე ინფორმაციის გადაცემის შესაძლებლობას, რაც ხორციელდება შეტყობინების (რომელსაც დამოუკიდებლად არ შეუძლია მანძილის დაძლევა) ისეთ კოდურ სიგნალებში გარდაქმნის მეშვეობით, რომლებიც შეიძლება ტრანსლირებული იქნას. კავშირის არხში არსებულმა ხმაურმა და დაბრკოლებებმა შეიძლება დაამახინჯოს სიგნალი და გადაფარონ კიდეც ის. თუ არხი სუფთაა, კომუნიკაციის წარმატება ძირითადად დეკოდირების მოწყობილობათა მუშაობის ეფექტიანობასა და შესასვლელსა და გამოსასვლელზე კოდის იდენტურობაზეა დამოკიდებული. მაგრამ, როგორც სამართლიანად აღნიშნავს ვ.ვ. კრასნიხი, ამ მოდელმა ვერ შეძლო კომუნიკაციის რეალური პროცესების აღწერა რაიმე ბუნებრივი ენით, ვინაიდან გაგება არა მარტო დეკოდირებას ვარაუდობს, არამედ რაღაც მეტს (26, გვ. 80).

თუ მივიღებთ იმ თვალსაზრისს, რომ ენა წარმოადგენს კოდს, მაშინ გარკვეული ენის ნიშნობრივი საფუძველი უნდა იყოს ფონეტიკური რეპრეზენტაციების შესაბამისობა სემანტიკურებთან, რაც მეტწილად გაკეთებულია გენერაციულ გრამატიკებში. მაგრამ ამ სემანტიკურ რეპრეზენტაციებსა და „აზრებსა“ და მნიშვნელობებს შორის, რომლებიც ურთიერთობის პროცესში შესაბამისი ფრაზებით გადმოიცემა „უზარმაზარი დისტანციას“. გარდა ამისა, კოდური მოდელი

შეტყობინებას მხოლოდ იმ აზრებით ზღუდავს, რომელსაც მოსაუბრე განზრახ გადმოსცემს.

კოდურ მოდელთან ერთად ფართო გავრცელება ჰპოვა კომუნიკაციის ინფერენციულმა მოდელმა, რომელიც დაკავშირებულია ჰერბერტის, გრაისის, ბახის, ჰარნიშის სახელებთან (64, გვ. 1995). ამ მოდელში კომუნიკაციის მონაწილეებიც, და თავად შეტყობინება ერთობ განსხვავებულ სტატუსს იძენენ. ინტერსუბიექტურობა აქაც მთავარ როლს თამაშობს, მაგრამ უკვე სხვა სახით. კოდური მოდელისგან განსხვავებით, სადაც მონაწილეები, შეტყობინება და სიგნალი არსებითად კოდირებისა და დეკოდირების სიმეტრიული დამოკიდებულებით არიან დაკავშირებული, ინფერენციული მოდელი ფუნქციური საფუძვლის სახით ცოდნის გამოყვანის პრინციპს იყენებს. თუ კოდურ მოდელში მოსაუბრე განზრახ უგზავნის მსმენელს გარკვეულ აზრს, ინფერენციულ მოდელში, მოსაუბრე, თავის აზრს დებს, ე.ი. იმას, „რაც მხედველობაში აქვს“ (64, გვ. 30) ურთიერთობის პროცესს არა „აზრის“ ან ინფორმაციის გადაცემის სურვილი ინიცირებს, არამედ პიროვნების სურვილი საკუთარი ინტენციები სხვებისთვის გასაგები გახადოს.

ინტენციების გამოსახატავად სამეტყველო საშუალებებს გამონათქვამები წარმოადგენს. მათი შინაარსი არ არის შეზღუდული (კოდური მოდელისგან განსხვავებით) რეპრეზენტაციული შეტყობინებებით საქმეთა არსებული მდგომარეობის შესახებ, ისინი შეიძლება გამოხატავდენ, მაგალითად, ემოციებს. მ.ლ. მაკაროვის აზრით, ინტენციები თავისთავად არ არის მარტო პროპოზიციული, თავისი ბუნებით ისინი განწყობების ან მოტივების მსგავსია, თუმცა გამონათქვამების შინაარსი პროპოზიციულია. ინტენციები განსაზღვრავენ, თუ როგორ უნდა მოიაზრებოდეს მოცემული პროპოზიციული შინაარსი.

საბოლოოდ, ასკვნის მ.ლ. მაკაროვი, კომუნიკაციის ცალკე აღებული არც კოდური, არც ინფერენციული მოდელი ვერ ხსნიან ენობრივი ურთიერთობის ფენომენს (31, გვ. 25).

ინტერაქციული მოდელი, თავისი სახელწოდების შესაბამისად, მთავარ პრინციპად წარმოაჩენს სიტუაციის სოციალურ-კულტურულ პირობებში მოქცეულ ურთიერთქმედებას. აზრთა ტრანსფორმაციის ბუნებას ურთიერთობისას ხსნის არა კოდის ენობრივი სტრუქტურები, არამედ კომუნიკაციურად განპირობებული სოციალური პრაქტიკა (69, გვ. 398-405).

მოცემული მოდელი ყურადღების ცენტრში ათავსებს კომუნიკაციის, როგორც ქცევის (არა ბიჰევიორიზმის ტრადიციით) და არა მარტო ინტენციონალური ქცევის ასპექტებს (69, გვ. 1996). ურთიერთობა შეიძლება შედგეს მიუხედავად იმისა, აპირებს თუ არა „მოსაუბრე“ ამის კეთებას და ასევე მიუხედავად იმისა, გათვლილია თუ არა მოცემული გამოთქმა „მსმენელის“ მიერ აღქმაზე. კომუნიკაცია არა როგორც ინფორმაციის ტრანსლაცია და ზრახვის მანიფესტაცია ხდება, არამედ იმ აზრების დემონსტრაციაც, რომელიც არ არის აუცილებლად განკუთვნილი რეციპიენტის მიერ ამოცნობისა და ინტერპრეტაციისათვის. ქცევის პრაქტიკულად ნებისმიერი ფორმა: ქმედება, უმოქმედობა, მეტყველება, დუმილი გარკვეულ სიტუაციაში შეიძლება კომუნიკაციურ-ნიშნად აღმოჩნდეს. მითითებული მოდელი ახასიათებს მეტყველების სიტუაციურ მიბმულობას, რაც, ვ.ლ. მაკაროვის აზრით, ფართო სოციალურ-კულტურული კონტექსტის გამოყენებაში გამოიხატება (31, გვ. 26).

დღესდღეობით, შეუძლებელია არ აღვნიშნოთ კომუნიკაციის ტრადიციული მოდელის ენობრივი პიროვნების ფენომენთან მიზმის მცდელობები, მაგალითად:

### კომუნიკაციის ტრადიციული მოდელი

სქემა №2




ამასთან დაკავშირებით შეგახსენებთ ნ.გ. კომლევის კომუნიკაციურ მოდელს, რომლის „პლიუსები“ მოსაუბრის ცნობიერებით („შესასვლელზე“) და მსმენელის ცნობიერებით („გამოსასვლელზე“) არის წარმოდგენილი. მითითებულ მოდელებში, როგორც ცნობილია, კომუნიკაცია განიხილება როგორც სამი ცნების ერთიანობა: წარმოქმნა - მეტყველება - აღქმა, რომლის თითოეული რგოლი თანაბრად მნიშვნელოვანი და არსებითია. ამ ტრიადის ცენტრში მოთავსებულია მეტყველება, რომელიც მოიაზრება როგორც ადამიანური კომუნიკაციის ნაირსახეობა, როგორც განსაკუთრებული საქმიანობა ან გარემოსადმი აქტიური დამოკიდებულების სპეციფიკური ადამიანური ფორმა, რომლის შინაარსს მისი მიზანდასახული შეცვლა და გარდაქმნა წარმოადგენს. ო. როზენშტოკ-ჰიუსის აზრით, კომუნიკაცია - „პროცესია, რომელიც დროსა და სივრცეში ვითარდება“ (40, გვ. 55-56). ყოველთვის, როდესაც ჩვენ ვლაპარაკობთ, ჩვენ ჩვენს თავს ვამკვიდრებთ იმით, რომ ვიკავებთ

ცენტრს, რომლიდანაც თვალი იყურება უკან, წინ, შიგნით და გარეთ. ისაუბრო ნიშნავს იმყოფებოდე რეალობის ჯვრის ცენტრში.

### კომუნიკაციის სქემა

სქემა №3



ოთხი ისარი მიუთითებს ოთხ მიმართულებას, რომლებსაც ვერცერთი ცოცხალი არსება ვერ გაეჭყვება. ადამიანი, იღებს რა სიტყვას, თავის პოზიციას იკავებს დროსა და სივრცეში. „აქ“ ის სამყაროდან, რომელიც გარეთ იმყოფება, თავის საკუთარ ცნობიერებაში მიმართულებით ლაპარაკობს. „ეხლა“ კი ის ლაპარაკობს დროთა დასაწყისსა და მათ ბოლოს შორის შუალედში (40, გვ. 55-56). შეადარეთ იუ.მ. ლოტმანის იდეას: „დროში ტექსტი აღიქმება როგორც თავისებური სტოპ-კადრი, ხელოვნურად შეფერხებული მომენტი წარსულსა და მომავალს შორის. წარსულის და მომავლის დამოკიდებულება არ არის სიმეტრიული. წარსული მისი ორი გამოვლინებით მოგვეცემა: შინაგანად - ტექსტის უშუალო მეხსიერებით, რომელიც მის შინაგან სტრუქტურაში, მის გარდაუვალ წინააღმდეგობრიობაში, თავის შინაგან სინქრონიზმთან იმანენტურ ბრძოლაშია განსახიერებული, და გარედან - როგორც შეფარდება ტექსტგარე მეხსიერებასთან“ (30, გვ. 111).

კომუნიკაციის სეგმენტად, ურთიერთობის ფრაგმენტად, ვ.ვ. კრასნიხის აზრით, შეიძლება აღიარებულ იქნას კომუნიკაციური აქტი, რომელიც ავტორის აზრით, უფრო „თეატრალური“ თვალსაზრისით აღიქმება: როგორც გარკვეული ქმედება, რომელიც გარკვეულ მომენტში და გარკვეულ ადგილას, სივრცისა და დროის ღერძების გადაკვეთაზე ხდება, ეს ცხოვრებიდან აღებული გარკვეული „სცენაა“, რომელშიც პერსონაჟები მოქმედებენ (26, გვ. 83).

ამრიგად, მეცნიერის ყურადღების ცენტრში სინამდვილის, კომუნიკაციის ფრაგმენტი გამოდის, რომლის ბირთვია ტექსტი, რომელიც შეიძლება მონოლოგით, დიალოგით ან პოლილოგით იყოს წარმოდგენილი. სწორედ ტექსტის აღიარება



კომუნიკაციის ერთეულად გვამღევს საშუალებას კომუნიკაციური აქტის ყველა მონაწილეს თავისი ადგილები მივუჩინოთ.

ვუბრუნდებით რა წინამდებარე თავის ძირითად პრობლემას, კომუნიკაციის პრობლემას, უნდა აღვნიშნოთ, რომ აღნიშნულ ცნებას აქვს როგორც შესწავლის ხანგრძლივი ისტორია, ისე „პოლიდისციპლინური მნიშვნელობა“, რომელიც მდგომარეობს იმაში, რომ სრულიად განსხვავებული მეცნიერული სფეროები (ფსიქოლოგია, კომუნიკაციის თეორია, ინფორმატიკა, ეთნოლოგია) დიალოგს თავისი მეცნიერული ინტერესის ორბიტაში რთავენ. ყველაზე ხანგრძლივი ისტორია აქვს დიალოგის შესწავლას რიტორიკისა და პედაგოგიკის პოზიციებიდან.

ი.ა. სტერნინის მიერ წამოწყებული კომუნიკაციური იდეალის კვლევამ აჩვენა, რომ ის ეროვნული მენტალიტეტის, ეროვნული კომუნიკაციური ქცევის მნიშვნელოვან მდგენელს წარმოადგენს. ავტორის აზრით, „კომუნიკაციური იდეალი - თანამოსაუბრის ნიშნების ერთობლიობაა, რომელსაც გარკვეული კომუნიკაციური კულტურის წარმომადგენლები განიხილავენ, როგორც თანამოსაუბრისადმი სასურველ, სასიამოვნო, დადებით დამოკიდებულებად, მასთან კომუნიკაციურ კონტაქტში შესვლის სიმარტივედ , კომუნიკაციური დამოკიდებულებების შენარჩუნებად (43, გვ. 75).

კომუნიკაციური იდეალის ექსპერიმენტული კვლევა, ავტორის აზრით, გვამღევს საშუალებას ვისაუბროთ ასევე რიტორიულ იდეალზე, რომელიც ეროვნული კომუნიკაციური იდეალის შემადგენელ ნაწილს (ნიშანს) წარმოადგენს. შედეგების ანალიზმა აჩვენა, რომ ცდისპირების მიერ აღნიშნული კომუნიკაციური იდეალის ნიშანთა დიდი უმრავლესობა გამოხატავს სუბიექტურ წარმოდგენას ტოლერანტული თანამოსაუბრის შესახებ და რეალიზდება შემდეგ ნიშნებში: აქვს მოსმენის უნარი, თავაზიანია, ზრდილობიანი, კარგი მანერებით, ტაქტიანია, არა უხეში, კულტურულად მოსაუბრე, გამგები, ეძებს კონსენსუსს, არ გახვევთ თავს თავის თვალსაზრისს, მშვიდი, თავშეკავებული, ინტელიგენტური, ურთიერთობაში მსუბუქი, გულახდილი, ღია, გულწრფელი, მხიარული, იუმორის მქონე, ოპტიმისტია (43, გვ. 78).

კომუნიკაციური იდეალის ბირთვული ნიშნების ანალიზი გვამღევს საშუალებას ვამტკიცოთ, რომ მათ საფუძვლად დიალოგურობა უდევს. სხვაგვარად რომ ვთქვათ, მხოლოდ დიალოგური ურთიერთქმედების პროცესში ვლინდება

მონაწილეთა კომუნიკაციური როლების პოზიტიური/ნეგატიური მარკირებულობა. უნდა აღინიშნოს, რომ დიალოგური მეტყველების კომუნიკაციური პოტენციალის კვლევა რიტორიკის თეორიაში იყო შემუშავებული. მსგავსი კვლევების გამოცდილების შეჯამებისას იუ.ვ. როჟდენსტვენსკი მოცემული მოვლენის ძალიან საინტერესო ინტეპრეტაციას იძლევა რიტორიკის თვალსაზრისით. ნეორიტორიკის პრობლემებზე მსჯელობისას ის რიტორიკის რამდენიმე ამოცანას აყალიბებს თანამედროვე საინფორმაციო საზოგადოებაში.

პირველი ამოცანა მდგომარეობს უნარში სწრაფად აღიქვა მეტყველება და საჭირო მნიშვნელობები ამოიღო ოპერატიული გადაწყვეტილებების მისაღებად ისე, რომ არ მისცე თავს უფლება გასცდე და გადახვიდე შენთვის და საზოგადოებისთვის არახელსაყრელ საქმიანობაზე. იუ.ვ. როჟდენსტვენსკის აზრით, რიტორიკის მეორე ამოცანაა უნარი გამოიგონო აზრები და ქმედებები და ისინი ისეთ სამეტყველო ფორმაში მოაქციო, რომელიც გარემოებებს პასუხობს. ეს ნიშნავს იცოდე მონოლოგის შექმნა, დიალოგის წარმართვა და მისი მართვა, თავისი კომპეტენციების ფარგლებში სამეტყველო კომუნიკაციების სისტემის მართვა. ავტორის კონცეფციაში მნიშვნელოვანია იმის კონსტატაცია, რომ ორივე ამოცანა მოცემული საზოგადოების მეტყველების კულტურას უნდა ეყრდნობოდეს. მეტყველების კულტურაში ქვეშ იუ.ვ. როჟდენსტვენსკი მოიაზრებს სიტყვების სახეობათა, მათი აზრობრივი შესაძლებლობების მნიშვნელობას კულტურის როგორც მეტყველების მთლიანობის ფარგლებში (39, გვ. 3).

ავტორის კონცეფციაში გარკვეული ადგილი დიალოგის თეორიას უჭირავს, რომელიც ეთოსის, პათოსისა და ლოგოსის პოზიციებიდან განიხილება.

**ეთოსი** ეწოდება იმ პირობებს, რომლებსაც მეტყველების მიმღები სთავაზობს მის შემქმნელს, და რომლებიც ეხება მეტყველების წარმართვის დროს, ადგილს, ვადებს, და ამით განისაზღვრება მეტყველების შინაარსის ნაწილი, ყოველ შემთხვევაში, ის თემა, რომელიც მეტყველების მიმღებმა შეიძლება ჩათვალოს დროულად ან უადგილოდ. დროულობის მთავარი ნიშანია მეტყველების თემა, იმ პირობით, რომ მეტყველების დრო, ადგილი და ვადები შეთანხმებულია სამეტყველო კომუნიკაციის მონაწილეებს შორის.

**პათოსი** ეწოდება მეტყველების შემქმნელის ჩანაფიქრს, რომელსაც მიზნად აქვს განავითაროს მიმღების წინაშე გარკვეული და ჩვენთვის საინტერესო თემა. პათოსი,

იუ.ვ. როჟდენსტვენსკის აზრით, ეთოსის კატეგორიითაა შემოსაზღვრული, ერთი მხრივ, ხოლო მეორე მხრივ - იმ სიტყვიერი საშუალებებით, რომლებსაც განკარგავს შემქმნელი მეტყველების მიმღებთან კონტაქტის დასამყარებლად.

**ლოგოსი** ეწოდება სიტყვიერ საშუალებებს, რომლებიც მეტყველების შემქმნელის მიერ მოცემულ მეტყველებაში გამოიყენება მისი ჩანაფიქრის სარეალიზაციოდ. ლოგოსი, მეცნიერის აზრით, გარდა ჩანაფიქრის განსახიერებისა, მოითხოვს ისეთი სიტყვიერი საშუალებების გამოყენებას, რომელთა გაგება მისაწვდომი იქნებოდა მეტყველების მიმღებისთვის“. ამრიგად, ეთოსი მეტყველებისათვის პირობებს ქმნის, პათოსი - მეტყველების აზრის შექმნის წყაროა, ხოლო ლოგოსი - პათოსის სიტყვიერი განსახიერებაა ეთოსის პირობებზე“ (39, გვ. 69-70).

ემყარება და ზემოთ მითითებულ კატეგორიებს, იუ.ვ. როჟდენსტვენსკი ანალიზს უკეთებს დიალოგის თეორიას. უკანასკნელის ეთოსი მდგომარეობს ენობრივი/სამეტყველო ეტიკეტის დაცვაში, რომელიც სამეტყველო ქცევის საერთო წესებს იძლევა. მეტყველების სახეები ეთოსის მეშვეობით სხვადასხვა ჯგუფებად იყოფა. ასე, მაგალითად, დამწერლობითი კულტურისთვის დამახასიათებელია ზეპირი დიალოგის, თქმებისა და ფოლკლორის დაპირისპირება, ბეჭდვითისთვის აქტუალურია დაპირისპირება ტექსტის იდენტურობის ნიშნით, რომელიც ოპოზიციებს წარმოქმნის: ავტორი - არაავტორი (გადამწერი, გამომცემელი), დიპლომატიური - კრიტიკული, ორიგინალი და თარგმანის ტექსტი;

მასობრივი ინფორმაციის დიალოგებისათვის ოპოზიცია ვლინდება - ჟურნალისტთა, საინფორმაციო სააგენტოთა და მკითხველთა დამოკიდებულებების შიდასახეობრივ ოპოზიციაში, სარეკლამო ტექსტებისთვის - არხების დიალოგი, ხატების დიალოგი, რეკლამირების საგნების დიალოგი; ხოლო ინფორმატიკისათვის - როგორც მომხმარებლის რეალური დიალოგი სისტემასთან, როგორც კონკურენცია და პროგრამების მრავალფეროვნება, როგორც სხვადასხვა საინფორმაციო ორგანიზაციების მიერ წარმოდგენილი მომსახურებების კონკურენცია (39, გვ. 290-293).

კომუნიკაციის დიალოგური ფორმის პათოსი, რომელიც ნებისმიერი დიალოგის შინაარსობრივ ზრახვაში მდგომარეობს, განისაზღვრება იმ მიზნით, რომლითაც იმართება მოცემული დიალოგი. ნებისმიერი დიალოგი მისი შედეგიანობით

ფასდება, ე.ი. იმით, თუ რამდენად რეალიზებულია დიალოგის შინაარსობრივი ზრახვა.

დიალოგის ხარისხი მდგომარეობს მის ინტენსივობაში, მიზანმიმართულობაში ეთოსის მიერ შემოთავაზებული პირობების თვალსაზრისით და საზოგადოებრივი ინტერესის ამა თუ იმ ტიპზე პრინციპული ორიენტირებულობის თვალსაზრისით. იუ.ვ. როჟდენსტვენსკი დიალოგის პათოსს განიხილავს დიალოგის ინტენსივობასთან კავშირში (ხაზს უსვამს რა ინტენსივობის ხასიათს და ზღვრებს), განათლების პრობლემასთან მიმართებაში (ცხოვრებაში ორიენტირების და უნარ-ჩვევების ფორმირება), ლიდერთა აღზრდის პრობლემასთან კავშირში (გაბედულობის, საქმიანობის პათოსის ფორმირება), დიალოგის მეშვეობით მართვის პრობლემასთან კავშირში, დიალოგის მეშვეობით სტილის განვითარებასთან კავშირში, დიალოგის მეშვეობით სოციალური დროის დიქსაციასთან კავშირში, Public Relations-თან კავშირში (რომელიც მოიაზრება, როგორც სიახლეთა პროპაგანდა, როგორც რიტორიკული გამოსახულება და რიტორიკული მოქმედებები, პათოსის თითოეული სახეობის რეალიზებაში), და დიალოგის შინაარსობრიობასთან კავშირში (აუდიტორიასთან და მის ინტერესებთან ბალანსის დაცვა).


ტრიალის მესამე კომპონენტი - ლოგოსი, იუ.ვ. როჟდენსტვენსკის აზრით, იმ შინაარსობრივ და სიტყვიერ „ნაშთს“ წარმოადგენს, რომელიც ილექება დიალოგის მონაწილეთა გამოცდილების, გადაწყვეტილებებისა და მოქმედებების სახით. ფაქტობრივად, დიალოგი ლოგოსის გულისთვის იმართება. სხვაგვარად რომ ვთქვათ, მეტყველებითი ლოგოსი დიალოგში დიალოგის ყველა მონაწილის გათვითცნობიერებისა და მეტყველებით შეზღუდულობისგან შედგება, ხოლო მისი ხარისხი დადებითად ფასდება, თუ მას მონაწილეები გაგების და მოქმედების ერთიანობამდე მიჰყავს. სუბიექტური ძალის, ე.ი. სიმართლის რწმენის დაკარგვა, დიალოგის შედეგების, ე.ი. აზრის ერთიანობის გაქრობა, და უსაგნურობა, ე.ი. შინაარსის ერთიანობის არარსებობა ანადგურებს მეტყველებით ლოგოსს დიალოგში, ამიტომ, დიალოგში მეტყველებითი ლოგოსის ფორმირებისას უნდა მოვერიდოთ ამ სამ სირთულეს, რომლებიც სპობენ დიალოგის შედეგს.

დიალოგი განსჯის საგნის თვალსაზრისით იუ.ვ. როჟდენსტვენსკის მიერ შემდეგნაირად კლასიფიცირდება. იქიდან გამომდინარე, თუ როგორია საზოგადოების წინაშე მდგარი პრობლემები, შემოთავაზებულია დიფერენცია

საქმიანობის სახეების მიხედვით, რომლებიც, როგორც კულტურის ისტორია გვიჩვენებს, ვითარდება კანონზომიერად, ამოდის რა ერთი წყაროდან - ოჯახიდან, და ვითარდება შემდგომ საქმიანობის სახეების მიხედვით. ამ პროცესის დინამიკას შემდეგი სქემა ასახავს:

დიალოგის სქემა

სქემა №4



ვინაიდან დიალოგის ლოგოსები განსხვავდება ერთმანეთისგან მიზნების მიხედვით, ისინი თვითონ იმუშავებენ სამეტყველო ფორმულების საკუთარ სისტემას (მეტყველების ლოგოსის სტანდარტს). კლასიფიკაციის მეორე ხერხს წარმოადგენს ჟანრობრივი სისტემების აღწერა, და ასევე დიალოგების დაყოფა გავლენის ტიპების მიხედვით.

სამეტყველო კომუნიკაციის და საზოგადოების სტრუქტურის ახალ თეორიასთან კავშირში გადმოცემული დიალოგის თეორია საშუალებას გვაძლევს განვსაზღვროთ საერთო კონტექსტი, რომელიც საფუძვლად უდევს მოცემული მოვლენის მიმართ ლინგვისტურ მიდგომას. რიტორიკა განსაზღვრავს დიალოგის „ეკოსფეროს“, რომელიც გვაძლევს საშუალებას ვილაპარაკოთ კომუნიკაციის ავკარგიანობაზე.

დიალოგური ურთიერთობის პირველი წესები, რომლებმაც შესაძლებელი გახადეს მეტყველებისადმი ნორმატიული მიდგომების შემუშავება, რიტორიკის ფარგლებში იყო ფორმულირებული. სწორედ ნორმატიულობისკენ სწრაფვამ განაპირობა პედაგოგთა ინტერესი დიალოგისადმი. უკვე ის ფაქტი, რომ პედაგოგიურ პროცესს საფუძვლად მასწავლებლის (რიტორიკაში - ავტორის) და მოწაფეთა (რიტორიკაში - აუდიტორიის) დიალოგი უდევს, მეტყველებს იმაზე, რომ დიალოგური ურთიერთობის სწორ ორგანიზაციაზე თავად სწავლების ეფექტიანობის ხარისხია დამოკიდებული. უნდა აღინიშნოს, რომ თავად ტერმინის ეტიმოლოგია, რომელიც ბერძნულ სიტყვა „dialogos“-იდან მომდინარეობს (ბაასი, ორთა საუბარი) დაკავშირებულია გამონათქვამთა გაცვლასთან, კომუნიკაციურ ინტერაქციასთან. ანტიკურ ფილოსოფოსთა აზრით, სწორედ დიალოგი წარმოადგენდა სამყაროს შესწავლისა და შეცნობის ძირითად მეთოდს. საინტერესოა, რომ ანტიკურ ფილოსოფოსთა მრავალი კლასიკური თხზულება (პლატონი, სოკრატი, არისტოტელე) დიალოგის ფორმითაა გადმოცემული. დიალოგური ურთიერთობის აქტუალობამ და მისი ბუნების შეცნობის მცდელობებმა მოახდინეს მოცემული მოვლენის შესწავლისა და მისი მეთოდური საფუძვლების შემუშავების სტიმულირება. სასწავლო მიზნებით დიალოგის შესწავლა თავის ამოცანებს ისახავდა, რომელთა განხორციელების პროცესში ჩვენთვის საინტერესო მოვლენის ინტერპრეტაციის სხვადასხვა მიდგომა იქნა შემუშავებული.

ენის შესწავლის სხვადასხვა სტადიებზე გამოკვლეული იქნა დიალოგის მნიშვნელობები და სახეობები (ნ.გ. მიქაძე), დიალოგის, როგორც მეთოდური ხერხის როლი უცხოური ენის სწავლებისას (ა. სლივინსკი), დიალოგური მეტყველების უნარების განვითარება აუდირების, საუბრისა და წერითი მეტყველების მეცადინეობებზე (პ. შმიდტი). განსაკუთრებული ყურადღება ეთმობოდა დიალოგის კომუნიკაციური და ლინგვისტური საფუძვლების გამოკვლევას, რომლის ფარგლებში შესწავლილ იქნა ზოგიერთი სასწავლო-თეორიული პრობლემა: დიალოგის წარმოებისთვის მოსწავლეთა მომზადების წინაპირობები და პროცესი (გ. პოლი); ტექსტის დიალოგიზაციის მნიშვნელობა მოსწავლეთა მოტივაციისათვის (პ.რუნგე), კომუნიკაციური სიტუაციების კლასიფიკაცია, როგორც კონკრეტულ სიტუაციებში გამოყენებული სამეტყველო საშუალებების განსაზღვრის საფუძველი (გ. ჰაიერი), სასწავლო მიზნებით დიალოგურ საშუალებათა დიფერენციაცია (გ. ეშკე),

დიალოგური მეტყველების სტრუქტურული გაფორმების სწავლება (ლ. ბიმი), დიალოგური რეპლიკების შიდა და გარე „კონექტორების შეკვრა“ (ჰ. გლეკნერი).

დიალოგურ კომუნიკაციას სპეციალურად მიემდგნა თბილისის და იენის უნივერსიტეტთა უნივერსიტეტშორისი კონფერენციები - „დიალოგური მეტყველების საკითხები“ (თბილისი - იენა, 1983) და „დიალოგური მეტყველება - საფუძვლები და პროცესი“ (თბილისი - იენა, 1980), რომლებზეც განიხილებოდა დიალოგის შესწავლის ლინგვისტური ასპექტები, დიალოგური მეტყველების განვითარების ფსიქოლოგიური და ლინგვისტური ასპექტები, დიალოგი მხატვრულ მეტყველებაში, და ასევე რუსული ენის წარმოთქმითი ნორმების განვითარება დიალოგური მეტყველების ბაზაზე. მითითებული კონფერენციების შედეგებმა ფართო გამოყენება ჰპოვეს სასწავლებლო პრაქტიკაში.

დიალოგის არსის გაგებასთან მნიშვნელოვნად დაგვაახლოვა კომუნიკაციის თეორიის, სამეტყველო აქტების თეორიისა და ლინგვოპრაგმატიკის სფეროში განხორციელებულმა სამუშაოებმა.

ჩვენს მიერ განხილული ცნების საინტერესო ინტერპრეტაციას იძლევა ნ.დ. არუთინოვა. ის ამოდის იქიდან, რომ მეტყველება წარმოადგენს დამისამართებულ ქცევას, და დიალოგს მეტყველება-ქცევითი აქტების ფონზე განიხილავს. ამ უკანასკნელთა ქვეშ ავტორი მოიაზრებს სამეტყველო კომუნიკაციის ნაირსახეობას, რომელიც ჭეშმარიტ მნიშვნელობას ქცევით მნიშვნელობასთან აერთიანებს. სამეტყველო კომუნიკაციისადმი მათი კავშირიდან გამომდინარე ისინი ყოველთვის დამისამართებულია, რითაც სამეტყველო-ქცევითი აქტები განსხვავდება საქციელისგან, რომელიც არ არის აუცილებლად მიმართული სხვაზე. „სხვაზე“ მიმართული სამეტყველო გამონათქვამი, ავტორის აზრით, რეგულარულად იძენს სამეტყველო-ქცევითი აქტის სტატუსს, ხოლო „სხვების“ მიერ აღქმაზე გათვლილი ქცევითი აქტი ყოველთვის სემიოტიკურია. ქცევის სემიოტიკა ყოველთვის ვარაუდობს სხვის არსებობას. ნ.დ. არუთინოვას მოყავს მ. ჰაიდეგერის („მე ვარ ის, რასაც ვამბობ“) და ჟ.პ. სარტრის („საკუთარი თავის გამოხატვის ყველა ჩემი მცდელობა ენის არსებობას ვარაუდობს“) თვალსაზრისები. უკეთესი იქნება ვთქვას, რომ ისინი (სამეტყველო-ქცევითი აქტები) არის ენა, ან, თუ გნებავთ, ენის ძირითადი მოდუსი. ენა არ არის შეტანილი ყოფიერებაში - სხვისთვის (l'être-pour- autrui), ის თავდაპირველადვე არის თავად ყოფიერება- სხვისთვის... ენა არ შეიძლება იყოს

„გამოგონილი“ სუფთა ობიექტების სამყაროში, ვინაიდან ის თავიდანვე ვარაუდობს სხვა სუბიექტისადმი დამოკიდებულებას, ხოლო ინტერსუბიექტურობის ფარგლებში მისი გამოგონება არ არის საჭირო: ის უკვე მოცემულია „სხვისი“ ფაქტორით. იქიდან, რომ ჩემი ქმედებები გარეთ ახდენენ პროექცილებას და მოიაზრებიან სხვის მიერ, გამომდინარეობს ის, რომ მე ვარ ენა. სხვისი არსებობის აღმოჩენა ჩემს გამოცდილებაში ისეთ ფორმებში ვლინდება, როგორცაა მიმიკა და გამოხატვის საშუალებები, ქმედება და ქცევა. ყველა მათგანი მიგვამისამართებს გარკვეულ არსთან და გვაჩვენებს ცნება „სხვას“ არსებობის მნიშვნელობას თვითშემეცნების ფორმირებისათვის. სწორედ „სხვის“ არსებობის წყალობით ადამიანს შეუძლია გამოიტანოს დასკვნა თავის თავზე, როგორც ობიექტის შესახებ. მისი აზრით, შევიცნობთ რა საკუთარ თავს, ჩვენ შევიცნობთ ჩვენს ხატს საკუთარ ცნობიერებაში (2, გვ. 647).

ცნებების „მე“ და „შენ“ თანაფარდობაზე მსგავს თვალსაზრისს გამოთქვამს ასევე ე. ბენვენისტი: „სწორედ ენაში და ენის წყალობით ადამიანი კონსტიტუირდება როგორც სუბიექტი, ვინაიდან მხოლოდ ენა სძენს რეალობას, იყოს შეცნობილი, იყოს გააზრებული, როგორც ჩემი ყოფიერების ფაქტი, გამომდინარე იქიდან, რომ ცნება "ეგო - ეს ჩემი მეა". „ჩემი მე“ კი შინაარსს. სუბიექტურობა, რომელზეც მიდის აქ საუბარი, „არის მოსაუბრის უნარი წარმოადგინოს თავისი თავი „სუბიექტის“ სახით... თავისი თავის შეცნობა მხოლოდ დაპირისპირებაშია შესაძლებელი. მე შემძლია გამოვიყენო „მე“ მხოლოდ ისეთ ვინმესთან მიმართვისას, ვინც ჩემს მიმართვაში წარსდგება როგორც „შენ“. სწორედ მსგავსი დიალოგური პირობა განსაზღვრავს "სუბიექტს", ვინაიდან ის ვადაურობს ისეთ შექცევად პროცესს, როდესაც „მე“ ვხვდები „შენ“- ვინმეს საუბარში, ვინც თავის მხრივ, თავის თავს როგორც „მე“-ს აღნიშნავს. ადამიანის მდგომარეობა ენაში განუმეორებელია. ამრიგად, ირღვევა ძველი ანტინომიები „მე“ და „სხვა“ ინდივიდები საზოგადოებაში“ (3, გვ. 293-294).

მსჯელობს რა „სხვის“ კონცეფციის თაობაზე, ნ.დ. არუთინოვა მოვლენათა სამ წრეს გამოყოფს, რომლებიც მის მიერ შეყვანილია შესწავლის ფოკუსში:

- 1) პიროვნების - მისი სამეტყველო და ქცევითი გამოვლინებების სემიოტიზაცია;
- 2) თვითშემეცნება შინაგანი სამყაროს დიალოგიზაციის მეშვეობით და ცნობიერების სუბიექტის გადაქცევა შეცნობის ობიექტად;
- 3) საკუთარის და სხვისის (ეგოს და სხვისის სფეროს) პოლარიზაცია (2, გვ. 649).



დიალოგის, ისევე როგორც სხვა სახის ადამიანური საქმიანობის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს პარამეტრს წარმოადგენს მიზნობრივი მიმართება, რომელიც განსაზღვრავს არა მარტო ცალკეული რეპლიკების კავშირს ერთმანეთს შორის, არამედ ადამიანური ურთიერთობის ტიპებს, ან ჟანრებს, რომელთა ფარგლებში მოდალობების სახით ფორმირდება კომუნიკაციისათვის დამახასიათებელი როლური სტრუქტურები. ამასთან კავშირში ნ.დ. არუთინოვა ურთიერთობების ჟანრთა საერთო სქემას გვთავაზობს:

- 1) ინფორმაციული დიალოგი (make-know discourse);
- 2) პრესკრიპციული დიალოგი (make-do discourse);
- 3) დამარწმუნებელი დიალოგი, ანუ აზრთა გაცვლა გადაწყვეტილების მიღების ან ჭეშმარიტების გამორკვევის მიზნით (make-believe discourse);
- 4) დიალოგი, რომელიც მიზნად ისახავს პიროვნებათშორისი ურთიერთობების დამყარებას ან დარეგულირებას (interpersonal-relations discourse);
- 5) ფატიკური მეტყველების ჟანრები (discourse): ა) ემოციური; ბ) არტისტული; გ) ინტელექტუალური (2, გვ. 650).

მითითებული ჟანრები, რომლებიც იშვიათადაა წარმოდგენილი წმინდა სახით, არა მარტო თავისი (პირდაპირი და ირიბი) მიზნებით განსხვავდება, არამედ საპასუხო რეაქციების დაპროგრამირებულობის ხარისხით, როლებისა და კომუნიკაციური ინტერესების განაწილებით, „სამართლებრივი კოდექსით“, დიალოგური ტაქტიკების განფენილობით, სტრუქტურით, გაბმულობით, განვითარებითა და თავისი მოდალური მახასიათებლებითაც.

პირველი ორი ტიპის დიალოგთა სპეციფიკად პროგრამის განსაზღვრულობის მაღალი ხარისხი შეიძლება მივიჩნიოთ. სწორედ ისინი იძლევა საწყის მიკროსტრუქტურას, რომლის მიმართაც შეიძლება გამოვლენილ იქნას დანარჩენი ჟანრების სპეციფიკა.

დიალოგი-1-ის მიკროსტრუქტურა, ნ.დ. არუთინოვას აზრით, დაიყვანება კითხვა-პასუხის წყვილებამდე, დიალოგი-2-ის მიკროსტრუქტურა კი დაიყვანება „პრესკრიპცია - დაპირება/უარის“ წყვილამდე. დიალოგის ამ სახეობებისათვის დამახასიათებელია: სიზუსტე „რეპლიკა-მასპინძელის“ გამონათქვამებში (არუთინოვას ტერმინი), რეაქციის ხისტი დაპროგრამირებულობა, ადრესატის მიერ მოთხოვნაზე და მისი შესრულების შესაძლებლობაზე უფლების პრესუპოზიცია.

ინფორმაციული დიალოგი ეპისტემოლოგიური საჭიროებებიდან მომდინარეობს. მასში ინიციატორად იგნორანტი ამოდის, ამიტომაც კომუნიკაციურად ლიდერის როლი არ შეესაბამება და არ ემთხვევა მთავარი მოსაუბრის როლს: ლიდერობს მომხმარებელი, რომელიც ცოდნას ეძებს, აქტიური სამეტყველო საქმიანობით დაკავებულია ადრესატი - ცოდნის მფლობელი. ადრესატის ამოცანა საჭირო ინფორმაციის არჩევაში და მისი ჭეშმარიტების ხარისხის განსაზღვრაში მდგომარეობს. დიალოგი-1-ის რეპლიკებში სოციალური ეტიკეტის ფორმირება ხდება.

დიალოგი-1 შეიძლება შეიკვეცოს მონოლოგამდე მისგან კითხვების გამორიცხვისა და პასუხებს შორის დროებითი კავშირების დამყარების გზით. დიალოგი-1-ის ირიბი პროდუქტია საგამოცდო და რიტორიკული კითხვები.

დიალოგი-2-ში ადრესანტი, ავტორის აზრით, პროგრამისტის სახით გამოდის, ხოლო ადრესატი - შემსრულებლის როლში. თანამოსაუბრეები ჩვეულებრივ სოციალურად იერარქიზირებულები არიან. როდესაც ეთიკური კოდექსი კარგადაა შემუშავებული, ქმედებების შესრულებაზე უარის თქმის ალბათობა ნაკლებად სავარაუდოა და გარკვეულ შემთხვევაში მუქარებისა და დასჯის სისტემით არის უზრუნველყოფილი. დიალოგი-2 არ იკვეცება (იკუმშება) ერთიან ტექსტში.

დიალოგი-3 წარმოდგენილია სამეტყველო საქმიანობის ისეთი ფორმებით, როგორცაა კამათი, დისკუსია, აზრთა გაცვლა. მისთვის დამახასიათებელია თანამოსაუბრეთა კომპეტენტურობის (ექსპერტულობის) პრესუპოზიცია, თემატური ერთიანობა მოდუსების განსხვავების მიუხედავად. მისი ტექსტური სტრუქტურა ლოგიკური ურთიერთობებით განისაზღვრება, ხოლო ტერმინები ლოგიკური ფუნქციის (არგუმენტი, შეკამათება, უარყოფა, დასაბუთება და სხვ.) მიხედვით არის ნომინირებული. მსგავსი დიალოგის ფსიქოლოგიური განწყობა კონტრაგენტის დარწმუნებაში მდგომარეობს, რომელიც საუბრის მართვის სხვადასხვა ტაქტიკებს კარნახობს. დიალოგი-3-ის ვარიანტია კამათი ფასეულობებსა და გემოვნებაზე, თანაც ობიექტის საერთო შეფასების საკითხში აზრთა სხვაობა არ გამორიცხავს კერძო შეფასებებსა და ფაქტიურ მტკიცებებში თანხმობას. თუ თეორიულად დიალოგი-კამათი ხელს უწყობს ჭეშმარიტი და ალბათური შეფასებების განვითარებას, ფასეულობების შესახებ საუბარი ხელსაყრელ ნიადაგს ქმნის აქსიოლოგიური მოდალობის ფორმირებისათვის.

დიალოგი-4-ს, ნ.დ. არუთინოვას აზრით, აქვს სხვადასხვა ფორმები, რომლებიც განაწილებულია უნისონსა და დისონანსს შორის. უნისონი იმპლიცირებს გულახდილ აღიარებებს და ურთიერთკომპლიმენტს, დისონანსი კი იღებს კამათის და ურთიერთობების გარჩევის ფორმას. დიალოგი-4-ის ოფიციალური ფორმაა სასამართლო გამოძიება, გამოხატული ფორმაა - სკანდალები, პიკირება, გესლიანი სიტყვა, ერთმანეთის ლანძღვა.

დიალოგი-5, რომელიც კლიშირებულ მეტყველებით საქმიანობას მოიცავს და ფატიკური კომუნიკაციის სხვადასხვა ვარიანტებს შეესაბამება. დიალოგი-4-ისგან განსხვავებით, მას არა აქვს პრაქტიკული მიზანი, მაგრამ ძალიან მნიშვნელოვანია როგორც ადამიანთა ფსიქიკური მდგომარეობის და მათი ურთიერთდამოკიდებულების რეგულატორი. სწორედ ფატიკური ჟანრები შეიძლება კვალიფიცირებულ იქნას როგორც ადამიანთა თავისუფალი და ბუნებრივი ურთიერთობა, რომლის ვარიანტები განისაზღვრება იმით, თუ პიროვნების რომელი კომპონენტია მასში ჩაბმული. ვარიანტში 5-ა ხდება ადამიანთა ემოციური ურთიერთობა. მასში გამოსავალს პოულობს ემოციური განტვირთვა. მისთვის დამახასიათებელია ჩივილები და თანაგრძნობა, ტრაზახი და აღფრთოვანება, შიშები.

დიალოგში 5-ბ რეალიზდება მოსაუბრეთა არტისტული ნიჭი, მათი მიდრეკილება თამაშისადმი. რეპლიკები ესთეტიკურ რეაქციაზეა გათვლილი. ხშირად ისინი იუმორის გრძნობისკენ აპელირებენ. დიალოგი 5-ბ საკონცერტო პროგრამას მოგვაგონებს, რომელიც მინი-მოთხრობებს, ხუმრობებს, მოსწრებულ სიტყვებს, ანეგდოტებს მოიცავს.

დიალოგში 5-გ ფატიკური კომუნიკაცია ინტელექტუალურ ფორმებს იძენს - ესაა საუბრები მიმდინარე საქმეებისა და პოლიტიკის შესახებ, მომავლის პროგნოზები და წარსულის შეფასება, ვარაუდები მოვლენათა ჭეშმარიტი მნიშვნელობებისა და მათი განვითარების მიმართულების თაობაზე და ა.შ. ასეთი საუბარი თეორიული და პრაქტიკული მსჯელობის პროგრამას ემხრობა. ის უმიზნოა, მაგრამ დიდაქტიკური, ვინაიდან ცხოვრებაში ორიენტირებას, საქმეთა ამა თუ იმ ვითარების სწორ შეფასებას და მოვლენათა განვითარების ჭვრეტას გვასწავლის.

ზემოთ თქმულის შეჯამებისას, ნ.დ. არუთინოვა შემდეგ დასკვნას აკეთებს: „დიალოგი-1 დამყარებულია ინფორმაციულ, ხოლო დიალოგი-2 საქმიან ურთიერთობაზე, დიალოგი-3 წარმოადგენს აზრთა გაცვლას, დიალოგი-4

არეგულირებს პიროვნებათაშორის კონტაქტებს, დიალოგი-5 - თავისუფალი ურთიერთობა - არეგულირებს პიროვნების სხვადასხვა ასპექტებს - ემოციურს, ესთეტიკურს და ინტელექტუალურს. მას გასართობი, საწვრთნელი ან გამაწონასწორებელი დანიშნულება აქვს“ (2, გვ. 652-653).

ვთვლით, რომ ნ.დ. არუთინოვას მიერ მოყვანილი კლასიფიკაცია სავსებით მისაღებია, როგორც კომუნიკაციის დიალოგური მოდელის ინტეგრეტაციის საფუძველი მეტყველებით-ქცევით აქტებთან დაკავშირებით. ამასთანავე, უნდა აღინიშნოს, რომ კომუნიკაციის რეალური პროცესის კვლევის აუცილებლობა, გარდა მიზნობრივი მიდგომისა, გვკარნახობს სტილის წარმომქმნელ ფაქტორებზე ყურადღების მიქცევის აუცილებლობასაც. წინამდებარე სადისერტაციო ნაშრომის პრობლემატიკიდან გამომდინარე, ჩვენ აუცილებლად ჩავთვალეთ განვიხილოთ მხატვრულ ტექსტში არსებული დიალოგი, როგორც განსაკუთრებული მოვლენა. მხატვრული თხრობის ქსოვილში ჩაქსოვილი კონკრეტული დიალოგური ტექსტების ანალიზი გვიჩვენებს, რომ მხატვრული ტექსტის სტრუქტურაში დიალოგის ყველა ზემოთ განხილული ტიპი ხვდება. მხატვრული ტექსტების დიალოგის სპეციფიკა მდგომარეობს იმაში, რომ ეს უკანასკნელნი, ამოდელირებენ რა მხატვრულ საქმიანობას, ფაქტობრივად ყველა შესაძლო ტიპურ ნაირსახეობას მოიცავენ.

მეორე მხრივ, უნდა აღინიშნოს, რომ კითხვა-პასუხების ერთიანობა დიალოგური ტექსტის მხოლოდ ერთ-ერთი ნაირსახეობაა. მიუხედავად მოცემული ნაირსახეობის მნიშვნელოვანი როლისა, დიალოგი მხოლოდ კითხვებსა და პასუხებზე არ დაიყვანება. ურთიერთობის მასტიმულირებელი ფაქტორი შეიძლება იყოს რჩევაც, ბრძანებაც, თხოვნაც, და მარტივი შეტყობინებაც, რომლის გარშემო შეიძლება წარმოიშვას დიალოგი. უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენს ამოცანაში არ შედის დიალოგური ტექსტის ყველა კონსტიტუენტის კვლევა, ის მხოლოდ დიალოგური კომუნიკაციის კითხვა-პასუხის ნაირსახეობით შემოიფარგლება.

რეაქციული აქტების კვლევა კომუნიკაციის პროცესში, დიალოგის სტრუქტურაში მათი ადგილისა და როლის გააზრებას მოითხოვს. ამასთან კავშირში აუცილებელია მივმართოთ დიალოგური ტექსტის სტრუქტურაში არსებულ „კომუნიკაციურ პარტნიორს“ - კითხვით სამეტყველო აქტებს, რომელთა ფონზე ჩნდება ჩვენთვის საინტერესო მოვლენის სპეციფიკის გამოვლენის საშუალება. წინასწარი შენიშვნების შემდეგ გადავალთ კითხვა-პასუხის დიალოგური

ერთიანობის სტრუქტურული ერთეულების განხილვაზე და გამოვავლენთ რეაქციული აქტების სპეციფიკას.

## § 2.1. კომუნიკაციური ინტერაქციის მაპროვოცირებელი სეგმენტი

კომუნიკაციური ინტერაქციის მაპროვოცირებელი სეგმენტის ლინგვისტური ინტერპრეტაცია ჯერ კიდევ შორს არის დასკვნითი ეტაპისგან, მიუხედავად მისი კვლევის მრავალსაუკუნოვანი ისტორიისა და მეცნიერული ცოდნის ამ სფეროში მკვლვართა მიერ შეტანილი უზარმაზარი წვლილისა. უნდა აღინიშნოს, რომ „წმინდა ლინგვისტიკამ“ თავისი იმანენტური მეთოდოლოგიით ვერ შეძლო აღნიშნული პრობლემის გადაჭრა, რადგან მეტყველებით მოქმედებებში აღმოჩენილი ფორმისა და შინაარსის ასიმეტრიის გააზრება ვერ ჯდებოდა ტრადიციული ენათმეცნიერების კატეგორიებში.

როგორც ნორბერტ ვინერი აღნიშნავდა, როდესაც გარკვეულ ეტაპზე მეცნიერული განვითარების იმანენტურმა პერიოდმა დაიწყო ახალი იდეების ძიების დამუხრუჭება, მეცნიერებამ მომიჯნავე დისციპლინებს მიმართა და სწორედ ამ დისციპლინების გზაჯვარედინზე განხორციელდა უდიდესი რევოლუციური აღმოჩენები (6, გვ. 19).

ლინგვისტურმა სტრუქტურალიზმმა გადაჭრა ენობრივი სისტემის სინტაგმატიკისა და პარადიგმატიკის აღწერის პრობლემა, რამაც მოწინავე პოზიციებზე ენობრივი სტრუქტურის ფუნქციონირების საკითხთა მეცნიერული კვლევის წინ წამოწევა გამოიწვია. თანამედროვე ენობრივი ერთეულების ფუნქციონირების სფეროს შესწავლაში მიღწეულმა წარმატებებმა შესაძლებელი გახადა ლინგვისტურ მოდელსა და მის შინაარსს შორის არსებულ ასიმეტრიაში მთელი რიგი წინააღმდეგობების და შეუსაბამობების აღმოჩენა. მსგავსი პრობლემების კვლევამ მომიჯნავე მეცნიერებათა მოშველიება მოითხოვა, რამაც საბოლოო ჯამში გამოიწვია ახალი მეცნიერული დისციპლინების ფორმირება, ისეთების, როგორცაა ფსიქოლინგვისტიკა, სოციოლინგვისტიკა, ტექსტის ლინგვისტიკა, ლინგვო-

პრაგმატიკა, სამეტყველო აქტების თეორია, კომუნიკაციური ლინგვისტიკა და სხვა. ტრადიციული ენათმეცნიერების მრავალმა დარგმა ამ ახალ დისციპლინებს სადავო პრობლემების გადაჭრის იმედით დაუკავშირდა და საკმაოდ სერიოზული შედეგებიც მიიღო.

უნდა აღინიშნოს, რომ კომუნიკაციური ინტერაქციის მაპროვოცირებელი სემანტიკის (კითხვითობის) პრობლემამ უზარმაზარი ინტერესი გამოიწვია სწორედ კომუნიკაციურ პროცესზე ორიენტირებულ დარგებში. თუ კომუნიკაციის ფენომენის გაცნობიერების პროცესში მისი ბირთვული სემის - კითხვითობის ბუნების კვლევა და კითხვითი წინადადებების სპეციფიკა ძალიან უმნიშვნელო ადგილს იკავებდა ტრადიციულ ენათმეცნიერებაში (ეს ძირითადად კილოებისა და დროთა სახეობების ფორმების შესწავლას უკავშირდებოდა), სამეტყველო აქტების თეორიასა და კომუნიკაციურ ლინგვისტიკაში მან ძალიან დიდი მნიშვნელობა შეიძინა.

აღნიშნული პრობლემის შესწავლა მისი დინამიკის პროცესში შესაძლებლობას იძლევა კომუნიკაციის ფენომენიდან გამომდინარე და კომუნიკაციურ-ფუნქციური ასპექტის მიღწევების წყალობით განვსაზღვროთ კითხვითობის მექანიზმის შინაგანი ბუნება და ხელი შევუწყოთ მეცნიერების გასვლას ჩაკეტილი წრის ფარგლებს გარეთ.

ტერმინი „კომუნიკაციური ლინგვისტიკა“, რომელზედაც ესოდენ ბევრს წერენ ამჟამად, ფაქტობრივად არ გამოიყენება მკაცრად ჩამოყალიბებული ტერმინოლოგიური მნიშვნელობით (თუ არ მივიღებთ მხედველობაში გ. ლებანიძის ნაშრომს „ანთროპოცენტრიზმი და კომუნიკაციური პარადიგმა“). ერთი მხრივ, ჩვენ აპრიორი მოცემული გვაქვს ეს ცნება, მეორე მხრივ კი უდავოა ის ფაქტი, რომ მსგავსი განსაზღვრება მხოლოდ მეცნიერული კვლევების დასკვნით ეტაპზეა შესაძლებელი. მიუხედავად სხვადასხვა თვალსაზრისების არსებობისა, მსგავსი ცნების აუცილებლობას მეცნიერთა უმეტესობა აღიარებს.

კომუნიკაციური ლინგვისტიკის აქტუალობა ლინგვისტური მეცნიერების განვითარების ამ ეტაპზე, გ. ლებანიძის აზრით, მეცნიერული პარადიგმების ცვლით არის განპირობებული. ვინაიდან გ. ლებანიძის ზემოთ მითითებულ თეორიულ ნაშრომში, რომელიც კომუნიკაციური ლინგვისტიკის სტატუსის განსაზღვრას ეძღვნება, ჩვენთვის მრავალი საინტერესო მასალაა დაცული, განვიხილოთ მისი ძირითადი დებულებები.

ენათმეცნიერების კონცეპტუალური აპარატი იმ ცვლილებებს ასახავს,

რომლებიც ანთროპოცენტრული მეცნიერული პარადიგმის დამკვიდრების შედეგად მოხდა. გ. ლებანიძის თქმით, „ლინგვისტური აზროვნების განვითარების ეტაპობრივი სტრუქტურა ენობრივი ნიშნის სამგანზომილებიან სტრუქტურას შეესაბამება, ამიტომ ლინგვისტური განვითარების თეორიული რეკონსტრუქციისა და ამ განვითარების დინამიკის განსაზღვრისას აუცილებელია სამი ეტაპის გამოყოფა: სინტაქტიკას, რომელიც ნიშნებს შორის ურთიერთდამოკიდებულებას შეისწავლის, შეესაბამება სტრუქტურალიზმის ეტაპი, სემანტიკას - ფუნქციური ლინგვისტიკის პოსტსტრუქტურალისტური ეტაპი, პრაგმატიკას კი, რომელიც ნიშნებსა და მათ მომხმარებლებს შორის ურთიერთობებს შეისწავლის, შეესაბამება კომუნიკაციური ლინგვისტიკის ეტაპი“ (28, გვ. 35).

კომუნიკაციური ლინგვისტიკა ახორციელებს ლინგვისტური განვითარების მოწინავე მიმართულებების სინთეზს და კონცენტრირდება ადამიანზე, სუბიექტზე, პიროვნებაზე, ის თავად ცვლის კომუნიკაციის ცნებას. თუ კომუნიკაციური ლინგვისტიკის განვითარებამდე კომუნიკაცია როგორც ისეთი რეალების აქტუალიზაციად მოიაზრებოდა, როგორცაა ენობრივი კოდი, ენობრივი სისტემა, ადამიანის ენობრივი უნარები, ხოლო კომუნიკაციურ ფუნქციას მხოლოდ შესაძლო დაშვებების დონეზე აღიარებდა, ახალი კონცეფციის ფარგლებში მთელი ყურადღება ადამიანზე მახვილდება, რომელიც იყენებს ენობრივ სისტემას. ფუძემდებლურ მიზნად იქცა ადამიანის, როგორც ენობრივი პიროვნების კვლევა, რომელიც კომუნიკაციაში, როგორც კომუნიკაციური აქტის სრულყოფილებიანი სუბიექტი მონაწილეობს.

კომუნიკაციური ტერმინების ახლებური გაგების შუქზე გ. ლებანიძე შემდეგნაირად აფიქსირებს თავის პოზიციას: მისი აზრით, კომუნიკაციური ლინგვისტიკის უმნიშვნელოვანესი თეორიული წინაპირობაა კომუნიკაციის ისეთი გაგება, როგორც სამეტყველო აქტის, პროცესის, რომელიც როგორც ადამიანის საერთო საქმიანობის ნაირსახეობა, კომპონენტი აღიქმება. ადამიანისთვის, როგორც სოციალურ-ბიოლოგიური არსებისთვის, დამახასიათებელია ჯერ ერთი, გარემოზე, მეორე, სოციუმის სხვა წევრებზე მიმართული აქტიური საქმიანობა. საქმიანობის ეს სახეობები მჭიდრო ურთიერთკავშირში აღიქმება, თანაც კომუნიკაციის სუბიექტის თანამედროვე გაგებისათვის ეს ორი მომენტი - საქმიანობა და ურთიერთობები - ერთმანეთის იდენტურია: გარემოს მიმართ აქტივობა სწორედ რომ ნიშნავს

საზოგადოების სხვა წევრებთან ურთიერთობებს. სწორდ კომუნიკაცია წარმოადგენს ურთიერთობების - საქმიანობის ერთიან პროცესს. ამიტომ ამ ერთიანი აქტისათვის დამახასიათებელი ყველა ეტაპი და ნიშანი (შინაარსი, სტრუქტურა, მოქმედების ძირითადი ფაზები) კომუნიკაციური აქტებისათვისაც არის ჩვეული. მაგრამ, მეორე მხრივ, კომუნიკაციური აქტი არასდროს არ არის ჭეშმარიტად ავტონომიური აქტი, ის ყოველთვის ადამიანური საქმიანობის უფრო ტევად და უფრო შინაარსობრივ კომპონენტს წარმოადგენს.

ასრულებს რა თავის მსჯელობას კომუნიკაციის პროცესის ახლებული გაგების შესახებ, გ. ლებანიძე აღნიშნავს: „კომუნიკაციური ლინგვისტიკა აუცილებელია მოვიაზროთ, როგორც ლინგვისტური აზრის იმ პერიოდის დასრულება, რომელიც იმანენტობის პრინციპზეა დაფუძნებული. სოსიურის პრინციპის მიხედვით, „ენის გაგება ენაში და ენისთვის“ ჩვენ არ უნდა გავცდეთ ენის ფარგლებს. აქტუალიზაციაზე დაფუძნებული კომუნიკაციის გაგებაც კი იმანენტური პრინციპის ფარგლებში იყო მომწყვდეული და არ გულისხმობდა ენობრივი სისტემის ფარგლებს გარეთ გასვლას“ (28, გვ. 50-51).

კომუნიკაციური პარადიგმის ახლებულმა გაგებამ შეცვალა აქტუალიზაციის პროცესის გაგება, რომელიც მზა კონსტრუქციების არსებობას ვარაუდობდა. პროცესუალური ქმედების იდეის თანახმად, თითოეული ენობრივი ერთეული საბოლოოდ კომუნიკაციის პროცესში ფორმდება, ან ცვლის თავის წინამორბედ ფორმას.

კომუნიკაციური ლინგვისტიკის კონცეპტუალური ბირთვი გ. ლებანიძეს შემდეგნაირად აქვს წარმოდგენილი:

### კომუნიკაციური ლინგვისტიკის კონცეპტუალური ბირთვი

სქემა №5

მორფემა → სიტყვა → წინადადება → ტექსტი  
(დინამიკა ვერტიკალურ სიბრტყეში);

სინტაქტიკა → სემანტიკა → პრაგმატიკა  
(დინამიკა ჰორიზონტალურ სიბრტყეში);

ორივე ამ კონცეპტუალურ ბირთვს, საბოლოო ჯამში, მივყავართ კომუნიკაციური ლინგვისტიკისკენ, თანაც ორივე ეს კომპონენტი ძალიან



თავისებურადაა ასახული ლინგვისტური აზროვნების დინამიკაში.

კომუნიკაციურობის პრობლემასთან დაკავშირებით, რომელიც ჩვენი სადისერტაციო კვლევის თემას წარმოადგენს, ზემოთ მითითებულ ნაშრომში აქტუალურია პრაგმატიკის ძირითადი დებულებების, როგორც კომუნიკაციური ლინგვისტიკის ბირთვის გამოყოფა. მიუხედავად იმისა, რომ ამჟამად ლინგვისტიკა მხოლოდ თავისი კომპეტენციის საზღვრების გარკვევითაა დაკავებული, უკვე ჩამოყალიბდა საკითხთა მთელი წრე, რომლებიც მის კონცეპტუალურ საფუძველს წარმოადგენენ.

გ. ლებანიძის ზემოთ ნახსენები ნაშრომისთვის, რომელიც კომუნიკაციის სტრუქტურაში, კერძოდ ინტერსუბიექტური კომუნიკაციის ფონზე განიხილავს კითხვითობის პრობლემას, უზარმაზარ მნიშვნელობას იძენს იმ მოვლენათა განმარტება, რომლებიც უშუალოდაა დაკავშირებული პრაგმატიკის მეცნიერულ აპარატთან, ისეთების როგორიცაა: ინტერსუბიექტურობა, კომუნიკაციური სიტუაცია, კომუნიკაციური სტრატეგიის განმსაზღვრელი ფაქტორები, მეტყველებითი ფორმისა და შინაარსის ასიმეტრია და ა.შ.

პრაგმატიკის ეტაპი, რომელიც დაკავშირებულია მეტყველებაში ნიშნების გამოყენებასთან და მოლაპარაკე სუბიექტის მიერ მათ შესწავლასთან, ეყრდნობა მორისისა და პირსის გამოცდილებას სინტაქტიკის (ნიშნებს შორის ურთიერთობა) და სემანტიკის (ნიშნების დამოკიდებულება მათ აღსანიშნავთან) კვლევასთან დაკავშირებით.

პრაგმატიკა შეისწავლის კომუნიკაციურ პროცესთან დაკავშირებულ საკითხთა კომპლექსს. ურთიერთობების თვალსაზრისით მეტყველების პროცესში გამოყოფენ ადრესანტის (მოლაპარაკის) და ადრესატის (მსმენელის) პოზიციას. კომუნიკაციის სუბიექტის შესწავლისას პრაგმატიკისთვის განსაკუთრებულ მნიშვნელობას შემდეგი საკითხები იძენს:

ა) მოცემული სამეტყველო აქტის ხილული და ფარული მიზნების კვლევა;

ბ) სამეტყველო ტაქტიკის და სამეტყველო ქმედებების ტიპის განსაზღვრა;

გ) სამეტყველო ქცევის წესების ფორმულირება, რომლებიც ექვემდებარება თანამშრომლობის პროცესს და რეკომენდირებულია სამეტყველო გამონათქვამის ასაგებად კომუნიკაციის მიზანსა და საუბრის მიმართულების თანახმად;

დ) იმ პრაგმატული მნიშვნელობის გარკვევა, რომელსაც სამეტყველო

გამოთქმაში დებს მოლაპარაკე სუბიექტი: შენიშვნები, მინიშნებები, ირიბი შენიშვნები და ა.შ.

ე) მოლაპარაკე სუბიექტის რეფერენცია, ან ენობრივი გამოთქმების მისადაგება გარშემომყოფი სინამდვილის მოვლენებისადმი მოლაპარაკე სუბიექტის მიზნების თანახმად;

ვ) პრაგმატული პრესუპოზიციის განსაზღვრა, ე.ი. ადრესანტისა და ადრესატისთვის საერთო ცოდნის, ინტერესების, შეხედულებების, კონკრეტულ საკითხში ინფორმირებულობის, აღქმის უნარის გათვალისწინება;

ზ) მოსაუბრის დამოკიდებულება მის მიერ გადმოცემული ინფორმაციის მიმართ, რაც ერთი მხრივ, გამოიხატება გამოთქმის შეფასებაში (მის ჭეშმარიტებასა თუ მცდარობაში, ირონიაში, მრავალმნიშვნელობიანობაში, არასერიოზულობაში და ა.შ.), ხოლო მეორე მხრივ, ინტერესის ფოკუსირებაში იმ პირზე, რომელზეც მიდის საუბარი, და მოცემულ საინფორმაციო ცენტრთან შესაბამისობაში გამონათქვამის აგებაში.

როგორც ცნობილია, პრაგმატიკა იმ ენობრივ განზომილებასთან არის დაკავშირებული, რომელშიც სამეტყველო აქტის სუბიექტურობა მჟღავნდება. თუ კომუნიკაციური ლინგვისტიკის განვითარების პირველ ეტაპზე სამეტყველო აქტის სუბიექტურობა მხოლოდ მოსაუბრისგან მომდინარეობდა, მოცემული მეცნიერების განვითარების თანამედროვე ეტაპზე ის კომუნიკანტებს შორის ურთიერთობათა მთელი სისტემით განისაზღვრება. სამეტყველო აქტში ადრესატის როლის შესწავლასთან დაკავშირებით მნიშვნელოვნად გვესახება შემდეგი საკითხების გამოყოფა:

ა) მეტყველების აგების წესები, რომლებსაც კონვერსაციული მაქსიმები უწოდეს და რომლებიც გ. გრაისის მიერ იყო ფორმულირებული. მან გამოყო რაოდენობის მაქსიმა, რომელიც გამონათქვამის ადეკვატურ ნორმირებას მოითხოვს; ხარისხის მაქსიმა, რომელიც ინფორმაციის ჭეშმარიტებას არეგულირებს და მის არგუმენტაციას, შეფასებას მოითხოვს; მეტყველების მანერის მაქსიმა, რომლებიც გამონათქვამის გარკვეულობას, თანმიმდევრულობას მოითხოვს და არ უშვებს ორაზროვნებას; ფარდობითობის მაქსიმა, რომლის თანახმად გამოთქმის შინაარსი საუბრის თემის რელევანტური უნდა იყოს (9, გვ. 217).

პრაგმატული სიტუაცია, პრესუპოზიცია და მისი მიზნები, რომელთა გამო

მოსაუბრეს შეუძლია შეგნებულად გადაუხვიოს მიღებულ მაქსიმებს (მაგალითად, დაარღვიოს რელევანტობის მაქსიმა, შეატყობინოს მსმენელს საყოველთაოდ ცნობილი ფაქტი);

ბ) გამოთქმის ზემოქმედების ხარისხის განსაზღვრა (ოსტინის ტერმინოლოგიით - პერლოკუციური ეფექტი), ადრესატის ინფორმირებულობის გაფართოება, მისი ემოციური მდგომარეობების და შეხედულებების შეცვლა, ესთეტიკური ეფექტის მოხდება და ა.შ.;

გ) მიღებულ ენობრივ სტიმულზე (პირდაპირი და ირიბი სამეტყველო რეაქციები, დასმულ კითხვაზე პასუხის გაცემის არიდების შესაძლო გზები და ა.შ.) სამეტყველო რეაგირების ტიპების კლასიფიკაცია.

გრამატიკის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი კატეგორიაა კომუნიკაციური სიტუაციის ცნება, რომელიც ახდენს შემდეგი პარამეტრების აქტუალიზირებას:

ა) დეიქტიური ნიშნების („აქ“, „ებლა“, „ის“ და ა.შ.) და ლექსიკური მნიშვნელობების ინდექსალური კომპონენტების (რომლებიც სივრცით ორიენტაციაზე მიუთითებენ, მაგალითად, „მოვიდა“, „წავიდა“) ინტეპრეტაციას;

ბ) კომუნიკაციის თემატიკასა და ფორმაზე სამეტყველო სიტუაციის ზემოქმედების კვლევა (მაგალითად: ტიპიზირებული სიტუაციები - სტუმრად, ბანკეტზე, საავადმყოფოში, ადვოკატთან და ა.შ.).

პრაგმატიკის (რომელიც კომუნიკაციური ლინგვისტიკის ბირთვს წარმოადგენს) საბაზო საფუძვლად სამეტყველო აქტების თეორია მიიჩნევა. თუ ტრადიციულ ენათმეცნიერებაში კომუნიკაციის ერთეულად წინადადება ან გამონათქვამი იყო აღიარებული, ლინგვოპრაგმატიკა მსგავს ერთეულად სამეტყველო აქტს მიიჩნევს. ასე, მაგალითად, მოცემული მიმართულების ერთ-ერთი დამფუძნებელი ჯ. სერლი წერს:

„საყოველთაოდ გავრცელებული აზრის საპირისპიროდ ენობრივი ურთიერთობის ძირითადი ერთეულია არა სიმბოლო, არა სიტყვა, არა წინადადება და არც სიმბოლოს, სიტყვის ან წინადადების კონკრეტული ეგზემპლარი, არამედ ამ კონკრეტული სიმბოლოს წარმოება სამეტყველო აქტის შესრულების მსვლელობაში“ (42, გვ. 152). იგივე აზრს ავტორი სხვა ნაშრომში იმეორებს „A Classification of illocutionary acts " (42, 3).

მსგავს მოსაზრებას გამოთქვამს რ. პავილიონისიც, რომელიც აღნიშნავს, რომ

კომუნიკაციის მინიმალური ერთეული ვერ იქნებოდა ვერც წინადადება და ვერც რაიმე სხვა ენობრივი ერთეული ან გამონათქვამი, არამედ მხოლოდ მათი მეშვეობით განხორციელებული სამეტყველო მოქმედება. პავლიონისის აზრით, ჯ. ოსტინის მიერ კომუნიკაციური ერთეულის სახით სამეტყველო აქტის გამოყოფასა და მისი განსაზღვრას შორს მიმავალი შედეგები ექნება (37, გვ. 380).

სამეტყველო აქტი განისაზღვრება, როგორც ლინგვოპრაგმატიკასთან დაკავშირებული უმნიშვნელოვანესი კატეგორია. ლოგიკურ-ფილოსოფიური ენათმეცნიერების ტრადიციათა კალაპოტში (რ. მონტეგიუ, დ. დუისი, მ. კრესუელი) პრაგმატიკა აღიქმება როგორც სამეტყველო აქტების და იმ კონტექსტების შესწავლა, რომლებშიც ისინი გამოიყენება. როგორც რ. სტოლნიეკერი აღნიშნავს, პრაგმატიკა შეისწავლის სამეტყველო აქტებს და იმ კონტექსტებს, რომლებშიც ხდება მათი რეალიზება (44, გვ. 422).

სამეტყველო აქტების თეორიამ ინტენციონალურობის პრობლემის კვლევის წყალობით სრულიად ახლებურად დააყენა კომუნიკაციური სიტუაციის მოდელის გაგების საკითხი. ახალ კონცეფციაში განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს სამეტყველო აქტის აღქმა როგორც ენობრივი ნიშნების გამოყენების მეშვეობით სუბიექტის კომუნიკაციური მიზნების მიღწევის საშუალება. ერთიანი ენობრივი აქტი ახალ თეორიაში სამგანზომილებიანი წარმონაქმნის სახით არის წარმოდგენილი. მისი განხორციელების პროცესში გამოყენებულ ენობრივ ერთეულებთან მიმართებაში სამეტყველო აქტი ლოკუციურ აქტს წარმოადგენს. მასში მანიფესტირებულ მიზანთან და მის განსახორციელებლად აუცილებელ პირობებთან მიმართებაში სამეტყველო აქტი ილოკუციურ აქტს წარმოადგენს, ხოლო განხორციელებული სამეტყველო აქტის შედეგებთან მიმართებაში - პერლოკუციური აქტია.

მითითებულ თეორიას საფუძვლად ილოკუციის ცნება უდევს, რომელზეც დაყრდნობა გვაძლევს შესაძლებლობას სრულიად ახლებურად შევხედოთ კომუნიკაციის თეორიას, კერძოდ კითხვითობის პრობლემას, ამიტომ საჭიროდ მიგვაჩნია ეს ცნება დეტალებში განვიხილოთ.

ილოკუციური აქტი წარმოადგენს კომუნიკაციური ინტენციის ფორმირების აქტს. ჯერ კიდევ ტრადიციულ ენათმეცნიერებაში, რომელშიც განიხილებოდა საკითხი წინადადების კომუნიკაციური ფორმის შესახებ (როდესაც განასხვავებდნენ

წინადადების სინტაქსურ და კომუნიკაციურ ფორმას, ამ უკანასკნელის ქვეშ მოიაზრებდნენ მტკიცებით, კითხვით ან ბრძანებით ფორმებს), იმპლიციტურად უკვე მოიაზრებოდა გამონათქვამის ილოკუციური ძალის არსებობა (ლათინურიდან თარგმანში ილოკუცია მეტყველების გარე ძალას ნიშნავს). თითოეული გამონათქვამი ან უკვე წარმოდგენილია ან შეიძლება წარმოდგენილი იქნას რთული ქვეწყობილი წინადადების სახით, რომელშიც მთავარი წინადადება მოსაუბრე სუბიექტის კომუნიკაციურ ინტენციას განასახიერებს, ხოლო დამოკიდებული წინადადება - რეფერენტული სიტუაციის ნომინაციას. მსგავსი მთავარი წინადადება, რომელიც მეტყველების სუბიექტის კომუნიკაციურ ინტენციას გამოხატავს, ჩვეულებრივ დალექილია ნებისმიერი გამონათქვამის სიღრმეში და ადვილად ექსპლიცირდება. მსგავსი ინტენციის თავისებურება მდგომარეობს იმაში, რომ, მართალია, ის ენობრივი ფორმითაა წარმოდგენილი, მაგრამ ყოველთვის გარკვეულ ქმედებას წარმოადგენს („მე ვამტკიცებ“ ნიშნავს, რომ მე მეტყველებისგარე ქმედებას - მტკიცებას ვახორციელებ).

გამონათქვამის ილოკუციური ძალა ეწოდება მის იმ ნაწილს, რომელიც იმპლიციტური ან ექსპლიციტური ფორმით გამოხატავს ქმედებაში გარდაქმნილ ინტენციას. ტერმინის არჩევა, როგორც ჩანს, აიხსნება იმით, რომ ეს, ყველაზე ხშირად იმპლიციტურად, შეკვეცილი სახით წარმოდგენილი ნაწილი, მიუხედავად ყველაფრისა, წარმოადგენს სამეტყველო გამონათქვამის სიღრმისეული სტრუქტურის განუყოფელ ნაწილს.

იმ ზმნებს, რომლებიც გამონათქვამის ილოკუციურ ძალას გამოხატავენ, პერფორმატივებს უწოდებენ.

სამეტყველო აქტების თეორია მოსაუბრისა და მსმენელის თვალთახედვიდან გამომდინარე უშუალოდ ეხება გამონათქვამის სუბიექტური მნიშვნელობების პრობლემას. პ. გრაისის აზრით, გამონათქვამის სუბიექტური მნიშვნელობაა მოსაუბრის განზრახვა ამ გამონათქვამის მეშვეობით და მსმენელის მიერ ამ ზრახვების გააზრების შედეგად მიაღწიოს გარკვეულ შედეგებს, (9, გვ. 217).

ამ დებულების ძალიან საინტერესო ინტერპრეტაციას ვპოულობთ სტროსონთან, რომელიც აღნიშნავდა, რომ გამოცნობას დაქვემდებარებული კომუნიკაციური ზრახვა (საავტორო ტერმინოლოგიით - „ღია ილოკუციური ძალა“) წარმოადგენს მნიშვნელოვან ელემენტს ილოკუციის განსაზღვრისას (45, გვ. 137).

სამეტყველო აქტისათვის დამახასიათებელ სპეციფიკურ თავისებურებებს შორის ვ. დემიანკოვა ყველაზე მნიშვნელოვნად მიჩნევს შემდეგ მოსაზრებებს:

1. სამეტყველო აქტის წარმატებულობის წინაპირობა მდგომარეობს იმაში, რასაც შარლ ბალიმ სინტაქსურ თეორიაში მოდუსის ცნება დაარქვა, მოიაზრებდა რა მის ქვეშ გამონათქვამის პერფორმაციულ ნაწილს.

2. სამეტყველო აქტი კომუნიკაციის ყველაზე ელემენტარული ნაწილია, მოსაუბრის მიერ წარმოთქმული ენობრივი გამონათქვამების ერთობლიობაა, რომელიც შეიძლება გაგებული და აღქმული იყოს ერთი მსმენელის მიერ მაინც.

3. სამეტყველო აქტი ჩვეულებრივ არასამეტყველო მოქმედებების მთელი სერიის დასკვნითი ეტაპია, მისი განმასხვავებელი თავისებურებაა უნივერსალურობა. ყველა სამეტყველო აქტი შეიძლება შეპირისპირებული იქნას ამ ნიშნის მიხედვით: უნივერსალური სამეტყველო აქტი და სოციალურად განპირობებული სამეტყველო აქტი. პირველთა მაგალითად შეიძლება გამოგვადგეს რაიმეს მტკიცება, ხოლო ბავშვების ყოლასთან დაკავშირებული კითხვა, რომელიც ზოგიერთი აფრიკული ტომისათვის ეტიკეტის ჩვეულებრივი ფორმულაა, წარმოადგენს მკვეთრად გამოხატული სოციალური განპირობებულობის მქონე სამეტყველო აქტს.

4. სამეტყველო აქტების უნივერსალური თვისებები კონკრეტულ ენობრივ თავისებურებებს უპირისპირდება, თანაც უნდა აღინიშნოს, რომ პერლოკუციები ყოველთვის უნივერსალურია, მაშინ როდესაც ილოკუციებს შეიძლება ჰქონდეს როგორც უნივერსალური, ისე სპეციფიკური ხასიათი, რაც ენობრივი უნივერსალიების შესწავლის ახალ და საკმაოდ საინტერესო ასპექტს წარმოადგენს.

5. სამეტყველო აქტები შეიძლება წარმოდგენილ იყოს როგორც რთული წინადადებების ან გამოთქმების სახით, ისე მათი სტრუქტურული ნაწილის სახით.

მაგალითად, ნომინაციური სიტყვათშეწყობა შეიძლება მეტი ან ნაკლები წარმატებულობით აღქმულ იქნას აღწერილობითი სამეტყველო აქტის სახით (თუმცა სამეტყველო აქტების კლასიკურ თეორიაში ეს ასე არ არის).

6. სამეტყველო აქტები ძალიან მნიშვნელოვან ფუნქციას ასრულებენ, აერთიანებენ რა ვერბალურ და არავერბალურ ქმედებებს.

7. წინადადების ზედაპირული სტრუქტურის სახით აღქმული სამეტყველო აქტები არ იწარმოება ლატენტური (ნულოვანი) სტრუქტურებით. ისინი წარმოადგენენ მეტყველების უშუალო რეალობას თავისი ტექსტური კონექტორებით

და ენობრივი ერთეულების გამოყენების წესებით, რომლებიც გრამატიკით რეგულირდება.

8. სამეტყველო აქტები გვამღევს საშუალებას გავმიჯნოთ ტექსტის და ქვეტექსტის უმნიშვნელოვანესი ცნებები.

9. სამეტყველო აქტები მჭიდროდაა დაკავშირებული „ფრემის“ ან ჩარჩოს ცნებით, მაგრამ ეს კავშირი სხვადასხვაგვარად მოიაზრება სამეტყველო აქტების მოდელირების სხვადასხვა კონცეფციებში. არსებობს სამეტყველო აქტების „სარიტუალო“ თანმიმდევრობა, რომლებიც ინტერპრეტირდება გარემო სამყაროს შესახებ ჩამოყალიბებულ წარმოდგენასთან შესაბამისობაში და რომლებიც ადეკვატური ინტერპრეტაციისათვის დამატებით გარკვეულ მეტაპირობებს მოითხოვენ, რომლებიც ძირითადად იმის დაზუსტებასთან არის დაკავშირებული, თუ რომელი ფრემის კონტექსტში ვიმყოფებით მოცემულ მომენტში (რომლებიც ეყრდნობა კომუნიკანტის წინამორბედ, ამჟამინდელ და მომავალში მოსალოდნელ ქმედებებს).

10. ნებისმიერი სამეტყველო აქტის ტიპური ამოცანაა კომუნიკანტის აზრზე, მსოფლმხედველობაზე ზემოქმედება ამ უკანასკნელის მიერ გამონათქვამის შინაარსის ინტერპრეტირების დროს. ამავდროულად, კომუნიკაციური აქტების საერთო თვისებები წარმოადგენს რამდენიმე სუბიექტის გაცნობიერებულ ერთობლივ ქმედებებს, რაც შესაძლებელს ხდის მეტყველების მაკროდონეზე შემოყვანილ იქნას შესაბამისობის/შეუსაბამობის და მიღება/მიუღებლობის ცნება, რაც შეუძლებელია იმ შემთხვევაში, როდესაც იზოლირებული წინადადებებით ოპერირებენ.

11. სამეტყველო აქტები თავის თავში მოიცავენ კონტექსტური პრაგმატიკის გრამატიკულ აღწერას და ადრესანტისა და ადრესატის კომუნიკაციური როლების განსაზღვრას (რაც კონკრეტული სოციუმის და მასში მიღებული კონვენციებით რეგულირდება). აღნიშნული ნორმები გვიჩვენებს, თუ მოცემულ სამეტყველო აქტში რომელი ვარიანტია უპირატესი.

12. წინადადების აღქმა, რომელშიც მოცემული სამეტყველო აქტშია გამოხატული, ჩვეულებრივ დაკავშირებულია დედუქციურ იმპლიკაციასთან აზროვნების დონეზე, რაც სრულიად განსხვავებულად აყენებს ენისა (გრამატიკის, ენობრივი ნორმების) და აზროვნების ურთიერთკავშირის საკითხს.

13. წარმატებული კომუნიკაციისათვის არ არის საკმარისი წინადადების,

გამონათქვამის მხოლოდ ფაქტობრივი შინაარსის აღქმა, აუცილებელია მოცემული სამეტყველო აქტის კომუნიკაციური მიზნის დაზუსტება, ამიტომ ილოკუციური ძალის გამოვლენა ენობრივ აღწერაში უნდა შევიდეს.

14. ყოველივე ზემოთქმულის გარდა, სამეტყველო აქტი უშუალოდ აკავშირებს წინადადებას გამონათქვამთან (13, გვ. 225-227).

სამეტყველო აქტების თეორიამ, რა თქმა უნდა, მძლავრი იმპულსის როლი ითამაშა ენათმეცნიერების განვითარებაში და დღის წესრიგში დააყენა ემპირიული მასალის კლასიფიკაციის პრობლემა.

პირველი მსგავსი კლასიფიკაცია, რომელიც ჯ. ოსტინს ეკუთვნოდა, ეყრდნობა ქმედების აღმნიშვნელი ზმნის უმთავრეს როლს. ოსტინი მიიჩნევს, რომ ილოკუციური ძალის შესასწავლად აუცილებელია იმ ზმნების შეგროვება და კლასიფიცირება, რომლებიც აღნიშნავენ სამეტყველო აქტის პროცესში განხორციელებულ ქმედებებს და რომლებიც შეიძლება გამოყენებულ იქნას გამონათქვამის ილოკუციური ძალის ექსპლიკაციისათვის.

ოსტინის კლასიფიკაციას, ცხადია, პირობითი ხასიათი აქვს და ძირითადად მის მეცნიერულ ინტუიციას ეყრდნობა. განსაკუთრებულ ინტერესს წარმოადგენს ის გარემოება, რომ თავად ავტორი ამ კლასიფიკაციას წინასწარს უწოდებს:

„მე ვაუწყებ, რომ ვეცდები განვახიროციელო წინასწარი საერთო კლასიფიკაცია - გამოვყო ხუთი საერთო კლასი, თუმცა, არცერთი მათგანი არ მაკმაყოფილებს სრულად“ (36, გვ. 118).

არანაკლებ საინტერესოა ის ფაქტი, რომ ავტორს არა აქვს მოცემული პრობლემის საბოლოო გადაჭრის პრეტენზია. აჯამებს რა მოცემულ სფეროში თავისი კვლევის შედეგებს, ოსტინი წერს, რომ ჰარვარდის უნივერსიტეტში, სადაც ეს პრობლემა იყო დაყენებული, მას ორგვარი მიზანი ჰქონდა: „ჯერ ერთი, განისაზღვროს პროგრამა, დაზუსტდეს, თუ რა უნდა გაკეთდეს, თუმცა მე თავად არაერთხელ მიწევდა ამის კეთება; მეორე, წაკითხულ იქნას ლექციები“ (36, გვ. 129).

ოსტინის კლასიფიკაცია, რომელიც გამონათქვამის ილოკუციურ ძალას ეყრდნობა, მოიცავს ხუთ კატეგორიას:

1. ვერდიქტივები; 2. ეგზერსიტივები; 3. კომისივები; 4. ბეჰაბიტივები; 5. ექსპოზიტივები.

ვერდიქტივების გამოყოფისას ოსტინი ეყრდნობა სასამართლო განაჩენის



გამოტანის სპეციფიკას, თუმცა აღნიშნავს, რომ ვერდიქტი ყოველთვის არ წარმოადგენს საბოლოო განაჩენს, ის შეიძლება იყოს მომხდარის შეფასება, მოწონებული აზრი.

ავტორის აზრით, ეგზერსიტივები ახორციელებენ ზემდგომი ძალების უფლებებს. მსგავსი სამეტყველო აქტები წარმოდგენილია ბრძანებებში, რეკომენდაციებში, გაფრთხილებებში.

მესამე კლასი წარმოდგენილია კომისივებით, რომელთა შემადგენლობაში შედის პირობების დაყენება, ვალდებულებათა აღების სხვადასხვა ფორმები, რომლებიც გვამბობენ შევასრულოთ გარკვეული ქმედებები. აქვე, ამავე ჯგუფში ოსტინი განიხილავს დეკლარაციებს და განცხადებებს რაიმე განზრახვების შესახებ .

მეოთხე კლასი, რომელსაც ოსტინმა ბეჰაბიტივები უწოდა, წარმოადგენს საზოგადოებაში ქცევის ნორმებთან დაკავშირებულ შერეულ ჯგუფს. ეს ეტიკეტური ფორმულებია, რომლებიც ურთიერთობის სხვადასხვა სიტუაციებში გამოიყენება. ამ ჯგუფს განეკუთვნება ბოდიშის მოხდის, მილოცვის, თანაგრძნობის, გამოწვევის სამეტყველო აქტები და სხვა.

მეხუთე, ექსპოზიტივთა კლასი, ავტორის აზრით, ძნელად ექვემდებარება განსაზღვრებას, ძირითადად ექსპოზიტივები აჩვენებენ, რა ადგილს იკავებს მოცემული გამონათქვამი საუბრის ან კამათის დროს და როგორ იყენებენ კომუნიკანტები სიტყვებს.

კითხვებიც სწორედ ექსპოზიტივების განრიგს განეკუთვნება. ზოგიერთი ილოკუციური ზმნის ანალიზისას, ოსტინი ცდილობს განსაზღვროს ისეთი ერთეულების ადგილი, როგორცაა „დაქვეება“, „კითხვა“, „უარყოფა“ და სხვა. მას მიაჩნია, რომ მსგავსი ზმნები კომუნიკაციის ისეთ სპეციფიკურ ფორმასთან არის დაკავშირებული, როგორცაა დიალოგი, თუმცა თანამედროვე სამეტყველო პრაქტიკაში ეს პირობა არ არის სავალდებულო (36, გვ. 127).

მიუხედავად იმისა, რომ ჯ. ოსტინის მიერ განხორციელებული სამეტყველო აქტების კლასიფიკაციის პირველი მცდელობა საკმაოდ სპონტანური იყო, მან განამტკიცა მისი, როგორც ახალი მიმართულების ფუძემდებლის მდგომარეობა და დიდი გავლენა მოახდინა მკვლევართა მომდევნო თაობაზე.

სამეტყველო აქტების კლასიფიკაციის პრობლემამ თავისი შემდგომი განვითარება ჰპოვა ჯ. სერლის ნაშრომში „A classification of illocutionary acts“,

რომელშიც ავტორი გამოყოფს იმ პარამეტრებს, რომლების მიხედვითაც უნდა მოხდეს სამეტყველო აქტების კლასიფიკაცია. ოსტინისგან განსხვავებით, რომელიც თავის კვლევაში ილოკუციურ ზმნებს ეყრდნობა, სერლი საკუთრივ სამეტყველო აქტებს აკლასიფიცირებს, რამაც საშუალება მისცა სამეტყველო აქტების თეორიას თავის განვითარებაში მნიშვნელოვნად წაეწია წინ. სერლის მიერ შემოთავაზებულ კლასიფიკაციას საფუძვლად უდევს თორმეტი ნიშანი, რომლებიც შემდეგი სახითაა წარმოდგენილი:

1. პირველი ოპოზიციის საფუძველია განსხვავებები მოცემული ტიპის სამეტყველო აქტის მიზანში. მაგალითად, ბრძანების მიზანი შეიძლება დახასიათებულ იქნას როგორც თანამოსაუბრის წაქეზება (შეგულიანება) გარკვეული ქმედებებისადმი; აღწერილობითი სამეტყველო აქტის მიზანია - წარმოდგენილ იქნას (სწორად თუ არასწორად) (ზუსტად თუ არაზუსტად) არსებული ვითარება; დაპირების არსი მდგომარეობს თავის თავზე გარკვეული ვალდებულებების აღებაში, კომუნიკანტი კისრულობს ვალდებულებას განახორციელოს გარკვეული ქმედებები.

ილოკუციის კონკრეტულ ტიპებს სერლი ილოკუციურ მიზნებს უწოდებს და მათ ილოკუციური ძალის შემადგენელ ნაწილად თვლის.

2. მეორე საკლასიფიკაციო ნიშნად სერლი სიტყვებსა და სამყაროს შორის მისადაგების მიმართულებაში არსებულ განსხვავებებს მიიჩნევს. ილოკუციის ზოგიერთი ნაირსახეობა თავის თავში მოიცავს მისწრაფებას იქითკენ, რომ სიტყვები (მეტყველების პროპოზიციული შინაარსი) შეესაბამებოდეს სამყაროს, სხვანი კი დაკავშირებულია მიზანთან გავაკეთოთ ისე, რომ სამყარო სიტყვებს შეესაბამებოდეს. მტკიცება ილოკუციის პირველ ტიპს განეკუთვნება, ხოლო თხოვნები და დაპირებები - მეორეს.

3. მესამე საკლასიფიკაციო ნიშნად სერლი გამოხატულ ფსიქოლოგიურ მდგომარეობებში არსებულ განსხვავებებს მიიჩნევდა. ნებისმიერი ილოკუციური აქტის წარმოებისას, რომელსაც გარკვეული პროპოზიციული შინაარსი აქვს, მოსაუბრე სუბიექტი თავის დამოკიდებულებას გამოხატავს ამ შინაარსისადმი. სერლი ხაზს უსვამდა სამეტყველო აქტების მოცემული ნაირსახეობის განსაკუთრებულ სირთულეს, და მათ შორის შემდეგ კლასებს გამოყოფდა:

ზრახვები (დაპირებები, ფიცი, მუქარა, ვალდებულებები);

რწმენები (მტკიცებულებები, კონსტატაცია, შენიშვნები, ახსნები, პოსტულატი,

დეკლარაცია, დედუქცია, არგუმენტაცია);

სურვილები ან მოთხოვნები (თხოვნები, ბრძანებები, მუდარა, შუამავლობა, პატიება).

სწორედ ამ პირველ სამ ნიშანს სერლი არსებითად თვლის სამეტყველო აქტების კლასიფიკაციისათვის, ხოლო დანარჩენებს - არც თუ ისე მნიშვნელოვან ნიშნებად.

4. მეოთხე საკლასიფიკაციო ნიშანია სამეტყველო აქტის ილოკუციური მიზნების გამოვლინების კატეგორიულობის ხარისხში არსებული განსხვავებები, როგორცაა მაგალითად, სხვაობა გამონათქვამებში: „გთავაზობთ კინოში წასვლას“ ან „მოვითხოვ, რომ კინოში წავიდეთ“.

5. მეხუთე ნიშანია ადრესანტისა და ადრესატის სოციალურ სტატუსში არსებული განსხვავებები, რომლებიც ასეა თუ ისე ვლინდება გამონათქვამის ილოკუციურ ძალაში.

6. მეექვსე ნიშანია განსხვავებები იმ ხერხში, რომლითაც გამონათქვამი შეფარდებულია მოლაპარაკისა და მსმენელის ინტერესებთან (მაგალითად, განსხვავება ქებასა და ჩივილს შორის).

7. სამეტყველო აქტების კლასიფიკაციისათვის მნიშვნელოვან მაჩვენებლად სერლი მიიჩნევს დისკურსის დანარჩენ ნაწილთან გამონათქვამის მიმართებაში არსებულ განსხვავებებს.

8. მერვე ნიშანია - განსხვავებები პროპოზიციულ შინაარსში, რომლებიც გამონათქვამის ილოკუციური ძალის მაჩვენებელთა საფუძველზე განისაზღვრება (მაგალითად: შეტყობინებასა და წინასწარმეტყველებას შორის სხვაობა ნიშნავს, რომ უკანასკნელი მომავალ მოვლენებს განეკუთვნება, მაშინ როცა შეტყობინება შეეფარდება წარსულს ან აწმყოს).

9. მეცხრე საკლასიფიკაციო ნიშანია განსხვავებები იმ აქტებს შორის, რომლებიც ყოველთვის ვერბალური ფორმით გამოიხატება და მათ შორის, რომლებიც შეიძლება განხორციელდეს როგორც სამეტყველო, ისე არასამეტყველო საშუალებებით (მაგალითად, მხრების აჩეჩა).

10. განსხვავებები იმ აქტებს შორის, რომლებიც თავისი განხორციელებისათვის ექსტრალინგვისტური წესების დაცვას მოითხოვს და იმ აქტებს შორის, რომლებიც ამას არ მოითხოვენ (მაგალითად, შეიარაღებული ყაჩაღი არღვევს საზოგადოებაში დამყარებულ სოციალური სტატუსის იერარქიას და უბრძანებს ზემდგომ პირს).

11. განსხვავებები იმ აქტებს შორის, რომლებშიც შესაბამისი ილოკუციური ზმნა პერფორმატიულადაა გამოყენებული, და მათ შორის, რომლებშიც ზმნის პერფორმატიული გამოყენება შეუძლებელია.

12. ძალიან არსებითია ილოკუციური აქტების განხორციელების სტილში არსებული განსხვავება (42, გვ. 177).

სერლის კლასიფიკაცია, რომელსაც ის სწორედ სამეტყველო აქტების, და არა ზმნების კლასიფიკაციაზე აგებს, წარმოადგენს მნიშვნელოვან წინ გადადგმულ ნაბიჯს წინამორბედ ცდებთან შედარებით, ამასთანავე ილოკუციური აქტების უნივერსალური კლასიფიკაციის პირველ მცდელობას. ამ კლასიფიკაციის საფუძველს შეადგენს 12 ნიშანი, რომლებსაც თავად ავტორი „ილოკუციურ აქტებს შორის განსხვავებების მიმართულებებს“ უწოდებს. მართალია, სერლის მიერ გამოყოფილი ყველა ნიშანი როდია არსებითი, ურთიერთდამოუკიდებელი, მაგრამ უდავოა, რომ ის ავართოებს იმ ფაქტორთა არეს, რომლებიც მონაწილეობას იღებენ მოსაუბრის მიერ გამონათქვამის აქტუალური შინაარსის გადმოცემაში და მსმენელის მიერ მის აღქმაში. თანაც გამოვლენილია ისეთი მნიშვნელოვანი ფაქტორი, როგორცაა სამეტყველო აქტის დამოკიდებულება წინამორბედ დისკურსთან. ის, რაც კომუნიკანტმა უკვე გამოთქვა სამეტყველო აქტის მომენტამდე, თავის როლს თამაშობს როგორც მოსაუბრის კომუნიკაციური ზრახვის ფორმირებაში, ისე მსმენელის მიერ მის ამოცნობაში.

სერლის სტატიაში- „რა არის სამეტყველო აქტი?“ -ჩვენ ილოკუციური აქტის როგორც კონვენციონალური მოქმედების გაშლილ წარმოდგენას ვპოულობთ (42, გვ. 186). შეცვალა რა კონვენციის ცნება წესის ცნებით, ავტორი ცდილობს აჩვენოს, რომ ილოკუციური აქტი არის წესებს დაქვემდებარებული ქმედება. ამასთან, ყველა წესი მის მიერ დაყოფილია რეგულაციურ წესებად, რომლებიც აწესრიგებენ „ქცევის იმ ფორმებს, რომლებიც მათზე ადრე არსებობდნენ“ (მაგალითად, ეტიკეტის წესები) და კონსტიტუციურ წესებად, რომლებიც „არა მხოლოდ არეგულირებენ, არამედ ქმნიან ...ქცევის ახალ წესებს“ (მაგალითად, სხვადასხვა თამაშების წესები). ავტორის წინადადებით, ენის სემანტიკა უნდა განიხილებოდეს, როგორც კონსტიტუციური წესების სისტემათა რიგი, ხოლო „ილოკუციური აქტები კონსტიტუციური წესების ამ ნაკრებებთან შესაბამისობაში შესრულებული აქტები“ (42, გვ. 155).

ეყრდნობა რა ზოგიერთი ნიშნადი განზომილებების აღიარებას, რომელთაგან

მირითადებია ილოკუციური მიზანი, მისადაგების მიმართულება, გულახდილობის პირობა და გამოხატული ფსიქოლოგიური მდგომარეობა, სერლი სამეტყველო აქტების ხუთ კლასს გამოყოფს:

რეპრეზენტატივები, ან ინფორმაციული სამეტყველო აქტები, რომელთა მიზანია - დავაფიქსიროთ მოსაუბრის პასუხისმგებლობა მის მიერ გადმოცემული ინფორმაციის ჭეშმარიტებაზე; დირექტივები, ან, სხვა კლასიფიკაციების მიხედვით, პრესკრიფციები - იძულებითი აქტები, რომელთა მიზანია აიძულოს მსმენელი შეასრულოს გარკვეული ქმედებები; კომისივები, ან თავის თავზე ვალდებულებების აღების აქტები; ექსპრესივები, რომლებიც გამოხატავენ ემოციურ მდგომარეობას და გამონათქვამის პროპოზიციული შინაარსის მიმართ ჭეშმარიტ დამოკიდებულებას; და დეკლარატივები, სხვა ტერმინოლოგიურ სისტემაში მათ ვერდიქტივებს ან ოპერატივებს უწოდებენ, რომლებსაც დადგენილებების მნიშვნელობა აქვთ.

სერლის მიერ შემოთავაზებულ კლასიფიკაციას რიგი ნაკლოვანებები აქვს, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ამ ეტაპზე ჩვენ შესაძლებლად ვთვლით მასზე დაყრდნობას. სამეტყველო აქტების თეორიის გამოყენება ჩვენი კვლევისთვის დიდი ინტერესს წარმოადგენდა, ვინაიდან კომუნიკაციის პრობლემამ მასში თეორიული ბაზა მოძებნა. ვიდრე თავის პოზიციას ჩამოვყალიბებდით კომუნიკაციის კითხვითი მდგენელის მიმართ, მოკლედ განვიხილოთ სამეტყველო აქტების თეორიასთან კითხვითობის პრობლემის ურთიერთკავშირის ის ასპექტები, რომლებიც გაშუქებულია ზემოთ მოყვანილ ნაშრომებში.

ოსტინის პირველ სამეტყველო აქტების კლასიფიკაციაში კომუნიკაციის კითხვითი მდგენელი ექსპოზიტივების კატეგორიას განეკუთვნება, რომელთა შორის, როგორც ცნობილია, ის აქტები მოიაზრება, რომლებიც რაღაცას განმარტავენ, გამოხატავენ აზრის განვითარებას, აზუსტებენ რეფერენციას და ლექსემების გამოყენებას (36, გვ. 127).

სერლის კლასიფიკაციაში კომუნიკაციის კითხვითი მდგენელი სხვაგვარად მოიაზრება. ავტორი კითხვით კონსტრუქციებს დირექტივების განსაკუთრებულ ნაირსახეობას მიაკუთვნებს, ვინაიდან სახეზეა მოსაუბრის მისწრაფება მიიღოს თავისი თანამოსაუბრისგან პასუხი, ე.ი. აიძულოს იგი განახორციელოს შესაბამისი სამეტყველო აქტი (42, გვ. 182).

მიუხედავად იმისა, რომ კითხვითი სამეტყველო აქტები სხვადასხვა

მკვლევართა მიერ სხვადასხვაგვარად კლასიფიცირდება (ლაკოფი მათ მასტიმულირებელ აქტებს მიაკუთვნებს, სიმონსენი მათ ფატიკურ აქტებად მიიჩნევს და ა.შ.), ერთი გარემოება უცვლელი რჩება - ყველა კლასიფიკაციაში, რომლებიც სამეტყველო აქტების თეორიას ეყრდნობა, კომუნიკაციის კითხვითი მდგენელი ყველგან გამოიყოფა. ამის თაობაზე ორიგინალურ თვალსაზრისს გამოთქვამს დოროთეა ფრანკი, რომელიც წერს:

„ხაზი უნდა გაესვას იმას, რომ სრულიად შემთხვევითი არაა ის ფაქტი, რომ ძირითადი სამეტყველო აქტების გამოყოფისას ფილოსოფოსებიც და ლინგვისტებიც შემდეგ ცნებებს ეყრდნობოდნენ: „მტკიცება“, „კითხვა“, „თხოვნა“, „დაპირება“, „დასახელება“ და ა.შ. ერთი მხრივ, არსებობს გრამატიკული კატეგორიები, რომლებიც გამოყოფილ სამეტყველო აქტებს შეესაბამება: „იმპერატივი“, „კითხვითობა“, „ნარატიულობა“ და ა.შ., მეორე მხრივ, ეს კატეგორიები შეესაბამება ისეთ ცნებებს, რომლებიც ხშირად გამოიყენება მეტაკომუნიკაციურ დაზუსტებებსა და პერფორმატიულ გამონათქვამებში, რაც განაპირობებს მათ ადგილს კომუნიკანტებს შორის ურთიერთობებში“ (55, გვ. 370).

საინტერესოა ის გარემოებაც, რომ კითხვითობა უნივერსალურ კატეგორიას წარმოადგენს, ამიტომ მისი კვლევა გვამღევეს საშუალებას გამოვყოთ როგორც ზოგადი ხასიათის, ასევე ეროვნულ-სპეციფიკური ნიშნები. კითხვითი სამეტყველო აქტების თავისებურებები უნდა ვეძებოთ მათ მრავალასპექტიანობაში, ამიტომ მათ ვერც მხოლოდ დირექტივებამდე და ვერც მხოლოდ ექსპოზიტივებამდე დავიყვანთ. დიდი ოდენობით გარდამავალი ტიპების არსებობა არ იძლევა შესაძლებლობას კითხვითი აქტები არსებული კლასიფიკაციების მკვეთრად განსაზღვრულ საზღვრებში მოვაქციოთ.

ლუდვიგ ვიტგენშტაინი ინტერესდებოდა პრობლემით - „რა არის კითხვა? და თვითონვე სცემდა პასუხობს - ესაა იმის კონსტატაცია, რომ მე არ ვიცი ესა თუ ის საგანი, ან იმის კონსტატაციაა, რომ მე მსურს, ეს ვინმე სხვამ მითხრას... ან იქნებ ეს ჩემი უცოდინრობით გამოწვეული სულიერი მდგომარეობის აღწერაა?“ (7, გვ. 89).

სხვა სამეტყველო აქტებს შორის კითხვითი გამონათქვამების ადგილის განსაზღვრის ერთ-ერთი მცდელობა ანა ვეჟბიკციასაც ეკუთვნის. მას საკმაოდ საეჭვოდ მიაჩნია გორდონისა და ლაკოფის პოზიცია, რომლებსაც კითხვა თხოვნის ნაირსახეობად მიაჩნიათ. მართალია, კითხვას შეიძლება ჰქონდეს თხოვნის

გარკვეული ნიშნები, მაგრამ ამასთან ერთად ის შეიძლება უახლოვდებოდეს ბრძანებას ან საერთოდ ნეიტრალური იყო ამ მიმართებით. ნებისმიერ შემთხვევაში, კითხვისთვის მსგავსი ელფერების გამოხატვა მეორადია და არ გამოხატავს ამ ფენომენის იმანენტურ ბუნებას. ავტორი ორ წინადადებას აანალიზებს:

1. შემატყობინე (გამაგებინე), რა მოხდა.

2. რა მოხდა?

პირველი წინადადება შეიძლება შემდეგნაირად გავრცელდეს:

„მოკლედ შემატყობინე, რა მოხდა“, „გულახდილად შემატყობინე, რა მოხდა“, „ვრცლად შემატყობინე“. ამ ვარიანტებისგან არც ერთის გამოყენება არ არის შესაძლებელი მეორე წინადადების კონტექსტში - „რა მოხდა?“. ამ თვალსაზრისით კითხვა „რა მოხდა?“ ანალოგიურია გამოთქმისა „გეკითხები, რა მოხდა?“, და არა კონსტრუქციისა „შემატყობინე, რა მოხდა?“

ვეჭბიცაია თვლის, რომ კითხვის სპეციფიკის განმსაზღვრელი ძირითადი კომპონენტია „სურვილი იცოდე, გაიგო“, და არა თანამოსაუბრეზე გავლენის მოხდენისკენ სწრაფვა. კითხვების, როგორც თხოვნის ტიპის განხილვის წინააღმდეგ მეორე არგუმენტი შემდეგში მდგომარეობს: ვინაიდან გამონათქვამის მიზნის სეგმენტური მაჩვენებლები შეიძლება არ არსებობდეს და ხშირად ნამდვილად არ არსებობს, საბოლოო და გადამწყვეტ კრიტერიუმს, რომლის მეშვეობითაც ჩვენ შეგვიძლია თხოვნა ბრძანებისგან, ხოლო ნებართვა რჩევისგან განვასხვავოთ არის ინტონაცია. კითხვის ინტონაცია, მართალია განსხვავდება სხვადასხვა ტიპის კითხვებისათვის, მაგრამ პრინციპულად გამოირჩევა თხოვნების ინტონაციისაგან.

ვეჭბიცაია გვთავაზობს სხვა სამეტყველო აქტებისგან კითხვის გამიჯვნის ხერხებს შემდეგი გამონათქვამების საფუძველზე: „შემატყობინე“ და „გეკითხები“.

„შემატყობინე, რა მოხდა“ = ლაპარაკის გზით გააკეთე ისე, რომ მე ვიცოდე, რა მოხდა.

„რა მოხდა?“ = მინდა, რომ ლაპარაკის გზით ისე გააკეთო, რომ ვიცოდე, რა მოხდა, ამიტომაც ვამბობ: „მინდა ვიცოდე, რა მოხდა?“.

თავის მსჯელობაში ვეჭბიცაია ლაიბნიცის ნაშრომებს ეყრდნობა, რომელიც კითხვის შემდეგ დეფინიციას გვთავაზობს: „კითხვის დასმა (ანუ კითხვა) ნიშნავს გამოიჩინო შეცნობის სურვილი იმის წინაშე, ვისაც შეუძლია გასწავლოს ან უზრუნველყოს შეცნობა. თუ ის ამას აკეთებს, ვამბობთ, რომ ის პასუხობს“ (7, გვ. 262).

კითხვის შინაარსის ანალიზისას, სერლი მის პრეზუმფციასზე მსჯელობს:

1. მოსაუბრემ არ იცის პასუხი, არ არის დარწმუნებული პროპოზიციის ჭეშმარიტებაში, ე.ი. თუ საუბარი პროპოზიციულ ფუნქციაზე მიდის, მან არ იცის ჭეშმარიტი პროპოზიციის შესაქმნელად აუცილებელი ინფორმაცია.

2. არც მოსაუბრისთვის, და არ მისი თანამოსაუბრისთვის არ არის გასაგები, რომ მსმენელი ამ ინფორმაციას თხოვნის გარეშე ატყობინებს მოლაპარაკეს ამ ინფორმაციას. ჭეშმარიტების პირობად შეიძლება ჩავთვალოთ მოლაპარაკის სურვილი გაიგოს მოცემული ინფორმაცია, ხოლო არსებით პირობად - რომ კითხვა განიხილება როგორც ინფორმაციის მიღების მცდელობა (42, გვ. 66).

კითხვითობის ფენომენის დახასიათებისას არ შეიძლება გვერდი ავუაროთ ძირითადი და მეორადი მნიშვნელობების, ე.ი. ირიბი სამეტყველო აქტების შესახებ საკითხს. ირიბი სამეტყველო აქტების თავისებურება მდგომარეობს იმაში, რომ ილოკუციური მიზანი მათში იმპლიციტურადაა წარმოდგენილი და ადრესატის მიერ მისი კომუნიკაციური კომპეტენციის საფუძველზე გამოიყვანება. ერთ-ერთ ყველზე საინტერესო პრობლემას, რომელსაც სამეტყველო აქტების თეორია შეეხო, არის გამონათქვამის მნიშვნელობათა მრავალფეროვნება ილოკუციური მიზნის ლატენტური ხასიათისას. ასე მაგალითად, საზოგადოებაში მიღებული თავაზიანობის პრინციპი მოითხოვს ზემოქმედების კატეგორიულობის შერბილებას, რაც შესაძლებელი ხდება მხოლოდ ირიბი ფორმის წყალობით (მაგალითად, კითხვა-პასუხი მსმენელის შესაძლებლობების შესახებ შეასრულოს არართული მოქმედება: „ჩაის ხომ ვერ დამისხამდით?“). ასეთივე ირიბი ფორმა აქვს გამონათქვამს „ვისურვებდი მარტო დავრჩენილიყავი“, რაც ფაქტობრივად წარმოადგენს თხოვნას, ბრძანებას (კონკრეტულ სიტუაციასთან დაკავშირებით), რათა ადრესატმა შესაბამისი მოქმედება შეასრულოს.

ირიბი კითხვითი აქტები, მათ მიერ გამოხატული მნიშვნელობების სისტემატიზირების მიზნით, გამოიკვლია გერმანელმა ლინგვისტმა რ. კონრადმა. კვლევის საფუძველზე მან მოითხოვა, რომ გრამატიკის შემადგენლობაში სპეციალური დისციპლინა უნდა გამოიყოს, რომელიც შეისწავლიდა ერთი სახის სამეტყველო აქტის შესაძლებლობებს გამოხატოს სხვა სამეტყველო აქტებისთვის ჩვეული მნიშვნელობები (24, გვ. 352).

სხვა სიტყვებით, რომ ვთქვათ, საანალიზო პრობლემა დაიყვანება



გამონათქვამის პირდაპირი მნიშვნელობისა და გარკვეულ სიტუაციაში მის მიერ შეძენილ მნიშვნელობას შორის განსხვავების განსაზღვრამდე. სიტუაციურ მნიშვნელობას „პრაგმატულ მნიშვნელობას“ ან „გამონათქვამის კომუნიკაციურ არსსაც უწოდებენ“. კონრადი რიგ კონკრეტულ საკითხსაც გამოყოფს, რომლებიც მსჯელობის საგნად უნდა იქცეს:

- რა არის მიზეზები იმისა, რომ კითხვითი წინადადებები ხშირად გამოიყენება თხოვნის ან მოთხოვნის მნიშვნელობით?

- ირიბი სამეტყველო სტრატეგიის გამოყენებისას ნარჩუნდება თუ არა კითხვითი მნიშვნელობა, თუ ის მთლიანად გამოიდევენება იმპერატიული მნიშვნელობით?

- საერთოდ როგორ ჩნდება წინადადების ირიბი მნიშვნელობა? რა ფაქტორები ან პირობებია საამისოდ გადამწყვეტი და რა შინაარსობრივი ურთიერთობები უნდა დადგინდეს ირიბი სამეტყველო სტრატეგიის გააზრებისა და ადეკვატური აღწერისათვის?

- არის თუ არა საერთოდ მსგავსი ფენომენების აღწერა წმინდა ლინგვისტური ამოცანა თუ საამისოდ რაიმე დამატებითი ინფორმაციაა საჭირო და როგორ ურთიერთქმედებს ის ლინგვისტურ მონაცემებთან?

- რა როლს თამაშობს ამ დროს სემანტიკური დასკვნის მექანიზმები, რომლებსაც, როგორც ცნობილია, გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ადამიანის მთელი ინტელექტუალური საქმიანობისათვის?

- რამდენად დასაბუთებულია ე.წ. „ირიბი სამეტყველო აქტების“ სამეტყველო აქტებად განხილვა? იქნებ, ისინი საერთოდ არ წარმოადგენენ სამეტყველო აქტებს?

- წარმოადგენს თუ არა წინადადებების „ირიბი მნიშვნელობა“ იმავე სახის მოვლენას, როგორც მნიშვნელობა ჩვეულებრივი გაგებით, თუ ეს პრინციპულად სხვა რამაა? (24, გვ. 350-351).

ფაქტობრივად, ამ კითხვებზე პასუხები თეორიულ ბაზას ქმნიან მოცემული ლინგვისტური სტრუქტურის უფრო ფართო კონტექსტში (ქმედებათა თეორიაში) ჩასართავად.

პირდაპირი სამეტყველო აქტები წარმატებულობის განსაკუთრებული პირობებით ხასიათდება, მათში გამონათქვამის მნიშვნელობა წარმატებულობის სიტუაციურ პირობებს შეესაბამება. კითხვითი წინადადების ძირითადი ფუნქციაა

კითხვის გამოხატვა ან, სამეტყველო აქტების თეორიის ტერმინოლოგიით, „ერთეტული სამეტყველო აქტის განხორციელება“. ეს კითხვითი წინადადების სტანდარტული მნიშვნელობაა, რომელსაც მას ენობრივი სისტემა ანიჭებს. კითხვითი წინადადება კითხვით სიტუაციაში პირდაპირი მნიშვნელობით მოიხმარება. იმ შემთხვევაში, როდესაც წარმატებულობის პირობები სრულად არ არის შესრულებული, ან როდესაც ისინი სხვა სამეტყველო აქტების წარმატებულობის პირობებით იბლოკება, წინადადების არაინტეროგატიული ინტერპრეტაცია ჩნდება, როდესაც ის ვერ ასრულებს თავის ძირითად ფუნქციას. ამასთან ერთად უნდა აღინიშნოს, რომ კითხვითი წინადადების სემანტიკის ხასიათი და მისი გამოყენების სიტუაციები საკმაოდ განსხვავებულია და სპეციალურ კვლევას მოითხოვს.

თავად „ირიბი სამეტყველო აქტის“ ცნება სხვადასხვანაირად გაიგება, რაც აისახა პოლემიკაში პირველადი მნიშვნელობის შენარჩუნებისა და ახალ მნიშვნელობასთან მისი შეხამების შესაძლებლობის თაობაზე. ამ თვალსაზრისით დიდ ინტერესს იწვევს კონრადის კვლევები, რომელიც თვლის, რომ ირიბ სამეტყველო აქტს ადგილი აქვს მაშინ, როდესაც ენობრივი სტრუქტურის მეშვეობით (რომელიც ენის სისტემაში ერთი სამეტყველო აქტის, SA, გამოხატვასთან არის დაკავშირებული) ხდება გარკვეული სხვა სამეტყველო აქტის, SA, გამოხატვა.

ამ კონტექსტში „მნიშვნელობა“ განიხილება, როგორც იმ მონაცემთა მთელი კომპლექსისადმი „დაქვემდებარებული“, რომლიდანაც ის შესაბამისი ოპერაციების დახმარებით გამოიყვანება და არა როგორც წინადადება S-ის მნიშვნელობა.


ნათქვამი, ცხადია, არ გამორიცხავს იმას, რომ მსგავსი ირიბი გააზრებისას სტერეოტიპულ სიტუაციებში ლოგიკური კავშირების ავტომატიზაციის შედეგად შეიძლება ახალი პირდაპირი მნიშვნელობები წარმოიშვას, რაც თავის მხრივ, ნაწილობრივ ან სრულ იდიომატიზაციას იწვევს. ამჟამად ასეთი „მეორადი“ ენობრივი სტრუქტურები ძალიან დიდი რაოდენობით გვხვდება და ზოგიერთი ლინგვისტის მიერ ნაჩქარევად ინტერპრეტირდება როგორც „პირდაპირები“. მიგვაჩნია, რომ პრობლემა შემდგომ კვლევას მოითხოვს.

კითხვითი წინადადებების ირიბი გააზრების გადამწყვეტი ფაქტორია „ქცევის ტიპური სქემების“ არარსებობა, რომლებიც აშკარაა და ბუნებრივი მოლაპარაკისა და მსმენელისათვის მიზანთა გარკვეულ, წინასწარ მოცემულ იერარქიაში. სიტუაციას, რომელშიც წარმოითქმება კითხვითი წინადადება, ჩვეულებრივ მოყვება გარკვეული

თხოვნა, რომელიც უშუალოდაა დაკავშირებული მოცემულ კითხვაზე ერთ-ერთ შესაძლო მოსალოდნელ პასუხებთან. ეს კავშირი, როგორც წესი, ნათელია დიალოგის ორივე მონაწილისათვის, რომლებსაც ქვევის საერთო სტრატეგია აქვთ (მათ შორის სამეტყველო) და მნიშვნელოვან როლს თამაშობს პრაქტიკული დასკვნის პროცესში, რომელსაც კითხვითი წინადადებების ირიბ გააზრებამდე მივყავართ. ამრიგად, კითხვითი წინადადებების ირიბი ფუნქციით გამოყენების შესაძლებელ წყაროდ ჩვენ რამდენიმე სამეტყველო სიტუაციის თანმიმდევრობას მივიჩნევთ, რომელიც გარკვეულ დასკვნით რეაქციას ვარაუდობს; ეს შეიძლება ორი შემდეგი ძირითადი სქემების დახმარებით გამოვსახოთ.

### კითხვითი წინადადებების ირიბი გამოყენება

სქემა №6



სიმბოლო F აღნიშნავს კითხვით წინადადებას, რომელიც წარმოთქმულია მოლაპარაკის მიერ კითხვის ამა თუ იმ სიტუაციაში, სიმბოლოები A და A ორ სხვადასხვა შესაძლო პასუხს აღნიშნავენ, შესაბამისად „დიახ“ და „არა“. იქიდან გამომდინარე, თუ რა მიზანს საბოლოო ჯამში ისახავს კითხვა, დადებითი A პასუხის შემთხვევაში ან უარყოფითი A2 პასუხის შემთხვევაში ჩნდება, მაგალითად, თხოვნის სიტუაცია, რომელიც მოლაპარაკეს აგულიანებს სამეტყველო აქტის SA დაგეგმვისკენ (ე.ი. მაგალითად, თხოვნის), რომელიც უშუალოდ მოსდევს ამ პასუხს. ვინაიდან ეს ურთიერთკავშირი მსმენელისთვისაც აშკარაა, ის არა მარტო საჭირო პასუხს იძლევა, არამედ ამავედროულად თავისი რეაქციის  $R_{SAi}$  გვაძლევს საშუალებას გავიგოთ, რომ მან კითხვა როგორც ირიბი თხოვნა აღიქვა, ე.ი. ის ამავე დროს მოლაპარაკის მიერ ნაგულისხმევ, მაგრამ ჯერ მის მიერ არარეალიზებულ სამეტყველო აქტზე (SA) რეაგირებს.

კითხვითი წინადადებების ირიბი გამოყენებების მოცემული აღწერა, რომელიც დაფუძნებულია ადამიანური ქცევის ზოგად თეორიაზე, მოწოდებულია უფრო მკაფიოდ გამოავლინოს ზოგიერთი ასპექტი, რომელიც არსებითია იმის პრინციპული გაგებისთვის, თუ მსგავს შემთხვევებში რასთან გვაქვს სინამდვილეში საქმე. ჯერ ერთი, ჩვენ გვინდოდა ხაზი გაგვესვა, რომ ჩვენს მიერ განხილულ მაგალითებში კითხვითი წინადადებები არ უნდა განიხილებოდეს როგორც სხვა რიგის სამეტყველო აქტები; „ირიბი“ ინტერპრეტაცია მხოლოდ ერთ-ერთი შესაძლო პასუხისას ჩნდება. ეს ფაქტი მიუთითებს იმაზე, რომ კითხვითი მნიშვნელობა ირიბი გამოყენების დროსაც ნარჩუნდება. შემოთავაზებული სქემა საშუალებას გვაძლევს დავასკვნათ, რომ ჩვენ საქმე გვაქვს ქცევის დაგეგმვით, ან როგორც მინიმუმ, პოტენციურად შესაძლო სქემის გარკვეულ შეკვეცასთან. აქედან გამომდინარეობს, რომ ირიბი სამეტყველო აქტების ქვეშ პოტენციური, ე.ი. საკუთრივ, გამოტოვებული, წარმოსახვითი და არა რეალური სამეტყველო აქტები მოიაზრება. SA რეალიზაციისათვის აუცილებელი ლოკუციური აქტი არ არსებობს, მაგრამ მსმენელი, მიუხედავად ამისა, ერთი ნაბიჯით მაინც წინ არის. საბოლოოდ, გამოდის, რომ ბევრ შემთხვევაში თავისებური რეინტერპრეტაცია ხდება, სწორედ იმ შემთხვევებში, როდესაც ამბობენ, რომ გარკვეული კითხვითი წინადადების მეშვეობით „ირიბი თხოვნა“ გამოიხატება. იმისათვის, რომ არსებობდეს, მაგალითად, შესაძლებლობა ვისაუბროთ ირიბ თხოვნაზე, შესაბამისი მაპროვოცირებელი წინადადება აუცილებლად უნდა არსებობდეს მოლაპარაკის მიერ „დაგეგმილის“ სახით. სწორედ ეს პირობა არ არის დაცული ბევრ შემთხვევაში, რის გამოც რჩება გარკვეული გაურკვეველობა როგორც ნაგულისხმევი ირიბი სამეტყველო SA აქტის შინაარსის მიმართ, ისე იმასთან მიმართებაში, თუ რომელ სახეობას განეკუთვნება ეს სამეტყველო აქტი: წარმოადგენს თუ არა ის, მაგალითად, მოთხოვნას, თხოვნას ან სურვილს. სამეტყველო SA აქტის ერთმნიშვნელოვანი ინტერპრეტაცია მრავალ შემთხვევაში შეუძლებელია, და „ირიბი თხოვნის“ ტიპის შესაბამისი ზედაპირული კლასიფიკაციები დაუშვებელ გამარტივებას წარმოადგენენ (24, გვ. 357).

ირიბ სამეტყველო აქტებთან ერთად ლინგვისტური თეორია ე.წ. „ჰიბრიდულ სამეტყველო აქტებსაც“ განიხილავს, რომელთა სპეციფიკა ბინარულ პროპოზიციულ სტრუქტურაში მდგომარეობს და ორი სამეტყველო აქტის ილოკუციურ მაჩვენებლებს მოიცავს. მსგავსი ჰიბრიდული აქტის მაგალითის სახით კონრადს მოყავს შემდეგი

კონსტრუქცია: შეიძლება მათხოვით გეთაყვა ეს კონსპექტი? მოცემულ კითხვით წინადადებაში „გეთაყვა“ თხოვნის ილოკუციური მაჩვენებელია, რომელიც არა წინადადების შინაარსიდან მომდინარეობს, არამედ კონკრეტულ სიტუაციასთან დაკავშირებული ამბებიდან. სახეზეა ჰიბრიდული ენობრივი სტრუქტურა, რომელიც ერთნაირად კითხვასაც მოიცავს და თხოვნასაც. ამრიგად, ჰიბრიდული სამეტყველო აქტი ეწოდება იმ სტრუქტურას, რომელშიც ერთი პროპოზიციის ფარგლებში ერთდროულად ორი სხვადასხვა სამეტყველო აქტი რეალიზდება. ჰიბრიდული აქტების წარმოქმნის მიზეზია ორი სამეტყველო სიტუაციის მჭიდრო ურთიერთკავშირი, რომლის პროცესში ხდება მადომინირებელი საინფორმაციო ელემენტების აბრევიაცია. მსგავს ურთიერთობებს შეიძლება სინტაგმატური ეწოდოს, ვინაიდან რთული მეგააქტის შემადგენლობაში ორი სხვადასხვა აქტი კომბინირდება. ლინგვისტური სტრუქტურისა და ილოკუციური ძალის ურთიერთობები არაერთგვაროვანია, და ხშირად ასიმეტრიულიცაა.

ფუნქციისა და სტრუქტურის ურთიერთობების დინამიკა თანამედროვე კომუნიკაციური ლინგვისტიკის ერთ-ერთ ძირითად ამოცანას წარმოადგენს. პრობლემის ახლებურად დაყენებამ მრავალი ფუნდამენტური ცნების, კერძოდ, ფუნქციურ-სემანტიკური კატეგორიის და ფუნქციურ-სემანტიკური ველის ცნების ხელახალი გააზრება მოითხოვა.

ცნობილი მეცნიერი ა.ბონდარკო ამ ცნებებს განსაკუთრებულ ენობრივ დონეს მიაკუთვნებს, რომლის გამოყოფისას ის საერთო სემანტიკური ინვარიანტის არსებობას ეყრდნობა. ფუნქციურ-სემანტიკური კატეგორია შინაარსის მხარესა და გამონათქვამის მხარეს განასხვავებს. ბონდარკოს თეორიაში შინაარსის პლანი მორფოლოგიური კატეგორიის მნიშვნელობასთან (სახეობასთან, დროსთან, კილოსთან და ა.შ.) არის იდენტიფიცირებული, გამოთქმის კი სხვადასხვა დონის ენობრივი ერთეულებით არის წარმოდგენილი: ლექსიკურით, მორფოლოგიურით, სინტაქსურით და კონტექსტური ფორმების კომბინატორიკით. ფუნქციურ-სემანტიკური ველის გამოყოფისათვის ამოსავალ წერტილად მორფოლოგიური კატეგორიები გვემსახურება, ხოლო სხვა ველების ერთეულები მათთან ცნებითი კატეგორიის ანალოგიურობის საფუძველზე ერთიანდება.

ა.ბონდარკო მოდალობის, ტემპორალურობის, ასპექტუალობის, პერსონალურობის და სხვ. ფუნქციურ-სემანტიკურ ველებს გამოყოფს (4, გვ. 8-10).

ფუნქციურ-სემანტიკური კატეგორიის ცნებას თავისებურად განმარტავს გ. ლებანიძე, რომელიც მას საყოველთაო და უნივერსალური კატეგორიის სტატუსს ანიჭებს, რომელიც შეიძლება რეალიზდებოდეს როგორც ლექსიკური, ისე გრამატიკული საშუალებებით. მისი აზრით, ის ლექსიკურ-გრამატიკულ მთლიანობას წარმოადგენს (28, გვ. 147). შემდეგი კონსტრუქციების შედარებისას: „გავემგზავრები თბილისში“ და „ხვალ მე თბილისში გავემგზავრები“ - ავტორი აღნიშნავს, რომ პირველ შემთხვევაში დრო მხოლოდ გრამატიკული კატეგორიით არის გამოხატული, ხოლო მეორეში დამატებულია ლექსიკური საშუალება („ხვალ“), ამიტომ ის ასკვნის, რომ დრო როგორც ენობრივი ფენომენი ბევრად მეტი და დიდია, ვიდრე მისი გამოხატვის ლექსიკური ან გრამატიკული საშუალებები. ზოგად ასპექტში აღებული დროის კატეგორია, როდესაც მას ვერც ლექსიკას და ვერც გრამატიკას მიაკუთვნებ, წარმოადგენს „ფუნქციურ-სემანტიკურ“ კატეგორიას (28, გვ. 147).

ფუნქციურ-სემანტიკური კატეგორიის ცნების შემოღებამ შესაძლებელი გახადა მეცნიერული მიზნის სფეროს გაფართოება, რომელიც ძირითადად ფორმიდან შინაარსისკენ იყო მიმართული, ხოლო ახალი კვლევების შუქზე - შინაარსიდან ფორმისკენ. როგორც ცნობილია, ფუნქციურ-სემანტიკური ველები (ფსვ) განასხვავებენ ცენტრსა და პერიფერიას, მოცემული ფსვ-ს საფუძველში მდებარე საერთო ცნებითი მნიშვნელობა სხვადასხვა დონის ენობრივი ერთეულებით (ლექსიკური, მორფოლოგიური, სინტაქსური, ერთეულთა განსაკუთრებული კომბინატორიკა) გამოიხატება, და ყველა მათგანი ერთიანი ფუნქციით და ცნებითი მნიშვნელობითაა გაერთიანებული. ცნებითი სემანტიკური კატეგორია იმ ინვარიანტის როლს ასრულებს, რომელიც აერთიანებს ვარიაციულ ენობრივ ერთეულებს. ამრიგად, ფუნქციურ-სემანტიკური ველები ყოველთვის წარმოადგენს ბინარულ შინაარსობრივ-ფორმალურ ერთიანობას, რომელშიც საანალიზო მნიშვნელობის მოცემულ ენაში არსებული ყველა გამომხატველია წარმოდგენილი. ცენტრი და პერიფერია მჭიდროდაა დაკავშირებული ერთმანეთთან. ფსვ-ს ველი ისეთი ენობრივი ერთეულით, ისეთი კატეგორიითაა წარმოდგენილი, რომლებიც ყველაზე უკეთ გადმოსცემენ გამოსახატი ცნების სპეციფიკას, ჩვეულებრივ ეს გრამატიკული კატეგორიაა (მაგალითად, ტემპორალურობის ფსვ-ს ბირთვის რუსულ ენაში გრამატიკული კატეგორია წარმოადგენს).

ფუნქციურ-სემანტიკური ველები დიდი სტრუქტურული მრავალფეროვნებით ხასიათდება. პირველ რიგში, განასხვავებენ მონოცენტრულ (ძლიერი ცენტრის მქონე) და პოლიცენტრულ (სუსტად გამოხატული ცენტრით) ფუნქციურ-სემანტიკური ველებს. მონოცენტრული ფუნქციურ-სემანტიკური ველის ბირთვია გრამატიკული კატეგორია (როგორც ტემპორალურობის ფუნქციურ-სემანტიკური ველის ზემოთ მოყვანილ მაგალითში). ხოლო პოლიცენტრულ სტრუქტურებში ჩვენ რამდენიმე სხვადასხვა დონის მქონე ერთეული გვაქვს, რომლებიც არ ქმნიან ჰომოგენურ ერთიანობას.

უნდა აღინიშნოს, რომ სხვადასხვა ენებში ფუნქციურ-სემანტიკური ველები სხვადასხვაგვარადაა სტრუქტურირებული, იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც მათი ბირთვები ერთნაირი გრამატიკული კატეგორიებითაა გამოხატული. ასე მაგალითად, არტიკლების განვითარებული სისტემის მქონე ენებში (ინგლისური, ფრანგული, გერმანული) განსაზღვრულობა-განუსაზღვრელობის ფუნქციურ-სემანტიკური ველი მკვეთრად გამოხატულ მონოცენტრულ ველს წარმოადგენს, ვინაიდან მათში განსაზღვრული არტიკლები უპირისპირდება განუსაზღვრელებს; მაშინ როცა ქართულ ენაში განსაზღვრულობა-განუსაზღვრელობის ფუნქციურ-სემანტიკური ველს საერთოდ არ აქვს გრამატიკული ცენტრი.

ლინგვისტიკის განვითარების თანამედროვე ეტაპზე ფუნქციურ-სემანტიკური ველების სისტემატიზაცია ტიპოლოგიური კვლევებისათვის განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს. ა. ბონდარკო წერდა: „ფუნქციურ-სემანტიკური ველის ცნება შეიძლება გამოყენებულ იქნას შეპირისპირებით კვლევაში. ასე მაგალითად, ენათაშორისი შეპირისპირებებისათვის ასპექტუალობის ცნება უფრო საიმედო საფუძვლად გვესახება, ვიდრე გვარის გრამატიკული კატეგორიის ან სლავურ ზმნურ სახეობასთან ანალოგიის აპრიორული კონსტატაცია, რაც არცთუ იშვიათად იწვევს სხვაგვარი ფაქტების დაუსაბუთებელ გაიგივებას, კერძოდ, მოქმედების ხერხისა სახეობის კატეგორიასთან“ (4, გვ. 12-13).

ვიდრე სხვადასხვა ენებში კითხვითობის ფუნქციურ-სემანტიკური ველის განხილვას შევუდგებოდით, განვიხილოთ ამ ველის ძირითადი სტრუქტურული თავისებურებები.

კითხვითობის ფუნქციურ-სემანტიკური ველის სტრუქტურის განსაზღვრისას ყველაზე დიდ სირთულეს ცენტრისა და პერიფერიის განსაზღვრა წარმოადგენს.

ტრადიციული სქემით, ბირთვი მორფოლოგიზირებული სტრუქტურით, ე.ი. კითხვითი სიტყვებით უნდა იყოს წარმოდგენილი. თუ კი კომუნიკაციურ თეორიას ვეყრდნობით და ვიღებთ მხედველობაში, რომ კითხვითობის ცნება კომუნიკაციურ საქმიანობასთან, ინტერაქციურობასთან არის დაკავშირებული, მაშინ საანალიზო ფუნქციურ-სემანტიკური ველის ბირთვის სახით შეიძლება კითხვითი სამეტყველო აქტი წარმოვიდგინოთ. ვთვლით, რომ კითხვითი სამეტყველო აქტის კითხვითობის ფუნქციურ-სემანტიკური ველის ცენტრად აღიარება რიგი გარემოებითაა არგუმენტირებული.

საყოველთაოდ ცნობილია, რომ კითხვის გამოხატვის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საშუალებაა ინტონაცია. შეიძლება მრავალი მაგალითის მოყვანა, როდესაც კითხვა რაიმე კითხვითი სიტყვების გარეშე მხოლოდ კითხვითი ინტონაციის დახმარებით გამოიხატება. მაგრამ იმ ფაქტის შუქზე, რომ ინტონაცია ვერ ფუნქციონირებს გამონათქვამის გარეშე, გასაგები ხდება ა.ბონდარკოს იდეა კითხვითობის ფუნქციურ-სემანტიკური ველის ბირთვის შესახებ. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ კითხვითობის მნიშვნელობა სწორედ ტექსტში წარმოიქმნება, კონკრეტული კომუნიკაციის პროცესში, ამიტომ უფრო უპრიანია კითხვითი სიტყვები კითხვითი წინადადებების შემადგენლობაში განვიხილოთ.

ენობრივი ერთეულებისადმი კომუნიკაციური მიდგომის ასპექტში კითხვითი სიტყვები შეიძლება განხილულ იქნას როგორც ილოკუციური ძალის სპეციფიკური მარკერები, რომელთა ფუნქციური შესაბამისობა კონკრეტულ კომუნიკაციურ სიტუაციაში ვლინდება. კითხვითობის პრობლემისადმი კომუნიკაციური მიდგომა გვადლევს შესაძლებლობას განვიხილოთ ფუნქციურ-სემანტიკური პარადიგმის დინამიკა, გამოვყოთ ინტერპერსონალური როლური პოზიციები, განვსაზღვროთ ენობრივი კოდისა და ფუნქციის სიმეტრია/ასიმეტრია და ა.შ. ჩვენი პოზიციის სასარგებლოდ კიდევ ერთ არგუმენტად გვესახება ის ფაქტი, რომ მორფოლოგიური თვალსაზრისით, რომელსაც გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ფუნქციურ-სემანტიკური ველის ბირთვის გამოყოფისას, კითხვითი სიტყვები არაერთგვაროვანია და არ ქმნიან მთლიან ჰომოგენურ სტრუქტურას (შეად., კითხვითი ნაცვალსახელები და კითხვითი ზმნიზედები, რომლებიც სიტყვათა სხვადასხვა მორფოლოგიურ კლასებს განეკუთვნება).

ამრიგად, ჩვენი აზრით, კითხვითობის ფუნქციურ-სემანტიკური ველის



ცენტრია კითხვითი სამეტყველო აქტი, რომლის სემანტიკურ ბირთვის სამი სემა წარმოადგენს:

ა) მიმართვა; ბ) პროვოცირება; გ) მოლოდინი.

მიმართვა ნებისმიერი კითხვის უმნიშვნელოვანეს ნაწილს წარმოადგენს, ვინაიდან მის გარეშე შეუძლებელია კომუნიკანტებს შორის ინფორმაციული კონტაქტის დამყარება. მიმართვის ფორმა სამეტყველო ტაქტიკის გადამწყვეტი ფაქტორია. მიმართვის რეგისტრი სხვადასხვა ფაქტორებით განისაზღვრება და კონკრეტულ კომუნიკაციურ სიტუაციაზეა დამოკიდებული. პროვოკაციის ელემენტი აბსოლუტურად ყველა ტიპის კითხვებშია დაცული, თანაც მისი ეფექტიანობა ბევრად განსაზღვრავს ადრესატის ფაქტორს. პროვოცირების როლი შეიძლება სხვადასხვა ელემენტებმა ითამაშონ: ემოციურმა ზემოქმედებამ, სოციალურმა იერარქიამ, ეტიკეტის ნორმებმა, მუქარამ, ირონიამ, მითითებამ და ა.შ. ადრესატის ფაქტორთან პროვოცირების მჭიდრო კავშირი მდგომარეობს იმაში, რომ პროვოცირების ხარისხზე დამოკიდებულია ადრესატის მიერ საჭირო სამეტყველო მოქმედების შესრულება.

კითხვითი სამეტყველო აქტის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი სემაა ინფორმაციის მოლოდინის სემა. კითხვითი წინადადების ტიპში უკვე ვლინდება მოსალოდნელი ინფორმაციის ხასიათი. ეს შეიძლება იყოს ზოგადი ინფორმაცია, ინფორმაციის დადასტურება ან უარყოფა, კერძო ინფორმაცია და ა.შ. მოლოდინის სემა ადრესატის კომპეტენციის პრეზუმფციას გულისხმობს, ვინაიდან სწორედ ასეთ შემთხვევაში აქვს აზრი კითხვის დასმას.

მოცემულ სამ სემას კითხვის ერთიანი მნიშვნელობა აქვს. სხვა სიტუაციაში, სხვა კომპონენტებთან ერთად ისინი შეიძლება სხვა სამეტყველო აქტის მაჩვენებლებად იქცნენ. ასე მაგალითად, მიმართვის სემა საკმაოდ აქტუალურია თხოვნის, ბრძანების, მოწოდების დროს. ზემოთ ჩამოთვლილი აქტები პროვოკაციის სემასაც მოიცავს, და მოლოდინის სემასაც, რაც გააფთრებული კამათის მიზეზი გახდა მეცნიერებს შორის, რომლებიც ამტკიცებდნენ კითხვითი სამეტყველო აქტის იდენტურობას ან მსგავსობას სხვა აქტებთან. ეს პრობლემა იმითაც რთულდება, რომ არსებობს დიდი ოდენობის ირიბი სამეტყველო აქტები, როდესაც კითხვითი ფორმა შინაარსით ბრძანებას, თხოვნას ან მოწოდებას წარმოადგენს. ეს, ცხადია, ართულებს კლასიფიკაციას, მაგრამ ამგვარ მიდგომას ზედაპირული ხასიათი აქვს. ზემოთ ჩამოთვლილი სემების თანხვედრა იმას მოწმობს, რომ ისინი საერთო გვაროვნული

კატეგორიის რეპრეზენტატები არიან, მაგრამ ფუნქციონირების პროცესში თავისებურებას ავლენენ როგორც სტრუქტურის თვალსაზრისით, ისე ინტენციონალურ ასპექტში. რაც შეეხება ფორმისა და შინაარსის ასიმეტრიას, როდესაც სამეტყველო აქტი არატიპური ფორმებით არის გამოხატული, ჩვენ ამ შემთხვევაში პრაგმატული სიტუაციის ფაქტორი უნდა გავითვალისწინოთ.

ენობრივი ერთეულების ფუნქციონირებაში მიღებულია ორი ასპექტის გამოყოფა: პოტენციურის და შედეგიანის (რეზულტატურის). ა. ბონდარკოს აზრით, ფუნქცია პოტენციურ ასპექტში წარმოადგენს მოცემულ ენობრივ სისტემაში ენობრივი ერთეულისთვის დამახასიათებელ უნარს შეასრულოს დასმული ამოცანა; ხოლო ფუნქცია რეზულტატურ ასპექტში აღიქმება როგორც მოცემული ერთეულის ფუნქციონირების შედეგი გარე პრაგმატული სიტუაციის ფონზე (4, გვ. 1, 17).

ეს ორი ცნება განსხვავდება ერთმანეთისაგან, ვინაიდან ფუნქცია პოტენციურ ასპექტში ენობრივი ერთეულის შესაძლო თვისებებს მოიცავს, რომლებიც ენობრივ სისტემაშია განზოგადებული; მაშინ როდესაც ფუნქცია რეზულტატურ ასპექტში წარმოადგენს თითოეულ კონკრეტულ შემთხვევაში სამეტყველო აქტის ჩანაფიქრის რეალიზებას. ენობრივი ერთეულის ფუნქციური პოტენცია წარმოადგენს პოტენციური ფუნქციებისგან შედგენილ სიმრავლეს.

ამრიგად, შეიძლება გაკეთდეს დასკვნა იმის შესახებ, რომ სემანტიკური ფუნქციები რთულ ურთიერთობებში იმყოფებიან პრაგმატულ ფუნქციებთან, რომელთათვის მნიშვნელოვანია სამეტყველო აქტის, მისი მონაწილეებისა და პრაგმატული სიტუაციის პარამეტრთა განსაზღვრა.

შესაბამისად, ფუნქციების კვლევა მათ ნებისმიერ ფორმაში მათი მნიშვნელობების ანალიზს მოიცავს, მაგრამ ამასთან ერთად ფუნქციები და მათი მნიშვნელობები არ შეიძლება ერთმანეთს გაუტოლდეს. ენობრივი ერთეულის მნიშვნელობა მისი ფორმის, შინაარსის და შესაბამისი აღსანიშნის ერთიანობასთან არის დაკავშირებული და ნიშანთა თეორიის კომპეტენციაში შედის, რაც ეხება ფუნქციებს, ისინი ცნებათა იმ რიგს განეკუთვნება, რომლებიც დაკავშირებულია ინტენციების მრავალფეროვანი ტიპების მომცველ მიზნობრივ მოდელელებთან.

ცნებათა მოცემულ სისტემაში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ფუნქციისა და ფუნქციონირების ურთიერთდაკავშირებულობას. ასევე მნიშვნელოვანია ფორმისა და შინაარსის კავშირი. მოცემული ფორმის თითოეული მნიშვნელობა წარმოადგენს

გარკვეულ ფუნქციას (იმ თვალსაზრისით, რომ მნიშვნელობის გამოხატვა ამ ფორმის დანიშნულებას წარმოადგენს). ის ფორმა, რომელიც ურთიერთქმედებს გარემოს ელემენტებთან და კონტექსტითა და სამეტყველო სიტუაციით მოდიფიცირებულ გარკვეულ მნიშვნელობას ასახავს, შესაბამისი ფუნქციის მატარებლად გვესახება.

ენობრივი ერთეულების ფუნქციონირების თავისებურებები გარემოს ფაქტორით განისაზღვრება, რომლის ლინგვისტური ინტერპრეტაცია სამეცნიერო ლიტერატურაში შემდეგნაირადაა წარმოდგენილი. ამა თუ იმ ენობრივ ერთეულთან, კატეგორიასთან მიმართებაში გარემო წარმოადგენს ენობრივი (ხოლო ზოგჯერ არაენობრივი) ელემენტების სიმრავლეს, რომლებთან მიმართებებში საწყისი სისტემა თავის ფუნქციებს ავლენს (ამჟღავნებს) (47, გვ. 9).

სისტემურ ობიექტებთან მიმართების თვალსაზრისით გარემოს ორი ნაირსახეობა გამოიყოფა: 1) სისტემურ-ენობრივი (პარადიგმატური) გარემო, რომელიც ენობრივ ერთეულებს პარადიგმატიკურ ასპექტში წარმოადგენს; და 2) სამეტყველო გარემო, (რომელიც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ჩვენი კვლევების ასპექტში), რომელიც წარმოადგენს კონტექსტსა და სამეტყველო სიტუაციას და, თავის მხრივ, მოიცავს თავის თავში სოციალურ-ენობრივ ფაქტორებსა და მათ გამოვლინებას მოლაპარაკის და მსმენელის მეტყველებაში (ისეთი სოციოლინგვისტური ფაქტორებს, როგორცაა კომუნიკანტთა სოციალური სტატუსი, მათი როლური პარტიტურა და ა.შ.). კონტექსტი ჩვენს მიერ განიხილება როგორც შიდაენობრივი გარემოს კომპონენტი, ხოლო სამეტყველო სიტუაცია განეკუთვნება ექსტრალინგვისტურ გარემოს.

აუცილებელია ხაზი გაესვას სიტუაციური ფაქტორის მნიშვნელოვან როლს ენობრივი განვითარების პროცესში. საყოველთაოდ ცნობილია, რომ ენობრივი მნიშვნელობა ყალიბდება ტიპიურ ენობრივ კონტექსტში. მოცემულ ტიპიურ გარემოცვაში ენობრივი ფორმის მრავალჯერადი განმეორების შედეგად ხდება გარკვეული სემანტიკური მნიშვნელობის ფიქსაცია. მეორე მხრივ, ნორმისგან ნებისმიერი გადახვევა შეიძლება სიტუაციურად იყოს განპირობებული და შეიძლება წარმოადგენდეს ახალი ენობრივი მნიშვნელობის ფორმირების საწყის ეტაპს. ამასთან დაკავშირებით განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს იმ მოდალური ზმნების ანალიზი, რომლებიც თხოვნას გამოხატავენ: "შეგიძლიათ მომაწოდოთ წიგნი?". მოცემული გამონათქვამის ილოკუციური ძალის განსაზღვრა სწორედ ურთიერთობის

სიტუაციის გათვალისწინების წყალობით გახდა შესაძლებელი.

ენობრივი მოვლენებისადმი ფუნქციურ-სემანტიკური მიდგომა, რომლის ჭრილშიც ჩვენ კითხვითობის პრობლემას განვიხილავთ, მჭიდროდაა დაკავშირებული ოტო ესპერსენის სახელთან. ის თვლიდა, რომ მდგრადი სისტემის შექმნა მხოლოდ პრობლემისადმი ორი მიდგომის გამოყენების ხარჯზეა შესაძლებელი. გრამატიკის სფეროში შესაძლებელია პირველი გზა ფორმიდან შინაარსისკენ (ავტორი ამოდის ფორმიდან, როგორც განსაკუთრებული მოცემულობიდან, ხოლო შემდეგ აზუსტებს მის მნიშვნელობას და ფუნქციას); და მეორე გზაა - შინაარსიდან ფორმისკენ (როდესაც ის ამოდის მნიშვნელობიდან, ფუნქციიდან და განსაზღვრავს, რა ფორმებით შეიძლება გამოიხატებოდეს მოცემული მნიშვნელობა). ორივე შემთხვევაში გრამატიკული ფაქტები ერთი და იგივეა, განსხვავდება მხოლოდ მათ მიმართ მიდგომა: ერთი და იგივე ფაქტების სხვადასხვა ინტერპრეტაციები ავსებენ ერთმანეთს და ერთად აღებული განზოგადებული ფაქტების სრულ და ნათელ აღწერას გვაძლევენ (17, გვ. 39-40).

ჩვენი კვლევის ძირითადი ვექტორი მიმართულია მნიშვნელობიდან ფორმისკენ, მაგრამ ამასთან ერთად ჩვენ სხვა მეთოდის გამოყენებასაც არ გამოვრიცხავთ - ფორმიდან მნიშვნელობისკენ, რაც გაზრდის ჩვენი კვლევის შედეგების ინფორმაციულობას და არგუმენტირებულობას.

როგორც უკვე ზემოთ იყო აღნიშნული, კითხვითობის ფუნქციურ-სემანტიკური კატეგორია წარმოადგენს შესაბამისი ილოკუციური ძალის გამოყენებას. კითხვითობა შეიძლება განისაზღვროს როგორც განზოგადებული სემანტიკური კატეგორია, რომელიც მეტყველებითი პროვოცირების გზით შესაბამისი ენობრივი ერთეულების დახმარებით ცდილობს გარკვეული ინფორმაციის დაზუსტებას. როგორც სემანტიკის განზოგადებული კატეგორია კითხვითობა კონკრეტულ სამეტყველო აქტებში - კითხვებში მანიფესტირდება, რომლებიც მოცემულ მნიშვნელობას კონკრეტულ სამეტყველო გარემოცვაში წარმოადგენენ. სხვა სიტყვებით, კითხვა წარმოადგენს კითხვითი სიტუაციის გამოვლინებას და ისევე მჭიდროდაა დაკავშირებული მასთან, როგორც სამეტყველო ფაქტები ენობრივ ფაქტებთან.

კონკრეტულ სიტუაციებში კითხვა შეიძლება დამატებით მნიშვნელობებს იძენდეს და კითხვითობის ცნებას ახალი კატეგორიული ნიშნებით ამდიდრებდეს. კითხვითობის ფუნქციურ-სემანტიკური კატეგორია თავის შინაარსს შესაბამის

ფუნქციებში ავლენს. ჩვენ აუცილებლად ვთვლით კითხვის და კითხვითობის ფუნქციების ცნებების გამიჯვნას. კონკრეტულ სამეტყველო გარემოცვაში კითხვა შეიძლება კონტექსტით განპირობებულ სიტუაციურ მნიშვნელობებს იძენდეს და ფაქტობრივად სხვა სამეტყველო აქტის გამომხატველი გახდეს მაშინ, როდესაც კითხვითობა ყოველთვის მისთვის ჩვეული ფუნქციურ-სემანტიკური შინაარსის მატარებლად რჩება.

ცვლილებები შეიძლება მოხდეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც კითხვის მნიშვნელობის გამომხატველი კონსტრუქცია იძენს ენობრივი ერთეულის სტატუსს და აღწარმოებად ერთეულად იქცევა (ე.ი. იძენს მეტყველებაში ერთსა და იმავე მნიშვნელობით მრავალჯერადი გამოყენების უნარს). რაც შეეხება სიტუაციურ კონტექსტთან დაკავშირებულ მნიშვნელობებს, ისინი მხოლოდ პოტენციურად არიან დაკავშირებული კითხვითობის პრობლემასთან, ვინაიდან მათ მიერ გამოხატული მნიშვნელობები არ წარმოადგენენ გაცნობიერებულ ენობრივ ფაქტებს. მეორე მხრივ, აუცილებელია აღინიშნოს, რომ კითხვასა და კითხვითობას შორის ზღვარი არ არის აბსოლუტური და კონკრეტული სიტუაციით წარმოშობილი მნიშვნელობა, შესაბამისი პირობების არსებობისას შეიძლება კითხვითობის განზოგადებულ მაჩვენებელში გარდაიქმნას. საკმაოდ საინტერესოა „კითხვითი ჟანრის“ ტრანსფორმაცია, რომელიც გამოვლინდა გამოცანასა და მასთან დაკავშირებული ტექსტებში, ისეთებში, როგორიცაა ვიქტორინა, კროსვორდი, ანკეტა. გამოცანის ფენომენი დეტალურად არის გამოკვლეული რ. ციხელაშვილის მიერ, რომელმაც დაადგინა, რომ გამოცანის გენეტიკურ სტრუქტურაში სერიოზული ცვლილებები მოხდა. თანამედროვე პარემიოლოგიური ლიტერატურის შესწავლის შედეგად ავტორი მივიდა დასკვნამდე, რომ თავდაპირველად ყველა გამოცანა თავის სტრუქტურაში კითხვას მოიცავდა, შემდეგ ეტაპზე კი მოხდა პარემიის და სიტუაციის კომპლექსური მთლიანობის გააზრება და მათი განსაკუთრებული სემიოტიკური კავშირის გაცნობიერება, როდესაც ერთი კომპონენტის არსებობა მეორეს არსებობას გულისხმობს. ვინაიდან გამოცანა თავის თავში კითხვას მოიცავს, შესაძლებელი გახდა მისი შესწავლა სამეტყველო სიტუაციის ბაზაზე. შედეგად მიღებულ იქნა ინფორმაციულ სიჭარბეს მოკლებული ტექსტური აბრევიატურა (56, გვ. 7).

აღნიშნული სცენარის მიხედვით ვითარდებოდა ისეთი ჟანრები, როგორიცაა კროსვორდები, ანკეტები, კითხვარები და ა.შ. მათ მიერ გამოხატული კითხვითობა ამ

ქანრის ისტორიული განვითარების შედეგია და დადასტურებაა იმისა, რომ გამონათქვამის გეგმამ შეიძლება კომუნიკაციის პროცესში სერიოზული ცვლილებები განიცადოს.

ჩვენ შევეცადეთ განგვხილა „კომუნიკაციის“ ფენომენთან დაკავშირებული თეორიული საკითხები „გამოვავლინეთ მისი ინტერაქციული ბუნება და კომუნიკაციური ინტერაქციის მაპროვოცირებელი სეგმენტის ლინგვოპრაგმატიკა. პრობლემის შესწავლა ცალმხრივი იქნება კომუნიკაციური ინტერაქციის რეაქციული სეგმენტის განხილის გარეშე, ვინაიდან კითხვა და პასუხი კომუნიკაციაში დიალექტურ მთლიანობას ქმნიან.

## § 2.2 კომუნიკაციური ინტერაქციის რეაქციული სეგმენტი

კომუნიკაციური ინტერაქციის მაპროვოცირებელი (კითხვითი ) სეგმენტის სამეტყველო აქტების ჭრილში დაწვრილებითი ანალიზი განპირობებული იყო დიალოგური ერთიანობის მაკაუზირებელი ნაწილის განსაკუთრებული მნიშვნელობით. როგორც სამართლიანად აღნიშნავს ნ.დ. არუთინოვა: „სამეტყველო აქტების მკვლევართა ყურადღება მიმართული იყო უპირატესად მაპროვოცირებელ რეპლიკა-სტიმულებზე და მათ კომუნიკაციურ მიზნებზე. იშვიათ გამონაკლისს შეადგენენ კითხვა-პასუხის ერთიანობის ფარგლებში შესასწავლი პასუხი-რეაქციები. მაგრამ აქაც მაპროვოცირებელი (კითხვითი) სეგმენტის შესახებ ნაშრომთა რაოდენობა ბევრად აღემატება პასუხების სხვადასხვა ტიპების აღწერათა რაოდენობას. ზუსტად ასევე გულდასმითაა შესწავლილი ირიბი სამეტყველო აქტები-სტიმულები (მაგალითად, პრესკრიფციები), ვიდრე ირიბი სამეტყველო რეაქციები“ (2, გვ. 660).

მითითებული ციტატა საკმაოდ ზუსტად ახასიათებს იმ მდგომარეობას, რომელიც კომუნიკოლოგიაში სამეტყველო აქტების განვითარების თანამედროვე ეტაპზე ჩამოყალიბდა. მიუხედავად იმისა, რომ საპასუხო რეაქციის, როგორც სამეტყველო აქტების განსაკუთრებული ნაირსახეობის პრობლემა, ნაწილობრივ

აღნიშნული მიმართულების პირველივე ფუნდამენტურ ნაშრომებში იყო განხილული, შეიძლება ითქვას, რომ ჩვენთვის საინტერესო ფენომენის სიღრმისეული კვლევა ჯერ კიდევ კეთილ ზრახვად რჩება.

მსგავსი „უსამართლობა“ კითხვა-სტიმულის მიერ კაუზირებული დიალოგის საპასუხო ნაწილის სპეციფიკური დამოკიდებულებით იყო განპირობებული. ამასთან კავშირში საყურადღებოა ნ. ფოუმენის ცნობილი ნაშრომი: «Speech activity and language use», რომელშიც ავტორი გამოთქვამს მოსაზრებას დისკურსში მეტყველების ორი - წარმმართველი და დაქვემდებარებული (კონტროლირებადი) ტიპის გამოყოფის აუცილებლობის შესახებ. პირველი ტიპი ახდენს კაუზაციას, აპროვოცირებს მეორეს პირველში ჩადებული განწყობის შესრულებას. პირველ (წარმმართველ) ტიპს (ნ. ფოუმენის ტერმინოლოგიით «master speech acts») ავტორი მიაკუთვნებს: 1) კითხვას; 2) პასუხის მოთხოვნას; 3) ბრძანებას; 4) შეტყობინების გაკეთების წინადადებას. მითითებული სამეტყველო აქტები განსაზღვრავენ კონტროლირებადი სამეტყველო აქტების ბუნებას - მათ დესკრიფციულ, შეფასებით, განმარტებით ან რაიმე სხვა ხასიათს, თავად მათ თემას. ახასიათებს რა მაკონტროლებელ სამეტყველო აქტს, ნ. ფოუმენი ხაზს უსვამს მის ინიციალურობას, თუმცა სამეტყველო საქმიანობის მსვლელობისას შეიძლება გაჩნდეს მისი „დეპუტატები“ (master speech acts deputies, sustainers). ეს სამეტყველო აქტები, მისი აზრით, ან მხარს უბამენ საუბრის თავიდან აღებულ მიმდინარეობას, ან ახდენენ მის მოდერნიზებას. ავტორი არასაკმარისად ითვალისწინებს ადრესატის პოზიციას, რომლის ნებაა მიიღოს ან უარყოს მისთვის შემოთავაზებული პროგრამა, დანებდეს ან გაუწიოს წინააღმდეგობა, დათანხმდეს ან შეეპასუხოს, წავიდეს დათმობაზე ან წავიდეს შეტევაზე, შეასრულოს თხოვნა ან უარი ითქვას.

რეპლიკა-გამონათქვამების მოცემული ტიპები შეესაბამება დიალოგური ტექსტის მეორე პოზიციას. როგორც სამართლიანად აღნიშნავს ნ.დ. არუთინოვა, „მეორე რეპლიკები ძალიან არსებითია არა მხოლოდ როგორც კომუნიკაციის აქტი, ვინაიდან მათ რიგი მნიშვნელოვანი პოტენციური შესაღებლობა აქვთ ენის ლოგიკურ-კომუნიკაციური კატეგორიების განსავითარებლად, ასევე რიტორიკული ფიგურების ფორმირებისათვის პოეტურ მეტყველებაში. მეორე რეპლიკები ხელსაყრელია მოდუსური სიტყვების შესაქმნელად; მათში ჩამოყალიბდა თანხმობის, შეპასუხების და დაშვების, მხილების, უარყოფის, გამართლების, უარის თქმის

სემანტიკა. მათში იკვეთება მეორადი პრედიკატებისა და პირველ რიგში დადასტურებისა და უარყოფის ჭეშმარიტებითი შეფასების არე... მეორე რეპლიკებთან დაკავშირებულია თავად კონტრასტირების მოვლენაც, რომელიც ესოდენ არსებითია პოეტური მეტყველებისათვის და საფუძვლად უდევს მეტაფორას. მეორე რეპლიკები ერთმანეთს აჯახებენ საწინააღმდეგო თვალსაზრისებს, რომლებიც დიალოგის მონაწილეებს ეკუთვნის. ისინივე ამუშავებენ მათი შეთავსების, წინააღმდეგობის მოხსნის ხერხებს, როგორცაა: 1) კომპრომისი, დაშვება, როგორც ორმოდელიანი გამონათქვამი... 2) უმაღლესი რიგის პრედიკატის სუპერპოზიცია, როგორც სუბიექტური დანამატის ჭეშმარიტი მნიშვნელობის გამოხატულება. 3) კონტრასტული უარყოფა... 4) ციტაცია თემაში, რომელიც ზედაპირულ წინააღმდეგობას ქმნის... 5) დათმობა... (2, გვ. 661-662). მიუხედავად მეორე რეპლიკის უზარმაზარი მნიშვნელობისა, რაშიც ჩვენ დაგვარწმუნა ქვემოთ მოყვანილმა ვრცელმა ციტატამ, განსახილველი მოვლენის დამაკმაყოფილებელი კლასიფიკაცია ჯერ არ შექმნილა. მოცემულ ჯგუფში განკუთვნილი მოვლენები არაერთგვაროვანია თავისი ბუნებით. არაერთგვაროვანია როგორც ინიციალური სეგმენტები, რომლებიც აკაუზირებენ საპასუხო რეაქციას, ისე თავად რეაქციები, რომლებიც სხვადასხვა მეტყველებით-ქცევით ტაქტიკებს გამოხატავენ. როგორც ნ.დ. არუთინოვა აღნიშნავს: „მეორე რეპლიკის ფენომენს საფუძვლად უდევს უშუალოდ გარკვეული სიტუაციით განპირობებულ გამონათქვამებისა და წინამორბედი რეპლიკით გამოწვეული გამონათქვამების ( ექსპლიციტური თუ იმპლიციტური) არამკაცრი გამიჯვნა. მეორე რეპლიკების სტატუსი შეიძლება ჰქონდეს საკუთარ აზრს, „სხვის“ სავარაუდო აზრებზე გამოხმაურებებს, რეაქციებს გაცრუებულ მოლოდინზე ან უნებლიე შეცდომაზე. შესაძლოა ადგილი ჰქონდეს უკუ რეაქციასაც, როდესაც მეორე რეპლიკა შეიძლება გაუტოლდეს საქმეთა და მოვლენათა ჰიპოთეტურ მდგომარეობაზე პირდაპირ რეაქციას“ (2, გვ. 662).

ყოველივე ზემოთ თქმული გვაძლევს საბაზას ვილაპარაკოთ იმ უმდიდრესი მასალის მოწესრიგების აუცილებლობის შესახებ, რომელსაც მეორე რეპლიკების შესწავლა იძლევა. ჩვენს უშუალო ამოცანას არ წარმოადგენს რეპლიკების მთელი ნაირსახეობის კვლევა, რომელთა ტიპები საკმაოდ მრავალფეროვანია და სპეციალურ ანალიზს მოითხოვს. მითითებულ მოვლენებს ჩვენ პასუხის კატეგორიასთან კავშირში შევხებით, რის ფონზეც განსაზღვრული იქნება მათი მახასიათებლები.



როგორც უკვე აღვნიშნეთ, ჩვენ „პასუხს“ განვიხილავთ როგორც სამეტყველო აქტების განსაკუთრებულ ნაირსახეობას. იმისათვის, რომ დავადასტუროთ ასეთი მოსაზრების მართლზომიერება, მიგვაჩნია, რომ ჩვენთვის საინტერესო მოვლენის კონცეპტუალური მნიშვნელობა უნდა შევუფარდოთ შესაბამის კონცეპტოსფეროს, ასევე განვსაზღვროთ ის ძირითადი ნიშნები, რომელთა საფუძველზე ჩვენ შევძლებთ მოვლენის ერთმნიშვნელოვან კვალიფიკაციას და განვსაზღვრავთ მის შესაფერის ადგილს სამეტყველო აქტების სისტემაში.

პირველ რიგში მივმართოთ ცნების „პასუხი“ სემანტიკურ მახასიათებელს. ისეთი ავტორიტეტული წყარო, როგორიცაა „რუსული სემანტიკური ლექსიკონი“, „პასუხის“ კონცეპტის რამდენიმე მნიშვნელობას აფიქსირებს: 1) პასუხი - კითხვის, პრობლემის გადაჭრის შედეგი; 2) პასუხი - ზოგიერთ შემთხვევაში იგივეა, რაც პასუხისმგებლობა;

3) პასუხი - რეაქცია რაიმეზე, მოქმედება, რომელიც გამოხატავს რაიმესადმი დამოკიდებულებას; 4) პასუხი - გამონათქვამი, კითხვით გამოწვეული შეტყობინება.

პირველი მნიშვნელობის მქონე პასუხი ხვდება მიკროველში (26, გვ.202) – „ამოცანა, მისი გადაჭრა, სამიებელი და მოძიებული“ და ჩართულია ერთიან პარადიგმაში ისეთ ერთეულებთან, როგორიცაა: „კითხვა“, „თავსატეხი“, „გამოცანა“, „ამოცანა“, „სამიებელი“, „გამოცნობა“, „აღმოჩენა“, „სიბრძნე“, „პრობლემა“, „გამოცნობა (ამოცანის ახსნა)“, „საიდუმლოება“, „საიდუმლო“.

მეორე მნიშვნელობის მქონე განსაზღვრებას გადავყავართ მორალურ-სამართლებრივ ველში (24, გვ.214) – „მორალი. ვალი. სინდისი“ (საერთო აღნიშვნები) და შედის პარადიგმატურ ურთიერთობებში კონცეპტებთან: „ვალი“, „კოდექსი“, „მორალი“, „ზნეობა“, „პასუხისმგებლობა“, „ეთიკა“.

მესამე მნიშვნელობა დაკავშირებული არის ქცევასთან და შედის ველში (28, გვ.219) – „ქცევა. საქციელი“, შემდეგ კონცეპტებთან ერთად: „აქცია“, „ქმედება“, „საქმე“, „ჟესტი“, „ქცევა“, „მცდელობა“, „საქციელი“, „სვლა“, „ნაბიჯი“.

ლინგვისტურ პრობლემატიკასთან ყველაზე ახლოა მითითებული ცნების მეოთხე მნიშვნელობა, რომელიც ჩართულია პარადიგმაში (33, გვ.227) – „მოსაზრებების გაცვლა. საუბარი. დიალოგი“. მოცემულ ველს შემდეგი ერთეულები შეადგენენ: „გადაძახილი“, „საუბარი“, „კითხვა“, „დიალოგი“, „დაკითხვა“, „ზარი“, „კორესპონდენცია“, „კულუარები“, „მსჯელობა“, „განმარტება“, „გამოკითხვა“,

„გამოხმაურება“, „გამოძახილი“, „მოლაპარაკებები“, „გადაძახება“, „მიმოწერა“, „განმეორებით კითხვა“, „პოლემიკა“, „პოლილოგი“, „ლაპარაკი“, „გამოკითხვა“, „რეპლიკა“, „მეტყველება“, „სიტყვიერი კამათი“, „რჩევა“, „ხმაური“, „აურზაური“.

როგორც ვხედავთ, მოცემული სიტყვის მნიშვნელობები საკმაოდ ჭრელ სურათს ქმნიან და სხვადასხვა სემანტიკურ ქვევლებს შეეფარდება, თუმცა, მიუხედავად ამისა, ოთხივე მნიშვნელობას ინტეგრალური სემა აქვს, ანუ „ისეთ რამეზე რეაქცია, რომელიც ახდენს შესაბამისი ქმედებების კაუზირებას“. პირველ შემთხვევაში რეაგირება კითხვის განმარტებას იწვევს, მეორეში - საპასუხო ქმედება ან პასუხის გაცემის აუცილებლობა გამოდის როგორც ჩადენილზე რეაქცია, მესამეში - საპასუხო რეაქცია გამოიხატება შესაბამისი ქმედების - საქციელის ფორმით. რაც შეეხება მეოთხე შემთხვევას, ის ყველაზე საინტერესოა მოცემული ნაშრომისათვის, ვინაიდან ურთიერთობის დიალოგურ რეჟიმთან არის დაკავშირებული, როდესაც მაპროვოცირებელი სტიმულის სახით კითხვა გამოდის. შედარება გვიჩვენებს, რომ სიტყვა „პასუხის“ ყველა მითითებული მნიშვნელობისათვის დამახასიათებელია ინტეგრალური მნიშვნელობა - „ისეთ რამეზე რეაქცია, რომელიც ახდენს შესაბამისი ქმედების კაუზირებას“. ინტეგრალურია ასევე „პასუხის“ ყველა ნაირსახეობის კომუნიკაციური პოზიცია, კონკრეტულად კი „მეორე რეპლიკის“ პოზიცია. მიუხედავად იმისა, რომ ამ უკანასკნელის რეალიზაციის მატერიალური ფორმა შეიძლება არსებითად განსხვავდებოდეს განხილული ცნების სემანტიკურ ვარიანტებში, არ იწვევს ეჭვს ის ფაქტი, რომ ყველა შემთხვევაში ის მეორე პოზიციაში გამოდის როგორც რეაქცია რაღაც კომუნიკაციურ სტიმულზე.

პირველი მნიშვნელობა დაკავშირებულია „ამოცანის დასმისა“ და „ამოცანის გადაჭრის“ ოპოზიციასთან. მარცხენა ნაწილში ლაგდება ლექსემები „კითხვა“, „თავსატეხი“, „პრობლემა“, „გამოცანა“, „ამოცანა“, „საძიებელი“, „საიდუმლოება“, „საიდუმლო“, ხოლო მარცხენაში - „გამოცნობა“, „აღმოჩენა“, „სიბრძნე“, „ამოხსნა“. ამრიგად, შეიძლება ჩაითვალოს, რომ მარცხენა ნაწილი კაუზირებს მარჯვენას. ერთობ განსხვავებულადაა მოწყობილი მეორე მიკროველი, სადაც „პასუხი“ ისეთ კონცეპტებთან ოპოზიციაში გვევლინება, როგორიცაა „ვალი“, „კოდექსი“, „მორალი“, „ზნეობა“, „ეთიკა“. მითითებული ცნებები იძლევა ფასეულობათა ნორმატიულ სისტემას, რომლის დარღვევა იწვევს „პასუხისმგებლობას“, „პასუხს“. გარკვეულწილად მეორე მნიშვნელობა კვეთს მესამეს, ვინაიდან „ქცევა“ და

„საქციელი“ უმეტეს შემთხვევაში ასევე ღირებულებით „შკალასთან“ არის დაკავშირებული. მოცემულ ჯგუფში მოცემულია ინიციალურ სტიმულზე რეაგირების სხვადასხვა ფორმები: „აქცია“, „ქმედება“, „საქმე“, „ჟესტი“, „ქცევა“, „მცდელობა“, „საქციელი“, „სვლა“, „ნაბიჯი“. კომუნიკაციის თეორიის თვალსაზრისით ერთნაირად მნიშვნელოვანია კომუნიკაციის როგორც ვერბალური, ისე არავერბალური ასპექტები, ამიტომ ჩვენ ემპირიულ მასალაში დაფიქსირებული არავერბალური რეაქციები ჩვენი ინტერესის ველში შევიყვანეთ.

და ბოლოს, მეოთხე ჯგუფი, რომელიც უშუალოდ კვეტს ჩვენთვის საინტერესო პრობლემატიკას, მოიცავს კონსტიტუანტებს, რომლებიც სხვადასხვა ნიშნების საფუძველზეა გაერთიანებული. ჯგუფი „გადაძახილი“, „კითხვა“, „დაკითხვა“, „გამოკითხვა“, „მეტყველება“, „გამოკითხვა“ დიალოგის ინიციალურ ნაწილს აღნიშნავს;

ჯგუფი: „ლაპარაკი“, „დიალოგი“, „საუბარი“, „მსჯელობა“, „მოლაპარაკებები“, „გადაძახება“, „მიმოწერა“, „აურზაური“, „პოლემიკა“, „პოლილოგი“, „ლაპარაკი“, „სიტყვიერი კამათი“, „გასაუბრება“, „კულუარები“ - ისახავს ურთიერთქმედების ფორმებსა და პირობებს დიალოგისას. ველის „რეაქტიული“ ნაწილი ისეთ ერთეულებს ქმნის, როგორცაა: „განმარტება“, „გამოხმაურება“, „გამოძახილი“, „განმეორებით კითხვა“, „რეპლიკა“, „კორესპონდენცია“.

ჩვენ შევეცადეთ განგვესაზღვრა მოვლენათა ის წრე, რომელიც იკვეთება ჩვენთვის საინტერესო ცნებასთან, რამაც საშუალება მოგვცა დაგვედგინა მისი სემანტიკური სპეციფიკა.

ყველა მითითებული მნიშვნელობა ქართული ლექსიკოგრაფების მიერაც არის დაფიქსირებული - „პასუხი, თქმა, დაწერა, უპასუხეთ შეკითხვებს, მიპასუხეთ ამ პრობლემის შესახებ“. ეს მოცემული ცნების უნივერსალურ ხასიათზე და მისი განმსაზღვრელი მახასიათებლების უნივერსალურობაზე მეტყველებს. მითითებული მახასიათებლების მნიშვნელობა გვაძლევს საშუალებას ისინი სამეტყველო აქტების თეორიის კატეგორიებს შევუფარდოთ.

მოვლენის სამეტყველო აქტების სფეროსათვის მიკუთვნება მასში ილოკუციური ძალების სპეციფიკური ინვენტარის არსებობასთან, ურთიერთობის სოციალურ ასპექტებთან, კომუნიკაციური ზრახვის ვერბალიზაციის განსაკუთრებულ ხასიათთან, გამონათქვამის კომუნიკაციური მიზნის ამოცნობასა და მისი გაგების

შესაძლებლობასთან, „პასუხის“ როგორც ქცევის ფორმის ინტერპრეტაციასთან და სხვა პრინციპულად მნიშვნელოვან ფაქტორებთან არის დაკავშირებული.

ზემოთ ჩვენ არაერთხელ მივუთითეთ სპეციალურ ლიტერატურაში სამეტყველო აქტის „პასუხის“ დაუმუშავებლობაზე. ამის დასტურად შეგახსენებთ დ. გორდონის და ჯ. ლაკოფის სიტყვებს: „ზოგადად რომ ვთქვათ, რა ითვლება პასუხად? ეს ცნება სერიოზულ კვლევას მოითხოვს. მაგრამ თუ ჩვენ ოდესმე მივალთ პასუხის და რელევანტური პასუხის მაკონსტრუირებელი ნიშნების ზუსტ გაგებამდე, მაშინ ეს პირველი გონივრული მიახლოება იქნება სამეტყველო ურთიერთობის რეალურ პოსტულატთან“ (11, გვ. 284).

სამეტყველო აქტების სისტემატიზაციის შექმნის პირველ მოკრძალებულ მცდელობებში (ამას თავად ჯ. ოსტინის განცხადება მოწმობს: „მე შემდეგით ვიყავი დაკავებული: (1) ვისახავდი პროგრამას, ე.ი. ვლაპარაკობდი იმაზე, რა უნდა გაკეთდეს, მაგრამ მე თვითონ ჯერ ვერ გავაკეთე ეს...“) (36, გვ. 129) სხვა სამეტყველო აქტებს შორის მოხსენიებულია „პასუხიც“.

ავტორები ხუთ საერთო კლასს გამოყოფს: ვერდიქტივები, ეგზერსიტივები, კომისივები, ბეჰაბიტივები და ექსპოზიტივები. როგორც ზემოთ იყო ნაჩვენები, პირველი კლასი გამოიყოფა ნაფიცი მსაჯულების, არბიტრით ან რეფერის მიერ განაჩენის გამოტანის ნიშნის მიხედვით. ოსტინის აზრით, ვერდიქტი, სრულიად არ არის აუცილებელი იყოს საბოლოო, ის შეიძლება წარმოადგენდეს შეფასებას, აზრს ან მოწოდებას. ჩვენი თვალსაზრისით, მსგავსი მნიშვნელობა შეიძლება პასუხსაც ჰქონდეს, რომელიც შეიძლება რეაგირებდეს კითხვაზე აზრის, შეფასების ან მოწონების გამოხატვით.

მეორე ჯგუფი - ეგზერსიტივები, ავტორის აზრით, დაკავშირებულია ძალაუფლების, უფლებების ან გავლენის განხორციელებასთან: თანამდებობაზე დანიშვნა, ხმის მიცემა, ბრძანება, დაძალება, რჩევა, გაფრთხილება. კითხვაზე დამოკიდებულებით, პასუხს ასევე შეიძლება ჰქონდეს რჩევისა და გაფრთხილების მნიშვნელობა.

მესამე კლასი, რომელმაც მიიღო „კომისივების“ სახელწოდება, მოიცავს დაპირებებს ან სხვა ვალდებულებებს: გავალდებულებს რაიმეს შესრულებას. ავტორი მოცემულ ჯგუფში დეკლარაციებს, ანუ ზრახვების შესახებ განცხადებას განიხილავს, რომლებიც არ წარმოადგენენ დაპირებებს, და ასევე სიტუაციებს, რომლებშიც

გამოხატება თანაგრძნობა, მხარდაჭერა, რომელიმე მხარის აღება და ა.შ. ამ ჯგუფის სიახლოვე ვერდიქტივებთან და ეგზერსიტივებთან ჯ. ოსტინს აშკარად ესახება. უნდა აღინიშნოს, რომ ვალდებულების აღება და განცხადება ზრახვების შესახებ პასუხებშიც არის სავსებით შესაძლებელი.

ჯ. ოსტინის მიერ გამოყოფილი მეოთხე კლასია ბეჭაბიტივები. როგორც ვარაუდობს მეცნიერი, ეს ძალიან შერეული ჯგუფია, რომელიც დაკავშირებულია საზოგადოებრივ ქცევასთან და ადამიანთა ურთიერთობებთან - ბოდიშის მოხდა, მილოცვა, ქება, სამძიმარი, ლანძღვა და გამოწვევა (შეჯიბრზე, დუელზე და ა.შ.). ჩვენი აზრით, პასუხი შეიძლება ზემოთ მითითებული მნიშვნელობების უმეტესობას გამოხატავდეს.

მეხუთე ჯგუფს - ექსპოზიტივებს - ავტორი ცუდად დაქვემდებარებულ ჯგუფად თვლის. მისი აზრით, ექსპოზიტივები აჩვენებენ, რა ადგილს იკავებს ჩვენი გამონათქვამი კამათის ან საუბრის მსვლელობაში, როგორ ვიყენებთ სიტყვებს, ან საერთო ასპექტში როგორ წარმოადგენენ ისინი გამონათქვამებს. მოცემული ჯგუფის ანალიზისას მას მოყავს შემდეგი მაგალითები: „ვპასუხობ“, „ვამტკიცებ“, „ვაღიარებ“, „ვაილუსტრირებ“, „ვუშვებ“, „ვაპოსტულირებ“ და ა.შ. ამრიგად, სამეტყველო აქტი „პასუხი“ ჯ. ოსტინის მიერ მეხუთე ჯგუფში ირთვება. ექსპოზიტივები გამოიყენება განმარტების აქტებში, რომლებიც მოიცავს თვალსაზრისის განვითარებას, დისკუსიის მართვას, რეფერენციის გააშკარავებას და სიტყვების მოხმარებას. ექსპოზიტივების ანალიზის დროს ჯ. ოსტინი აკეთებს ერთ დამატებით შენიშვნას: „პრინციპში, ექსპოზიციური გამონათქვამები შეიძლება ერთდროულად მიეკუთვნოს ვერდიქტივებსაც, ეგზერსიტივებსაც, ბეჭაბიტივებსაც ან კომისივებსაც... არის შემთხვევები, რომლებიც ადვილად შეიძლება მივიჩნიოთ ვერდიქტივებად - ესაა „გაანალიზება“, „კვალიფიცირება“, „ინტერპრეტირება“, ვინაიდან ისინი მსჯელობის რეალიზებასთან არის დაკავშირებული...“ (36, გვ. 127). იქვე ავტორი საუბრობს იმ ზმნების სიაზე, რომლებიც საორიენტაციოდ მიუთითებენ ექსპოზიტივების საზღვრებზე (რთავს მასში ზმნას „პასუხის გაცემა“), რომლებიც ბუნებრივი წესით არის დაკავშირებული დიალოგურ ურთიერთგაცვლასთან („კითხვა“, „დაექვება“, „უარყოფა“ და ა.შ.). ჩვენი მხრიდან დავამატებთ, რომ ექსპოზიტივების დიდი უმრავლესობა დიალოგის მეორე რეპლიკებს მიეკუთვნება.

მოცემული კლასიფიკაციის არადამაჯერებლობა აშკარაა. ჩვენთვის საინტერესო

მოვლენა, ჯ. ოსტინისგან განსხვავებით, შეგვიძლია მივაკუთვნოთ ყველა ზემოთ გადმოცემულ ჯგუფებს. ბუნებრივია, ჩნდება კითხვა: არის თუ არა ეს მნიშვნელობები პირდაპირი თუ ირიბი? ამ საკითხს პრინციპულად დიდი მნიშვნელობა აქვს და შეუძლია ხელი შეგვიწყოს სამეტყველო აქტის „პასუხის“ სპეციფიკის განსაზღვრაში.

მოცემული მოვლენის სპეციალური კვლევების არარსებობა არ უშლის ხელს მეცნიერებს მას განსახილველ პრობლემებთან დაკავშირებით შეეხონ. ასე, მაგალითად, ზემოთ მოყვანილ ციტატაში, რომელშიც ლაიბნიცი კითხვის პრეზუმციაზე საუბრობს („კითხვა“, ე.ი. კითხვის დასმა - ესაა შეცნობის სურვილის აღმოჩენა იმის წინაშე, ვისაც შეუძლია გასწავლოს ან უზრუნველყოს შეცნობა), მოცემულია კომენტარი: „თუ ის ამას აკეთებს, ჩვენ ვამბობთ, რომ ის პასუხობს“ (7, გვ. 262).

პასუხის პრობლემას ეხებიან ასევე ირიბ თხოვნაზე რეაგირებასთან კავშირში (11, გვ. 284-285), აუდიტორიის ესკიზთან დაკავშირებით (21, გვ. 282-284); შეტყობინების ჭეშმარიტება/მცდარობასთან დაკავშირებით (1, გვ. 323), მსმენელის პოზიციასთან კავშირში (18, გვ. 15) და სხვ.

მიუხედავად იმისა, რომ მითითებული ავტორები არ ისახავდნენ მიზნად „პასუხის“ პრობლემის დამუშავებას, ისინი გვაძლევენ შესაძლებლობას განვსაზღვროთ ის სფეროები, რომელთათვის მოცემული მოვლენა ინტერესს წარმოადგენს. პასუხების სისტემური კლასიფიკაციის მოცემის მცდელობა შეიმუშავეს მეცნიერ-ლოგიკოსებმა. ასე მაგალითად, ვ.ი. კირილოვი და ა.ა. სტარჩენკო შემდეგ კლასიფიკაციას გვთავაზობენ:

- კითხვისადმი დამოკიდებულება;
- სემანტიკური დახასიათება ;
- პასუხების ძიების არე ;
- გრამატიკული სტრუქტურა ;
- ინფორმაციის მოცულობა ;
- სიზუსტის ხარისხი.

ავტორთა აზრით, აუცილებელი პირობაა პასუხის აგება დასმულ კითხვასთან შესაბამისობაში. მხოლოდ ასეთ შემთხვევაში ფასდება ის როგორც რელევანტური და თავის ძირითად დანიშნულებას ასრულებს - დააზუსტოს უცნობი, ან მოგვაწოდოს ახალი ინფორმაცია. ითვლება, რომ თუ პასუხის სახით მოჰყავთ ჭეშმარიტი, მაგრამ

კითხვასთან შინაარსობრივად დაუკავშირებელი მოსაზრებები, მაშინ მათ აფასებენ როგორც პასუხებს, რომლებიც შორსაა კითხვის არსისგან, და უარს ამბობენ მათ კომენტარზე. მსგავსი კითხვების გამოჩენა დისკუსიაში ან დაკითხვის პროცესში, როგორც ავტორები აღნიშნავენ, არის ან გაუგებრობის შედეგი, როდესაც პასუხის გამცემი ვერ ხვდება კითხვის აზრს, ან არახელსაყრელი პასუხისგან თავის არიდების შეგნებული სურვილი.

სემანტიკური სტატუსის მიხედვით, ე.ი. ჭეშმარიტებასთან მიმართებაში, პასუხი ჭეშმარიტ და მცდარებად იყოფა. პასუხი ფასდება როგორც ჭეშმარიტი, თუ მასში გამოხატული მოსაზრება სწორად ან ადეკვატურად გამოსახავს რეალურ ვითარებას. თუ ერთ-ერთი ამ პირობათაგანი არასწორია, პასუხი ფასდება როგორც მცდარი.

პასუხების დაყოფას პირდაპირ და ირიბი პასუხებად მეცნიერები მათი ძიების არესთან აკავშირებენ. პირდაპირად კვალიფიცირდება პასუხი, რომელიც უშუალოდ პასუხების ძიების არედან არის აღებული, რომლის კონსტრუირებისას არ მიმართავენ დამატებით ცნობებს და მსჯელობას. ირიბი ეწოდება პასუხს, რომელსაც უფრო ფართო არედან ღებულობენ, ვიდრე პასუხის ძიების არე, და რომლისგან მხოლოდ დასკვნის გზით შეიძლება საჭირო ინფორმაციის მიღება. შემდეგი ოპოზიციას პასუხების დაყოფა მოკლე და გაშლილ პასუხებად. მოკლე ეწოდება ერთმარცვლიან დადებით და უარყოფით პასუხებს: „დიახ“ ან „არა“, ხოლო რთული, ე.ი. გაშლილია - პასუხები, რომელთაგან თითოეულში კითხვის ყველა ელემენტი მეორდება («იყო ის კი მორწმუნე ადამიანი? – დიახ, ის იყო მორწმუნე ადამიანი»).

პასუხში წარმოდგენილი ინფორმაციის მოცულობის მიხედვით პასუხები შეიძლება იყოს სრული ან არასრული, უკანასკნელნი მოიცავს ინფორმაციას კითხვის ცალკეული ელემენტების ან შემადგენელი ნაწილების მიმართ.

ავტორები ახდენენ ასევე ზუსტი (განსაზღვრული) და არაზუსტი (განუსაზღვრელი) კითხვების ოპოზიციის გამიჯვნას. სიზუსტესა და განსაზღვრულობას შორის მოიაზრება კითხვის ლოგიკური, ე.ი. ცნებით-სტრუქტურული დახასიათება. ის გამოსაყენებელი ცნებებისა და კითხვითი სიტყვების სიზუსტეში, და ასევე რთული კითხვების გონივრულ გამოყენებაში გამოიხატება. კითხვების უზუსტობა ცნებებისა და კითხვითი სიტყვების მნიშვნელობათა არაერთგვროვნებაში გამოიხატება. განუსაზღვრელობა პასუხებში ხშირად არის კითხვების დასმისას გამოყენებული ცნებების გაურკვევლობის შედეგი,

და ასევე დაკავშირებულია ისეთი კითხვითი სიტყვების ბუნდოვნების ან განსაზღვრულობის ხარისხთან, როგორცაა: ვინ? რა? როდის? როგორ? და ა.შ..

განსაკუთრებული სირთულეები ჩნდება რთულ კითხვებზე პასუხის გაცემისას (მაგალითად, „იყო თუ არა არისტოტელი ბერძენი და „ოდისეის“ ავტორი?), ვინაიდან ისინი პასუხის რამდენიმე ვარიანტს მოიცავენ და ამიტომ მოკლე უარყოფითი პასუხი არაკორექტულია.

მოცემული კლასიფიკაცია უდავო ინტერესს წარმოადგენს ლოგიკის თვალსაზრისით, მაგრამ მას არ შეუძლია პრობლემის ლინგვისტური ასპექტების ინტეგრირება. ასე, მაგალითად, ის სრულიად უძლურია ირიბი სამეტყველო აქტების ინტეგრაციისას, რომელთა მნიშვნელობას საფუძვლად უდევს არა ლოგიკურად კორექტული შემთხვევები, როდესაც ფორმა და შინაარსი ერთ მთლიანს წარმოადგენენ, არამედ შემთხვევები, როდესაც ჩნდება ენობრივი ნიშნისა და მისი შინაარსის ასიმეტრია. ლოგიკის ინტერესებს ფარგლებს გარეთ იმყოფება კომუნიკაციის ემოციური მხარის პრობლემა, რომელიც ლოგიკური მეცნიერების თვალსაზრისით არ ემორჩილება ერთმნიშვნელოვან კლასიფიკაციას. მეორე მხრივ, მითითებულ კლასიფიკაციაში ჩვენ გვხვბლავს საკლასიფიკაციო ნიშნების მკაფიოობა, რომელიც გვაძლევს ლოგიკურ-სემანტიკური მახასიათებლების გამოყენების შესაძლებლობას კითხვა-პასუხის დიალოგის კომუნიკაციურად ნიშნადი ელემენტების გამოვლენის პროცესში.

ვაგრძელებთ რა „პასუხის“ სამეტყველო აქტის რელევანტური ნიშნების დადგენის მცდელობებს, ვეცდებით მისი განმსაზღვრელი მახასიათებლების გამოყოფას. მოცემული სამეტყველო აქტის საკონსტრუქციო ელემენტებია შემდეგი მნიშვნელობები: 1) პასუხები წარმოადგენენ მეტყველებით რეაქციას მაკაუზირებელ სტიმულზე (ჩვენ ვვარაუდობთ, რომ არავერბალური რეაგირება და ასევე კომუნიკაციური დუმილი წარმოადგენენ „პასუხის“ სამეტყველო აქტის ნიშნად ეკვივალენტებს;

2) პროფესორ დ. გოცირიძის კვალდაკვალ, ჩვენ პასუხებს ვთვლით არა პასიურ რეაქციებად მაკაუზირებელ სტიმულზე, არამედ ადრესატის დამოკიდებულების შემცველ რეაქციებად, რომელიც ეხება როგორც ინფორმაციას, ასევე ადრესანტს. ადრესატს აქვს უფლება თავისი შინაგანი განწყობიდან გამომდინარე მოახდინოს რეაგირება კითხვაზე, რაც მეტყველებს იმაზე, რომ ინტენციონალურად მას



გარკვეული თავისუფლება აქვს;

3) პასუხებს შეიძლება სპეციფიკური ენობრივი სტრუქტურა ჰქონდეს, რაც ასევე ადასტურებს იდეას მოცემული სამეტყველო აქტის განსაკუთრებული ხასიათის შესახებ (მაგალითად, „დიახ“ და „არა“ ფორმები პასუხის ფუნქციაში, და ასევე ე.წ. „არასრული წინადადების“ კონსტრუქციები, რომლებიც პასუხის ფუნქციაში ტიპურია და ნებისმიერი მათი შევსება წარმოადგენს კომუნიკაციურად კორექტული ფორმის დამახინჯების მცდელობას).

ყოველივე თქმული გვაძლევს საფუძველს ვამტკიცოთ, რომ „პასუხს“ ყველა იმ ნიშნის ნაკრები გააჩნია, რომელიც მისი როგორც სამეტყველო აქტების განსაკუთრებული ნაირსახეობის კვალიფიკაციის საშუალებას იძლევა. მას აქვს სპეციფიკური ილოკუციური მიზანი (მეტყველებითი რეაგირება მაკაუზირებელ სტიმულზე), მისი ინტენცია, მართალია, დაკავშირებულია კითხვასთან, მაგრამ უშვებს გარკვეული ხარისხის თავისუფლებას. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ადრესატმა თავის პასუხში შეიძლება გამოავლინოს ან არ გამოავლინოს პასუხის გაცემის სურვილი, გადავიდეს „კონტრშეტევაზე“ (კითხვითვე უპასუხოს კითხვას), შეიძლება უპასუხოს ირონიით, აბუჩად აგდებით, დაცინვით, ან პირიქით, გამოთქვას თანაგრძნობა, მხარდაჭერა, ყურადღება და ა.შ. იმ პირობით, რომ პასუხი კითხვის თემატიკასთან ან ადრესანტთან იქნება დაკავშირებული. „პასუხის“ სპეციფიკურ სამეტყველო აქტად აღიარებას ადასტურებს ზემოთ მითითებული სტრუქტურების არსებობა, ასევე კომუნიკაციის სტრუქტურაში მისი გასაკუთრებული როლი, ვინაიდან შეუძლებელია ადამიანური ურთიერთობების წარმოდგენა დიალოგის გარეშე, ხოლო ამ უკანასკნელის - „პასუხის“ გარეშე. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, დიალოგური ტექსტის ბმულობა მისი ორი მაკონსტრუირებელი ელემენტის - კითხვისა და პასუხის ურთიერთქმედებით განისაზღვრება, სწორედ ეს ორგანული ერთიანობა გვევლინება დიალოგური დისკურსის არსებობის საფუძვლად. შესაბამისად, თუ დიალოგური ტექსტის სტრუქტურაში კითხვა და პასუხი როგორც კომუნიკაციური „ინგრედიენტები“, კომუნიკაციური მთლიანის კომპონენტებად გვევლინება, მაშინ არ შეიძლება „პასუხის“ როგორც სამეტყველო აქტის იგნორირება, ვინაიდან მას თავისი მიზანი ფუნქცია და გამოხატულების პლანი გააჩნია. მეორე პოზიციის არსებობა არ ქმნის წინააღმდეგობის არგუმენტს, ვინაიდან, კომუნიკაციის თვალსაზრისით, პასუხები ხშირად შეიძლება უფრო მნიშვნელოვანი აღმოჩნდეს,

ვიდრე კითხვები, რომელთა მიკუთვნება სამეტყველო აქტებთან არ იწვევს ეჭვს. დიალოგური ტექსტის ფარგლებში კითხვისა და პასუხის ურთიერთობის სხვადასხვა ტიპებია შესაძლებელი. პასუხის“ როგორც ენობრივი კონცეპტისა და „პასუხის“ როგორც სამეტყველო აქტის მნიშვნელობების დიფერენცირება რომ მოვახდინოთ, გამოვიყენოთოთ ტერმინი „რესპონსივი“. აღნიშნული ცნება გვხვდება ჩარლზ ფრიზის ნაშრომში «The Structure of English. An Introduction to the Construction of English Sentences»[12], რომელშიც, გამონათქვამის მიზნიდან გამომდინარე, წინადადებები იყოფა ორ ძირითად ტიპად: სიტუაციურ გამონათქვამებად, რომლებიც მოითხოვენ პასუხს (situation utterance), და საკუთრივ პასუხებად (responsive utterance). გამონათქვამების პირველი ჯგუფი სამ ქვეჯგუფად იყოფა: 1) გამონათქვამებად, რომლებიც მხოლოდ ზეპირი პასუხით აისახება: მისაღმებები ზ, მიმართვები, შეკითხვები და ა.შ. (utterances that are regularly followed by oral responses only); 2) გამონათქვამებად, რომლებზედაც რეაქცია მოქმედებით ხორციელდება (utterances eliciting action responding); 3) გამონათქვამებად, რომლებიც მსმენელისგან მოითხოვენ იმის დადასტურებას, რომ ის მზადაა საუბარში მონაწილეობა მიიღოს [13, c. 117]. გარდა იმისა, რომ მოცემული ტერმინი მოგვცემს საშუალებას ავარიდოთ თავი ორაზროვნებას ჩვენი მოსაზრებების გადმოცემის პროცესში, გამოვთქვამთ ვარაუდს სამეტყველო აქტის მოცემული ტიპის უნივერსალურობის შესახებ. ტერმინი „რესპონსივი“, როგორც ჩვენ ვფიქრობთ, შეიძლება გამოყენებულ იქნას მითითებული უნივერსალური მნიშვნელობით. რიგ შემთხვევებში ჩვენ ვიყენებთ ტერმინს „ვერბალურ-კომუნიკაციური რეაქცია“, რომელიც პასუხის წმინდა ენობრივ ხასიათს შეესაბამება.

ვინაიდან „ვერბალურ-კომუნიკაციური რეაქციების“ სპეციფიკა დაკავშირებულია მაკაუზირებელ, ე.ი. კითხვით ელემენტთან, აზრი აქვს დიალოგური ერთეულების სტრუქტურაში აღმოჩენილი ბმულობის ფორმების გამოვლენას. პასუხების სემანტიკური ვარიანტების დიდი მრავალფეროვნება გვიჩვენებს მისი ტიპური ნაირსახეობების ანალიზისადმი დიფერენცირებული მიდგომის აუცილებლობას. როგორც უკვე აღვნიშნეთ, პასუხის ტიპი მნიშვნელოვანწილად დაკავშირებულია კითხვის ტიპოლოგიასთან. რუსულ გრამატიკულ ლიტერატურაში კითხვითი წინადადებები არაერთგვაროვანი ნიშნების ბაზაზე ინტერპრეტირდება. ასე მაგალითად, ზოგადი კითხვებში კითხვა

მიმართულია ზოგადი სახის ინფორმაციის მოპოვებაზე და მთელი წინადადების შინაარსს მოიცავენ. ისინი მოითხოვს „да“ ან “нет” ფორმით გამოხატულ პასუხს, ამიტომ მათ რუსი მეცნიერები ასევე უწოდებენ утвердительные(მტკიცებითი «да») და отрицательные (უარყოფითი “нет” )вопросы. სხვა ჯგუფი, რომელმაც ალტერნატიული კითხვების სახელწოდება მიიღო, დაკავშირებულია ვარიანტებს შორის ალტერნატიული არჩევანის შესაძლებლობასთან. რაც შეეხება რუსულ გრამატიკის მიერ გამოყოფილ მესამე ჯგუფს, მას საერთო ნიშანთვისებები აქვს საერთო კითხვებთან (კერძოდ, მოითხოვს „да“ ან “нет” ფორმით გამოხატულ პასუხს), თუმცა შინაარსობრივი თვალსაზრისით მნიშვნელოვნად განსხვავდება მისგან. მოცემულ შემთხვევაში ადრესანტი უფრო საკუთარი აზრის ან ვარაუდის დადასტურებით ან უარყოფით არის დაინტერესებული. კითხვების მოცემულ ტიპს, რომელსაც გამყოფი ეწოდება, აქვს სპეციფიკური სტრუქტურა. მისი პირველი ნაწილი წარმოადგენს მტკიცებას, რომელსაც მოსდევს უარყოფითი ფორმით გამოხატული მოკლე კითხვა, და პირიქით (მაგალითად, сегодня прекрасная погода, не правда ли ? )

კითხვების მეოთხე სტრუქტურული ნაირსახეობაა - სპეციალური კითხვები, რომლებიც კითხვითი სიტყვით იწყება და აზუსტებს, თუ რა სახის ინფორმაციის მიღება სურს მოლაპარაკეს. კითხვების მოცემული ჯგუფი სპეციალური კითხვითი ფორმანტებითაა მარკირებული.

როგორც ვხედავთ, კრიტერიუმები, რომლებიც ერთმანეთისგან ანსხვავებენ კითხვების მითითებულ ტიპებს, არაერთგვაროვანია. ზოგადი და სპეციალური კითხვები უპირისპირდება ერთმანეთს მოსალოდნელი პასუხის ფორმის და ასევე სპეციალური ენობრივი ფორმანტების არსებობის საფუძველზე; საერთო და გამყოფი კითხვები, სტრუქტურის გარდა, ინტენციონალურადაც უპირისპირდება ერთმანეთს; სპეციალური და ალტერნატიული კითხვები უპირისპირდება ერთმანეთს მთელი რიგი ნიშნებით: ინტენციით, სტრუქტურითა და ფორმანტებით. უნდა აღინიშნოს, რომ კითხვითობის პრობლემა უფრო ფართოა, ვიდრე კითხვითი წინადადებების მითითებული ტიპები, რაც ისეთი კონსტრუქციების არსებობით დასტურდება, რომლებიც ირიბად გამოხატავენ კითხვას (მაგალითად, საანკეტო კითხვების, კროსვორდების ფორმა და ა.შ.). მეორე მხრივ, თავად კითხვითი ფორმაც შეიძლება გამოხატავდეს არაკითხვით ინტენციას (თხოვნას, ბრძანებას, მუქარას და ა.შ.). ბუნებრივია, რომ სხვადასხვა იქნება პასუხის სტრუქტურა, რომელიც

მაკაუზირებელი კითხვის ხასიათზე იქნება დამოკიდებული. როგორც ცნობილია, კითხვის სემანტიკურ სტრუქტურაში რამდენიმე სემა გამოიყოფა, რომელთა კომბინაცია მოქმედების საერთო მიმართულობას ქმნის. ეროთეტული (კითხვითი) სამეტყველო აქტის განხორციელების წარმატებულობისათვის აუცილებელია კონტაქტის განხორციელება, რაც კითხვის ფაქტობრივ ფუნქციაში რეალიზდება. მართლაც, ადრესატისადმი მიმართვის ფორმას უზარმაზარი მნიშვნელობა აქვს, ვინაიდან ტაქტიანობის მაჩვენებელზე ხშირად პირდაპირ არის დამოკიდებული ადრესატის სურვილი შევიდეს კომუნიკაციაში. კონტაქტის დამყარების ფუნქციასთან ერთად სემანტიკურად ბირთვულ კომპონენტს წარმოადგენს „პროვოცირების“ სემა. მოცემული ინტენცია ადრესანტის ტაქტიკასთან არის დაკავშირებული, რომელიც მოტივაციას უქმნის ადრესატს გასცეს ადრესანტისთვის საინტერესო ინფორმაცია. კაუზალური ნაწილის მოტივირებულობაზე დამოკიდებულია ადრესატის საპასუხო რეაქცია. გარკვეულ შემთხვევებში კითხვა შეიძლება გამოხატავდეს მუქარის, ბრძანების და ზემოქმედების ნებელობით, ემოციურს (თხოვნა, ხვეწნა-მუდარა) და სხვა მნიშვნელობას.

სემანტიკური სტრუქტურის მესამე მნიშვნელოვანი კომპონენტია „პასუხის სფეროს ლოკალიზაცია“. დიალოგური მთლიანობის ანალიზი გვამღევეს საშუალებას ვთქვათ, რომ ადრესატს შეუძლია როგორც ინფორმაციის მოთხოვნაზე მოახდინოს რეაგირება, ისე მიმართვის ან შეგულიანების ფორმაზე, რომლებიც კითხვის სემანტიკური სტრუქტურის კომპონენტებს წარმოადგენენ. გარკვეულ შემთხვევებში ერთ-ერთი ამ მნიშვნელობებისაგან შეიძლება იყოს ინფორმაციის მოთხოვნაზე მნიშვნელოვანი, ამიტომ საპასუხო ქმედებების ხასიათის ანალიზისას ეს ფაქტორიც უნდა იქნეს მიღებული მხედველობაში.

იმისათვის, რათა დიალოგის პროცესში განისაზღვროს კითხვებისა და პასუხების ურთიერთობის ხასიათი დიალოგის სტრუქტურაში, როგორც ვფიქრობთ, აუცილებელია შევხვით ადრესანტებისა და ადრესატების კომუნიკაციურ როლებს. ეროთეტული სამეტყველო აქტის განხორციელების (წარმატებულობის) აუცილებელი პირობაა შეთანხმებულობა ადრესატის ქმედებებთან, ეს კი, თავის მხრივ, დაკავშირებულია ამ უკანასკნელის მზაობასთან შევიდეს დიალოგში. მიზეზები, რომელთა გამო არ ხდება კოოპერაცია ადრესატის მხრიდან, შეიძლება იყოს სხვადასხვა. კონტაქტის სურვილის არქონა შეიძლება იყოს დაკავშირებული

ადრესანტის მიმართ სიმპათიის არარსებობასთან, მის მიმართ უნდობლობასთან და მის გულახდილობაში ეჭვის შეტანასთან, მომართვის ფორმის (აგრესიისა და უპატივცემულობის შემცველ) არაკორექტულ ფორმულირებასთან, დროის არარსებობასთან, კითხვის არსის ჩამოუყალიბებლობასთან, ენის უცოდინრობასთან და ა.შ.

მეორე მხრივ, ადრესანტის არსენალში შეიძლება აღმოჩნდეს ადრესატზე ზეწოლის სხვადასხვა ბერკეტი, რაც ადრესატს აიძულებს უპასუხოს კითხვას. აქ შეიძლება მნიშვნელობა ჰქონდეს კომუნიკაციის სოციალურ და ფსიქოლოგიურ ფაქტორებს. ასე მაგალითად, ადრესანტს შეიძლება სამსახურებრივ იერარქიაში უფრო მაღალი საფეხური ეჭიროს, ვიდრე ადრესატს. ასეთივე „ძლიერ“ პოზიციას იკავებენ: მასწავლებელი მოსწავლესთან მიმართებაში; ექიმი ავადმყოფთან მიმართებაში; მშობლები ბავშვების მიმართ და ა.შ. ძლიერ პოზიციაში შეიძლება გამოდიოდეს ადრესანტი, რომელიც ურთიერთობისას ფსიქოლოგიური ინიციატივით სარგებლობს, რაც მისგან მომდინარე მუქარას, ბრძანებას, პასუხის მოთხოვნას ქმედითად ხდის.

უნდა ითქვას, რომ ადრესატს მხოლოდ გარეგნულად შეუძლია მოახდინოს რეაგირება ინფორმაციის „იძულებით გაცემაზე“. მას შეუძლია არ ილაპარაკოს არსებითზე, შეუძლია მოახდინოს აგრესიული „ადრესანტის“ დეზინფორმაცია, და შექმნას ამასობაში მოჩვენებითი კოოპერაციის ილუზია. მითითებული შემთხვევების გარდა შესაძლებელია შემთხვევა, როდესაც ადრესატი ნებაყოფლობით შედის კონტაქტში. ეს პირველ რიგში, ადამიანური კომუნიკაციის ბუნებითაა განპირობებული, რომლისთვის ნორმაა არა კონტაქტიდან გასვლა, არამედ მისკენ სწრაფვა. საინტერესოა, რომ კითხვაზე პასუხის გაცემის არამოტივირებული უსურველობა როგორც ქართულ, ისე რუსული კულტურის მიერ კვალიფიცირდება როგორც ეტიკეტის დარღვევა.

კითხვებისა და პასუხების ურთიერთქმედება დიალოგური ერთიანობის სტრუქტურაში გვიჩვენებს როგორც ინტენციათა ბრძოლას, ისე ქმედებების გარკვეულ შეთანხმებულობას. სწორედ ეს შეთანხმებულობა უზრუნველყოფს დიალოგური ერთიანობის აუცილებელ საფუძველს - ბმულობას. ეს უკანასკნელი შეიძლება გამოვლინდეს მოსაძიებელი და მიღებული ინფორმაციის თანაფარდობაში. საპასუხო რეაქცია, როგორც უკვე იყო აღნიშნული, შეიძლება შეეფარდოს კითხვის

სხვა სემანტიკურ კომპონენტს - მიმართვას, შეგულიანების ფორმას და ა.შ., რაც ბუნებრივია, გამოთქმის შესაბამის ფორმას გვკარნახობს.

ზემოთ ჩვენ შევხვით კითხვისა და კითხვითობის კატეგორიათა მიმართების პრობლემას და აღვნიშნეთ სხვაობა მითითებულ ცნებებს შორის. გარდა კითხვის ოთხი ძირითადი ნაირსახეობისა, ქართულ ენაში არსებობს ასევე რიგი პრაგმატული მნიშვნელობისა, რომლებმაც თავისი ასახვა ჰპოვეს ლინგვისტურ ლიტერატურაში. კერძოდ, ინტერესს წარმოადგენს ე. თოფურიას ნაშრომი: «კითხვითობის სემანტიკის მქონე ენობრივი ერთეულების პრაგმატული მნიშვნელობები ინგლისურ, ფრანგულ და ქართულ ენებში», რომელშიც ავტორი კითხვითი წინადადებების პრაგმატულ მნიშვნელობებს სხვადასხვა ენის მასალაზე იკვლევს. ჩვენ ინტერესს ნაშრომის ის ნაწილი იწვევს, რომელშიც ქართულ ენაში კითხვითი კონსტრუქციების პრაგმატული მნიშვნელობები აღიწერება, ვინაიდან მოცემულ მნიშვნელობებს შეუძლიათ შესაბამისი რესპონსივების ფორმის კაუზირება. უნდა აღინიშნოს, რომ მსგავსი მნიშვნელობები წარმოიქმნება და დაფუძნებულია კითხვის ონტოლოგიურ ბუნებაზე, ამიტომ აუცილებლად მიგვაჩნია რუსულ ენაში პრაგმატული ურთიერთობების განხილვას წინ წავუძღვაროთ კითხვის ოთხი ძირითადი სემანტიკური ტიპის აღწერა, რათა შემდგომში პასუხების ტიპებს შევუფარდოთ.

ეგრედ წოდებულ საერთო კითხვებს სხვა სახელწოდებაც აქვთ - „დიახ და არა კითხვები“. სავარაუდო პასუხის ტიპი უკვე თვით კითხვაში ფიქსირდება («დიახ» ან «არა»), მაგრამ, როგორც ურთიერთობის კონკრეტული სიტუაციების კვლევა გვიჩვენებს, ადრესატი შეიძლება დესტრუქციულად რეაგირებდეს კითხვას: გადაიყვანოს საუბარი სხვა თემაზე, გამოთქვას შენიშვნა კითხვის არსის ან ფორმის შესახებ, შეეხოს ადრესანტის პიროვნებას და ა.შ. ჩვენ მიგვაჩნია, რომ გამოთქმამ პასუხის სტატუსი რომ შეინარჩუნოს მას უნდა ჰქონდეს ბმულობა, ვინაიდან ყველაფერი, რაც დროში მონაცვლეობს, როდია კაუზირებული წინამორბედი სტიმულით. უნდა აღინიშნოს, რომ საერთო კითხვებისა და მათ შესაბამისი მოკლე უარყოფითი ან მტკიცებითი კითხვების შეფარდება წარმოადგენს კომუნიკაციურ ნორმას, ხოლო ცალკეული სპეციფიკური რეაქციები - „ვერბალურ-კომუნიკაციური რეაქციების“ მნიშვნელობის რეალიზების სიტუაციური შესაძლებლობების გამოვლინებაა.

ალტერნატიული კითხვები სტრუქტურულ-ფუნქციური თვალსაზრისით

მკაცრად ფიქსირებულია და პასუხში ორ ალტერნატივას შორის არჩევანს ვარაუდობენ (72, გვ. 12). არსებობს თვალსაზრისი, რომელიც ალტერნატიულ კითხვებს, როგორც რთული თანწყობილი წინადადების განსაკუთრებულ ტიპს, რომელიც კავშირით „ან“ გაერთიანებული ორი საერთო კითხვით არის წარმოდგენილი, ისე განიხილავს. მოცემული გარემოება ხსნის განსახილველი კონსტრუქციის სპეციფიკას. მეორე მხრივ, რ. კლოუზი (Close) საერთოდ არ განიხილავს კითხვის მითითებულ ტიპს, შემოიფარგლება რა სამი ნაირსახეობით. შესაძლოა, ის არ ხედავს მასში დამოუკიდებელ მნიშვნელობას (65, გვ. 14). აქ შესაძლებელია როგორც სრული, ისე მოკლე პასუხები.

ალტერნატიული კითხვებისგან განსხვავებით, დანაწევრებული კითხვები მოკლე ფორმით პასუხს მოითხოვს («დიახ» ან «არა»). დანაწევრებულ და ალტერნატიულ კითხვებზე რეაქცია-პასუხების პრაგმატული ვარიანტები მნიშვნელოვნად უფრო ფართოა, ვიდრე ეს გრამატიკულ ცნობარებშია დაფიქსირებული. ვინაიდან ჩვენ ამ საკითხს ქვემოთ შევხებით, აქ მხოლოდ მოცემული ფაქტის კონსტატაციით შემოვიფარგლებით.

სპეციალური კითხვები ზემოთ მითითებული ტიპებისგან სემანტიკური მიმართულობით განსხვავდება, ვინაიდან სპეციალურ პასუხს, დამატებით ინფორმაციას მოითხოვენ, რაც შეუძლებელია გამოიხატოს «დიახ» ან «არა»-ს ფორმებით. მსგავსი წინადადებების კომუნიკაციური სტრუქტურა ისეა ორგანიზებული, რომ პირველ, შინაარსობრივი თვალსაზრისით აქცენტირებულ პოზიციაზე სპეციალური კითხვითი სიტყვა იმყოფება, რომელიც ახდენს სავარაუდო პასუხის შინაარსის კაუზირებას. ისევე, როგორც ზემოთ მოყვანილ შემთხვევებში, პასუხები შეიძლება იყოს სრული და მოკლე. კითხვების მოცემული ტიპი იძლევა შესაძლებლობას გავარკვიოთ საგნის ან მოვლენის ისეთი მახასიათებლები, რომლებიც არ კაუზირდება სხვა ტიპის კითხვებით. სპეციალური კითხვებით შეიძლება გაირკვეს: დრო, ადგილი, პირობები, გარემოებები, მიმართულება, მოქმედების ხასიათი, ხარისხი, ფერი, ზომა, მიზეზი, სოციალური მდგომარეობა, ასაკი და სხვ. რელევანტური პასუხი სწორედ კითხვით სიტყვასთან არის დაკავშირებული. ფაქტობრივად, პასუხში ხდება კითხვითი სიტყვის ჩანაცვლება მისი საინფორმაციო ეკვივალენტით (თავად ადრესატის თვალსაზრისით). არ არის აუცილებელი იმის მტკიცება, რომ მოცემულ შემთხვევაშიც რეაქცია-პასუხების

პრაგმატული ვარიანტები შეიძლება ვერ თავსდებოდეს იმ ენობრივი სტრუქტურების ფარგლებში, რომლებიც გრამატიკებშია დაფიქსირებული. ვიდრე მოცემული პრობლემის განხილვაზე გადავიდოდეთ, მივმართოთ ე. თოფურას ზემოთ მოყვანილ ნაშრომს და გავაანალიზოთ კითხვითი სემანტიკის მქონე ენობრივი ერთეულების პრაგმატული მნიშვნელობების კლასიფიკაცია. ავტორი სამართლიანად მიიჩნევს, რომ აუცილებელია „კითხვისა“ და „კითხვითობის“ პრობლემის გამიჯვნა. მეორე კატეგორია „კითხვის“ ინტენციის გამოხატვის სხვადასხვა ფორმებს მოიცავს და მიმართულია შინაარსიდან ფორმისკენ. პირველი კატეგორია დაფუძნებულია ენობრივ ფორმაზე, რომელიც რეალური კომუნიკაციის პროცესში შეიძლება სრულიად განსხვავებული ინტენციონალური მნიშვნელობის გამომხატველი გახდეს. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ფორმით კითხვითი კონსტრუქცია შეიძლება თხოვნას, მოთხოვნას, მუქარას და ა.შ. გამოხატავდეს.

კითხვითი წინადადებების პრაგმატული მნიშვნელობების ანალიზის შედეგად ავტორი მათ საინტერესო კლასიფიკაციას გვთავაზობს (მითითებული პრაგმატული თვალსაზრისით). თავის კლასიფიკაციას ე. თოფურა ადრესანტის პოზიციაზე აფუძნებს, რომელიც სამ ამპლუაში გამოდის: 1) როგორც ადამიანი, რომელიც კონტაქტს ინფორმაციის მიღების მიზნით ამყარებს; 2) როგორც პიროვნება, რომელიც იმავე მიზნით ახდენს ზემოქმედებას ადრესატზე; 3) როგორც ადამიანი, რომელიც ელოდება თავისი აქტივობის შედეგებს. ამ სქემის გარდა, რომელსაც ავტორი კლასიკურს უწოდებს, კითხვითი კონსტრუქციები სხვა კომუნიკაციურ ინტენციებსაც გამოხატავენ, რომელთა საფუძველზე შემოთავაზებულია სამი ჯგუფის გამოყოფა. პირველ ჯგუფს „კითხვით-ზემოქმედების მომხდენი კითხვითი კონსტრუქციები“ შეადგენენ. მეორე ჯგუფს „კითხვით-რელაციური კითხვითი კონსტრუქციები“, ხოლო მესამე ჯგუფს - „კითხვით-ეტიკეტური კითხვითი კონსტრუქციები“ ქმნიან.

პირველი ჯგუფის გამოყოფა, ავტორის აზრით, ადრესატისა და ადრესანტის ურთიერთობების სპეციფიკაზეა დაფუძნებული. უკანასკნელის ინტენცია „კითხვა-ზემოქმედების მომხდენ“ ჯგუფში ზემოქმედების მომხდენი სემის (როგორც მას ავტორი უწოდებს) დომინირებაში ვლინდება, რომელიც განსაზღვრავს ჯგუფში შემავალ ერთეულთა ფუნქციურ-სემანტიკურ თავისებურებას. ზემოქმედების მიმართულებასთან დამოკიდებულების მიხედვით პირველ ჯგუფში შევიდა:

- 1) კითხვები-ბრძანებები: დედა, გასძახა! - აუცილებლად გამაღვიძე, გაიგე?



2) კითხვები-გაფრთხილებები: ხომ გაგაფრთხილე დამაგვიანდებოდა, რად არ გაითვალისწინე?

3) კითხვები-მუქარები: რა ჯანდაბამ გაგაკვირვა?

4) კითხვები-თხოვნები: მომყევით, მომყევით შვილნო! ერთხელ კიდევ ხმაშეწყობილად ვილოცოთ სიონის კედლებიდან ჩვენი ქვეყნის ბედზე, შევთანხმდით?

5) კითხვები-პასუხები: რას ამბობ კაცო?! გაფრთხილდი რა, კარგი?

6) კითხვები-შენიშვნები: რამ ჩამაძინა ნეტავ?

თუ პირველ ჯგუფში აქცენტი კითხვითი კონსტრუქციის ზემომქმედ ხასიათზე კეთდება, მეორეში - ყურადღება იმ მორალურ-ფსიქოლოგიურ ფაქტორებზე აქცენტირდება, რომლებიც ადრესანტში კომუნიკაციის პროცესში ვლინდება. ურთიერთობის მარკირებულობის ხასიათზე დამოკიდებულებით ავტორი კითხვა-რელაციურ ჯგუფს სამ ქვეჯგუფად ყოფს. პირველი ქვეჯგუფი ნეგატიურად შეფერილ პარადიგმას მოიცავს (უკმაყოფილების გამოხატვა, საყვედური, პროტესტი, აღშფოთება, გაკიცხვა, დაცინვა, ირონია). მეორე ჯგუფში გაერთიანებულია გარდამავალი შემთხვევები, როდესაც ურთიერთობა მთლად ერთმნიშვნელოვნად არ არის განსაზღვრული (ეჭვი, ვარაუდი, გაკვირვება). მესამე ჯგუფში შედის პოზიტიურად შეფერილი კითხვითი კონსტრუქციები (თანაგრძნობა, ქება, წახალისება). მოვახდინოთ მითითებული შემთხვევების ილუსტრირება.

კითხვით-რელაციური ჯგუფი.

I. ქვეჯგუფი:

1) უკმაყოფილება: შენ ადამიანის ღალატი შეგიძლია შვილო?

2) საყვედური: მტერსაც და აუგს თვალი კი დაუდგება ოდესმე?

3) პროტესტი: რა უნდა მოვუწონო მეფურად მცხოვრებ კაცს?

4) აღშფოთება: ვაი რომ სტუმარს ვერ დავუხდი საკადრისად?

5) საყვედური-შენიშვნა: მეტი მეკუთვნის?

6) დაცინვა: ესემც მტერიც დაგეხოცოთ, ვითომ?

7) ირონია: სამაგიეროდ ჩემო მიხაკო ბიძია შენ გაქვს ეზო - გარემო და ვენახი?...

II. ქვეჯგუფი:

1) ეჭვი: რა ვიცი შვილო, როგორ ვუპასუხო შენს შეკითხვებს?

2) ვარაუდი: ჯობია ბევრი რამ გავითვალისწინოთ სანამ დაგეთანხმებით, კარგი?

3) გაკვირვება: ნუთუ მართლა მოგვატყუეს?

III. ქვეჯგუფი:

1) თანაგრძნობა: თხელი შალი გაქვს მოხურული ხომ არ შეგცივდებათ?

2) წახალისება: განა ეს თქვენთვის რაიმე პრობლემას წარმოადგენს?

კითხვა-ზემოქმედების და კითხვა-რელაციურ ჯგუფებთან ერთად ე. თოფურია გამოყოფს ასევე „კითხვით-ფატიკურ ჯგუფს“, რომელიც კონტაქტის დამყარებაზეა ორიენტირებული. ისეთი კითხვები, როგორიცაა «როგორა ხართ?» ან «ხომ კარგად ბრძანდებით?» ფაქტობრივად მოკლებულია კითხვით ფუნქციას. ასეთ „კითხვებზე“ პასუხი შეფასდება როგორც კომუნიკაციური არაკომპეტენტურობის გამოვლინება.

ფატიკური მნიშვნელობა მადლიერების გამომხატველ წინადადებებსაც აქვს: როგორ შემიძლია დაგეხმაროთ?; ბოდიში: მაპატიებთ, რომ ასე გაგაწვალეთ?; წინადადება: თუ შეიძლება დამელოდეთ რა, გეთაყვა?; ნებართვა: შეიძლება მათხოვოთ ეს წიგნი? (50, გვ. 17-21). (ქართული მაგალითები ჩვენს მიერ არის მოყვანილი).

მოყვანილი კლასიფიკაცია გვაძლევს საშუალებას დავინახოთ ზოგიერთი ნიუანსი, რომელიც ეროთეტული აქტების სპეციფიკას გამოხატავს. ვუბრუნდებით რა რესპონსივების პრობლემას, გავიხსენოთ, რომ კითხვების ტიპოლოგია პირდაპირ არის დაკავშირებული პასუხების ტიპოლოგიასთან. კითხვითი სამეტყველო აქტების პრაგმატული მნიშვნელობების სპეციფიკის გათვალისწინებით შევეცდებით რესპონსივების სპეციფიკის გამოვლენას.

მითითებული ამოცანის გადაჭრა დიალოგური ერთიანობების პრობლემასთან გვაბრუნებს. ვინაიდან დიალოგი ადამიანთა ურთიერთქმედების სპეციფიკურ ფორმას წარმოადგენს, განსაკუთრებულ მნიშვნელობას კომუნიკაციის პროცესში სტატუსურ-როლური ურთიერთობების გათვალისწინება იძენს. პასუხის ხასიათი მნიშვნელოვანწილად კომუნიკაციის მონაწილეთა სოციალური როლების სიმეტრიულობა/ასიმეტრიულობაზეა დამოკიდებული. მეორე მხრივ, კომუნიკაციის პროცესში არანაკლებ მნიშვნელოვანია ადრესატის ფსიქოლოგიური განწყობა. განწყობაზე დამოკიდებულებით ის შეიძლება სხვადასხვაგვარად რეაგირებდეს კითხვაზე და ცალკეულ შემთხვევებში უგულებელყოფდეს კიდევ თავაზიანობის ნორმებს. უნდა გავითვალისწინოთ, რომ ქართულ ენაში საპასუხო რეაგირების ფორმები ყოველთვის როდია განპირობებული ოთხელემენტურიანი მოდელით,

რომელიც ვარაუდობს პასუხების შესაბამის, პროგნოზირებად ტიპებს. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, კითხვითი მნიშვნელობების პრაგმატიკა მნიშვნელოვნად უფრო ფართოა და ირიბ სამეტყველო აქტებსაც მოიცავს, რომელთა საპასუხო ენობრივი რეაქციები განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს.

როგორც ჩვენმა კვლევამ აჩვენა, რესპონსივების კლასიფიკაციას საფუძვლად უნდა დაედოს მათი კატეგორიალური ნიშნები. პასუხი წარმოადგენს სამეტყველო რეაქციას შეკითხვით გამოწვეულ კაუზატორზე. რესპონსივების მსგავსი ინტერპრეტაციისას ჩვენ გვექმნება შესაძლებლობა გავმიჯნოთ სამეტყველო აქტის პირდაპირი და ირიბი მნიშვნელობები. მოცემული მიდგომა შესაძლებელს ხდის „პასუხი“ გამოვარჩიოთ „საპასუხო რეაგირების“ სხვა ტიპებისაგან, რომლებიც შეიძლება გამოხატული იყოს სხვადასხვა კინესიკური საშუალებებით და უფრო რთული საკომუნიკაციო ქმედებითაც კი – ანუ საქციელით. უნდა შეგახსენოთ, რომ „საპასუხო რეაგირების“ ფორმები ყოველთვის არ კაუზირდება შეკითხვით, რაც კიდევ ერთი ფაქტორია, რომელიც რესპონსივების სპეციფიკასთან არის დაკავშირებული. ამ უკანასკნელთა ონტოლოგიურ ნიშან-თვისებას წარმოადგენს რეაგირების სამეტყველო ფორმა, რომელიც მას სემიოტიკური ექვივალენტებისგან (თავის დაქნევა, ჟესტი, საკომუნიკაციო დუმილი და სხვ.) განასხვავებს. უნდა აღვნიშნოს, რომ რესპონსივების სემიოტიკური ექვივალენტების ტაქსონომიზაციას დიდი მნიშვნელობა აქვს უცხოელთათვის ენის სწავლების პროცესში. სამწუხაროდ, წინამდებარე კვლევის ფარგლებში ჩვენ არ გვაქვს საშუალება უფრო ვრცლად გავჩერდეთ მოცემულ პრობლემაზე, ვინაიდან ეს ძირითადი თემისგან გადახვევის რისკს ქმნის.

წარმოადგენენ რა დიალოგური მთლიანობის ნაწილს, რესპონსივები, როგორც აღვნიშნული იყო, მჭიდროდ არიან დაკავშირებულნი კითხვით ნაწილთან. დიალოგურ ტექსტში ბმულობის გამოვლენის სპეციფიკას თავისი თავისებურებები აქვს და რიგ ფაქტორზეა დამოკიდებული: ურთიერთობის ბალანსზე, რომელიც სუბიექტურ და ობიექტურ ფაქტორებს მოიცავს და რესპონდენტის კომუნიკაციურ სტრატეგიას განსაზღვრავს, აგრეთვე კაუზაციის აზრობრივი ან ფორმალური მხარეზე (კითხვითი წინადადებაზე).

როგორც აღვნიშნა, დიალოგური ურთიერთობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფაქტორია „ურთიერთობის ბალანსი“, რომელიც კომუნიკანტთა

სოციალურ და ფსიქოლოგიურ კოორდინაციის ასპექტებს მოიცავს. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენთვის საინტერესო დიალოგური ურთიერთობის ტიპში მაკაუზირებელ ფაქტორად კითხვითი ნაწილი გამოდის, ადრესატი მრავალ შემთხვევაში გვევლინება, როგორც სრულიად დამოუკიდებელი პიროვნება, რომელიც სურვილიდან გამომდინარე შედის ან არ შედის ადრესანტთან კონტაქტში.

სიტუაციები, როდესაც ადრესატმა შეიძლება უარი თქვას პასუხზე, შეიძლება საკმაოდ მრავალი იყოს, თანაც მოტივაცია ყოველთვის როდია საჭირო. ჩვენ გვგონია, რომ მოტივაცია მსგავს შემთხვევაში შეიძლება შევავსოთ როგორც საპასუხო რეაგირების თავისებური ფორმა. ამ უკანასკნელის ხასიათიდან გამომდინარე შეიძლება შემდეგი შემთხვევების გამოყოფა: 1) კოოპერაციის სრული იგნორირების ან არამოტივირებული უარის; 2) მოტივირებული უარის.

კოოპერაციის თავისებურ ტაქტიკურ მოტივებად შეიძლება ჩაითვალოს განმეორებით კითხვა, თემის შეცვლა. ფორმით კოოპერაციულად, მაგრამ არსებითად არაკოოპერაციულად შეიძლება მივიჩნიოთ შემთხვევები, როდესაც ადრესატი შეგნებულად ამახინჯებს ინფორმაციას, აბუჩად იგდებს ადრესანტს, ირონიას მიმართავს და ა.შ.

სრული ინტეგრირების შემთხვევები უპირატესად დაკავშირებულია ისეთ შემთხვევებთან, როდესაც ადრესანტი და ადრესატი ან საერთოდ არ იცნობენ ერთმანეთს, ან დაძაბულ ურთიერთობებში არიან. ადრესატი შეიძლება გააღიზიანოს ადრესანტის არაკორექტულობამ ან ფამილარულობამ. იგნორირება შეიძლება დაკავშირებული იყოს ინფორმაციის გაცემის სურველის უქონლობასთან და ა.შ. პასუხზე არამოტივირებული უარის თქმა უმეტეს შემთხვევაში შეიძლება შეფასდეს როგორც თავაზიანობის კოდექსის დარღვევა. მეორე მხრივ, არამოტივირებული უარის თქმა უმეტეს შემთხვევაში შეიძლება განიხილებოდეს როგორც პროტესტის თავისებური ფორმა და გამოხატავდეს უპატივცემლობას, წყენას. გარკვეულ შემთხვევებში მსგავსი იგნორირება შეიძლება ადრესატის სულიერ მდგომარეობასთანაც იყოს დაკავშირებული.

„პასუხებსა“ და „არაპასუხებს“ შორის შუალედურ ადგილს პასუხისგან მოტივირებული უარის თქმის შემთხვევები იკავებს. აქ შესაძლოა შემდეგი ტიპის სხვადასხვა შემთხვევები: „ეს საიღუმლოა“, „არ არის საჭირო იცოდე“, „გაიზრდები, გაიგებ“, „სამწუხაროდ, ვერ გეტყვი“, „სამწუხაროდ, ძალიან მეჩქარება“, „არ მინდა

შენთან ურთიერთობა“, „არ მაქვს უფლება“ და ა.შ.

პერლოკუციური ეფექტის ქმედითობის თვალსაზრისით კითხვაზე რეაქცია შეიძლება საპასუხო რეაგირების სხვადასხვა სტრატეგიებს ეყრდნობოდეს: თანაგრძობა, თანაგრძობის არარსებობა, იგნორირება. უკანასკნელ კატეგორიას ჩვენ ზემოთ შევხეთ, მაგრამ მას ახალი პარადიგმის ფარგლებში მნიშვნელობის სხვა ნიუანსებიც შეიძლება ჰქონდეს. ჩვენ იგნორირების ისეთ ფორმას ვგულისხმობთ, როგორცაა „გულგრილობა“. ეს უკანასკნელი თავისებური პასუხია კითხვაზე, რომელიც კაუზაციაზე ადრესატის თვალსაზრისს გამოხატავს და პოზიტიურად (თანაგრძობა) და ნეგატიურად (თანაგრძობის არარსებობა) შეფერილ რეაქციებს უპირისპირდება. სხვაგვარად რომ ვთქვათ, მსგავს გულგრილობას შეიძლება „კოოპერაციული იგნორირება“ ეწოდოს.

როგორც ცნობილია, კონცეპტი „გულგრილობა“ „სემანტიკური პრიმიტივების“ რიცხვს განეკუთვნება, რომელიც „მენტალური ენის“ ლექსიკონს შეადგენენ. როგორც ს.ა. გოლუბცოვი აღნიშნავს: „გულგრილობას ძალუმს გამოვიდეს როგორც აქსიოლოგიური შეფასების ლოგიკის, ისე გრძნობების ლოგიკის ოპერატორი...“ (10, გვ. 21).

ჩვენ მასალასთან მიმართებაში ეს ნიშნავს, რომ მსგავსი რეაქცია შეიძლება როგორც ეროთეტულ აქტს განეკუთვნებოდეს, ისე ადრესანტს.

ე.თოფურია გვიჩვენებს, რომ გულგრილობის მაჩვენებლები ქართულ ენაში რამდენიმე ჯგუფს ქმნიან:

- ა) მოდალური ალტერნატივის არჩევის მიმართ გულგრილობის ფუნქციური კლასი;
- ბ) სუბიექტში ობიექტზე ემოციური რეაქციის არარსებობის მქონე ჯგუფი;
- გ) „სუსტი გულგრილობის“ თემატური ჯგუფი. აქვე განიხილება ავტორის მიერ „ნაცრისფერი ზოლი“, ე.ი. საშუალოობას მიკუთვნებული მოვლენები. ნეიტრალური მოდალობის მაჩვენებლები თვითშეფასების ფუნქციაში გამოიყენება.

ჩვენ „გულგრილობის“ პრობლემას ურთიერთობის ბალანსის პრობლემასთან დაკავშირებით შევხეთ და შევუპირისპირეთ მას ისეთი კატეგორიები, როგორცაა „თანაგრძობა“ და „თანაგრძობის არარსებობა“.

„გულგრილობის“ კატეგორიას როგორც ინტერაქციის ნულოვან კატეგორიას განვიხილავთ, რომლის ფონზე ვლინდება ადრესატის დადებითი („თანაგრძობა“) და

უარყოფითი („თანაგრძობის არარსებობა“) დამოკიდებულება.

ადრესანტის მიმართ თანაგრძობიანი დამოკიდებულება ვლინდება იმაში, რომ ადრესატი მასთან კონტაქტში შედის. მსგავსი კონტაქტის „ნებაყოფლობითობა“ შეიძლება არაერთგვაროვანი იყოს. ადრესატის მხრიდან კითხვაზე პასუხის ჭეშმარიტი სურვილის გარდა, შესაძლებელია შემთხვევები, როდესაც ის ამას სხვადასხვა ფაქტორების ზემოქმედების ქვეშ აკეთებს: ეტიკეტის ნორმების, სოციალური სტატუსის, შიშის და ა.შ. გავლენით. შესაბამისად, საპასუხო რეაქციების ჭეშმარიტება მსგავსი „ნებაყოფლობითი კოოპერაციისას“ ყოველთვის არ არის აბსოლუტური და გარკვეულ შემთხვევებში დეზინფორმაციის მიზეზს წარმოადგენს.

ფორმის მიხედვით საკმაოდ კორექტული რეაგირებისას შეიძლება ადრესანტის მიმართ საკმაოდ ნეგატიური დამოკიდებულება იმალებოდეს. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ირიბი სამეტყველო მნიშვნელობები შეიძლება რესპონსივებსაც ჰქონდეთ, რაც შეიძლება კონკრეტული მაგალითებით დავადასტუროთ (იხ. მესამე თავი).

ჩვენ განვიხილეთ ურთიერთობის კოოპერაციული ფონი, რომელიც საპასუხი რეაგირების სამ ტაქტიკას მოიცავს: 1) თანაგრძობას; 2) თანაგრძობის არარსებობას; 3) იგნორირებას; 4) გულგრილობას.

შეკითხვის ფორმულირებისას ადრესანტი ადრესატის შესაძლო რეაქციებს გეგმავს და პროგნოზის შესაბამისად იყენებს სხვადასხვა საკომუნიკაციო სტრატეგიას: ასტიმულირებს პასუხს ეტიკეტის ნორმების დაცვით, მიმართავს ემოციურ და ინტელექტუალურ ფაქტორებისადმი აპელაციას, ცდილობს ადრესატზე ზემოქმედება მოახდინოს „ძლიერი პოზიციით“ და ა.შ. როგორც აღვნიშნეთ, ურთიერთობის ბალანსი საპასუხო რეაგირების სამ ტაქტიკას მოიცავს: 1) ადრესანტის პიროვნებიდან; 2) მიმართვის ფორმიდან და 3) თავად ინფორმაციიდან გამომდინარე.

სამივე ფაქტორი შეიძლება საფუძვლად დაედოს რესპონსივის განსაზღვრებას, თუმცა კლასიკური გაგებით პასუხი მესამე ვარიანტი იქნება. ადრესანტის პიროვნებისადმი დამოკიდებულება ურთიერთობის კოოპერაციული რეგისტრის არჩევანს განსაზღვრავს, ხოლო მიმართვის ფორმა მნიშვნელოვანწილად აისახება ადრესატის სურვილზე შევიდეს ან არ შევიდეს კონტაქტში და შეიცავს რეაქციას ტაქტიკაზე, რომლის მეშვეობითაც ადრესანტი აპირებს სასურველი საპასუხო რეაგირების მიღწევას.

თავად საკითხის შინაარსისადმი დამოკიდებულება რეალიზდება კითხვის

ოთხელემენტთან მოდელზე რეაქციის ფარგლებში. კონკრეტული მასალის ანალიზმა მოგვცა საშუალება გამოვავლინოთ რესპონსივების სხვადასხვა მნიშვნელობები.

რესპონსივ-ინფორმატივები წარმოადგენენ ინფორმაციას დასმული საკითხის ირგვლივ და რეალიზდება რესპონსივებისთვის სპეციფიკური სტრუქტურებით: დიახ/არა ფორმის მიხედვით, ე.წ. არასრული წინადადებებით, რომლებსაც ჩვენ რესპონსივების ნორმატულ ვარიანტად, „ვის“ სტრუქტურაზე სარკისებური პასუხის შემცველ წინადადებად ვთლით.

კითხვების ირიბ პრაგმატულ მნიშვნელობებზე რეაქციებს შორის ყველაზე ტიპურია რეაქციები ირიბ თხოვნებზე, რჩევებზე, ბრძანებებზე და ა.შ. საინტერესოა, რომ საპასუხო რეაგირების ტაქტიკას მსგავს შემთხვევებში სპეციფიკური ხასიათი აქვს და „რესპონსივ-ინფორმატივების“ ტაქტიკისგან განსხვავდება. თუ კითხვების ტიპურ „კლასიკურ“ ტიპებზე რეაქციას ფიქსირებული ენობრივი სტანდარტი აქვს, კითხვით ფორმაში გამოხატულ კაუზატორებს თავისი სპეციფიკა გააჩნია.

ე. თოფურისას ზემოთ მითითებულ ნაშრომში მოყვანილი კითხვების პრაგმატულ ვარიანტებზე შესაძლო პასუხების გაანალიზებით მივედით დასკვნამდე, რომ პასუხის ხასიათს ადრესატი არა ენობრივ ფორმას, არამედ კითხვითი ნაწილის პრაგმატიკას უკავშირებს. ასე მაგალითად, ბრძანებაზე: "თქვენ შეგიძლიათ მიპასუხოთ?" რესპონდენტთა რეაქცია ერთმნიშვნელოვანია. ისინი მასზე როგორც ბრძანებაზე რეაგირებენ. შესაბამის რეაქციას იწვევს კითხვითი ფორმის მქონე მუქარა: "თქვენ შეგიძლიათ დამელოდოთ?", ან გაფრთხილება: "იცი მე რისი თქმა მსურს?".

ასევე თხოვნის მნიშვნელობას ინარჩუნებს კითხვითი კონსტრუქცია "გეთაყვა, შეგიძლიათ, რომ არ იხმაუროთ?"

აქ აღარ შევჩერდებით სხვა მაგალითებზე (ისინი მომდევნო თავში იქნება მოყვანილი) ,მხოლოდ აღვნიშნავთ, რომ ირიბ კითხვით სამეტყველო აქტებზე საპასუხო რეაქცია დაკავშირებულია ადრესატის მიერ განხორციელებულ მიზნობრივ ინტერპეტაციასთან და, როგორც წესი, შესაბამის ინტენციაზე რეაქციას წარმოადგენს. ამ დებულების უნივერსალობის შემოწმებას ჩვენ შეპირისპირების (თარგმანის) მასალაზე ვაპირებთ, მაგრამ, სანამ მითითებულ ამოცანაზე გადავიდოდეთ, მოკლედ შევაჯამოთ წინამდებარე თავის შედეგები.

1) კომუნიკაციის თეორიის განვითარებამ და მისმა ზეგავლენამ დიალოგის შესწავლის სფეროზე, შესაძლებელი გახდა სამეტყველო აქტების თეორიის

მიღწევების გამოყენება, რათა ახლებურად დაგვენახა კითხვა-პასუხის ტიპის კომუნიკაციის არსი;

2) დიალოგის კითხვითი ნაწილი საპასუხო რეაქციის კაუზირებას ახდენს, რამაც შედეგად მისი პრაგმატული თავისებურებების განხილვის აუცილებლობა გამოიწვია. განვსაზღვრეთ რა კითხვითი (ეროთეტული) სამეტყველო აქტების სპეციფიკა, ჩვენ გავმიჯნეთ კითხვითი კონსტრუქციების პირდაპირი და ირიბი მნიშვნელობები და გამოვავლინეთ მათი ძირითადი პრაგმატული მნიშვნელობები;

3) სამეტყველო აქტების სისტემაში საპასუხო სამეტყველო აქტების სპეციფიკის განსაზღვრის მცდელობამ მიგვიყვანა იმ დასკვნამდე, რომ მათი პრაგმატული მნიშვნელობებიდან გამომდინარე, შესაძლებელია „ვერბალურ-კომუნიკაციური რეაქციების“ მნიშვნელობა ვერდიქტივებთანაც, ეგზერსიტივებთანაც, კომისივებთანაც, ბეჰაბიტივებთანაც და ექსპოზიტივებთანაც გადაიკვეთოს (რასაც, ჯ. ოსტინის აზრით, უნდა მივაკუთვნოთ „პასუხები“), რაც ართულებს საკითხის საბოლოო გადაჭრას და რესპონსივების პირდაპირი და ირიბი მნიშვნელობების გამიჯვნის აუცილებლობას მოითხოვს.

4) „ვერბალურ-კომუნიკაციური რეაქციების“ ინტერპრეტაციასთან ყველაზე ახლოს ლოგიკოსები მივიდნენ, რომლებმაც შეიმუშავეს „პასუხების“ ორიგინალური კლასიფიკაცია. სამწუხაროდ, ჭეშმარიტების შკალაზე დაფუძნებული ეს კლასიფიკაცია უვარგისია ადამიანური ურთიერთობების იმ ნიუანსების კლასიფიკაციისათვის, რომლებიც ასახვას რეალურ კომუნიკაციაში პოულობენ.

5) კონკრეტული მასალის ანალიზმა მოგვცა შესაძლებლობა გამოვყოთ რესპონსივების მაკონსტრუირებელი ელემენტები:

ა) რესპონსივები მაკაუზირებელ სტიმულზე სამეტყველო რეაქციებს წარმოადგენენ;

ბ) პასუხები არა პასიურ რეაქციას წარმოადგენენ მაკაუზირებელ საწყისზე, არამედ მოიცავენ გამოკითხულის (იმ ადამიანის, რომელსაც კითხვას უსვამენ) დამოკიდებულებას თავად ინფორმაციისა და ადრესანტისადმი, რაც გამოიხატება ადრესატის შესაძლებლობაში შევიდეს ან არ შევიდეს კომუნიკაციაში და შეარჩიოს ურთიერთობის სუბიექტურად სწორი რეგისტრი.

გ) პასუხებს სპეციფიკური ენობრივი სტრუქტურები აქვთ: კონსტრუქციები დიახ/არა, ე.წ. „არასრული წინადადებები“, რომლებიც პასუხის ფუნქციაში ისეთ



ნორმატიულ ერთეულებს წარმოადგენენ, რომლებიც არანაირ შევსებას არ მოითხოვენ და სხვ. ეს გვამდევს საფუძველს ვამტკიცოთ, რომ „რესპონსივებს“ სპეციფიკური ნიშნების მთელი კომპლექტი აქვთ, რომლებიც შესაძლებელს ხდის მათი, როგორც სამეტყველო აქტების განსაკუთრებული ნაირსახეობის კვალიფიცირებას. მათ აქვთ სპეციფიკური ილოკუციური მიზანი (მეტყველებითი რეაგირება მაკაუზირებელ ენობრივ სტიმულზე), ასევე ინტენციონალური თავისუფლება, რომელიც მაკაუზირებელ ნაწილთან არის დაკავშირებული (მაგრამ არა დეტერმინირებული) და გამოხატვის სპეციფიკური გეგმა, რომელიც ტიპურ რესპონსიურ სტრუქტურებს მოიცავს.

დ) კითხვა-პასუხის დიალოგური ერთიანობის მაპროვოცირებელი ნაწილის „როლში“ შეიძლება გამოდიოდეს ერთეულები, რომლებსაც სხვადასხვა პრაგმატული მნიშვნელობები აქვთ, რაც არაერთგვაროვან პასუხებს ბადებს სტრუქტურული თვალსაზრისით ერთტიპიან კითხვით კონსტრუქციებზე.

კითხვითი ფორმის და არაკითხვითი მნიშვნელობის ასიმეტრია არცთუ იშვიათად იწვევს ინფორმაციის აღქმის არაერთგვაროვნებას, განსაკუთრებით, თუ ეს ინოფონებს ეხება.

ე) საპასუხო რეაგირების სპეციფიკა ურთიერთობის ბალანსით განისაზღვრება, რომელიც რესპონდენტის კომუნიკაციური სტრატეგიის განმსაზღვრელ სუბიექტურ და ობიექტურ ფაქტორებს მოიცავს. ურთიერთობის ბალანსი ურთიერთობის კოოპერაციულ ფონზე აისახება, რომელიც საპასუხო რეაგირების სამ ტაქტიკას მოიცავს: 1) თანაგრძნობას; 2) თანაგრძნობის არარსებობას; 3) იგნორირებას (გულგრილობას).

საპასუხო რეაგირების ტაქტიკები განისაზღვრება ადრესატის დამოკიდებულებით:

ა) ადრესანტის პიროვნებისადმი (თავისი სოციალურ-ფსიქოლოგიური პარამეტრებით);

ბ) მიმართვის ფორმისადმი (მის კულტურაში მიღებული ეთიკეტის ნორმების დაცვა/დაუცველობა);

გ) თავად ინფორმაციისადმი.

საპასუხო რეაგირების მაკაუზირებელი ინფორმაციის ასპექტზე დამოკიდებულებით ვერბალურ-კომუნიკაციური რეაქციები შეიძლება აღიქმებოდეს

ან არ აღიქმებოდეს კითხვაზე პირდაპირი პასუხებად. მიუხედავად ამისა, საპასუხო რეაგირების ტაქტიკა თავისთავად საინტერესოა, ვინაიდან ის კომუნიკაციური ურთიერთქმედების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ფორმას წარმოადგენს, რომლის ცოდნა უზარმაზარ როლს თამაშობს კულტურათაშორისი კომუნიკაციის პროცესში და, კერძოდ, მთარგმნელობით საქმიანობაში;

დ) კონკრეტული მასალის ანალიზი გვიჩვენებს, რომ დიალოგურ კითხვა-პასუხის კომპლექსში ბმულობის კატეგორია შეიძლება თავს იჩენდეს ადრესატის მიერ გადმოცემული ინფორმაციის კავშირში, როგორც თავად კითხვის შინაარსთან, ისე მიმართვის ფორმასა და ადრესანტის პიროვნებასთან.

შეპირისპირებითი ანალიზი (რომლის ნაირსახეობას წარმოადგენს თარგმანი) საშუალებას მოგვცემს გამოვალინოთ პასუხის სამეტყველო სტრატეგიის თავისებურება და დაგვეხმარება ჩვენთვის საინტერესო მოვლენის უნივერსალური და ეროვნულ-სპეციფიკური მახასიათებლების გამიჯვნაში. შევეცადოთ ჩვენი დაკვირვებების ვერიფიცირება კონკრეტულ ემპირიულ მასალაზე მოვახდინოთ.

### ნაწილი III

## კომუნიკაციის ეთნოკულტურული სპეციფიკა კულტურათაშორისი ინტერაქციის პროცესში

კომუნიკოლოგიის სფეროში მიმდინარე უახლესი კვლევები განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებენ კროსკულტურულ კომუნიკაციაზე, რომლის ერთ-ერთ მიმართულებად თარგმანს მიიჩნევენ. განსაკუთრებული აქცენტი კეთდება მის პროცესუალურ ინტერპრეტაციაზე, როგორც ორიგინალის ინტერპრეტაციაზე სხვა კომუნიკაციურ პარადიგმაში. ამასთან დაკავშირებით წინამდებარე ნაშრომს აქვს გარკვეული პერსპექტივა, ვინაიდან თანამოსაუბრის კომუნიკაციური ზრახვის ინტერპრეტაციის პროცესი წარმოადგენს პროცესს, რომელსაც მითითებულ საქმიანობასთან მსგავსების ნიშნები აქვს. როგორც ერთ, ისე მეორე შემთხვევაში ხდება ადრესანტის (ტექსტის ავტორის) კომუნიკაციური ზრახვის გაშიფვრა; როგორც ერთ, ისე მეორე შემთხვევაში ხდება რეაგირება გარკვეულ საკომუნიკაციო სტიმულ-კაუზატორზე, რომლის ინტერპრეტაცია შეიძლება ჭეშმარიტების შკალით ფასდებოდეს - როგორც ადეკვატური და არაადეკვატური; როგორც პირველ, ისე მეორე შემთხვევაში ინტერპრეტაციის შედეგებზე დამოკიდებულია ინფორმაციის გააზრება, რომელიც ერთ შემთხვევაში ინდივიდუალურ ადრესატის მიერ ხდება, მეორეში კი - ფართო „სამკითხველო“ აუდიტორიის მიერ, რომელსაც თავისი ვერდიქტი გამოაქვს ავტორისეული ინტენციის რეპრეზენტაციის ადეკვატურობაზე.

ბუნებრივია, ჩვენ ვერ ვხედავთ სრულ ანალოგიას ზემოთ მითითებულ მოვლენებს შორის, თუმცა ვთვლით, რომ დიალოგში ადრესანტის კომუნიკაციური ზრახვის ინტერპრეტაციის პროცესი დისკურსის ინტერპრეტაციის მხოლოდ კერძო შემთხვევას წარმოადგენს.

ეს დასტურდება დისკურსის სხვადასხვა ტიპებში დიალოგური ერთიანობების აზრობრივი ტრანსფორმაციის შესწავლის ექსპერიმენტებით, თანაც, ტექსტის სხვადასხვა ტიპებში ჩართული დიალოგური ერთიანობა შეიძლება სხვადასხვანაირად ინტერპრეტირდებოდეს.

დისკურსის შემადგენლობაში შემავალ დიალოგური მთლიანობების სტრუქტურულ-ფუნქციონალურ სპეციფიკის გაცნობიერებას შეიძლება უზარმაზარი

მნიშვნელობა ჰქონდეს თარგმანის თეორიისა და პრაქტიკისათვის, ეს კი, პირველ რიგში, აღნიშნული მთლიანობის ბუნების გააზრებას ვარაუდობს. განვიხილავთ რა დიალოგური ერთიანობის ერთ-ერთ კერძო ნაირსახეობას - კითხვა-პასუხის სტრუქტურებს, ვეცდებით ემპირიული მასალაზე დაყრდნობით მოვახდინოთ მათი ინტერპრეტირება.

დიალოგური ერთიანობის შემადგენლობაში ეროთეტული და რესპონსიული სამეტყველო აქტების ურთიერთქმედების შესწავლამ ამ უკანასკნელებში გამოავლინა პრაგმატული მნიშვნელობების ფართო სპექტრის არსებობა .

ვერბალურ-კომუნიკაციური რეაქციების ანალიზი გვაძლევს საშუალებას გავმიჯნოთ „საკუთრივ რესპონსივები“ და „რესპონსივები-რეაქციები“. მსგავსი გამიჯვნა დაკავშირებულია იმასთან, რომ პირველი ჯგუფი კითხვის საინფორმაციო ტიპს შეესაბამება, სხვაგვარად რომ ვთქვათ, მოცემულ შემთხვევაში დაცულია „კითხვა-პასუხის“ დიალოგური ურთიერთქმედების კლასიკური ფორმულა, რაც ლოგიკაში როგორც პირდაპირი პასუხი კვალიფიცირდება. „საკუთრივ რესპონსივები“ ავსებენ კითხვაში დაცულ ინფორმაციას. ფაქტობრივად, ისინი წარმოადგენენ „კითხვაზე“ პასუხს.

„რესპონსივები-რეაქციები“ წარმოადგენენ რეაქციას მაკაუზირებელ ინფორმაციაზე. ბუნებრივია, ეს არ გამორიცხავს მათ კავშირს ინფორმაციასთან, რომელიც მათ შეუძლიათ დაადასტურონ, უარყონ, იგნორირება გაუკეთონ და ა.შ. მაგრამ, „საკუთრივ რესპონსივებისგან“ განსხვავებით, პირველ პლანზე გამოდის არა ინფორმაციული, არამედ დამოკიდებულებითი ფუნქცია. მეორე მხრივ, „საკუთრივ რესპონსივებიც“ მოიცავს „რეაქტიულ მნიშვნელობას“, ვინაიდან ისინი საპასუხო რეაგირების ფორმას წარმოადგენენ. მაგრამ მოცემულ შემთხვევაში პირველ პლანზე ინფორმირების ინტენცია გამოდის. სხვა სიტყვებით, „როგორც „საკუთრივ რესპონსივებს“, ისე „რესპონსივ-რეაქციებს“ აქვთ მაინფორმირებელი და დამოკიდებულებითი ფუნქცია, მაგრამ ერთ შემთხვევაში ინფორმატიულობა დომინირებს, ხოლო მეორეში - უფრო აქტუალურად უკანასკნელი ფუნქცია გვესახება. მითითებული მნიშვნელობები დიალექტიკურ კავშირში იმყოფება, რაც თავად რესპონსივების ბუნებითაა განპირობებული, რომლებიც მითითებულ სემებს რთავენ თავისი მნიშვნელობის სტრუქტურაში.

თავის მხრივ, „რესპონსივები-რეაქციები“, როგორც ეს ქვემოთ იქნება ნაჩვენები,

არ არის ერთტიპიანი თავისი სტრუქტურითა და მნიშვნელობით, რაც განსაკუთრებით თვალნათლივ თარგმნის პროცესში მქდავდება. მაკაუზირებელ სტიმულზე რეაქციის ხასიათისგან დამოკიდებულებით „რესპონსივებ-რეაქციებს“ შეუძლიათ გამოხატონ ადრესატის (ყოფილი ადრესატის) დამოკიდებულება: ა) თავად ინფორმაციისადმი; ბ) ადრესანტისადმი; გ) მიმართვის ფორმისა და მოცემულ კულტურაში მიღებული საეტიკეტო წესების დაცვისადმი.

არ შეიძლება იმის დავიწყებაც, რომ თარგმანის პროცესის განხორციელებაში უზარმაზარი მნიშვნელობა აქვს კოოპერაციულ ფონს, რომელიც უმეტეს შემთხვევაში გვკარნახობს მთარგმნელობით სტრატეგიას დიალოგური კითხვა-პასუხების ერთიანობების ინტეგრეტაციისას.

კონკრეტული ემპირიული მასალის ინტერპრეტირებას ჩვენ ძირითადად სამი კოოპერაციული ტაქტიკების ფარგლებში ვახდენთ:

ა) თანაგრძნობის; ბ) თანაგრძნობის არ არსებობის; გ) გულგრილობის.

განსაკუთრებულ შემთხვევებს წარმოადგენენ ინფორმაციის შეგნებული დამახინჯების, ფსევდოტაქტიკის (ირონიის, აბუჩად აგდების, დეზინფორმაციის), იგნორირების შემთხვევები, მაგრამ, როგორც ჩვენ გვგონია, ყველა მითითებული შემთხვევები, შესაძლებელია მითითებული კოოპერაციული ტაქტიკების ფარგლებში ინტერპრეტირდეს. ასე, მაგალითად, ირონია, აბუჩად აგდება, დეზინფორმაცია, მიჩუმათება შეიძლება განხილულ იქნეს, როგორც თანაგრძნობის არ არსებობის კერძო შემთხვევები, ხოლო იგნორირება - როგორც გულგრილობისა, თუმცა ეს უკანასკნელი შეიძლება განვიხილოთ ასევე როგორც თანაგრძნობის არსებობის ნულოვანი ვარიანტი. ჩვენ ვვარაუდობთ, რომ თავად კოოპერაციული / არაკოოპერაციული ქცევის ტაქტიკას უნივერსალური ხასიათი აქვს, თუმცა ის კონკრეტულ კულტურებში ეროვნულ-სპეციფიკურ ნიშნებს (ნიუანსების დონეზე) ავლენს. მოცემულ გარემოებას, როგორც გამოცდილება გვიჩვენებს, პრინციპულად დიდი მნიშვნელობა აქვს თარგმანის პრაქტიკაში. როგორც აღნიშნული იყო, კოოპერაციული ტაქტიკა საპასუხო რეაქციის ხასიათს გვკარნახობს და რესპონსივების ტიპებს განსაზღვრავს. ამასთან დაკავშირებით ჩვენ მიგვაჩნია, რომ ქართულ ენიდან რუსულზე (და პირიქით) რესპონსივების გადაცემის პრობლემა უნდა განვიხილოთ კოოპერაციული ტაქტიკის კონტექსტში, რომელიც დიალოგური ურთიერთქმედების ფორმას განსაზღვრავს.

დიალოგური ურთიერთქმედების განსახორციელებლად აუცილებელია, პირველ რიგში, კონტაქტის არსებობა. კონტაქტში შესვლის სურვილი ან უსურველობა წარმოადგენს ნებისმიერი პიროვნების სუვერენულ უფლებას, მაგრამ ეს უფლება ხშირად ირღვევა სოციალური და ფსიქოლოგიური იმპერატივების ქმედების ქვეშ, რომლებიც ადამიანს ურთიერთქმედების გარკვეულ ნორმებს უწესებენ. ბუნებრივია, ეს სიტუაცია გამოხატულებას დიალოგის პროცესში სამეტყველო ქცევის გარკვეული მოდელების შემუშავებაშიც პოულობს. წინამდებარე სადისერტაციო კვლევის ამოცანასთან მიმართებაში ეს ნიშნავს იმას, რომ სამეტყველო რეაგირების ტაქტიკამ კითხვა-პასუხის დიალოგებში თავისი სტრუქტურულ-ფუნქციური მოდელები შეიმუშავა, რომლებიც მხედველობაში უნდა მივიღოთ თარგმნის პროცესში.

უნდა აღინიშნოს, რომ „საკუთრივ-რესპონსივების“ და „რესპონსივებ-რეაქციების“ გამოყენება ასევე განისაზღვრება მათი შინაარსითა და დიალოგური ურთიერთქმედების ხასიათით, ასევე შესაბამისი, კოოპერაციული ტაქტიკებით, რომელთა ანალიზი აუცილებელია კონკრეტული მთარგმნელობითი გადაწყვეტილების არჩევისას.

ვინაიდან დიალოგის განხორციელების პირველი და აუცილებელი პირობაა კონტაქტი, პირველ რიგში განვიხილავთ დიალოგური ურთიერთობის მცდელობებისას წარმოქმნილ დაბრკოლებებს. ამასთან დაკავშირებით ჩვენ შევვხებით „თანაგრძნობის არარსებობისა და იგნორირების“ ტაქტიკებს. ეს ტაქტიკები შეიძლება როგორც ვერბალურად, ისე არავერბალურად გამოიხატებოდეს, თანაც უარყოფითი დამოკიდებულების ხასიათი შეიძლება კომუნიკაციური რეაქციების ფართო სპექტრში გამოვლინდეს, დაწყებული პასიური მიუღებულობით და მტრობის დაუფარავი გამოხატვითა და აგრესიული ქცევით დამთავრებული.

არათანაგრძნობითი დამოკიდებულების არავერბალური რეაქცია შეიძლება იყოს დუმილი, შესაბამისი ჟესტი, აგრესიული ქცევა და ა.შ., ხოლო მიზეზი - კითხვის არაკორექტულობა ან პროვოკაციული ხასიათი, პასუხის არცოდნა, ცუდი გუნებ-განწყობილება, ადრესანტის ან მიმართვის ფორმის მიუღებლობა, ენის არცოდნა და სხვ.

მოვიყვანოთ ზოგიერთ, ჩვენი თვალსაზრისით, საინტერესო მაგალითს. არავერბალური რეაქციის საინტერესო მაგალითია ზ. მჟავანაძის მოთხრობათა

კრებულში „ბოგინი“ (71, გვ. 33).

"რა თვალი დაგიდგა ვეჟო, განა ვინმე ღირს ამაღ?"

„კეთილი კაცი სახელი რომ გაქვს თორღვა და მთელი მთა ასე გიცნობს, როგორ ავხსნა შენი საქციელი?"

ფაქტობრივად, მოთხრობის გმირი - ბერდია ახშობს თავის „პასუხს“, გადააქვს რა თავისი უთანაგრძნობო დამოკიდებულება შიგნით.

არავერბალური პასუხის მაგალითია ასევე ნაწარმოები „ბერდიიდან“ მოყვანილი შემდეგი მაგალითი:

- ვინა ხარ, მოჩვენება თუ კაცი?!, რას იქმნ, რა გსურს?

- მან თავი გადაიქნია, პასუხიც არ აღირსა".

ნულოვანი საპასუხო რეაქცია შეიძლება აღვნიშნოთ ასევე შემდეგ მაგალითში: "ოღონდ სიტყვა დაიხსომე, არავის უამბო, როგორ მომტაცე ცხენი და ამირიე ოჯახი, გაიგე?!"

-....

პასუხის ფუნქციით შეიძლება ქმედებაც იყოს წარმოდგენილი. ასე მაგალითად, მოთხრობის „ქალღმერთები“ გმირს - თორღვას მიაჩნია, რომ დასმულ კითხვაზე უფრო ეფექტიანი პასუხი იქნება შესაბამისი ქმედება - ხელისგულზე დადებული ოქროს მონეტის გადაგდება: "მადლობა, ბაბუა მოტყუილებით ნურასოდეს გადაისვრი ლუკმას, ნურც მახეს დაუგებ ვინმეს არ შეეჩვიო ამნაირ საქმეს, ოქროს ფულს ნამუსი გერჩიოს, გასაგებია?".

რაც ეხება არათანაგრძნობითი დამოკიდებულების ვერბალურ მხარეს, ის შეიძლება სხვადასხვა შემთვევებებში გამოიხატებოდეს, რომლებსაც აქვთ ან არა აქვთ ეტიკეტის დაცვასთან დამოკიდებულება.

ჩვენ ზემოთ არაერთხელ ხაზს გავუსვით ხაზი იმ გარემოებას, რომ ადრესატის დამოკიდებულება ადრესანტთან, თავად ინფორმაციის ხასიათთან ან ურთიერთობის საეტიკეტო ნორმების დაცვასთან ასტიმულირებენ საპასუხო რეაგირების სპეციფიკას. უარყოფითი დამოკიდებულება შეიძლება პირდაპირ ან შენიღბულად გამოიხატებოდეს, როგორც ერთ-ერთი ზემოთ მითითებული ფაქტორებისადმი, ასევე ყველა მათგანისადმი ერთად. ასე, მაგალითად, აფასებს რა კითხვის ფორმით გამოხატულ თხოვნას, მოთხრობა „ქალღმერთების“ პერსონაჟი მიმართავს ანალოგიებს, გამოხატავს რა თავის არათანაგრძნობით დამოკიდებულებას:

"ჭკვიანი ადამიანები ყოველთვის ფრთხილობენ".

ერთობ მკაცრი გამკიცხავი „პასუხი“ გამოხატულია თამარის ფრაზაში მოთხრობიდან „ქალღმერთები“:

"ამ ბედრკულ წუთისოფელში რას გაუგებ წუთის სოფელს, შვილო". ფაქტობრივად, მსაგავსი ფრაზა განაჩენის ტოლფასია.

არათანაგრძნობითი დამოკიდებულება შეიძლება რეალიზდებოდეს პირდაპირი აგრესიის ფორმით:

"არ უნდა გადაგეჭარბებინათ თქვენივე ცუდი საქციელით, ნურასოდეს ნუ ისწავლით სხვის შეცდომებზე, კარგი? "ხომ არ გეჩვენებათ რომ გაგწირეს"?

გარკვეულ შემთხვევებში არათანაგრძნობითი დამოკიდებულების გამოხატვის ეფექტიანი საშუალებაა ირონია. ასე, მაგალითად, ირონიზირებს რა "მტრების" შესახებ, ბერდია მიმართავს მათ: „ვინც უკეთესად ცრუობს, უკეთესად ის ლესავს დანას, და ანადგურებს მოყვასს, ასე არ არის მტერთა კრებულო"?

არათანაგრძნობითი დამოკიდებულება შეიძლება კითხვებზე საპასუხო რეაქციებში გამოიხატებოდეს როგორც საექტივეტო ფორმით, ისე პირდაპირი შეურაცხყოფის ფორმით. გარკვეული მიზეზების გამო ციტირებული ავტორის ნაწარმოებებში ჩვენ ვერ აღმოვაჩინეთ პირდაპირი სალანძღავი არაკოდიფიცირებული ენობრივი ერთეულები, რომლებიც საკმაოდ პოპულარულია სასაუბრო მეტყველებაში და, განსაკუთრებით, ტელედებატებსა და კინოფილმებში. გარკვეული მოსაზრებების გამო თავს შევიკავებთ „რეაქციული უხეში სიტყვების“ ციტირებისგან, რომელიც აუცილებლობის შემთხვევაში შეიძლება რაიმე განსაკუთრებული სირთულის გარეშე „მოვიაზროთ“.

დაუფარავი მტრობის შემთხვევებს რესპონსიული რეაგირების შემდეგი მაგალითები შეიძლება მივაკუთვნოთ:

"განა მე შემძლია გაგანადგუროთ?", "ემშაკმა დალახვროს, და ბოლოს და ბოლოს მაცადეთ სიცოცხლე, რა?", "ჯობია საერთოდ არ მოგისმინოთ"?

გარკვეულ შემთხვევებში არათანაგრძნობითი დამოკიდებულება შეიძლება ეტიკეტური ფორმით შეინიღბოს. ასე, მაგალითად, გარეგნულად თითქოსდა სრულიად „უწყინარ“ ფრაზაში შენიღბული ირონია: "მე მოხარული ვარ თქვენი ნახვით", მხოლოდ ინტონაციურად გამოიხატება და შეიძლება სრულიად გაუგებარი იყოს როგორც მესამე პირისთვის, ისე თავად ადრესატისთვის.



ეტიკეტური არათანაგრძობითი დამოკიდებულების გამოვლინებად შეიძლება შეფასდეს შემდეგი რესპონსიული მნიშვნელობებიც:

"მაპატიეთ, მე თქვენთვის ვერ მოვძებნე საჭირო წიგნი".

მსგავს შემთხვევებში არათანაგრძობითი დამოკიდებულების „შერბილება“ მიიღწევა ეტიკეტური ფორმულის „მაპატიეთ“ გამოყენებით, რომელიც კოოპერაციული მაქსიმუმის დაცვის ფორმალურ მაჩვენებლად გვევლინება. მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ შესაბამისი ინტონაციისას მითითებულმა საეტიკეტო ფორმულამ შეიძლება საწინააღმდეგო მნიშვნელობა შეიძინოს. რესპონსივში ამბივალენტური მნიშვნელობების შეთავსებას, რომლებიც ერთი მხრივ, თანამოსაუბრის მიმართ (ეტიკეტის ფორმულის ფორმით) პატივისცემას, ხოლო მეორე მხრივ - თანაგრძობის არარსებობას გამოხატავენ, შეიძლება დიდი სტილისტური ეფექტი ჰქონდეს.

განსაკუთრებულ სტილისტურ ილეთს, რომელიც გვადლევს საშუალებას არ მოვახდინოთ პირდაპირ ჩვენი არათანაგრძობითი დამოკიდებულების დემონსტრირება, წარმოადგენს დიალოგური პერსპექტივის შეცვლა, რაც შეიძლება გამოიხატებოდეს განმეორებით კითხვაში, საკუთარ კითხვაზე ავტორეაგირებაში, საუბრის თემის შეცვლაში და ა.შ.

კომუნიკაციის კონკრეტული ფაქტისადმი არათანაგრძობითი დამოკიდებულება, უფრო ზუსტად კი, კითხვაზე რეაგირება, ზემოთ მოყვანილი მოდელების გარდა, ჩვენს კარტოთეკაში შემდეგი მაგალითებითაა წარმოდგენილი:

ა) კითხვაში დაფიქსირებულ თემის შეცვლით: «-როგორ გგონიათ მათ გაიცნეს ერთმანეთი?»

„ვინ იცის რა ელოდება ვინმეს?“

„როგორა ხართ?“

„როგორ ფიქრობთ?“

„მგონი ვცოცხლობ?“

მოცემულ შემთხვევაში კითხვის იგნორირება და თემის შეცვლა ხდება.

ბ) განმეორებით კითხვის ფართოდ გავრცელებული შემთხვევები, რომლებიც დამოკიდებულების სხვადასხვა ელფერს მოიცავს, მათ შორის ნეგატიურსაც:

- როგორ გიკითხოთ ადამიანო?

- თქვენ როგორ ფიქრობთ? როგორც ხედავთ, კარგად ვარ! (ირონიის ელფერით).

გარკვეულ შემთხვევებში გულგრილობა ფაქტობრივად უარყოფითი დამოკიდებულების ნაირსახეობას წარმოადგენს. ასე, მაგალითად, როდესაც კითხვა ფაქტობრივად თხოვნას შეიცავს, ნეიტრალური დამოკიდებულება შეიძლება ეტიკეტის დარღვევას წარმოადგენდეს. კითხვისა ან თავად ადრესატისადმი გულგრილი დამოკიდებულების გამომხატველი რესპონსივები ტიპურია ქართული და რუსული ენისათვის და შეიძლება ილუსტრირებული იქნას შემდეგი მაგალითებით:

1) - გესმით რას ამბობენ ისინი ჩემზე?

- სრულებითაც არ მაინტერესებს !!

2) - არ გინდა, რომ მათ იცოდნენ, რომ ცოცხალი ხარ?

- მე არ ვცხოვრობ მათი ინტერესებით.

3) რას ატმასნით ვიღაც ნაძირალებს ჩემს საქმეს და მიწამლავთ ცხოვრებას?

- მერე რა.

როგორც ვხედავთ, რესპონსივების სხვადასხვა ფორმებით გამოხატულ „გულგრილობას“ შეიძლება გამოვლინების სხვადასხვა ხარისხი ჰქონდეს.

გულგრილობის დამოკიდებულების გამომხატველი რესპონსივების მსგავსი გრადაცია რუსული ენისთვისაც არის დამახასიათებელი, რაც ზემოთ მითითებული ფრაგმენტების თარგმანითაც დასტურდება:

1. - Вы не слышите, что там судачат?

- Пусть их

2. - А вам не хочется, чтобы знали о вашем существовании, знали, что вы живете?

- Жить я хочу, а знают о том или нет, не имеет значения для меня.

3. Подло действуете против меня и уничтожаете мою жизнь?

- Ну и пусть.

თავად ეტიკეტის ბუნებიდან გამომდინარე, დიალოგური მთლიანობის ფარგლებში ყველაზე ტიპურ შემთხვევას კოოპერაცია წარმოადგენს, რის გამოც, აპრიორი, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ თანაგრძნობის დამოკიდებულების გამომხატველი თემატური ჯგუფი, ყველაზე ფართოდ გავრცელებულ ჯგუფს შეადგენს.

დიალოგური კომუნიკაციის პარტნიორთა ურთიერთქმედების პრობლემამ განსაკუთრებული მნიშვნელობა ენობრივი სინამდვილის ფაქტებისადმი ანთროპოცენტრისტული მიდგომის შუქზე შეიძინა. ამასთან კავშირში, გარკვეულ ინტერესს წარმოადგენს ნაშრომთა ციკლი, რომელიც დისკურსის, როგორც გარკვეულ სოციალურ სფეროში მიმდინარე სამეტყველო ქცევის კომუნიკაციურ-პრაგმატული ნიმუშის სახით ინტერპრეტაციას ეძღვნება. ამა თუ იმ დისკურსის ფარგლებში ინტერესს წარმოადგენს კომუნიკაციის პარტნიორთა სამეტყველო სვლების გამოკვლევა, რომლებიც კონკრეტულ დიალოგურ სიტუაციაში პიროვნების სამეტყველო ქცევის ხაზს განსაზღვრავენ. ასევე მნიშვნელოვანია თავად დიალოგური პროცესის დახასიათება, თანამოსაუბრეთა პიროვნული თვისებების გამოვლინება და სხვ.

დიალოგური ურთიერთობა, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, სხვადასხვა ვარიანტებს მოიცავს, რომლის ერთ-ერთი ნაირსახეობას „კითხვა-პასუხის“ სტრუქტურა წარმოადგენს. უნდა აღინიშნოს, რომ დისკურსის მოცემული ტიპი შინაარსობრივი თვალსაზრისით ყოველთვის როდი შეესაბამება თავის ონტოლოგიურ ბუნებას და შეიძლება რეპლიკების პრაგმატული ბმულობის სხვადასხვა მოდელებს გამოხატავდეს:

ა) წინადადება - წინადადების მიღება, მაგალითად: - წამოხვალთ ჩემთან ერთად? კი, ძვირფასო.

ბ) „ბრძანება - პასუხი ბრძანებაზე, მაგალითად: - სწორდით! სმენა!

გ) მტკიცება/განცხადება - დადასტურება, მაგალითად: ეს სწორია? რა თქმა უნდა!"

დ) შემახილი - რეაქცია შემახილზე, მაგალითად: - ბერდია? - ო?

მითითებული მაგალითები ადასტურებენ კითხვა-პასუხის დიალოგური მთლიანობების (რომლებიც დიალოგური დისკურსის ერთ-ერთ კერძო ნაირსახეობას წარმოადგენენ) კომუნიკაციურ-პრაგმატული მნიშვნელობების სპეციფიკურ სირთულესა და არაერთგვაროვნებას. უნდა აღინიშნოს, რომ თავად რეპლიკების პრაგმატული ბმულობის ხასიათი ურთიერთობის სხვადასხვა ტიპებს ვარაუდობს: დიალოგი-მსჯელობა, დიალოგი-კამათი, დიალოგი-ჩხუბი და ა.შ.

როგორც ცნობილია, დიალოგურ ურთიერთობაში განსაკუთრებულ ადგილს ტოპიკალიზაციის მარკერები იკავებენ, რომლებიც დისკურსიულ პროცესში

რეპლიკების ორმხრივი მონაცვლეობით ვლინდება და თანამოსაუბრის მხრიდან შესაძლო რეაქციას ვარაუდობენ. ეს უკანასკნელი მდგომარეობს იმაში, რომ მოსაუბრე, აღიქვამს რა რეპლიკა-რეაქციას, მარკერს აღიქვამს როგორც ტოპიკის ცვლის სიგნალს და თანამოსაუბრესთან ერთად მონაწილეობს ერთობლივი დისკურსის შექმნაში. მეორე მხრივ, მორეაგირე არ თვლის, რომ წინამორბედი ტოპიკი შინაარსობრივად ამოწურულია და ამა თუ იმ ფორმით ეხმიანება ახალ ტოპიკზე გადასვლას.

საპასუხო რეპლიკა დიალოგური მთლიანობის შემადგენლობაში, როგორც წესი, არ შემოიფარგლება მხოლოდ კონკრეტული ინფორმაციის გადაცემით, ის ასევე მარკერებსაც მოიცავს, რომლებიც რეპლიკების დაკავშირებას ემსახურება და გამოხატავს სხვადასხვა ემოციურ ურთიერთობებს, ადრესატის ინტენციას გააგრძელოს ფატიკური ურთიერთობა დიალოგის ინიციატორთან. დიალოგურ კომუნიკაციაში მსგავსი მარკერების როლში ხშირად გამოდიან, ნაწილაკები და შორისდებულები, რომლებსაც მოდუსური შინაარსი აქვთ და თანამოსაუბრეს ამზადებენ ინფორმაციული გამონათქვამის დიქტუმური მდგენელის აღსაქმელად ამავე დიალოგური რეპლიკის შემადგენლობაში.

მოდუსის და დიქტუმის გამიჯვნამ ხელი შეუწყო სამეტყველო სტიმულებისა და რეაქციების ტიპების დაზუსტებას, რასაც, თავის მხრივ, უშუალო შეხება აქვს დიალოგურ მეტყველებასთან და ამ უკანასკნელის შიგნით რეპლიკების ბმულობასთან (დაკავშირებასთან). კომუნიკაციის პროცესის სტრუქტურაში მოცემული ტერმინების როლის შესაბამისად მიღებულია მათი დაპირისპირება. ლინგვისტურ ლიტერატურაში დიქტუმი წარმოადგენს შეტყობინებაზე პირდაპირ ორიენტირებულ სტიმულებსა და რეაქციებს, ხოლო შეტყობინებისადმი მოსაუბრის სუბიექტურ დამოკიდებულებასთან დაკავშირებულ სტიმულებსა და რეაქციებს მოდუსი ეწოდება.

დიალოგური ტექსტის მოდალური და დიქტალური რეპლიკების ურთიერთქმედება კომუნიკაციური აქტის რეალიზების აუცილებელი პირობაა. როგორც ცნობილია, „ადრესანტ-ადრესატის“ ოპოზიციის არსებობა დაკავშირებულია საზღვრის გავლებასთან, რომელიც აცალკევებს ერთმანეთისაგან ენობრივ ცნობიერებაში შიდა და გარე სივრცეს. გამონათქვამის წარმოქმნისას მოსაუბრის ამოცანა მდგომარეობს იმ პროპოზიციის (მოდალურის და დიქტალურის) არჩევაში,

რომელიც პასუხობს მის ინტერაქციულ მიზანს. კომუნიკაციის ადრესატი არის ადრესანტის სემიოტიზაციის აუცილებელი პირობა - ანუ რეგულატორი, რომელიც ორგანიზებას უკეთებს მის გამოცდილებას და ქცევას.

მაინიცირებელი რეპლიკა როგორც დიქტუმურ, ისე მოდუსურ კომპონენტს შეიცავს. მოცემულ რეპლიკაში შეიძლება არსებობდეს დიქტუმი, მოდუსი და დიქტუმი მოდუსთან ერთად. ამასთან ერთად, „სუფთა“ დიქტუმის ან მოდუსის არსებობის შემთხვევაში შეიძლება ინტეპრეტირებულ იქნას როგორც რეპლიკაში იმპლიციტური დიქტუმის ან იმპლიციტური მოდუსის არსებობა. დიქტუმი ეს თავად შეტყობინების ფაქტია, ხოლო მოდუსი - თანამოსაუბრის რეაქცია დიქტუმურ მდგენელზე.

რეალური სინამდვილის ფაქტები რეპლიკაში აქსიოლოგიური და მენტალური პოტენციალის სახით აისახება. დიქტუმი - ყოფიერი სივრცის ფაქტებია, მოდუსი კი - დიალოგური ურთიერთობის აქსიოლოგიური სივრცის ფაქტები.

საპასუხო სამეტყველო სვლის ფორმირებისას, ადრესატი რეაგირებს როგორც მაინიცირებელი რეპლიკის შინაარსზე, ისე თანამოსაუბრის დამოკიდებულებაზე შინაარსისადმი, რაც მოცემულ რეპლიკაში ვლინდება, ე.ი. მის მოდუსურ მდგენელზე. დიალოგური კოოპერაციის ფარგლებში, ე.ი. უნისონურ ფრეიმში, თანამოსაუბრეთა (კომუნიკანტთა) სამეტყველო ქმედებების მოდუსურ-დიქტუმური შეთანხმების სხვადასხვა ვარიანტებია შესაძლებელი.

პირველი შემთხვევა წარმოადგენს მოდუსურ რეაქციას მაინიცირებელი რეპლიკის მოდუსურ მდგენელზე, როდესაც კომუნიკაციის მორეაგირე პარტნიორი მხარს უჭერს ურთიერთობის ინიციატორის თვალსაზრისს, რომელიც საწყისი რეპლიკის მოდუსურ პროპოზიციას შეადგენს. მაგალითად: “- თქვენ ფიქრობთ, რომ ჩემი მეგობარი ხართ? დიახ, ამაში დარწმუნებული ვარ.”

მეორე ვარიანტში (მოდუსური რეაქცია მაინიცირებელი რეპლიკის დიქტუმურ მდგენელზე) მორეაგირე თანამოსაუბრე საკუთარ თვალსაზრისს გამოხატავს იმ მოვლენაზე, რომელიც საწყისი რეპლიკის დიქტალურ პროპოზიციას შეადგენს. მაგალითად: - "გსურთ დაგიმატოთ ტაქსის ფული?, რა დიდსულოვნებაა თქვენის მხრიდან.

მესამე კონსტრუქცია მოიცავს დიქტუმურ რეაქციას მაინიცირებელი რეპლიკის დიქტუმურ მდგენელზე, როდესაც მორეაგირე თანამოსაუბრე თანხმობას გამოთქვამს

იმ საინფორმაციო შეტყობინების მიმართ, რომელიც საწყისი რეპლიკის დიქტალურ პროპოზიციას შეადგენს და დამატებით ინფორმაციას წარმოადგენს თანხმობის დადასტურების სახით. მაგალითად: „თქვენ შეგიძლიათ მომცეთ თქვენი სახლის მისამართი?“ - თქვა ბერდიამ.

- რა თქმა უნდა, რა თქმა უნდა".

მეოთხე ვარიანტი წარმოადგენს დიქტუმურ რეაქციას მოდუსურ მდგენელზე, როდესაც დიალოგური ურთიერთობის ინიციატორი გარკვეული მოვლენის გარკვეულ მოდუსურ შეფასებას გამოხატავს, ადრესატი კი მოცემულ შეფასებას პირველისთვის უცნობი ინფორმაციით ამტკიცებს. მაგალითად: "დამელოდებით ჩემს მეგობართან ერთად? – „ რა თქმა უნდა".

ამრიგად, მაინიცირებელი რეპლიკის მოდუსური მდგენელი გარდაუვლად მოიცავს თანამოსაუბრის შინაგანი „მე“-ს ფარგლებში შემოჭრის ეფექტს, და შესაბამისად, მის ემოციებზე ზემოქმედების ეფექტსაც.

მაინიცირებელი რეპლიკის მოდალური მდგენელის გადამუშავების პროცესში ადრესატი არა მარტო იმას ადგენს, თუ რომელი სამეტყველო ზემოქმედების სუბიექტად ყოფნას ის გეგმავს, არამედ განმარტავს კიდევაც განხორციელებული ემოციური ზემოქმედების „გრამატიკას“. სწორედ საწყისი რეპლიკის მოდუსურ კომპონენტში კონცენტრირებული ემოციები, როგორც გვესახება, ახდენენ გადამწყვეტ გავლენას ადრესატის ბუნებრივ-ლოგიკურ დასკვნაზე თავისი მომდევნო რეაქციის, კონკრეტულად კი კომუნიკაციური დიალოგური ურთიერთქმედების კოოპერაციული ტაქტიკის რეალიზების შესაძლებლობის თაობაზე.

მსგავსი კოოპერაციულ-შეთანხმებელი დიალოგური ტაქტიკების რეალიზებისას, რომლებმაც ლიტერატურაში „უნისონური ფრეიმების“ სახელწოდება მიიღეს, მორეაგირე თანამოსაუბრეს, როგორც წესი, ორი მიზანი აქვს: „გაიზიაროს“ დიალოგის ინიციატორის ინტენციური განწყობა და ინტერაქციის პროცესის მსვლელობა რეპლიკის ავტორისთვის სასურველ კალაპოტში მიმართოს, რათა შეინარჩუნოს დიალოგის უნისონური ატმოსფერო, საჭირო ინფორმაცია მიიღოს ურთიერთობის ინიციატორისგან ან კომუნიკაციის პარტნიორისგან. ამრიგად, შეიძლება ვამტკიცოთ, რომ კომუნიკაციის პარტნიორთა თანაგრძნობითი დამოკიდებულება გამოხატულებას იმ კოგნიტური ქმედებების სისტემაში პოულობს, რომლებიც დიალოგის მონაწილეთა ურთიერთქმედების ჰარმონიზაციაზეა

მიმართული. ერთმანეთისადმი თავისი „კეთილმოსურნეობა“ კომუნიკანტებს შეუძლიათ გამოხატონ როგორც ვერბალურ, ისე არავერბალურ დონეზე.

უნდა აღინიშნოს, რომ თავად საპასუხო რეაგირების ფაქტი უმეტეს შემთხვევაში კოოპერაციის გარკვეულ ფორმას წარმოადგენს. თუმცა, არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ საპასუხო რეაგირების ხასიათი პირდაპირ არის დაკავშირებული კომუნიკაციის პარტნიორის ინტენციონალურ პროგრამასთან და, გამომდინარე იქიდან, თუ როგორ იშიფრება ან დეკოდირდება ის ადრესატის მიერ, ხდება საპასუხო რეაგირება. როგორც უკვე აღვნიშნეთ ზემოთ, კითხვის ფორმა ყოველთვის ერთმნიშვნელოვნად როდია დაკავშირებული ადრესატის სურვილთან მიიღოს ინფორმაცია, ხშირ შემთხვევებში ის მთელ რიგ განსხვავებულ ინტენციონალურ მნიშვნელობებს (თხოვნა, მუქარა, აკრძალვა, შეურაცხყოფის მიყენება, ირონია და ა.შ.) შეიცავს. ბუნებრივია, სხვადასხვა ინტენციონალურ ფაქტორებთან დაკავშირებული რესპონსიული მნიშვნელობები კითხვითი ნაწილში სიღრმისეულ შინაარსზეა დამოკიდებული, ამიტომ „თანაგრძნობითი დამოკიდებულება“-ს მოცემულ შემთხვევაში გარკვეული სპეციფიკა აქვს. იმ შემთხვევებში, როდესაც კითხვა თავისი კლასიკური მნიშვნელობით გამოდის (როგორც ინფორმაციის მიღებაზე მიმართული სამეტყველო კაუზატორი), თანაგრძნობით დამოკიდებულებად შეიძლება ჩაითვალოს ინტენციონალურ-ადეკვატური რეაგირება კორექტულ სამეტყველო ქცევაზე, ე.ი. პასუხის სიმეტრიულობა.

რა თქმა უნდა, თანაგრძნობით დამოკიდებულებად არ ჩაითვლება ადეკვატური რეაგირება ნეგატიურ კაუზაციაზე, რომელიც სხვადასხვა მაპროვოცირებელ ინტენციებთან (ადამიანის მწყობრიდან გამოყვანის სურვილი, კომუნიკაციის პარტნიორის პროვოცირებისა ან დისკრედიტირებისკენ, შეურაცხყოფისკენ, გამწარებისკენ სწრაფვა და ა.შ.) არის დაკავშირებული

არცთუ ისე ძნელია ვივარაუდოთ, რომ თანაგრძნობითი დამოკიდებულება ყველაზე ნათლად „თანხმობის“ მნიშვნელობის შემცველ რესპონსივებში ვლინდება. უკანასკნელი თავის სემანტიკურ სტრუქტურაში რამდენიმე მიკროსქემას მოიცავს:

- ა) დადებითი პასუხი ვინმეს ნებართვაზე, ნების დართვაზე;
- ბ) კომუნიკანტთა მოსაზრებების ერთიანობა;
- გ) შეთანხმება, ურთიერთშეთანხმება.

კაუზატორის სპეციფიკიდან გამომდინარე, მითითებული მოვლენა შეიძლება სხვადასხვა შინაარსობრივ კომპონენტებთან კორელირებოდეს. შესაძლოა დათანხმება აზრთან, ადრესანტის ვერბალურ ქმედებასთან, ან ნებართვის გაცემა თხოვნის პასუხად.

თანხმობის რეპლიკების წარმოშობა რეპლიკა-სტიმულის კომუნიკაციური შინაარსითაა განპირობებული და კომუნიკანტების ინტერაქციულ საქმიანობასთან არის დაკავშირებული.

კონკრეტული მასალის ანალიზმა მოგვცა შესაძლებლობა გამოგველინა თანხმობის სხვადასხვა აზრობრივი ინვარიანტები: თანხმობა-შეთანხმება, თანხმობა-მოწონება, თანხმობა-ნებართვა, თანხმობა-დაპირება, თანხმობა-ატაცება, ნაწილობრივი თანხმობა, თანხმობა-დათმობა, თანხმობა-შერიგება, თანხმობა და პირობა, თანხმობა და თემისგან გადახვევა დ ა.შ. მითითებული რესპონსივების თარგმანები ქართულ ენაშიც ადასტურებს ანალოგიური მნიშვნელობების არსებობას, რაშიც ჩვენ ქვემოთ მოყვანილი მაგალითებიც დაგვარწმუნებენ:

თანხმობა-დადასტურება, რომელიც აერთიანებს დამატებითი ინფორმაციის მოთხოვნის შემცველ რეპლიკა-სტიმულს და რეპლიკა-რეაქციას ამ ინფორმაციის დადასტურებით.

- როგორ გამოვიყურები ხომ ვერ მეტყვი?
- მგონია რომ კარგად.
- თავაზიანი თანხმობის დემონსტრირება შემდეგი მაგალითის სახით შეიძლება:
- "შეგიძლიათ უკეთესად მომმართოთ?"
- რა თქმა უნდა.

თანხმობა-ატაცება წარმოადგენს მაკაუზირებელი გამოთქმის ატაცებას და განვითარებას, მაგალითად: -რა მშვენიერი დღეა დღეს, არა?

- მართლაც, მართლაც.

გამოწვევითი თანხმობის შემთხვევები დაკავშირებულია აკრძალვასთან, კომუნიკანტის იძულებასთან რაიმე არასასურველს დაეთანხმოს:

- ეს მაინც გინდა რომ წაიკითხო?
- რა თქმა უნდა, რა თქმა უნდა.

თანხმობა-მუქარა აგრესიული ზრახვების დადასტურებასთან არის დაკავშირებული:



- შენ მიდიხარ?

- შენ უკეთესად იცოდი, რომ ასე იქნებოდა, დიახ, მივდივარ.

თანხმობა-ნებართვა წარმოადგენს რეაქციას რაიმეს ჩადენაზე ნების დართვის, ნებართვის მიცემის თხოვნაზე:

- იქ გორის წვერზე, მუხის ჩრდილში დამასაფლავებ, შვილო?

- კი, მამა, - ძლივს ამოილულულა შვილმა.

თანხმობა-მოწონება დაკავშირებულია მაკაუზირებელ ნაწილში დაცული ქმედების, საქციელის, ზრახვის პოზიტიური შეფასებით:

- ღმერთი ჩვენთან არს! - აიმედა მოძღვარმა ყველანი.

- ამინ! - დაიქუხა ზღვამ.

თანხმობა-აღიარება დაკავშირებულია ინფორმაციის ისეთ დადასტურებასთან, რომელიც ადრესატის (ადრესატის კომუნიკაციური რეპლიკების შეცვლისას) ნების საწინააღმდეგოდ ხდება: მძიმე იქნება ყველა თქვენთაგანი დედამიწისათვის! - აღმოხდა მოძღვარს.

- ბორკილთ ზიდვა უფრო უმძიმეს ჩვენს დედამიწას! - კვლავ გაისმა შეძახილი.

თანხმობა-დათმობა წარმოადგენს რეაქციას სხვადასხვა სახის - ინტელექტუალურ, ადმინისტრაციულ, ნებელობით ზემოქმედებებზე და სხვ.

- არაფერია თემო, მოვასწრებთ. ორი წუთიც არ დაგვიკარგავს.

- მოვასწრებთ, მოვასწრებთ.

თანხმობა-დათმობა დაკავშირებულია რეპლიკა-სტიმულთან, რომელიც მოიცავს წინადადებას, თხოვნას, ზრახვას და მათი აღსრულების პირობებს, ასე მაგალითად: პირობას მომცემთ, რომ მოძღვარს გაესაუბრებით?

- რა თქმა უნდა.

როგორც ვხედავთ, თანაგრძნობის დამოკიდებულების გამოხატვის ინტენციონალური ვარიანტები საკმაოდ მრავალფეროვანია და მნიშვნელობათა საკმაოდ ფართო სპექტრს მოიცავენ.

ყურადღება უნდა მივაქციოთ იმ ფაქტს, რომ არსებობს კაუზაციის სპეციფიკური ფორმა, რომელიც რეპლიკა-სტიმულის ხასიათს აპროვოცირებს. კითხვების მოცემულ ტიპზე პასუხებში ხდება რეპლიკა-სტიმულის ინფორმაციის დადასტურება ან უარყოფა, რაც ზოგიერთ შემთხვევებში შეიძლება თანაგრძნობით დამოკიდებულებას გამოხატავდეს, ხოლო სხვაში გულგრილობას ან ნეგატიურ (არა თანაგრძნობით)

დამოკიდებულებას. გამოხატვის თვალსაზრისით რეპლიკა-რეაქციების კლასიფიკაციის ან რეპლიკა-სტიმულისადმი დამოკიდებულების (თანაგრძნობითი, არათანაგრძნობითი, გულგრილი) გარდა, აუცილებელია ასევე კითხვით ფორმაში ჩადებული ინტენციონალური აზრის კავშირის დადგენა რეპლიკა-სტიმულის ხასიათთან. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, აქტუალურად გვესახება მიზეზ-შედეგობრივი ურთიერთობების გამოვლენა, რომლებიც კითხვა-პასუხის დიალოგური ერთიანობის სტრუქტურაში წარმოიშვება, მითუმეტეს, რომ კითხვითი კონსტრუქციების ირიბი ინტერპრეტაციების რაოდენობა არსებითად არ აღემატება ირიბი გამოყენების შემთხვევების რაოდენობას, ხოლო ურთიერთობის გარკვეულ ქანრებში (მაგალითად, პუბლიცისტიკაში და მხატვრულ მეტყველებაში) მნიშვნელოვნად ჩამორჩება კიდევაც.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, საპასუხო რეაგირებისას უნდა გავითვალისწინოთ როგორც კითხვითი კონსტრუქციის ტიპი, ისე ინტენციონალური კაუზაციის პირდაპირი ან ირიბი ხასიათი.

პირველ რიგში, განვიხილოთ შემთხვევები, როდესაც კითხვითი ფორმა და ინტენცია სიმეტრიულია, ანუ სხვაგვარად, როდესაც კითხვა თავის ონტოლოგიური მნიშვნელობით გამოდის და არ არის დატვირთული ირიბი კონოტაციებით.

მოვიყვანოთ, კითხვის ოთხივე ტიპურ ნაირსახეობის მაგალითებს ქართულ ენაში და მათ შესაბამის რუსულ ვარიანტებს, რაც შესაძლებლობას მოგვცემს უფრო მკაფიოდ ჩამოვავალიბოთ ჩვენთვის საინტერესო მოვლენის სპეციფიკა.

როგორც მოსალოდნელი იყო, მიუხედავად გარკვეული ნიუანსებისა, რომლებიც რუსულ ენაში კითხვითი კონსტრუქციის ტიპოლოგიასთან არის დაკავშირებული, ყველა პასუხი პირდაპირ ორიენტირებულია შეტყობინებაზე, თუმცა ერთ შემთხვევაში აუცილებელია ინფორმაციის დადასტურება ან უარყოფა, მეორეში - ალტერნატივის გამოყოფა, მესამეში - კორექტული ინფორმაციის მიღება, ხოლო მეოთხეში - ადრესატის პოზიციის დადასტურება ან უარყოფა.

ის ფაქტი, რომ საპასუხო რეაქციების თარგმანი რუსულ ენაზე არ იწვევს განსაკუთრებულ სირთულეებს, დიალოგური ურთიერთობის კითხვა-პასუხობრივი ტიპის უნივერსალურობით უნდა აიხსნას.

საერთო კითხვებზე პასუხები (დიახ/არა) შინაარსობრივი თვალსაზრისით არაფრით არ განსხვავდება რუსული ანალოგიებისგან, სპეციფიკას მხოლოდ

მტკიცებითი (დადებითი) ან უარყოფელი ნაწილაკის ზმნებით მხარდაჭერის ტენდენცია შეადგენს. მაგალითად, კითხვაზე «თქვენ იცნობთ ბერდიას?» პასუხისას, ქართულ ორიგინალში ადრესანტი იძლევა პასუხს «დიახ, ვიცნობ მას», მაშინ როდესაც თარგმანში მოცემულია მოკლე ფორმულა «დიახ (да)».

მეორე მხრივ, ყურადღება უნდა მიექცეს ქართული ენისთვის სპეციფიკურ - გამყოფ კითხვას, რომელსაც მართალია არა აქვს სტრუქტურული ანალოგი რუსულში, მაგრამ აუცილებლობის შემთხვევაში თარგმანს შეუძლია მისი გადმოცემისთვის ეკვივალენტური ფორმულების გამოყენება: „მართლა“, „ნუთუ“, „განა“.

მითითებული ტიპის კითხვებში, რომლებიც პროპოზიციული მნიშვნელობის დადასტურებას ან უარყოფას ვარაუდობს, არ არის სპეციალური ლექსიკური ფორმანტები, რომლებიც კითხვითობის მნიშვნელობაზე მიუთითებენ. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენენ დიალოგურ მთლიანობებში შემავალი კითხვითი სიტყვების შემცველი კონსტრუქციები, რომელთა რესპონსიული ნაწილი თარგმანში მჭიდროდაა დაკავშირებული შესაბამის ფორმანტთან „ვის“ და მას კონკრეტული შინაარსით ავსებს.

- ხშირად ნახულობ მას?
- ყოველდღე!
- ვის მიეცით ჩემი ჩანთა?
- მას!

მიუხედავად თარგმანში არსებული გარკვეული სტილისტური თავისებურებისა.

- «Как часто ты с ним видишься?
- Каждый день».
- «Кому ты отдал сумку?
- Ей

- რუსული რესპონსივები ასევეა დაკავშირებული კითხვით სიტყვასთან და წარმოადგენენ ინფორმაციას, რომელიც ავსებს „ვინ“ კომპონენტის განუსაზღვრელობას. ამ თვალსაზრისით შეიძლება „კითხვის“ და რესპონსივების მოცემული თანაფარდობის უნივერსალობაზე საუბარი.

ალტერნატიული კითხვები, როგორც ცნობილია, ვარაუდობენ არჩევანს ნაწილაკი „ან“-ით შეერთებულ ერთგვაროვანი წევრებით გამოხატულ ალტერნატივებს შორის. მსგავს კითხვაზე პასუხი საშუალებას აძლევს ადრესანტს (ადრესატის „კოოპერაციული ნების“ არსებობის შემთხვევაში) გააკეთოს არჩევანი ორ ალტერნატივებს შორის, დააზუსტოს სავარაუდო არჩევანის ჭეშმარიტება, მიიღოს ინფორმაცია კომპეტენტური ადამიანისაგან და სხვ.

ანალიზმა აჩვენა, რომ ე.წ. ალტერნატიული კითხვა, ჩვენს მიერ განხილულ ტექსტებში ერთ პროცენტზე ნაკლებს შეადგენს. ასეთი დაბალი პროდუქტიულობა მსგავსი ტიპის გამოყოფის გარკვეულ ხელოვნურობაზე გვაფიქრებინებს.

ერთეტიკური აქტების პირდაპირ მნიშვნელობებთან დაკავშირებული რესპონსივები ასახავენ შინაარსობრივ კავშირს, რომელიც ტიპურ დიალოგურ ფრეიმებში ჩნდება.

ერთობ სხვა სურათი გვაქვს იმ შემთხვევებში, როდესაც რესპონსივი წარმოადგენს პრაგმატული მნიშვნელობების მთელი სპექტრის მქონე ირიბ კითხვით აქტებზე რეაქციას. ჩვენი კარტოთეკა მოიცავს ისეთ შემთხვევებს, როდესაც კითხვითი ფორმა სინამდვილეში წარმოადგენს ბრძანებას, გაფრთხილებას, თხოვნას, რჩევას, ეჭვს, დაცინვას და ა.შ. მსგავსი მნიშვნელობების „გაშიფვრა“ განსაკუთრებულ ყურადღებას მოითხოვს მთარგმნელის მხრიდან, ვინაიდან შესაძლებელია დიალოგის მონაწილეთა ინტენციონალური ტაქტიკის არაზუსტი განსაზღვრა, რამაც, თავის მხრივ, შეიძლება გამოიწვიოს ორიგინალის ტექსტის დამახინჯება.

ზემოთ ჩვენ განვიხილეთ ირიბი ერთეტიკური აქტების პრაგმატული მნიშვნელობები. ახლა ვნახოთ, დიალოგური მთლიანობის ფარგლებში რა სახის რესპონსივებთან არიან ისინი დაკავშირებული და როგორია მათი ურთიერთ-დამოკიდებულების ხასიათი.

კითხვა-ზემოქმედებითი ერთეტიკები წარმოდგენილია ჩვენს კარტოთეკაში შემდეგი მნიშვნელობებით:

ბრძანების: «შემოპასუხებას ხომ არ აპირებთ?» (ბრძანება შესაბამისი ქმედებების მიმართ).

მუქარების: “შენ პოლიციაში დარეკვას აპირებ?” (მუქარის შემდეგ იმოქმედებს მოზოდიშება და წასვლა).

გაფრთხილები: “ფრთხილად იყავი, ჭკუას სადმე არ დანაყო, გაიგე?”  
(გაფრთხილებაზე ადრესატი რეაგირებს მოქმედებით, ის წევს თავს).

თხოვნის: «შენ წესიერად იმუშავე, რასაც გეტყვიან ის გააკეთე, მისმენ? »  
(არსებობს სიტყვიერი რეაქცია თხოვნაზე).

რჩევის: “მე გირჩევ და შენ ბევრი რამ უნდა გაითვალისწინო!” (რჩევას თან მოსდევს საკმაოდ ცივი რეაქცია).

მეორე ჯგუფს შეადგენენ კითხვით-რელაციური ეროთეტივები, რომლებიც კითხვაში ემოციურ დამოკიდებულებას მოიცავენ.

უკმაყოფილების: “შეიძლება ცოტა ხანი გაჩუმდე?” (მოცემულ კაუზაციაზე რეაქცია ხმაურის შეწყვეტაში მდგომარეობს);

საყვედურის: “რატომ არ გამაფრთხილეთ?” (ადრესატი შესაბამისი ქცევით რეაგირებს).

პროტესტის – “დრო გავუშვი და დავიტოვებ ამ საწუთროს ბოლოს სიბერე?”

დაცინვის: “ო, როგორ მინდა სიჩუმე, შენსავით ვდუმდე და ვუძლებდე ხმაურს?!”

ირონიის: “საკუთარ თავზე დაცინვაზე ადვილიც არაფერი არ ყოფილა, ღმერთო, ამასაც მოვესწარი?” (გრძნობს რა ირონიას, ადრესატი იგნორირებას უკეთებს ფსევდო კითხვას).

კითხვით-რელაციურ ტიპის ეროთეტივებში ჩადებული უარყოფითი მუხტის გარდა ჩვენ აღმოვაჩინეთ მაგალითები, რომლებშიც დამოკიდებულება ბოლომდე არ არის ფორმირებული. ასეთია ეროთეტივები, რომლებიც გამოხატავენ:

ექვს: “საწუთროვ, მიტო გვედრი, რომ ყოფნა არ მაცალო?” (კითხვა რიტორიკული რჩება, ვერბალური პასუხი არ გაიცემა).

წინადადების: “შეიძლება შენი წინადადება გავითვალისწინო და წამალი მივიღო?” (შეთავაზებულ წინადადებას მოსდევს საჭირო ქმედების ჩადენა).

მოცემულ ჯგუფში შედის ასევე ეროთეტივები, რომლებიც დადებით დამოკიდებულებას გამოხატავენ:

თანაგრძნობას: “შენთან სიკვდილს რა უნდა კარპიოზ, ნუ გემინია, გაიგე?”.(მოსდევს მადლობა).

ქების: “რას ამბობ კაცო! - გაიკვირვა ლევანამ, შენ ხომ გამაფრთხილე, კარგი ადამიანი ხარ?” (მოსდევს არავერბალური რეაქცია - ადრესატს სახე უბრწყინავს სიამოვნებისგან).

გამხმევეების: “აბა, ვიცოცხლებ? - აღმოხდა ლევანას და თვალეზზე მწარე მოციანე ღიმილმა გადაურბინა.” (ადრესანტი ქმნის ადრესატში დადებით განწყობას და გადართავს მას ქმედებაზე).

მესამე ჯგუფი – კითხვით-ფატიკური – მოიცავს ეროთეტივებს, რომლებიც გამოხატავენ შემდეგ მნიშვნელობებს:

წინადადების: “წავიდეთ, დღეს? გუშინ რომ ძლიერ ცუდად იყავი?” (მოცემულ რეაქციაზე რეაქცია დადებითია – «ო, დიახ!»)

ბოდიშის: “მაპატიებ რომ დროულად ვერ წავიკითხე?” (მობოდიშების აქტს მოსდევს პატიების აქტი).

მადლიერების: “განა შემძლია არ დაგეხმარო?”.

როგორც მაგალითები გვიჩვენებს, ეროთეტივები მათთვის უჩვეულო პოზიციაში გამოდიან, რაც შესაბამისი რესპონსივებით მტკიცდება. წარმოიქმნება ურთიერთობები, რომლებიც კითხვა-პასუხის კომპლექსებისგან განსხვავდებიან. უმეტეს შემთხვევაში რესპონსივები იცვლება კონკრეტული არავერბალური ქმედებით (იხ.წყვილები: ბრძანება-შესრულება, მობოდიშება-პატიება, თხოვნა-ნების დართვა, ირონია-აგრესია და ა.შ.).

„კლასიკური“ რესპონსივებისგან განსხვავებით, რომლებიც წარმოადგენენ ვერბალურ რეაქციას ეროთეტულ კაუზატორზე, მსგავსი „რესპონსივ-რეაქციები“ პროვოცირდება სამეტყველო აქტებით, რომლებსაც საფუძვლად არაინტეროგატიული ინტენცია უდევს, თუმცა კონსტრუქცია კითხვითი ფორმითაა წარმოდგენილი. ირიბი კითხვების ეროთეტულ ნაწილში წარმოდგენილი მნიშვნელობა ხშირად შეიძლება გამოიხატოს თავად რესპონსივების მიერ, თუმცა ერთ შემთხვევაში სახეზეა მაკაუზირებელი პოზიცია, ხოლო მეორეში - რეაქციული. უფრო ფართო დისკურსიული მონაკვეთის ფარგლებში შესაძლოა ასევე ელემენტთა ფუნქციური ტრანსპოზიცია.

გარდა იმისა, რომ რესპონსივები წარმოადგენენ მეტყველებით რეაქციას ენობრივ სტიმულზე, მათ შეუძლიათ ისეთი განსხვავებული მნიშვნელობების გამოხატვა, რომლებიც არ ჯდება უბრალო ინფორმირების ჩარჩოში. ბუნებრივია, რომ მსგავს მნიშვნელობებს დიდი როლი აქვთ თარგმნის პროცესში.

კონკრეტული მასალის ანალიზის პროცესში ჩვენ მოვახერხეთ რიგი სპეციფიკური მნიშვნელობების დაფიქსირება, რომლებიც გარკვეულ ინტერესს წარმოადგენენ როგორც სამეტყველო აქტების თეორიისათვის, ისე თარგმანის

თეორიისა და პრაქტიკისათვის. არ შეიძლება იმის თქმა, რომ რესპონსიულ სამეცნიერო აქტებში აღმოჩენილი მნიშვნელობის ყველა ელფერი ერთნაირად ნიშნავდა. უფრო მეტიც, ზოგიერთი მნიშვნელობები შესაბამისი კონტექსტით არის განპირობებული და წარმოადგენენ მხოლოდ კერძო შემთხვევებს, რომლებსაც არა აქვთ ენობრივი სტატუსის პრეტენზია. ამასთან დაკავშირებით ჩნდება რესპონსიულ პოზიციაში აქტების ტიპური და სპონტანური მნიშვნელობების გამიჯვნის აუცილებლობა.

ზემოთ ჩვენ შევხვით ირიბ ეროთეტულ (ფორმით) სტიმულებზე რესპონსივების რეაგირების პრობლემებს და გამოვავლინეთ რესპონსიული რეაქციების ტიპები. კონკრეტული მასალის ანალიზმა რესპონსიული მნიშვნელობების სხვადასხვა სიხშირიანობა აჩვენა.

სემანტიკისგან დამოკიდებულებით ეროთეტის შეიძლება ჰქონდეს შემდეგი მნიშვნელობები: დადასტურების, ნებართვის, თანხმობის, შეპასუხების, აკრძალვის, უარის თქმის, უარყოფის, გაფრთხილების, ახსნის, კომენტარის, დაზუსტების, განმარტების, დაპირების, კურთხევის (დალოცვის), ინსტრუქციის, ჭკუის დარიგების, რეკომენდაციის, რჩევის, დაგმობის, შენიშვნის, მუქარის, დაცინვის, ირონიის, შეურაცხყოფის და ა.შ. მითითებულ მნიშვნელობებს, როგორც აღვნიშნეთ სხვადასხვა სიხშირე აქვთ, რაც ზოგიერთი მათგანის სიტუაციურობაზე მეტყველებს. ჩამოთვლილ მნიშვნელობებს შორის ჩვენს პრაქტიკაში ყველაზე გავრცელებულია განმარტებითი ჯგუფი, რომელშიც ჩვენ, ე.თოფურის კვალდაკვალ, ვრთავთ - ახსნას, კომენტარს, დაზუსტებას, განმარტებას, თავის მართლებას.

მოვიყვანოთ ზოგიერთ მაგალითს და მათ თარგმანს:

«-რატომ? რატომ აჩქარდით ?

(კომენტარი) - იმიტომ რომ ქალბატონი სულს დაფავს და ის კი ცდილობს მისი საქმეები მოაწესრიგოს".

- К чему такая спешка? А к тому, что она не сегодня-завтра помрет – она знает, вот торопится навести в делах порядок».

(გამართლება) «-რატომ უნდა გაიხადო თავის სასაცილოდ?

- ამიტომაც!

«- А зачем выставляешь себя на посмешище?

- Вот-вот, все затем же».

- (დაზუსტება) «- ზის ფეხშიშველა პირმალზე?

- პირდაპირ ვედროდან შეეცევა ლუდს.

«-Сидит на крыльце босиком?

- И пьет пиво прямо из ведра!»

(ახსნა) «რატომ დახატეთ წითელ ფერებში?

- მე ის უბრალოდ წითლად წარმოვიდგინე.

«- Почему же вы нарисовали его красным?

- Видишь ли... Просто он представился мне красным...»

(ახსნა) “- თქვენ დარწმუნებული ხართ, რომ ეს ასეა?

მე სიკვდილი არავისთვის მისურვებია.”

«-Вы уверены, что это так?

- Я никому не желаю смерти».

უნდა აღინიშნოს, რომ მოცემულ ქვეჯგუფში საკვანძოა სემა „ახსნა“, რომელიც მოცემულ მიკროველში შემავალ ყველა ერთეულს ხსნის.

არანაკლებ სიხშირულია ჭკუის დარიგების ჯგუფი, რომელშიც შედის: რჩევა, რეკომენდაცია, წინადადება, ინსტრუქცია, რომლებიც რესპონსივის როლს ასრულებენ. მოვიყვან მაგალითებს:

- რჩევა “- საინტერესოა რა ჩავიცვამ?

- რაღაც ლამაზი და უბრალო”.

- Интересно, что мне следует надеть?

- Что-нибудь красивое и простое”.

რჩევა-რეკომენდაცია “- როგორ უნდა მოვერიდო გრიპს?

ყოველ შემოდგომით გაიკეთეთ აცრები.

“- Что мне делать, чтобы защитить себя от гриппа?

- Единственный самый лучший способ предотвратить грипп особенно для людей с риском серьезных осложнений после гриппа заключается в том, чтобы вводить вакцину против гриппа каждую осень. რუსულ ვერსიასთან შედარებით ქართული ტექსტი საკმაოდ კომპაქტურია, თუმცა ინტენციას მაინც ზუსტად ასახავს.

რჩევა-ინსტრუქცია – "თუ გსურთ პრობლემები გადაჭრათ, გაითვალისწინეთ შემდეგი პუნქტები":

პუნქტი 1 - გაიმეორეთ მასალები, რომელიც მოცემულ პრობლემას შეეხება.

პუნქტი 2 - გაეცანით მსგავს პრობლემებს, მაგალითებს, რომლებიც ხსნიან გაუგებარ მასალას.

- Если вы не понимаете, как решить проблему, обратитесь к следующим пунктам

Пункт 1. Повторите материалы, которые относятся к данной проблеме



Пункт 2. Повторите любые схожие проблемы, примеры, которые объясняют непонятный материал.

რესპონსივების „ჭკუის დამრიგებელი ქვეჯგუფის“ საკვანძო კომპონენტია „რჩევის“ სემა, რომელიც ყველა ზემოთ მითითებულ მნიშვნელობას აერთიანებს. ყველაზე მაღალსიხშირული რესპონსიული მნიშვნელობების რიცხვს უნდა მივაკუთვნოთ „კონკორდასული“ (конкордасную) და „დისკონკორდასული“ (дисконкордасную) ჯგუფები. კონკორდანსული მნიშვნელობების ქვეშ ჩვენ მოვიაზრებთ თანხმობის, დადასტურების, ნებართვის, ნების დართვის გამოხატვას. ამის საპირისპიროდ, დისკონკორდანსული მნიშვნელობა განხილვის საგნისადმი უარყოფით დამოკიდებულებას ვარაუდობს. უნდა აღინიშნოს, რომ მოცემული ჯგუფი მჭიდროდაა დაკავშირებული კითხვით მნიშვნელობასთან და ადასტურებს ან უარყოფს ინფორმაციას. მეორე მხრივ, როდესაც ერთეულ ნაწილში დაცულია „რჩევა“, „რეკომენდაცია“, „წინადადება“ და სხვ., „კონკორდანსული“ და „დისკონკორდანსული“ მნიშვნელობები პირდაპირ კორელირებენ მითითებულ სემანტიკურ კომპონენტთან.

მოვიყვანოთ ზოგიერთ მაგალითს:

თანხმობა - “გსურთ უკეთესად რომ გახდეს? უკეთესად აკვებეთ, უყიდეთ მას რაიმე ქალაქში და ნუ ამყოფებთ მხოლოდ პურსა და წყალზე.

მე თქვენს რჩევას გავითვალისწინებ.

- “ Хочешь, чтобы ей стало лучше? Купи ей что-нибудь поесть, когда поедешь в город, потому, что, я тебе говорю, она не получает ничего, кроме стакана воды и хлеба.

- Я последую твоему совету”.

დადასტურება – “ განა თქვენ ვერ შეამჩნიეთ, ზოგიერთები უკვე ვეღარ იტანენ ერთმანეთს.

- მართლაც, მართლაც!

- Сами – то вы не замечали, что ли?...Иные уж до того доходят, что едва-едва терпят друг друга. Что-то не так?

- Святая правда, как на духу.”

მითითებული პასაჟის თარგმანი, თუ წვრილმანებს არ გამოვედევნებით, საკმაოდ ადეკვატურად გადმოცემს ძირითად ინტენციას - „დადასტურება“

კონკორდანსულ ჯგუფში ჩვენ ასევე ჩავრთეთ :

ნების დართვა “- შეიძლება შევხედო?

- “აანთეთ შუქი, უკეთესად შეხედავთ.

- Можно взглянуть?

- Да, включите свет, вон там, над собой”.

ნებართვა – “ ცოტა ხნით ჩემმა მეუღლემ (აქ იგულისხმება გიტარა) აქ რომ მოიცადოს?

- კი ბატონო, თქვენი ნებაა!

- “ Ничего, если оставлю ее здесь? Подругу жизни? (он подразумевает гитару)

- Оставьте, если хотите”.

„დისკონკორდანსული“ ჯგუფი დაპირისპირებულია „კონკორდანსულ“ ჯგუფთან. ინტეგრალური სემა, რომელიც მოცემული მიკროველის ელემენტებს აერთიანებს, წარმოდგენილია „უთანხმოების“ სემით, რომელიც ისეთ მნიშვნელობებში რეალიზდება, როგორცაა „უარის თქმა“, „შეპასუხება“, „აკრძალვა“, „უარყოფა“, „პროტესტი“.

მოვიყვანთ ზოგიერთ მაგალითს:

“უარყოფა“ – “ რატომ იქცევით ისეთი თქოს ვერ მიცანით?”

ძნელია იცნო ადამიანი რომელიც არასოდეს გინახავს.

- “ Почему вы притворяетесь, что не узнали меня?

- Трудно узнать человека, с которым никогда не встречался”.

“უარის თქმა” - “– განა თქვენ არ იცით თუ რა წერია წერილში?”

- რა თქმა უნდა არა. კონვერტი ხომ დაწებებული იყო.

- “- А вы разве не знали, что там сказано?

- Конверт был запечатан”.

“შეპასუხება” - “-რატომ გაჩუმდით?

- უბრალოდ ძალზედ გამამწარეს.

- “- Что так измочалил?

- Просто осточертело.

“პროტესტი” – “- ასეა საქმე, ჩვენ გვაგდებენ კიდეც?

მე არავის თავზე მოხვევას არ ვაპირებ. როდესაც მეუბნებიან, რომ უნდა წავიდე არასოდეს იქ არ ვჩერდები.

- “-Вот как?! Нас кажется, выгоняют?

- Я никогда не навязываюсь, и уже, если мне показали на дверь, больше там не бываю“.

“აკრძალვა” – “-რა?

- არ დაბრუნდეთ თერთმეტი ნახევრისთვის! და საერთოდ აქ საჭირო აღარც კი ხართ!”

- “Что?

- Не возвращайтесь в половину одиннадцатого! И вообще вы здесь больше не нужны”.

მიუხედავად იმისა, რომ ეროთეტივების ონტოლოგიურ მნიშვნელობას მოთხოვნილ სტიმულზე ვერბალური რეაქციის სტიმულირება წარმოადგენს, არც თუ იშვიათად რესპონსივები შეფასებითი მნიშვნელობით გამოდიან, რაც ეროთეტული სამეტყველო აქტების სემანტიკაში შეგულიანების კომპონენტის არსებობასთან არის დაკავშირებული.

კონკრეტულ გარემოებებზე დამოკიდებულებით რეაქცია შეიძლება იყოს დადებითი ან უარყოფითი, ამიტომ შეფასებით ჯგუფში შემავალი რესპონსივები ჩვენ პოზიტიურად მარკირებულ ექსპრესივებად და ნეგატიურად მარკირებულ ექსპრესივებად დავყავით. პოზიტიურად მარკირებული ექსპრესივების მაგალითის სახით შეიძლება მოწონების, ქების, კომპლიმენტის მნიშვნელობების მქონე რესპონსივების მოყვანა:

შექება – “ – და როგორი გამოდგა ჩემი "პროტექე"?

- კარგი, კარგი.”

- “И каков из него рабочий?”

- Очень хороший, очень хороший”.

Одобрение - “ასე ყველაფერი ვინ მორთო მოკაზმა ?

- მართლაც რა მშვენიერაა?

- “Кто это все так разукрасил?

- Нет, в самом деле, прелесть как хорошо”.

Восхищение – “მართალია?

- მართალია, ჩემს სხეულში სიცოცხლე აჩქეფდა. შენ მე სიცოცხლე მაჩუქე.

- “Значит...значит – правда?

- Правда, истинная правда. В теле моем зародилась новая жизнь! Это иссохшее дерево, мое тело, снова зацвело, снова пустила побеги. Ты дал мне жизнь, теперь иди, иди! ”

მიუხედავად თარჯიმნის ჭარბი „თავისუფლებისმოყვარეობისა“, რომელიც თავისებურად განმარტავს მოცემულ პასაჟს, „აღფრთოვანების“ ინტენცია მის მიერ სწორადაა გადმოცემული და არ იწვევს პროტესტის გრძნობას. ექსპრესივების განსაკუთრებულ ქვეჯგუფში შეიძლება გამოვყოთ მაკაუზირებელ სტიმულზე

ემოციური რეაქციები, რომლებსაც, ისევე როგორც წინა შემთხვევაში, შეიძლება ჰქონდეთ დადებითი ან უარყოფითი მნიშვნელობები. მოცემულ ჯგუფს „ექსპრესიულად ემოციურ რესპონსივებს“ ვუწოდებთ. პრინციპული თვალსაზრისით ისინი არ განსხვავდებიან შეფასებითი ჯგუფის სხვა ელემენტებისგან და მიმართებას უპირველსად შორისდებულებით გამოხატავენ (“ო!”, “კარგია!”, “გასაგებია” და სხვა).

აქტიურ რესპონსიულ მნიშვნელობებს შორის შეიძლება გამოვყოთ დირექტიული რესპონსივების ჯგუფი, რომელიც შეგულიანების, თხოვნის, ბრძანებების, გაფრთხილების, მუქარის სხვადასხვა ფორმებს მოიცავს და ა.შ.

ზემოთ ჩვენ შევხებით სამეტყველო ინტენციების შემთხვევებს, რომლებიც კითხვის ფორმითაა გამოხატული. მათგან განსხვავებით, როგორც კონკრეტული მასალის ანალიზი გვიჩვენებს, რესპონსიულ პოზიციაში შეინიშნება ადრესატის „კონტრიერიშზე“ გადასვლის ტენდენცია. ადრესატი ცდილობს ხელში ჩაიგდოს კომუნიკაციური ინიციატივა და სხვადასხვა სამეტყველო და არასამეტყველო სტრატეგიების მეშვეობით ადრესანტის ნებაზე უკუგავლენა განახორციელოს - მას შეუძლია გამოიყენოს ბრძანების (შესაბამისი უფლებამოსილებების არსებობის შემთხვევაში) ტაქტიკა, ზემოქმედების სხვადასხვა მექანიზმები( მუქარა), მიმართოს ადრესანტის გონებას ან გრძნობებს (გაფრთხილება, თხოვნა). დასახული მიზნის მისაღწევად აუცილებელ ტაქტიკას ადრესანტი კონკრეტული კომუნიკაციური სიტუაციიდან, გარემოებებისგან დამოკიდებულებით ირჩევს.

მოვიყვანთ დირექტიული რესპონსივების გამოყენების ზოგიერთ მაგალითს:

ბრძანებები –“ შენ შეგიძლია გაიგო ეს ბოლოს და ბოლოს?

- მაშინ მომისმინე ყურადღებით, იმედია გაიგებ.

- Так способен ли ты понять это своей башкой?

- Так слушай внимательно... Понял, теперь ты понял?

თხოვნა:

- რა კარგი მანქანაა, არა?

- შეიძლება გამატარებინოთ?

- Прекрасная машина, не правда ли?

- Можно я поведу?

მუქარა: –შეგიძლიათ დამეხმაროთ?

- დიახ

- “Могу ли чем-нибудь помочь?”

- Да

პრაგმატულ მნიშვნელობებს შორის უნდა აღინიშნოს ასევე ფაქტიკური ჯგუფი, რომელიც ახდენს ეტიკეტური ურთიერთობების რეალიზებას. მოცემულ ჯგუფს უნდა მივაკუთვნოთ ბოდიშის მოხდის, მადლიერების, მილოცვის, კურთხევის მნიშვნელობის მქონე რესპონსივები და სხვ.

მოვიყვანო ზოგიერთ მაგალითს:

დანახება: – “აი თურმე რას კითხულობთ იმის გამო, რომ უკეთესად დაისწავლოთ რომის ისტორია?

- რა საწყენია.

- Так, вот, что вы читаете вместо того, чтобы читать Историю Рима?

- Мне очень жаль”

- კურთხევა: - "ღმერთმა გიშველოთ!

- Да хранит тебя Господь!"

ამრიგად, როგორც რესპონსიული სამეტყველო აქტების პრაგმატული მნიშვნელობების ანალიზი აჩვენებს, საკმაოდ საინტერესო სურათი იხატება. ერთი მხრივ - მას ქმნის საპასუხო რეაგირების სემანტიკასთან დაკავშირებული მნიშვნელობები, ხოლო მეორე მხრივ ფორმით და არა შინაარსის მიხედვით, რესპონსიური რეაქციების კითხვითი, კაუზირებული (მიზეზობრივი) სტიმული.

აუცილებელია აღინიშნოს, რომ რესპონსივების პრაგმატული მნიშვნელობები გარკვეულ სისტემას ქმნიან, რომლის ფარგლებში ისინი თავისი ენობრივი (სამეტყველო) მნიშვნელობების რეალიზებას ახდენენ. მოცემული სისტემა წარმოადგენს ცენტრისა და პერიფერიის ოპოზიციას. ცენტრში განლაგებულია ბირთვული რესპონსივები, რომლებიც ჩვენთვის საინტერესო მოვლენის იმანენტურ ბუნებას შეადგენენ. ცენტრთან უფრო ახლოს განლაგებულია რესპონსივების ის პრაგმატული ვარიანტები, რომლებიც დაკავშირებულია რესპონსივების ირიბ მნიშვნელობებთან და კონვენციონალიზაციის ტენდენციას გამოხატავენ . პერიფერიაზე განლაგებულია დაბალი სიხშირის მქონე რესპონსიული მნიშვნელობები, რომლებსაც შეუძლიათ გარკვეულ სამეტყველო სიტუაციებში რესპონსიული სამეტყველო აქტების როლში გამოსვლა.


როგორც ცნობილია, ენობრივი განვითარების პროცესები საკმაოდ დინამიკურია, და მათი შედეგია სისტემაში ცალკეული ერთეულების ადგილისა და

როლის ახლებურად გააზრება. მოცემულ შემთხვევაში ჩვენ მხედველობაში გვაქვს ის ფაქტი, რომ სისტემის პერიფერიაზე მყოფი მოვლენები შეიძლება ცენტრისკენ გადაადგილდეს (შესაბამისი პირობების არსებობის შედეგად). მსგავს პროცესებს შეიძლება დავაკვირდეთ კითხვის პრაგმატული მნიშვნელობების სისტემაში, სადაც კითხვითი ფორმის მქონე კონვენციონალიზირებული სტრუქტურები ბევრი მეცნიერის მიერ ეროთეტიკული სამეტყველო აქტების სრულუფლებიან წევრებად აღიქმება და მოიაზრება, როგორც მითითებული სისტემის ბირთვული სტრუქტურის კომპონენტები.

რესპონსიული სამეტყველო აქტების პრაგმატული მნიშვნელობების იერარქია შეიძლება სქემატურად გამოვსახოთ. ჩვენი გაგებით, განსაკუთრებული ყურადღება უნდა მივაქციოთ კითხვით ნაწილთან კავშირის ხასიათს, რომელიც ადრესატის რეაქციას განაპირობებს. უკანასკნელის ხასიათი მნიშვნელოვანწილად დამოკიდებულია ასევე სიტუაციური ფრეიმის უნისონურობა/დისონანსურობაზე, რომელიც განაპირობებს ადრესატის სურვილ/უსურველობას შევიდეს კონტაქტში ადრესანტთან. მოვახდინოთ ჩვენი დაკვირვებების შედეგთა ილუსტრირება სქემის მეშვეობით:

### რესპონსიული ველი

სქემა №1



როგორც ვხედავთ, რესპონსიული ველის ცენტრში იმყოფება „საკუთრივ-რესპონსივები“, რომლებიც ძირითად რესპონსიულ მნიშვნელობებს გამოხატავენ – ინფორმირებენ, ადასტურებენ ან უარყოფენ და ხსნიან ალტერნატიულობას.

„რესპონსივები-რეაქციები“ წარმოადგენენ პასუხის პრაგმატულ ვარიანტებს და დაკავშირებულია ადრესანტის ინტენციაზე კონტრეაგირებასთან – თხოვნის, ბრძანების, მუქარის, გაფრთხილების და ა.შ. მეშვეობით.

რელაციურ-შეფასებითი ჯგუფი ასახავს ადრესანტის დამოკიდებულებას ეროთეტული აქტისადმი, რომელიც შეიძლება იყოს გამოხატული თავად ინფორმაციაზე, ადრესანტზე, კაუზაციის ფორმაზე რეაგირების ფორმით.

რელაციურ-საინტერპრეტაციო ჯგუფი კომენტარს უკეთებს ეროთეტული სამეტყველო აქტის ერთ-ერთ ასპექტს, ხსნის, აზუსტებს და ინტერპრეტაციას უკეთებს მას. მეორე მხრივ, გადმოსცემს ასევე ქცევის სტრატეგიულ გეგმას – რჩევის, რეკომენდაციისა და ინსტრუქციის სახით. დირექტიული ჯგუფი ორიენტირებულია არა არგუმენტებზე, არამედ სხვადასხვა სახის განზრახვაზე (იძულებაზე) – ბრძანებები, მუქარები, თხოვნები და ა.შ.

ფატიკური ჯგუფი არეგულირებს ადრესანტთან ურთიერთობის საეტიკეტო მხარის დაცვა/დაუცველობის სტრატეგიას.

## კითხვა-პასუხის კაუზაცია

სქემა 2

კითხვის ნაწილი	_____	პასუხის ნაწილი
I. ინფორმაციული მხარე	_____	რეპრეზენტატივები, ეგზისტენციალური ჯგუფი, ალტერნანტული ჯგუფი
II. კაუზაციის ფორმა	_____	კონკორდანსული ჯგ. რელატიურ- შეფასებითი, რელატიურ- საინტერპრეტაციო, კომისივები
III. ფატიკური მხარე	_____	კონკორდანსული, ფატიკური

მოცემული სქემა დიალოგის კითხვა-პასუხის კომპონენტთა ურთიერთქმედებას ასახავს. კითხვის დასმის ნაწილთან უშუალოდაა დაკავშირებული რეპრეზენტაციები, და ასევე ეგზისტენციალური და ალტერნატიული ჯგუფები.

კაუზაციის ფორმა დაკავშირებულია იმ ადრესანტის ინტენციონალურ პროგრამასთან, რომელიც მიზნად ადრესატზე ზემოქმედებას ისახავს. მსგავსი ტაქტიკის მისაღებობიდან გამომდინარე, ადრესატი ან თანხმდება, ან უარყოფს თხოვნას, ასრულებს ბრძანებას (მოცემულ შემთხვევაში კითხვითი ფორმით მოცემულს), კომენტირებს, აფასებს მას, იძლევა დაპირებას და ა.შ.

ფატიკური მხარე ასახავს ადრესანტის მზაობის ხარისხს დაიცვას სამეტყველო/ არასამეტყველო ეტიკეტის წესები. ადრესატის მხრიდან შესაძლებელია კონკორდანსული რეაქცია, რომელიც გამოხატავს ადრესანტის მიერ შეთავაზებული „თამაშის წესების“ მისაღებობა/მიუღებლობას. მეორე მხრივ, ადრესატს შეუძლია სიმეტრიული რეაგირება მოახდინოს: ბოდიშზე – პატივით, მაღლიერებაზე – მისი მიღებით, მილოცვაზე – მაღლიერებით, კურთხევაზე (მილოცვაზე) – მაღლიერებით და ა.შ.

მსგავსი სიმეტრიულობა გვიჩვენებს, რომ „დეპენდენტური მნიშვნელობა“ (отношенческое значение) სულაც არ არის მეორეხარისხოვანი, განსაკუთრებით მთარგმნელობითი აქტის განხორციელების პროცესში.

კონკრეტული მასალის ანალიზი გვამღევეს შესაძლებლობას გავაკეთოთ გარკვეული დასკვნები:

1. რესპონსიული აქტები უშუალოდ დაკავშირებულია ამა თუ იმ ხალხის დიალოგურ კულტურასთან და ასახავს მეტყველება-ქცევით ტაქტიკებს, რომლებიც შესაბამის კონცეპტოსფეროებშია მიღებული.

2. თარგმნის თეორიისა და პრაქტიკის თვალსაზრისით დიდი მნიშვნელობა აქვს რესპონსიული აქტების პრაგმატული მნიშვნელობების გამოვლენას, რომელთა არასწორმა ინტერპრეტაციამ შეიძლება მნიშვნელოვანწილად დაამახინჯოს ორიგინალის ტექსტი.

3. სამი კოოპერაციული ტაქტიკის (თანაგრძნობის, თანაგრძნობის არ არსებობის, გულგრილობის) ფარგლებში რესპონსიული პრაგმატული მნიშვნელობების ინტერპრეტაციამ შესაძლებელი გახდა ქართული და რუსული დიალოგური



დისკურსისთვის დამახასიათებელი დიალოგური ურთიერთქმედების სპეციფიკური ნიუანსების გამოვლენა.

4. ნაშრომში გაანალიზებული კონკრეტული მთარგმნელობითი გადაწყვეტილებები გვამღვებს საფუძველს დავადასტუროთ „საკუთრივ-რესპონსივების“ (რომლებიც შეკითხვის საინფორმაციო ტიპთან კორელირებს) და „რესპონსივ-რეაქციების“ (რომლებიც წარმოადგენენ რეაქციას მაკაუზირებელ ინფორმაციაზე) გამიჯვნის აუცილებლობა. მსგავსი გამიჯვნა ითვალისწინებს „მაინფორმირებელი“ და „დამოუკიდებლობის“ ფუნქციათა გამიჯვნასთან დაკავშირებულ პრაგმატულ ნიუანსებს და თარჯიმანს (მთარგმნელს) სწორი ინტენციის არჩევაზე ორიენტირებენ.

5. „კითხვა-პასუხის“ დისკურსის ფარგლებში დიალოგური კომუნიკაციის პარტნიორთა ურთიერთქმედება კითხვა-პასუხის დიალოგური ერთიანობების კომუნიკაციურ-პრაგმატიული მნიშვნელობების სპეციფიკურ სირთულეს და არაერთგვაროვნებას გვიჩვენებს. თავად რეპლიკების პრაგმატული ბმულობის ხასიათი ურთიერთობის სხვადასხვა ტიპს ვარაუდობს: დიალოგი-მსჯელობა, დიალოგი-კამათი, დიალოგი-ჩხუბი და ა.შ., რაც აუცილებელია გავითვალისწინოთ თარგმნის პროცესში.

6. დიალოგური ტექსტის მოდალური და დიქტალური რეპლიკების ურთიერთქმედება წარმოადგენს კომუნიკაციური აქტის რეალიზების აუცილებელ პირობას. საპასუხო სამეტყველო სვლის (ნაბიჯის) ფორმირებისას, ადრესატი რეაგირებას ახდენს როგორც მაინიცირებელი რეპლიკის შინაარსზე, ისე შინაარსისადმი თანამოსაუბრის დამოკიდებულებაზე. მოდუსური და დიქტუმური რეაქციები ქმნიან საპასუხო რეაგირების მეტყველება-ქცევითი ტაქტიკების მრავალფეროვნებას და ფორმულირებენ შესაბამისი კულტურის „რესპონსიულ ფონდს“.

7. კითხვითი სამეტყველო აქტების არაერთგვაროვნება, რომელიც ასევე ირიბ კითხვით კონსტრუქციებს მოიცავს, იწვევს შესაბამისი რესპონსიული რეაქციების შემუშავების აუცილებლობას და აყალიბებს შესაბამის დიალოგურ ფრეიმ-სტრუქტურებს.

8. პირდაპირ და ირიბ კითხვით სამეტყველო აქტებზე რეაქციები გვიჩვენებს რესპონსიული აქტების პრაგმატული მნიშვნელობების არაერთგვაროვნებას, რომლებიც მაკაუზირებელი სტიმულის ინტენციასთან არის დაკავშირებული და არა

მის ფორმასთან. მოცემული გარემოების გათვალისწინება განსაკუთრებით აუცილებელია რესპონსიული აქტების თარგმნისას.

ყოველივე ზემოთქმული გვადლევს შესაძლებლობას გადავიდეთ ჩვენი კვლევის დასკვნით ნაწილზე.

## დასკვნა

წინამდებარე კვლევის პრობლემატიკის ჩამოყალიბებისას ჩვენ მიზნად დავისახეთ კონცეპტ „კომუნიკაციის“ მასტრუქტურირებელ დიალოგური მთლიანობის ბაზაზე განგვეხორციელებინა რუსული და ქართული ეთნომენტალური ენობრივი ცნობიერების კვლევა. ამასთანავე, ჩვენ მიზნად ვისახავდით შეგვესწავლა კომუნიკაციური ეთნოსტილის კავშირი სამეტყველო სტრატეგიებსა და ექსტრალინგვისტურ ფაქტორებთან, რომლებიც ნათლად ასახავენ საკვლევი ეთნომენტალური კონცეფტუალურ არსს.

წინამდებარე კვლევის მიზანმა განსაზღვრა ცალკეული კერძო ამოცანები:

- 1) კონცეპტ „კომუნიკაციის“ ბირთვული სემები (ადრესანტის, ადრესატის, საკომუნიკაციო კოდის, კომუნიკაციური სიტუაციის კატეგორიები) უნივერსალური ხასიათისაა, მაგრამ დეტერმინირებულია საკვლევი კულტურების ეთნომენტალური ბუნებით;
- 2) „კომუნიკაციის“ კონცეპტუალური ველის სტრუქტურირების პრინციპებს განსაზღვრავს კომუნიკანტების როლებრივი პარტიტურა, რომელიც სოციო-ფსიქოლოგიური და პრაგმატული ფაქტორებით რეგულირდება;
- 3) კონცეპტ „კომუნიკაციის“ რეალიზაციის აზრობრივი და ემოციურ-ფსიქოლოგიური „ეკოსფერო“ უშუალოდ უკავშირდება საკომუნიკაციო კოდის სემიოტიკურ ფაქტურას, რომელსაც მარეგულირებელის გარდა, ემოციური და ესთეტიკური ზემოქმედების ფუნქციაც გააჩნია;
- 4) „კომუნიკაციის“ კონცეპტუალურ-სემანტიკური ველის მორგანიზებელ სემას ინტერაქცია წარმოადგენს, რომლის ტიპური მაგალითია დიალოგური სტრუქტურა.
- 5) კომუნიკაციის დიალოგური ნაისახეობის კომპონენტთა შეპირისპირებითი ანალიზის შედეგად გამოიკვეთა მათი კონტრიბუცია საკომუნიკაციო აქტის განხორციელების პროცესში, რამაც მნიშვნელოვანი როლი ითამაშა კონცეფტ „კომუნიკაციის“ ინტერპრეტაციის საქმეში.
- 6) განვიხილეთ რა დიალოგი კომუნიკაციის თეორიისა და კომუნიკაციური ლინგვისტიკის შუქზე, ჩვენ აუცილებლად ჩავთვალეთ დიალოგის კითხვითი ნაწილის ლინგვოპრაგმატიკისა და ამ ფონზე რესპონსიული სამეტყველო აქტების

„ლინგვისტიკის“ გამოკვლევა, რამაც საშუალება მოგვცა გამოგვეთქვა ჩვენი თვალსაზრისი რესპონსიული სამეტყველო აქტების ბუნების შესახებ.

1. ვერბალურ-საკომუნიკაციო რეაქციები ანუ რესპონსივები წარმოადგენენ სამეტყველო აქტების განსაკუთრებულ ნაირსახეობას, რომლებიც თავისი ცალკეული პრაგმატული მნიშვნელობებით ვერდიქტივებს, ეგზერსიტივებს, კომისივებს, ბეჰაბიტივებს და ექსპოზიტივებს შეესაბამება ( რაც ართულებდა საკითხის ერთმნიშვნელოვან გადაწყვეტას). ცალკეულ მნიშვნელობათა გადაკვეთა არ ნიშნავს აღნიშნულ სამეტყველო აქტებთან რესპონსივების იგივეობას, რაც დაადასტურა რესპონსივების პირდაპირი და ირიბი მნიშვნელობების ანალიზმა.

2. რესპონსივების ძირითადი დანიშნულებაა მეტყველებითი რეაგირება მაკაუზირებელ სტიმულზე, რაც გამოვლინდა: ა) ადრესატის პიროვნებაზე; ბ) მიმართვის ფორმაზე; გ) თავად ინფორმაციაზე ადრესატის საპასუხო რეაგირების სხვადასხვა ტაქტიკაში. იქიდან გამომდინარე, რომ საპასუხო რეაგირების ონტოლოგიურ საფუძველს ინფორმაციის გადაცემა წარმოადგენს, პირდაპირ მნიშვნელობად ჩვენ ე.წ. „პირდაპირ პასუხს“ ჩავთვლით, ხოლო ირიბად – ადრესანტთან მიმართვის ფორმაზე და მისდამი დამოკიდებულებაზე რეაქციებს.

3. „პირდაპირი“ და „ირიბი“ მნიშვნელობების გამიჯვნამ შესაძლებლობა მოგვცა გამოგვეყო „საკუთრივ-რესპონსივები“ და „რესპონსივები-რეაქციები“. პირველი ჯგუფი დაკავშირებულია შეკითხვის საინფორმაციო ტიპთან და საინფორმაციო უკმარისობის დაკმაყოფილებას ემსახურება. „რესპონსივები-რეაქციები“ კი წარმოადგენენ რეაქციებს ადრესანტთან დამოკიდებულებაზე და მიმართვის ფორმაზე.

4. კითხვითი ფორმის და არაკითხვითი მნიშვნელობის ასიმეტრია არცთუ იშვიათად ინფორმაციის აღქმის არაერთგავროვნებას იწვევს (განსაკუთრებით ინოფონებში). გამოდიან რა მაკაუზირებელი სტიმულის როლში, მსგავსი ეროთეტივები ურთიერთობის თავისებურ რეგისტრს ქმნიან.

5. რეაგირების ცალკეული შემთხვევების სპეციფიკა იმ სუბიექტური და ობიექტური ფაქტორების მომცველი ურთიერთობის ბალანსით განისაზღვრება, რომლებიც ადრესატის კომუნიკაციურ სტრატეგიას განსაზღვრავენ. ურთიერთობის ბალანსი აისახება ურთიერთობის კოოპერაციულ ფონზე, რომელიც საპასუხო

რეაგირების სამ ტაქტიკას მოიცავს: 1) თანაგრძნობას; 2) თანაგრძნობის არარსებობას; 3) იგნორირებას.

6. დიალოგურ მთლიანობაში ბმულობის კატეგორია შეიძლება გამოიხატებოდეს ინფორმაციის მიმართებაში როგორც თავად საკითხის შინაარსთან, ისე ადრესანტთან და მის პიროვნებასთან.

7. რესპონსივების ავტონომიურობა სამეტყველო აქტების სისტემაში სპეციფიკური ენობრივი სტრუქტურების არსებობაში ვლინდება: დიახ/არა, ე.წ. „არასრული წინადადებების“ კონსტრუქციებში (რომლებიც ნორმატიულია დიალოგური მეტყველებისათვის). მათ აქვთ სპეციფიკური ილოკუციური მიზანი – მეტყველებითი რეაგირება მაკაუზირებელ სტიმულზე, და ასევე აქვთ ინტენციონალური არჩევანი– შესაძლებლობა მიიღონ ან უარყონ კოოპერაციული ურთიერთქმედების ტაქტიკა.

8. დიალოგური ურთიერთქმედების ფარგლებში ეროთეტული და რესპონსიული სამეტყველო აქტების ურთიერთქმედების შესწავლამ მოგვცა საშუალება ეროთეტივების კატეგორიალური და პრაგმატული მნიშვნელობები რესპონსივების კატეგორიალურ და პრაგმატულ მნიშვნელობებთან შეგვეფარდებინა, რამაც შესაძლებელი გახადა კონკრეტული მთარგმნელობითი გადაწყვეტილებების შემოთავაზება.

მთარგმნელობითი გადაწყვეტილებების კვლევა რესპონსივების გადაცემის პლანში გარკვეული სისტემურობის არსებობას გვიჩვენებს, მაგრამ არსებობს არათანხვედრის შემთხვევები, რომლებიც განპირობებულია როგორც შესაბამისი გრამატიკული სისტემების განსხვავებით, ისე ეროვნული დიალოგური დისკურსების სპეციფიკური კულტურით.

## ბიბლიოგრაფია

1. Аллен Дж. Ф. Перро Р. Выявление коммуникативного намерения, содержащегося в высказывании. НЗЛ. Вып. XVII - М., 1986.
2. Арутюнова Н.Д. Язык и мир человека. – М., 1998.
3. Бенвенист Э. Общая лингвистика. – М., 1974
4. Бондарко Избранные труды. – М., 2000
5. Бодуен де Куртене И.А. Избранные труды по общему языкознанию. М., 1963.
6. Винер Н. Кибернетика. – М., 1968.
7. Вежбицкая А. Язык. Культура. Познание. - М., 1996.
8. Гийом Г. Принципы теоретической лингвистики. М., 1992
9. Грайс Г.П. Логика и речевое общение // НЗЛ. Вып. XVI. Лингвистическая прагматика. – М., 1985.
10. Голубцов Избранные труды. – М., 2000
11. Гордон Д., Лакофф Дж. Постулаты речевого общения // НЗЛ. Вып. XVI. Лингвистическая прагматика. – М., 1985.
12. Гудков Д.Б. Межкультурная коммуникация: проблемы обучения.- М., 2000.
13. Дмитриук Н.В Ассоциативное поведение и национально-культурная специфика //Текст как инструмент общения. - М., 1983.
14. Дридзе Т.М. Интерпретационные характеристики и классификация текстов // Смысловое восприятие речевого сообщения. – М., 1976
15. Дюби Избранные труды. – М., 2000
16. Ейгер Г. Избранные труды. – М., 2000
17. Есперсен О. Философия грамматики. – М., 1958.
18. Зарецкая Е.Н. Риторика. Теория и практика речевой коммуникации. – М., 2001
19. Зимняя. Избрание трудЫ, М. 2001
20. Караулов Ю.Н. Русская речь, русская идея и идиостиль Достоевского//Слово Достоевского. М., 1997.
21. Кларк Г.Г., Карлсон Т.Б. Слушающие и речевой акт. НЗЛ. Вып. XVII. – М., 1986.
22. Колесов В.В. Древняя Русь: наследие в слове. Мир человека. – СПб., 2000.
23. Конецкая Избранные труды. – М., 2012

24. Конрад Р. Вопросительные предложения как косвенные речевые акты. НЗЛ. Вып. XVII. – М., 1989
25. Коприли Избранные труды. – М., 1990
26. Красных В.В. Коммуникация в свете лингвокогнитивного подхода // Функциональные исследования. Вып. 3. – М., 1997
27. Лингвокультурология, М. 1997
28. Лебанидзе Г. Избранные труды. – Т., 2015
29. Леонтьев А.А. Языковое сознание и образ мира // Язык и сознание: парадоксальная рациональность. – М., 1993.
30. Лотман Ю.М. Культура и взрыв. – М., 1992.
31. Макаров М.Л. Интерпретативный анализ дискурса в малой группе. Тверь, 1998.
32. Морковкина И.Ю., Сорокин Ю.А. Национально-специфическое в межкультурной коммуникации// Антипов Г.А. и др. Текст как явление культуры.- Новосибирск, 1989.
33. Маслова А.А. Введение в лингвокультурологию. – М., 1997.
34. Менджерицкая Е.О. Избранные труды. – М., 2004
35. Немов Избранные труды. – М., 1978
36. Остин Дж. Слово как действие. НЗЛ. Вып. XVII. –М., 1986.
37. Павиленис Р.И. Понимание речи и философия языка // НЗЛ. Вып. XVII. – М., 1986.
38. Потебня А.А. Избранные труды. – М., 1986
39. Рождественский Ю.В. Теория риторики. – М., 1999.
40. Розеншток-Хюсси О. Речь и действительность. – М., 1994.
41. Ружицкий И.В. Текст в восприятии носителя иной культуры : проблема комментирования. АР КД. – М., 1994.
42. Серль Дж. Косвенные речевые акты // НЗЛ. Вып. XVII. Теория речевых актов. – М., 1986.
43. Стернин И.А. Коммуникативное поведение в структуре национальной культуры // Этнокультурная специфика языкового сознания. – М., 1996.
44. Столнейкер Р. Прагматика. НЗЛ. Вып. 16. М., 1985.
45. Стросон П. Намерение и конвенция в речевых актах // НЗЛ. Вып. XVI. – М., 1985.

46. Тарасов Е.Д. Социальный символизм в речевом поведении // Общая и прикладная психолингвистика. – М., 1973
47. Теория функциональной грамматики. – М., 2001.
48. Толстой Н.И. Избранные труды. – I т. М., 2016
49. Трубецкой Н.С. История. Культура. Язык. М., 1995.
50. Топурия Э. Избранные труды. – Т., 2004.
51. Тураева З. Избранные труды. – М., 2000.
52. Уфимцева Н.В. Русские глазами русских // Язык – система. Язык – текст. Язык – способность. – М., 1995.
53. Уайтхед Избранные труды. – М., 2000.
54. Фесенко Т.А. Избранные труды. – М., 1999.
55. Франк Д. Семь грехов прагматики НЗЛ. Вып. XVII –М., 1986.
56. Цихелашвили Избранные труды. – Т., 1990.
57. Черноико Избранные труды. – М., 1990.
58. Шмелев А.Д. Русский язык и внеязыковая действительность. М., 2002.
59. Шейко Избранные труды. – М., 2000.
60. Шерба Л. В. Избранные труды. – М., 2000.
61. Boch P.H., Harnish M.R. Linguistic Communication and Speech Acts. Cambridge. Mass., 1995.
62. Cardiner Selected Works, Cambrigem Mass., 1995.
63. Corer G. Semantic, Boston, 1989.
64. Fries. Ch. C. The Structure of English: An Introduction to the Construction of English Sentences / Ch. C. Fries. – London : Longmans, G-green and Co., 1957. – 304 p
65. Grice H.P. Meaning // Reading in the philosophy of language. Englewood Cliffs, 1971.
66. Grice H.P. Selected Works, 1995.
67. Glose Selected Works, 2000.
68. Inkels A. Leven son D. Selected Works, 1969.
69. Kaplan B. Selected Works 1993.
70. Mead M. Mettraux Ph, Selected Works, 1953.
71. Poortinga Y.H. Segall M, Dasen, Selected Works, 1992.
72. Tsui Selected Works, London, 1990.



73. Thomson A. Martine A. Selected Works, 1971.

74. ზ. მჭავანაძე, (ბოგინი, ქუთაისი) 2000.